



2017/12

ყოველთვიური ლიფერაცენტრი
სამსონია ქუთაისი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
თამარ გელიტაშვილი

გარეკანზე – ნიკო ფიროსმანის
„ლომი ხმლით“

ქუთაისი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
თანამდებობის მსარბაჭყრით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი


„ცისქარი“ – 165			
შენი სიბერე – სიახლე ორბის	3	ივან გოლი ერთი დღე გენიოსის ცხოვრებიდან თარგმნა მანანა პაიჭაძემ	71
პოეზია ლანა მანველი ლექსები	6	ახალი თარგმანები სვამი ვივეკანანდა	74
პროზა ნიკოლას მაჩაბელი 27 მოთხრობა	10	იცხოვრე შინაგანი სამყაროთი ნოველა თარგმნეს თამარ უთმელიძემ და გურამ კიკნაძემ	
პოეზია თამარ გელიტაშვილი ლექსები	22	ნიკოლო ამანიტი შივას ქალიშვილი ნოველა თარგმნა მაია ტურაბელიძემ	82
პროზა სოლომონ ნერგაძე შერკინება მოთხრობა	29	ჟალე ისმაილი მოთხრობები თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა	87
პოეზია (დებიუტი) პაპუნა ფირცხალაიშვილი ლექსები	45	ერთველი მთარები აფხაზურ ენაზ გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა (ნაწყვეტი რომანიდან)	91
პროზა თამაზ ხარაიშვილი ოცდამეექსე ელემენტი მოთხრობა	50	გეირამ იდიშარია აპრეზიდენტის კატა ნაწყვეტი რომანიდან	
პრიბიქა. ესეისტია ლაშა გვასალია მზერა უსაზღვრო სივრცისაკენ	56	Гэйрам Одишария Апрезидент ицгэй Ароман (Ацыпхэаха)	95
გურია კვარაცხელია პოეტური ირონიის სემიოტიკა ნინო ქუთათელაძე	60	კრიტიკა ალინა ქადაგიშვილი ზურა ყიფშიძის მესამე სიცოცხლე	98
ირონიული ლირიკოსი (იგორ სევერიანინი)	66		

შენი სიბარი – სიახლე ორბის...

უამთა სვლის კრიალოსანზე ჩამოიმარცვლა 2017, უურნალ „ცისკრის-თვის“ კი საიუბილეო, დაარსებიდან 165 წელი. „ცისკარი“ 2015 წელს ფენიქსი-ვით კიდევ ერთხელ აღსდგა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს დახმარებით ჩვენმა უურნალმა მესამე ათასწლეულშიც განაგრძო არსებობა. უურნალის სახელდებას მიერთა „1852“. ამგვარი დასათაურება ტრადიციასთან მის ღრმა კავშირზე მიუთითებს. „ცისკარი“ ტრადიციული აკადემიური უურნალია, რომელიც სრულიად საქართველოს, მთელი ქვეყნის ინტერესს გამოხატავს; „ცისკარი“ დროთა კავშირის შემკვრელია – აერთიანებს სხვადასხვა თაობის მწერლებს, მთარგმნელებს, პუბლიცისტებსა თუ ხელოვნებათმცოდნებს.

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ბეჭდურმა ორგანომ თავისი დიდი ისტორიული მისიის გამო სამართლიანად დაიმსახურა არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი, თუმც გადამწყვეტი არა ასაკი და ხანგრძლივობაა, არამედ ის როლი და მნიშვნელობა, რაც უურნალმა ქართული მწერლობის, საზოგადოდ, ქართული კულტურის განვითარების საქმეში ითამაშა. დღეს კიდევ ერთხელ პატივით უნდა მოვიხსენიოთ ის ადამიონები, ვინც კოლონიურ ქვეყანაში ქართული სიტყვიერების მინავლული

კოცონი ააბრიალა და ჩვენი მწერლობის მაჯისცემა არ შეწყვიტა. უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ „ცისკრის“ პირველი რედაქტორისა და გამომცემლის, გიორგი ერისთავის გახსენება გვმართებს. ივანე კერესელიძემ, რომელმაც გიორგი ერისთავის საქმე განაგრძო, საკუთარი მატერიალური კეთილდღეობაც კი „ცისკრის“ გამოცემის საქმეს შესწირა.



ილია ჭავჭავაძე, ის, ვინც არც კრიტიკა დააკლო „ცისკარს“ და არც შემწეობა, სამრთლიანად ბრძანებდა: „ცისკარმა“... აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ძლიერი ტალღა ჰქონდა ჩვენს აზრთა დენასა“.

„ცისკარი“ – ეს სახელწოდება ახალი, უფრო ნათელი დღის გათხებას მოასწავებდა. საამისო რწმენა ილიას, აკაკი-სა და XIX საუკუნის სამოციანელებად წოდებულ სხვა მათ თანამოკალმეებს ჭარბად ჰქონდათ მომადლებული. ისინი ამ რწმენას ძნელებდობაში ჩავარდნილ მთელ ჩვენს ხალხს არსობის პურივით უნანილებდნენ. ამ ქმედებამ იმ-სანად უაღრესად თვალსაჩინო შედეგი გამოილო – ერს სასიცოცხლო სუნთქვა გაეხსნა. სწორედ ამიტომაც, XX საუკუნის მეორე ნახევარში, 1957 წელს, საბჭოთა რეალობაში აღდგენილი უურნალი „ცისკარი“ იმ დროშიც კი ახალი ეროვნული ენერგიის გამომხატველად იქცა. თუ XIX საუკუნეში „ცისკარში“ იბეჭდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის და სხვა დიდებული სამოციანელების უკვდავი ნაწარმოებები, XX საუკუნეში უურნალის ფურცლები ასევე შესანიშნავი მწერლების: გურამ რჩეულიშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის, ანა კალანდაძის, ოთარ და თამაზ ჭილაძების, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის, გურამ დოჩანაშვილისა და სხვათა, დღეს უკვე ლიტერატურულ კლასიკად ქცეულ, ნაწარმოებებს დაეთმო. ეს მწერლები საქართველოს სატკივარს გამოხატავდნენ. ის ნათელი და ჭეშმარიტად დემოკრატიული იდეალები, რომლებიც XIX თუ XX საუკუნის სამოციანი წლების ცისკრელებმა მოიტანეს, დღე-საც უნათებს გზას საქართველოს.

აღდგენილ-განახლებული ყოველთვიური უურნალის ფურცლებზე ბოლო სამი წლის მანძილზე ფართოდ

წარმოდგენილი თანამედროვე ქართული მწერლობის ყველა დარგი. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა უცხოური ლიტერატურის თარგმანებს თუ ჩვენი კულტურული ცხოვრების ასახვას, რასაც მიეძღვნა საგანგებო რუბრიკა „არტრევიუ“, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება **თბილისის კულტურული ცხოვრების ასახვაზე**. დედაქალაქის კულტურული მაჯისცემა ხომ მთელი საქართველოსათვის ტონის მიმცემია. აღნიშნული რუბრიკით ასევე ვეხმიანებთ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სამხატვრო გამოფენებს, სპექტაკლებსა თუ სახელოვნებო ფესტივალებს.

და კიდევ ერთი, სადღეისოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სიახლე: უურნალში სისტემატურად იბეჭდება ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები აფხაზურ და ოსურ ენებზე; ასევე – აფხაზი და ოსი ავტორები მათსავე მშობლიურ ენაზე. ეს ფაქტი ქართული ლიტერატურული პერიოდიკის ძალზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა და უდავოდ შეუწყობს ხელს ჩატეხილი ხიდის აღდგენას. „ცისკარი“ ჩვენი აქტივისტების მეშვეობით იგზავნება სოხუმსა და გალის რაიონში, აგრეთვე ცხინვალსა და ვლადიკავკაზში.

„ცისკარში“ ამ სამი წლის მანძილზე უცხოეთში მცხოვრები ბევრი ჩვენი თანამემამულე დაიბეჭდა. მათი რიცხვი საკმაოდ დიდია და არ ჩამოვთვლით, ოლონდ აღვნიშნავთ, რომ მათ შორის არიან არა მარტო პოეტები და პროზაიკოსები, არამედ კრიტიკოსებიც, რომლებიც ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და საკუთარი წერილებით ეხმიანებიან.

ჩვენი უურნალი ყურადღებას უთმობს მეზობელი კავკასიელი ერების – აზერბაიჯანულ, სომხურ, ჩერქეზულსა თუ ინგუშურ – ლიტერატურას; საგანგებოდ ვთანამშრომლობთ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-

კვლევითსა და ჩერქეზული კულტურის ცენტრებთან.

ჩვენ საგანგებო მიზნად არ დაგვისახსავს გამორჩეული საიუბილეო ნომრის გამოცემა, რომელიც გადატვირთული იქნებოდა საიუბილეო დითირამბებით, არც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალები შემოგვინახავს საიუბილეო ნომერში გამოსაქვეყნებლად. ამ ნომრითაც, ისევე როგორც წინა გამოცემებით, უურნალი პირუთვნელად ასახავს იმ ვითარებას, რა ვითარებაცაა ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენი უურნალის 2017 წლის რიგით მე-12 ნომრით მხოლოდ შევახსენებთ ქართველ მკითხველს ყოველი ჩვენგანისათვის საამაყო საიუბილეო თარიღს – „ცისკრის“ 165-ე წლის-თავს.

ჭეშმარიტად საამაყოა, რომ, მიუხედავად ქვეყნის ძნელბედობისა, მატერიალური სიმწირისა და ცარისტული ცენტურის მარწუხებისა, ხოლო შემდგომში, კომუნისტების ხანაში, არნახული იდეოლოგიური წესისა, ქართული მწერლობის ფლაგმანმა უურნალმა „ცისკარმა“ მაინც შეძლო, არ დაეკარგა ილიას ლელთ ღუნიას გზა. ის, რის გამოც წუხდა გალაკტიონ ტაბიე: „დაკარგულია გზა მოხევესი“. საქართ-

ველოს დამოუკიდებლობა ქართველი მწერლების ინიციატივა იყო. „ცისკარს“ ამ დიდ საქმეში ლომის წილი უდევს. მისი პუბლიკაციები მიწყივ აღვივებდა თავისუფლების წადილს.

ახლა ისევ გალაკტიონს უნდა დავესესხოთ და მისი ენიგმური სტრიქონები გავიხსენოთ, რომლითაც ის 15-საუკუნოვან თბილისს მიმართავს: „შენი სიბერე – სიახლე ორბის“. აյ პოეტი ქრისტიანულ სახისმეტყველებაში დამკვიდრებულ ტრადიციას ეფუძნება. როგორც „შატბერდის კრებული“ გვამცნობს: ბებერი ორბი სამგზის „შთახდება“ წყალში, რაც მისი განახლება-გაახალგაზრდავების საწინდარია. ჩვენი უურნალის მიმართაც შეიძლება ამ ლოცვის სადარი სიტყვების გამეორება: „შენი სიბერე, სიახლე ორბის...“

დასასრულ, კიდევ ერთხელ გამოვხატავთ რა მადლიერებას თბილისის მერიისა და საკრებულოს მიმართ, იმედს გამოვთქვამთ, რომ „ცისკარს“ არც სამომავლოდ მოაკლდება ხელისუფლების თანადგომა, რაც, უდავოდ იქნება ჩვენი მწერლობის, ზოგადად ქართული კულტურისა და უურნალის ირგვლივ შემოკრებილი უამრავი შემოქმედის მხარდაჭერა.



ლანა მანველი

ხვალ დეკემბერსაც შესცივდება უსაზღვრო სევდით,
შენ წახვალ ყველგან, დავდიოდით როს ერთად... ცალკეც.
ხმელი ფოთოლი შემოგრჩება ხელში ეულად,
მე კი ნელა-ნელა შენთვის გაშლილ ოცნებებს დავკეც...

რამდენი გზები უნდა გამევლო
და ჩემი თავი მეფანტა ქარში.
გამოიდარა, რადგან ზამთრის პირს
დღემდე რაც იყო, ყველაფერს წავშლი.
მოგიძლვნი ლექსებს – სულის ფანტელებს,
ნატიფი ტრფობის ყვავილებს გავშლი
და თუ ეგ გული ჩემი სახლია,
მე დავბრუნდები საკუთარ სახლში.

ლექსებს ვკითხულობდით, გახსოვა?
მირზას პოეზია წვიმდა.
გარეთ აშარი ქარი...
გულში სიყვარული გვჭირდა.
ლიმილს აყოლებდი რითმას,
მზერას გარიდებდი დიდხანს.
მხიბლავდი ალალი გრძნობით...
დღემდე არაფერი გვითქვამს.

60ლ

ნილ, დამპირდი, რომ გეჭირება სულ დედის ხელი,
ახლაც და მერეც, სიბერე თუ ბოლომდე მოვა;
მე მეშინია მარტოობის, უგულო წლების,
ნილ, დამპირდი, რომ გეყვარება ჩემსავით თოვა.
როგორ ვეცადე, ყოფილიყო ყოფა მარტივი,
გქონოდა სახლი, სრულყოფილი დედით და მამით;
ვეღარ შევძელი მომეყოლა ზღაპრები დილით,
ნილ, დამიჯერე კეთილ ზრახვებს ლენავენ ღამით.
ჩვენ უნდა შევძლოთ სიყვარულით ვქარგოთ დღეები,
ჩემო გოგონა, ფეხზე დგომაც ახლა ძნელია,
ნილ, გეხვეწები, გაიხსენე შენი ტიტინი,
დედიკოს მკერდთან ღიმილები ათასფერია.
მოდი, გავუყვეთ წუთისოფლის უცნაურ ბილიკს,
ნილ, მე გპირდები, გეყოლება დედა იქ გვერდით;
ვიაროთ ერთად, გულისტკენებს სიმშვიდე შეცვლის...
თუ ვეღარ შევძლებ, გამიგრძელე სიცოცხლე შენით...

.....
ნილ, დამპირდი, რომ გეჭირება სულ დედის ხელი,
ახლაც და მერეც, თუ სიკვდილი უდროოდ მოვა,
ნუ გეშინია, მე ვიქნები უკვდავი შენთვის,
გახსოვდეს, მაშინ სხვანაირი იქნება თოვა.



მე აღარ გნახავ, არა იმიტომ, რომ შემოდგომას გასცვივდა
ფრთები,
რომ გაზაფხულის წვიმების სეზონს გავაყოლეთ უნაზესი
მუსიკა სულის
და არც იმიტომ, რომ ზაფხულმა მოგვატარა გრძნობით
გამობარი უგრძესი გზები,
არა იმიტომ, თითქოს რომ ხარ და მაინც გელი...
მე ვეღარ გნახავ, იმიტომ რომ მეშინია უშენოდ სუნთქვის,
რომ ჩემი ხარ და უსასრულო ტკივილად რჩები,
რომ გულქვაობად შემომიჩნდა, არ ვამხილო სურვილი
ურჩის,
რომ სიყვარულმა მაჯობა და აღარსად მიცდის...



ახლა წარსულში მეფიქრები და სევდით ვდევნი
ყველა იმ ნატვრას, უშენოდ რომ არაფერია.
რა უცნაურად და ადვილად მე შენში შევცდი,
შენს იქით უკვე სხვა გრძნობების სანახებია...

ეს ნარცისები ბავშვობიდან მოგქონდა, ვიცი,
რად გაგიკვირდა, სიხარული, ესოდენ, ჩემო.
რა დამავიწყებს შორეული პეპლების სიცილს,
აյ ნარცისებმა მოგიყვანეს და მიტომ გჩემობ.
ამიბრიალე სულში უცხო ტრფობის ხანძარი,
დე, დაიფერფლოს ყველა გრძნობა – სუსტი და უნდო!
კეთილი იყოს, არ ყოფილხარ თურმე გამქრალი,
ბავშვობაში რომ დამეკარგა, იმ რაინდს ვუხმობ.

გაზაფხულდება და, ალბათ, დავიჯერებ,
რომ გზად გაფენილი ყვავილთა ხალიჩა
ჩემია, მსუბუქად ავყვები ნიავ-ქარს,
შენი მონატრებაც ღიმილად დამირჩა.
შორიდან მოსული ტკბილი სურნელების
ჩემს წილს ავიტაცებ, ვეცეკვო უნდა დროს,
პეპლებად აშლილი გრძნობის მელოდია
უკრავს და ამჯერად უშენოდ გამათბობს...

ვიდრე

ძველი კარიბჭე ნაცნობია ბავშვობის წლების,
ქვა-ლორლიან გზას მწვანე ზოლად წარსული ნამავს;
გარდასულ სევდას შეკედლებულთ მივაფენ სითბოს,
აյ ყოველ ნაბიჯს უცდომელი სიკვდილი ქარგავს.
ეს ანგელოზი გაფრენილა იმაზე ადრე,
ვიდრე ცხოვრებას შეიცნობდა კარგად თუ ავად,
მიწა პატრონობს საუკუნის უტეხი ფიცით,
მერე რაა, რომ ნათესავიც ალარ ჩანს წამლად.
გადანგრეულა რკინის ღობე, ალბათ, ქარის დროს
ხე დაეცა და უსუსურთა სავანე თელა,
გადარჩენილა მონუმენტის შავი ფილები
ალარც ამათ ჰყავთ მომკითხავი, წავიდა ყველა?
ერთი საფლავიც უპატრონო, როგორც მრავალი,
უდაბურ ტყეს რომ მოგაგონებს მცირე კვადრატი,
გამჭოლი მზერა, მიტოვებულ სულთა ამქარი,
უხმო კივილი, ფერთა გამა, როგორც აგატი.
ვუახლოვდები ჩემთვის ძვირფას განსასვენებელს,
აქ ერთადერთი ადგილია ამქვეყნად ახლა,
სადაც მგონია, რომ მელიან მშვიდი ლოდინით,
სადაც წრფელია დამალული სულ ყველა განცდა.
თბილია მიწა, როგორც ერთ დროს მათი გულები
და საყვედურიც ადვილია, უსიტყვოდ ტანჯვაც,
გადმოლაგება უძველესი უბნის ამბების,
დარჩენა, ვიდრე მზე იქცევა ოქროსფერ ქარვად.

მერე კი ისევ დაბრუნება სინამდვილეში
გაუტანლობას ცოტა სითბო შვებად რომ ახლავს,
გამაძლებინებს ეს საფლავი სულში გაჭრილი,
ვიდრე ჩემს ძვლებსაც მონატრება სრულად არ დახრავს...



ისე ჩაიარე...
თან წაიყოლე ხელნაკრავი დღეების მზერა,
შენი წილი გათენებები, მშვიდი დილები,
მურაბიანი ჩაის სითბო, საღამოები
პოეზიის და სიყვარულის არომატებით.
შენ ჩაიარე...
ისე უბრალოდ, ისე სადად გადაუარე,
გულის უფსკრულებს შეეშინდათ ფეხის დაცდენის,
გადაგაცილეს სავალალო საცალფეხოზე
და გაგაყოლეს ალბათობა ბედნიერების...



შენ შემოდგომას გამოჰყვები სევდიან შტრიხად,
მე დაგახვედრებ გადამალულ კვლავ სუფთა ზეცას,
გადავიქცევით ამოუხსნელ დღეების მისნად,
უიმედობა ქარში გაშლილ აფრებს აკეცავს.

თვალს გავუსწორებთ ნალალატევ ბავშვობის ხილვას,
შემშრალი ცრემლის მარილიანს ვიგრძნობთ ძველ გემოს,
ამ ერთხელ მაინც ყველაფერი ხომ უნდა ითქვას,
მერე გავუშვათ მოგონება, თავისთვის ენთოს...



სულ ტყუილია ყველა ფიცი –
არდავიწყების,
არმიტოვების,
არმოტყუების...
ადამიანი პატარაა დიდი ფიცისთვის...
სულ ტყუილია ყველა გრძნობა –
გარდა ტკივილის,
უსაზღვრო სევდის
და სინანულის...
ადამიანი ყველას უძლებს
თავის სიმცირით.

ნიკოლას მაჩაბელი

27 ჭეშმარიტი 27-იანელის ჩანაწერი

ოდა მეგობრობას!

დიდება ერთგულებას! სალამი, ბოლ-მავ! შენ გაგიმარჯოს, იმედგაცრუებავ და ბრგვინვავ! ჩემო უსამართლო სა-წუთროვ! ოდა შენს მეგობრობას!

ჰერმან ჰესე თავის ერთ-ერთ გრო-ტესკულ ნოველაში წერს, რომ ხალხი, ვისაც უამრავი საგმირო ეპოსი აქვს, ანუ ისტორიულად მათი ლიტერატურული ნარატივი მუდამ გმირობასა და ომებში გამარჯვებაზეა, ის ხალხი არათუ გმირი, არამედ ლაჩარი და ქვეშაფსიაა, სწორედ ამიტომ მისტირიან საგმირო ამბებს. ჰესე იმასაც ამბობს, რომ ხალხის ცხოვრება, ვინც ყველაზე მეტად სასიყვარულო ბა-ლადებსა და ეპოსებს მოუცავს, სავსეა უსიყვარულობითა და სიცივით. ისე გა-მოვიდა ჩემი ცხოვრება, რომ 27-წლიანმა თავგადასავალმა მეც ჰესეს ამ აზრამდე მიმიყვანა. მაშ ასე: ერები, რომლებსაც საგმირო ეპოსები აქვთ, ყველაზე მხდა-ლები არიან, ერები, რომელთაც სასიყვა-რულო ბალადები აქვთ, ყველაზე ცივები და უსიყვარულოები არიან და აი, ჩემი გაგრძელებაც: ერი, რომელსაც თავისი ლიტერატურული საგანძური მეგობრო-ბაზე აქვს დაფუძნებული, ის ხალხი ყვე-ლაზე უმეგობრო და ფლიდია.

და რა არის ქართველობა თუ არა „ვეფხისტყაოსანი“? რა არის საქართველო თუ არა რუსთაველი? მართლაც ჰყავდა კი შოთას ცხოვრებაში რეალური მეგობ-

რები? თუ, ისევ ჰესეს რომ გავყვეთ, მან ეს ყველაფერი იმიტომ გამოიგონა, იმი-ტომ შექმნა მეგობრობის დიდებული ოდა, რომ, რეალურ ცხოვრებაში მეგობრობას მოკლებული, ცივ, უსამართლო, ფარისე-ველ ადამიანებს აწყდებოდა, რომელნიც მალე ივინყებდნენ მეგობრობას და ჩვენს რუსთაველს შუა გზაზე ლალატობდნენ. რამდენჯერ უარყვეს და რამდენჯერ დასწყიტეს გული, ვინ იცის? და მა-ინც, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ დიდი მეგობრობის ამბავია, არიან კი ქართველები ჭეშმარიტად მე-გობრული და ერთგული ამ გრძნობისა? თუ მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, განსაკუთრებით კი დასაწყისში, ქეიფამ-დე, მერე?

მე მუდამ იმის ცდაში ვიყავი, კარგი მეგობარი მეპოვა. არასდროს დამიყრია ფარ-ხმალი, მეპოვა ჩემი ავთანდილი, არასდროს ვიხევდი უკან და პირველ ნაბიჯებსაც ვდგამდი, ინიციატივაც მუდამ ჩემს ხელში იყო, მაგრამ, რა ვუ-ყოთ ადამიანების შინაგან დაუღვებელ წყურვილს, ბოლმითა და ღვარძლით გაანადგურონ ყოველივე თავისუფალი, თბილი და მეგობრული.

ოდა მეგობრობას!

ოდა ერთგულებასა და ურთიერ-თგაგებას! ეს იმ ადამიანების ოდა არ გეგონოთ, სუფრაზე ძმობას რომ ეფი-ცებიან და მეორე წამს დანებს უყრიან

ერთმანეთს. არა, ეს უფრო „პრადვინუტთა“, მოდერნ-ქართველთა მეგობრობის ფორმულაა, ეს უფრო ახალი ქართველების მეგობრობის ისტორიაა, მე კი, გულდაწყვეტილი და საბრალო ნიკოლასი, ცინიზმითა და უიმედობით სავსე, მოგიყვებით ამ ამბავს. აი ისიც...

ჩემი დაბადების დღე ზამთარშია, როცა ახალი წელი მიიღევა, იანვარი ათბობს ქუჩაში მოსიარულებს. თავად სიტყვაც კი როგორი გამათბობელია, ისეთია იანვარი, თბილი სიტყვაა, არანაირად რომ არ აღძრავს სიცივის განცდებს. სად სექტემბერი, ოქტომბერი – ნახეთ, დააკვირდით, თითქოს იმუქრებიან თავად სიტყვები, დეკემბერი? დკმბრ... თანხმოვნები ირაზმებიან და ჭახაჭუხობენ, იანვარი კი თითქოს ნაზად დწება, თოვლივით გადნება ენაზე, გათბობს, გატენიანებს. სწორედ ამ თბილ თვეს დავიბადე მე. ყოველი ახალი წლის მერე, როცა სუფრები ახალი ალაგებულია და ეს-ესაა ხალხმა ჩვეული ცხოვრება უნდა დაიწყოს, მე ჩემს დაბადების დღეს აღვნიშნავდი ახლო მეგობრების წრეში. ჩემმა დაბადების დღემ ჩემთვის განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა შეიძინა, ნამდვილი ახალი წელი თითქოს სწორედ ჩემს დაბადების დღეს იწყებოდა. წლების განმავლობაში ვერ ვამჩნევდი, როგორ ნელ-ნელა მეფანტებოდნენ ის ადამიანები, ვისაც ყოველ წელინადს ჩემი დაბადების დღის სუფრაზე ვხედავდი. ნელ-ნელა ყველა მშორდებოდა, ყველა გამირბოდა, ყველა მაიგნორებდა, ყველა სხვა გზას პოულობდა, მე კი ისევ მათზე ვიყავი მიჯაჭული, მათი მეგობრობის ერთგულების მწამდა და ბოლო წამამდე ვიჩენდი ინიციატივას, ისინი ისევ ყოფილიყვნენ ჩემში, ისინი ისევ ჩემს სხეულში დარჩენილიყვნენ, სამარადჟამო ფუნქციით, მეგობრობის ალმურით შემოსილნი.

ახლა კი დროა, გაიცნოთ. აი, ისინიც – ჩემი ავთანდილები, ფრიდონები და ასმათები – კოტუა, კატერინა და პადრე.

სიყრმის მეგობარი

კოტუა – ღრმა ბავშვობის მეგობრობას რომ უწოდებენ, აი, რომ გამოჩნდება შენს ცხოვრებაში და ბუნებრივად იცი, რომ ეს ის არის, ვინც ისედაც არსებობდა და ისედაც იცი, რომ იარსებებდა, აი, ეგიყო კოტუა. სკოლაში პირველივე კლასში შევამჩნიე პირველ მერჩზე მჯდარი რიუა მოლიმარი ბიჭი, რომელიც თოვლის ბაბუასავით ცისფერი ქურთუკით დადიოდა და ხვანცალებდა ჩემ წინ. მე კი ჩემი თავი ნამდვილად არ მახსოვს, ალბათ, პირველკლასელიც ისეთივე დაბაბული, მოპროტესტო და დარაზმული ვიყავი გარემოს მიმართ, როგორც ახლა. მოკლედ, მეორე კლასში ვიყავით, რომ კოტუამ ჩემი სახლის კარზე დააკაკუნა, საწერკალამი დამრჩენია სკოლაში და ის მომიტანა. ალბათ, სიცილით მოვკვდებოდი, ასეთი კადრები სადმე ფილმში რომ მენახა, მაგრამ ეს მე გადამხდა და თან ექვსი-შვიდი წლის ასაკში. მოვიდა კოტუა და შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში თავისი მეგობრობა, თავისი ხალისი, თავისი სიახლეები და ინოვაციები. კოტუა და მე დავძმობილდით, სკოლაში ერთ მერჩზე დავსხედით და დავიწყეთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაგვებრუნებინა აფხაზეთი. ჩვენ, მეორე-მესამეკლასელი თბილისელი ბიჭები განვიხილავდით იმას, ვინ რამდენ კაცს გამოიყენდა, სად შევიკრიბებოდით და როგორ დავიბრუნებდით აფხაზეთს. ტელევიზია იმ დროს დიდად არ გვიჭედავდა ყურებს, ასე რომ, კატეგორიულად განვუდგები TV-ის გავლენაზე მოსაზრებას, ჩვენ უფრო ჩვენი გარშემომყოფები გვაწვდიდნენ ინფორმაციას აფხაზეთის შესახებ – ოჯახები, მეზობლები და ა. შ. მე თვითონაც არ ვიცი, ჩვენი საერთო პირველი თემა რატომ იყო ბრძოლა და ქვეყნისთვის ისევ აფხაზეთის დაბრუნება. ხომ შეიძლება პატარა, ექვსი-შვიდი წლის ბიჭებისთვის გოგოები იყოს საერთო ან სასკოლო მეცადინეობები და ა. შ. არა, ჩვენ ეროვნული, ქართული საქმით დავახლოვდით, ჩვენი თამაში ეს იყო, ჩვენი

ოინბაზობა და ჩვენი ბავშვობა ეს იყო. დიდ თეთრ ფორმატზე ვხატავდით რაზ-მებს, ვქმნიდით დროშებს, შეგასსენებთ: ჩვენი ხუთჯვრიანი დროშის იდეა ჯერ არ არსებობდა, ჩვენ კი თითქოს ვგრძნობდით, რომ შევარდნაძისული დროშა, ჰიმ-ნი თუ სტრატეგია მოძველებული იყო და მოითხოვდა ჩანაცვლებას. დიას, ეს მარტო მიშას მონაპოვარი არ გეგონოთ. ახალი თაობა გრძნობდა, რომ საჭირო იყო ახალი დროშა, ახალი სისხლი, ახა-ლი ჰიმ-ნი, ახალი სულისკვეთება. ჩემი თუ არ გჯერათ, გადაახვიერ დრო და შედით თბილისის 62-ე სკოლის მეორე კლასში და ნახეთ გაკეთილების შემდეგ იქ ორი ბიჭი რას აკეთებს? ნაშების სუ-რათებს ათვალიერებენ? არა, ამერიკულ ფსიქოლოგიურ ფილმებში რომას ხოლმე, საკუთარ პენისებს აჩვენებენ ერთმანეთს? არა, იქნებ, ლეგო გაუწყვიათ ან მანქანები? არა, არა, სად ჰქონდათ სათამაშოები იმ უბედურებს, ომგამოვლილებს 1996-97 წლებში. კოტუა და ნიკოლასი მერხთან ისხდნენ და წერდნენ სახელებს, ვის წა-მოიყანდნენ აფხაზეთის საზღვართან, ვის რამდენი კაცი შეეძლო გამოეყვანა, სად შევიკრიბებოდით და ა. შ. გაითვა-ლისწინეთ: არც მე და არც კოტუას არ გვყავდა არავინ აფხაზი, ჩვენს სისხლში არ ერია აფხაზური არაფერი, არც ერთი არ ვიყავით აფხაზეთში ნამყოფი. ჩვენ მხოლოდ გვწამდა მშობლების მოყოლილი – აფხაზეთი – ეს ლამაზი, პალმებიანი, ზღვისა და მთის მხარე როგორ ჩააპარა შევარდნაძემ რუსებს და ა. შ. ერთ-ერთ სასაცილო მომენტად ნიკოლასისა და კოტუას საომარ გეგმაში ის მიმაჩნდა, რომ ისინი თავიანთი სამეზობლოებით გაგარინის, დღევანდელ უვანისა მოედან-ზე იკრიბებოდნენ. ხომ მაგარია? 62-ე სკოლელი საბურთალოელი ბიჭები, მე-ორეკლასელები გაგარინზე იკრიბებიან, რომ წავიდნენ და აფხაზეთი დაბრუნონ. ახლაც კი ლიმილით მასხენდება ჩემი და კოტუას წავარდი და გაერთიანებული ოცნება.

გავიდა ერთი ზაფხული, ორი ზაფხუ-ლი. ჩვენ ვიზრდებოდით და მივხვდით, რომ აფხაზეთის დაბრუნების გეგმა სი-სულელე იყო, ნელ-ნელა ჩვენს თვალსა-წიერში ჩვენი ძალები შეფასდა და ადეკ-ვატურად გავაანალიზეთ ერთმანეთი. მე და კოტუა ისევ ერთ მერსზე ვისხედით და დააა XXI საუკუნემ შემოაღო კარი. ჩვენ სწრაფად ვიზრდებოდით, სკოლაში უამრავი რამ ხდებოდა, მაგრამ ამაზე დე-ტალურ მოყოლას რა აზრი აქვს, ჩვენც ისევე, როგორც ყველა, ვაპრაზებდით მასწავლებლებს, ვეჩეუბებოდით ჯერ გოგოებს, შემდეგ ერთმანეთს; ჩვენც ვთა-მაშობდით პოკემონებს, ფეხბურთს, ჩვენც დავდიოდით შატალოებზე, ვთა-მაშობდით პესს, ერთად შევაბიჯეთ ტო-ტალიზატორში და ვიგემეთ წაგებისა და მოგების გემო; ვეჯიბრებოდით, რეალის კარლოსი უფრო მაგარი იყო თუ ბარსას კლუივერტი ან ბრაზილიის რონალდო როგორ უტანდა ჰოლანდიის ვან დერ სა-არს, მე თუ ჯენიფერ ლოპესის ტაკო მომ-ნონდა, როგორ იხრებოდა ჩემს ასამდე ნაკლეიკაში, კოტუა სინდი კროუფორდის უსაყვარლეს და ულამაზეს ღიმილზე მი-მითითებდა და იმ ხალზე, ამ ტოპმოდელს რომ ამშვენებდა. მოკლედ, მე და კოტუა სულ ერთად ვიყავით, ერთმანეთის და-ბადების დღებზე ერთმანეთის გვერდით მეჯვარესავით დასკუპებულნი და მთელი წლის განმავლობაში ხომ სულ ერთად, ერთ სივრცეში. მთავარი ის იყო, რომ ერთმანეთის გვესმოდა, მიუხედავად იმი-სა, რომ ერთს ბარსა უყვარდა, მეორეს – რეალი, ერთს ჯეილო ესიზმრებოდა, მეორეს – სინდი კროუფორდი.

მე და კოტუამ ერთად შევაბიჯეთ თი-ნეიჯერობაში, ცხოვრებაში ახალი თემები შემოიჭრა, აფხაზეთის დაბრუნებისა და ფეხბურთის გარდა, გამოჩნდა ახალი და-მოუკიდებელი საქართველო, რომელიც მუსიკასავით შემოვიდა ჩვენში. 2003 წლის რევოლუციას ერთად ვუჭრდით მხარს და დავცინოდით ჩაით გაქცეულ მეორე პრეზიდენტს. არ ვიცი, გახსოვთ

თუ არა თქვენ, მაგრამ 2004-2005 წლებში ზაფხულის ყოველ კვირა დღეს მთელი რუსთაველი იყეტებოდა და ენერგობა სახალო მსვლელობები. ახალგაზრდობა, ბავშვები, დიდები, ქალები, კაცები, ბებოები, თაღლითები თუ ინტელექტუალები, ყველა რუსთაველზე დასეირნობდა, მე და კოტუაც ვისზე ნაკლები ვიყავით – როგორც იქნა, საბურთალოსა და მშობლიურ სივრცეს გავცდით და თავი კიტრი გვეგონა, როცა სხვა ქართველებს შორის ამაყად მივაძიჯებდით.

ხომ გაითვალისწინეთ! მობილური ჯერ არ არის სახალხო მოწყობილობა, ჩვენ ძველი სახლის ტელეფონებით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს, ესეც როგორ დამავიწყდება – ზეპირად ვიცოდი კოტუას ნომერი: 37 07 15. ტელეფონზე ვგეგმავდით – პესი გვეთამაშა, ტოტალიზატორში წავსულიყავით თუ რუსთაველზე უცნობი ნაშები აგვეყარა. რუსთაველზე მე და კოტუამ რომ შევაბიჯეთ, ჯგუფ-ჯგუფად გვხვდებოდნენ ახალგაზრდები, რომელთა ცენტრში გიტარიანი ტიპები ისხდნენ და უკრავდნენ. მოგვესმა უცნობი ჰანგები, Knocking on heaven's door, მერე ვიღაცამ people are strange და ვიღაცამ საერთოდ wish u were here დაუკრა, ასე თვალებდაჭყეტილი და ყურებმომართული უკვე 14-15 წლის კოტუა და ნიკოლასი გვერდიგვერდ დგანან – ერთი რიუა, მეორე – ყავისფერთმიანი, ერთი სიმაღლისანი, ერთნაირად სუსტი ტანისები, ერთნაირად დამუხტულები მუსიკით.

ის ზაფხული იყო, რომ მე და კოტუამ გადავწყვიტეთ, როკ-ჯგუფი ჩამოგვეყალიბებინა. სანამ ჯგუფს ჩამოვაყალიბებდით, სხვადასხვა როკ-ჯგუფებს ვეცნობოდით ხან კასეტებით, ხან რადიოთი, ხან „პაძემკაში“ მდგარი ფლეიტისტის მეშვეობით, ასე ნელ-ნელა გავიგეთ The Doors, Nirvana, Led Zeppelin, Radiohead, Pink Floyd და Deep Purple. მე და კოტუა ბოჰემური ცხოვრების ნაწილი გავხდით, არ ვტოვებდით მზიურის როკ-მუსიკალურ ფესტივალებს, ორივემ თმა მო-

ვუშვით, ლუდს ვსვამდით და ვერეოდით ჰიპხალხში, რომლებთანაც დაახლოებას ვცდილობდით. გვინდოდა, უფრო და უფრო მეტი გაგვეგო ამა თუ იმ მუსიკოსზე, ვის რა მოუვიდა: „ა, მორისონი პარიზში გაიპარა აბაზანაში? 27ის?“; „ხო, ხო იცი კოპეინმა თავი მოიკლა 27-ის იყო ეგეც“; „ბონემი თავის ნარწყევში რო ჩაიხრჩო?“; „ოზბორნმა კონცერტზე ვირთხას თავი მოაჭამაო“; „ჰენდრიქსი რო უკრავდა, ხეს ცეცხლი გაუჩინდაო“; „მერლინ მენ-სონმა ერთ-ერთი თირკმელი ამოილო, რო საკუთარ თავს მინეტი გაუკეთოსო“; რითი აღარ ივსებოდა ჩვენი ტვინი. ისე მელიმება ახლა ამ ყველაფერზე... და ისეთი ფაქიზი, მეოცნებე პლატფორმებივით ვხვდებოდით ამ ამბებს ახლა რომ ვაანალიზებ თუ რა ამბებია, შეიძლება, ტანში ურუანტელმა დამიაროს, მაშინ კი თითქოს თამაში იყო, თითქოს ზღაპრები იყო, ფანტასტიკური უანრის მულტფილმები გრძელდებოდა ჩვენს ცხოვრებაში, ბავშვური მიამიტობა არ გვტოვებდა, ბავშვური გულწრფელობა და მეგობრობის სიყვარული, ბუნებრივი სიყვარული გვქონდა.

მე და კოტუას არც მუსიკალური ჯგუფის ჩამოყალიბება გამოგვივიდა. ვიზრდებოდით და ნელ-ნელა მივხვდით, რომ აფხაზეთის დაბრუნების გეგმასავით განუხორციელებელი ჩანდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი როკ-ჯგუფის ჩამოყალიბების იდეაც, მაგრამ მე არ ვეშვებოდი. ნიკოლასი რისი ნიკოლასია, რომ არ ცადოს, რომ ინიციატივას ინიციატივა არ მოაყოლოს და ფიქრი, ოცნება ქმედებაში არ გადაიტანოს?

„სიტყვა და საქმე“ – აი, ეს უკვე ინდივიდუალური ამბავი იყო... სიტყვა და საქმე ჩემს ცხოვრებაში მაშინ შემოიჭრა, როცა მშობლებმა გადაწყვიტეს, სახლი გაგვეყიდა და მოუსავლეთ გლდანში გადაესულიყავით. იქ მე და ჩემს დას ცალ-ცალკე ოთახები გვექნებოდა და გარე-მონტებული სახლიც, შეიძლება მანქანაც კი გვეყიდა, მაგრამ შორს ვიქნებოდით

სკოლიდან, შორს ვიქწებოდით იმ ხალ-
ხისგან, ვინც 90-იანები გადაგვატანინა –
– მეზობლებისგან, მეგობრებისგან. სა-
ბურთალო ერთგვარი „სამშობლო“ იყო,
სადაც ცხოვრობდა დედა, მამა, ბებია,
ბაბუა და ჩვენ სხვაგან სად უნდა წავსუ-
ლიყავით? მოკლედ, იმ პერიოდში მამა-
ჩემმა აქტიურად დაიწყო გაზეთ „სიტყვა
და საქმის“ შესყიდვა. ეს იყო რეკლამების
გაზეთი – ვინ სად რას ყიდდა – და ასე
ეძებდა გლდანში, მუხიანში ან ვარკეთილ-
ში დიდ, ოთხ-ხუთოთასიან ბინებს, რომ
ჩვენი საბურთალოს ოროთასიანი ბინა
გადაეცვალა. ასე ყოველდღე მოდიოდა
უმუშევარი მამაჩემი და მოპერანდა გა-
ზეთი „სიტყვა და საქმე“. ჩამოუვლიდა,
მონიშნავდა და მერე მიდიოდნენ სახლე-
ბის სანახავად. ამ ძიებაში ნიშანდობლივი
იყო ის, რომ მე არც ერთხელ არ გავყევი
მათ სახლის სანახავად, ალბათ, იმიტომ,
რომ სახლზე ყველაზე მეტად მე ვიყავი
მიჯაჭვული, ვგრძნობდი, რომ ამ სახლს
არასდიდებით არ დავტოვებდი. ალბათ,
ვგრძნობდი, რომ წლების მერე ჩემი მშობ-
ლები გაშორდებოდნენ, მამაჩემი ვარკე-
თილში გადავიდოდა, ჩემი დაც შეძლებდა
და ევროპაში გაიქცეოდა, მაგრამ მე ამ
სახლს არასდროს არ მივატოვებდი. მე
სულ ის შეგრძნება მქონდა, რომ მე და
დედა უძველესი დროიდან მოყოლებული
ვცხოვრობდით ამ სახლში – მხოლოდ
მე და დედა. მე ვიზრდებოდი. აქამდე
მთელი საუკუნეები ჩემი პატარაობის
ხანა იყო, ის საუკუნეები – ისტორიუ-
ლი ეპოხები შუმერებზე ან ეგვიპტურ
პირამიდებზე, რომაულ ლეგიონებსა და
ფრანკებზე, ტენოჩტიტლანის დაცემა-
სა და ინდიელთა ბრძოლაზე ესპანელი
კონკისტადორების წინააღმდეგ. მთელი
მსოფლიოს ისტორიის განმავლობაში მე
და დედა აქ ვცხოვრობდით და მე პატარა
უფლისწული ვიყავი, რომელსაც ლამპის
შუქზე დედა უყვებოდა მაკედონელის ან
ნაპოლეონის ამბებს, მერე კი უმღერა-
და „ბიჭის დედა შინ არ არის, მზევ შინ
შემოდიონ“.

„სიტყვა და საქმე“ რა შუაშია ჩემთან
და კოტუასთან? შეიძლება, ახლა არა-
ფერ შუაში არაა, მაგრამ რეალურად კი
სიტყვა და საქმეა გადამწყვეტი. მაშინ
გავიგე დედაჩემის ჩხუბებიდან, რომ
მამაჩემი ერთს ამბობდა და მეორეს
აკეთებდა. აი, ეს კი ის ელექტრონი იყო,
ეს ის იდეა იყო, რომელიც ჩემი ინდი-
ვიდუალური პასუხისმგებლობის გამო-
მუშავების საბაბი გახდა. ვიზრდებოდი
და სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას
ვგრძნობდი სიტყვების მიმართ, განსა-
კუთრებული სიფრთხილით ვეკიდებო-
დი „სიტყვებს“, არასდროს დაპირება-
საც კი არ ვიძლეოდი, რასაც ვიტყოდი,
ის ხომ საქმედაც უნდა მექცია. „პირვე-
ლად იყო სიტყვა და იქმნა „მეგობრო-
ბა“. კოტუას ჩემს მეგობრად ვგრძნობ-
დი და მეც ყველაფერი უნდა მექნა მის
შესანარჩუნებლად, თუმცა იმ დროს
ჯერ კიდევ არაფერი იყო სადარდებე-
ლი – მე და კოტუას ისედაც გვიყვარდა
ერთმანეთი და ჩვენი მეგობრობაც ოქ-
როს წლებს გადიოდა. ჩვენს ძმაბიჭო-
ბაში კი გოგოები გამოჩდნენ.

გოგოსა და ბიჭის მეგობრობა

კატერინა: გოგოები სწორედ ჩვენს
როკოცნებებს დაემთხვა, თხუთმეტ-
თექსმეტი წლის თინეიჯერობასა და
კვირაობით გადაკეტილ რუსთაველს,
სადაც ერთ დღეს მე და კოტუამ აღ-
მოვაჩინეთ კატერინა. გოგო, რომელიც
დიდი სილამაზით გამოირჩეოდა-მეთ-
ქი, მოვიტყუებით. ან ტანით, ან სახით
იყო შესამჩნევი, ამასაც მოვიტყუე-
ბით, მაგრამ მასში იყო თოთო ბავშვის
გულწრფელი გამოხედვა და ყველაზე
ლამაზი მეგობრული ღიმილი, რაც კი
გვინახავს მე და კოტუას. რა დამავიწ-
ყებს იმ საღამოს, როცა მე და კოტუა
რუსთაველიდან ვპრუნდებოდით შინ
და ვინაწილებდით, კატერინა კოტუასი
ყოფილიყო, მე კი კატერინას დაქალს
დავითრევდი. ყველაზე სახალისო ის
იყო, რომ უბრალოდ მოვილაპარაკეთ:

არანაირი განცდა, არანაირი შეგრძნება, მხოლოდ სურვილი გვქონდა, ასე ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასე ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ ასე არ გვიგრძნია, მაგრამ ისე მოვახერხეთ, რომ კატერინა ჩვენი საუკეთესო მეგობარი გახდა თავისი მეგობრული და პოზიტიური, ულამაზესი და უტკბესი ხასიათის გამო, რომელსაც ეს ნაზი თბილისელი გოგო გვჩრუნიდა ყოველ შეხვედრაზე.

კატერინა თხუთმეტი წლისა იყო, ჩვენსელა, ჩვენსავით მეგობრული, დაინტერესებული როკ-ჯგუფთემებით, ჩვენთან ერთად უყვარდა სეირნობა და რაც მთავარია, უარს არასდროს გეტყოდა მეგობრულ საუბარზე ტელეფონით თუ პირადი შეხვედრებისას. კატერინა პირველი არასაბურთალოელი გოგო იყო ჩემს ცხოვრებაში, რომლის ტელეფონის ნომრის ჩაწერა გახდა საჭირო, რათა დედაჩემს სცოდნოდა, სად ვიყავი და ვისთან ერთად ვატარებდი დროს. მეც ერთხელ, უკვე გაბრაზებულმა, რომ დიდი ბიჭი ვარ და რა დედაჩემის საქმეა, რომელ გოგოს შევხვდები, ავყვირდი, დავყვირდი და ზედ კედელზე წავაწერე კატერინას სახლის ტელეფონი იმის დასადასტურებლად, რომ კატერინა ის გოგო იყო, რომლისაც დედაჩემს არ უნდა შეშინებოდა. ეს არც წარკუშა, არც ლოთი, არც წაკერიანი გოგო არ იყო, არც აშარაშკა (როგორც დედაჩემი ეძახდა), ანუ ბიჭების ამგდები გოგო, რომელიც ჩხუბებსა და შარებში გაგრევდა, კატერინა იყო ნამდვილი მე-

გობარი გოგონა, რომელთან ერთადაც საუკეთესოდ ვგრძნობდი თავს.

კატერინა ჩემი ნამდვილი გოგომეგობარი იყო და შეიძლებოდა კი გოგოსა და ბიჭის მეგობრობა? ამაში თავად მეპარებოდა ეჭვი და თავადაც კი ვტესტავდი. ხან ვფიქრობდი, შევაბა, რას იზამს? ვფიქრობდი – მიზიდავს? მასზე ხელცეკვიტობაც კი ვცადე, მაგრამ არა, შეუძლებელი იყო. რაღაც წმინდა დასავით, ჰიპსტერ მოლოზონივით ევლებოდა ჩემს ხატებას. თინეიჯერობის მიწურულს ისე მოხდა, რომ მე და კატერინა ერთ სანოლშიც ჩავწერით – აი, მაშინ კი დავრმუნდი, რომ გოგოსა და ბიჭს შორის სრულიად შესაძლებელი და ბუნებრივი იყო გულწრფელი მეგობრობა.

საერთოდ, კატერინა ის იყო ჩემს ცხოვრებაში, ვინც ხელი შეუწყო ნიკოლასის მარტო, მშობლების გარეშე მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლას. თბილისის საზღვრები მე და კატერინამ მარტო გავარღვიეთ და ასე ვესტუმრეთ ჩარგალს, სილნალს. მახსოვს, მე, კოტუა და კატერინა მცხეთისა და გორის როკფესტივალებზე დავდიოდით.

კოტუამ დამიტოვა როკ-ბენდის შექმნის იდეა და თვითონ არაფერი გააკეთა, დრამზე დაკვრაც ვერ ისწავლა. მე კი ამასობაში როკ-ბენდი ჩამოვაყა-



ლიბე სკოლის ბაზაზე, კოტუა კი შე-
მომცექოდა დარბაზიდან. ხან ბარში
ვუკრავდით, ხან კლუბში და ხანაც „პა-
ძემკაში“. კოტუა დაგვყვებოდა, მაგარი
ეზარებოდა რომელიმე ინსტრუმენტზე
დაკერის სწავლა. სახლში პიანინო ედგა
ტყუილად, გიტარებსაც... ერთიმეორე-
ზე ასაწყობს, უბრალოდ აჩხაკუნებდა.
მოკლედ, კოტუა ვერა და ვერ ჩავრთე
მუსიკაში. ნიკოლასმა ინიციატივა არ
შეწყვიტა და მეც სამ ბიჭთან ერთად
მუსიკალური როკ-ბენდი „ნეკრისი“ და-
ვაარსე. კოტუა სულ ჩვენთან ერთად
იყო, ჩვენს რეპეტიციებზე დადიოდა,
ჩვენს კონცერტებს ესწრებოდა, მაგრამ
სცენაზე მე ვიყავი, ის კი – დარბაზში.
შეიძლება აქ გაჩნდა პირველი ბზარი
კოტუასა და ნიკოლასის მეგობრობაში,
პირველი უთანასწორობა, როცა ერთი
რომელიღაც საერთო ოცნებას რაღაც
სახით ასხამს ფრთხებს, მეორე კი ქვევი-
დან უყურებს. „სიტყვა და საქმე“ ვიყა-
ვით – ერთი სიტყვა იყო, მეორე – საქმე.
ნუ, სხვა ამბავია, რამდენად ხარისხიანი
და წარმატებული საქმე, მაგრამ მაინც
იყო. ასე მაგალითად: პირველ კონცერ-
ტზე სკოლის დარბაზი სულ შეიტან,
ბარ „სისხლიან მერიში“ ოცდაათამდე
კაცი მოვიდა, კლუბ „ქოლგაში“ ასევე
ოცდაათამდე კაცმა გადაიხადა ბილე-
თის ფული. ესეც რომ არაფერი, ყო-
ველ „პაძემკაში“ დაკვრაზე ორმოც ლა-
რამდე ვაგროვებდით ფულს. კოტუა კი
გვიყურებდა. მას უფრო თავისი ინტე-
რესები გაუჩნდა, ნელ-ნელა ჩვენი სივ-
რცეები ერთმანეთს შორდებოდა.

კატერინა კი უფრო და უფრო მიახ-
ლოვდებოდა. კატერინასაც ის ჯგუფე-
ბი და როგორუსიკა უყვარდა, რასაც ჩვენ
ვუსმენდით და მეტიც, მას ულამაზესი,
ნარნარა და უტკებესი ხმა ამოსდიოდა
ყელიდან. მე და კატერინა დუეტებს ვას-
რულებდით და ვატკობდით აუდიტო-
რიას, მალე კი აბიტურიენტობის ბუნ-
დოვანი წელიც გადავლახეთ და ერთ
უნივერსიტეტშიც ჩავირიცხეთ. ესეც

მნიშვნელოვანი მოვლენაა. ნიკოლასი
და კატერინა საკმაოდ მაღალი ქულე-
ბით ჯავახიშვილში მოხვდნენ, კოტუა კი
დაბალი ქულებით ილიაუნიში ჩაირიც-
ხა. თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტი და ილიაუნი გვერდიგვერდ არის
ჭავჭავაძის გამზირზე, მაგრამ ყველას
კარგად მოხესხება, რას ნიშნავს, იყო
ისტორიული და თავგადასავლური ჯა-
ვახიშვილის სტუდენტი და რას ნიშნავს,
იყო ახალი, ერთგვარი პოლიტიდეოლო-
გიური უნის სტუდენტი, რომელიც თავს
ყოველგვარ ინოვაციაზე დებს, მაგრამ
რეალურად ნაცნობ-მეგობრობის, ერთი
სასტაციის სივრცეა, სადაც ყველა ყველას
კვერს უკრავს და არანაირი ურთიერ-
თდაპირისპირება არ შეინიშნება. ამით
განსხვავდება ეს ორი უნივერსიტეტი
ერთმანეთისგან. თსუ-ში თუ წააწყდები
სხვადასხვა ჯგუფებს, რომლებიც უპი-
რისპირდებიან ერთმანეთს, იდეოლოგი-
ებს, საზოგადოებას, მთელი ქვეყნისა
და მსოფლიოს მასშტაბური საკითხები
აწესებთ, ილიაუნიში უფრო ერთ დიდ
სამეცნიეროს შეხვდებით ყველა ფაკულ-
ტეტზე, რომლებიც ერთმანეთის აზრებს
იზიარებენ და მათი ერთადერთი მოწი-
ნააღმდეგე გარეთა ქართველი ხალხის,
ამ გაუნათლებელი ერის სახით.

ამ ორი უნის შედარება შორს წაგ-
ვიყვანს და რამდენადაც პირად გამო-
ციდილებაზეა დაფუძნებული, თავს შე-
ვიკავებ განვრცობისგან. მოკლედ, მე და
კატერინა ერთ უნიში ერთსა და იმავე
ფაკულტეტზე თოხი წელი ვსწავლობ-
დით, კოტუა კი ჩვენ გვერდით რაღაც
ჭლრპლრ ფაკულტეტზე ილიაუნიდან ჩა-
მოგვისეირნებდა ხოლმე. ჩემი მუსიკა-
ლური ამბიციები არ ცხრებოდა და ახლა
სასკოლო და „პაძემკა“ გამოსვლები სა-
უნივერსიტეტო გამოსვლებმა შეცვალა.
აქ კი კატერინა მომევლინა დამხმარედ
– ხან დაირას აჩხარუნებდა, ხან ტკბილ
ხმას ამაყოლებდა, ხან ხალხს აღაგზნებდა
ტაში დაეკრათ და ასე თსუ-ს პირველი
კორპუსის სააქტო დარბაზიდან მეხუთე,

მერვე კორპუსების დარბაზებამდე ყველა სიმღერით დავიპყარით.

კოტუა მოდიოდა ჩვენს საღამოებზე, კონცერტების მერე ერთად ვირაზმებოდით და ლუდის დასალევად ბარებში შევძვრებოდით, სადაც მეგობრული ხუმრობებითა და ამბებით ვირთობდით თავს, იქ კი ხშირად ისმოდა ჩემი, როგორც მუსიკოსის გენიალური დასასრულის შესახებ. კოტუა ხშირად მახსენებდა, შენც 27 წლისა მოკვდებიო, ღიმილით მახსენებდა და მეც სიხარულით ვიღებდი ამ იდეას, შევუერთდებოდი კურტს, ჯიმს, ჯენისს, ვის ალარ. ვაი, რომ ეს 27 წელი შორს მეჩვენებოდა, მაშინ ხომ ჯერ კიდევ 18-19 წლის პინგვინი უნივერსიტეტელი ვიყავი და აი, ისიც თითქოს გუშინ ეთქვას კოტუას – შენც 27 წლის მოკვდებიო, 2017 წელს მე უკვე 27 წლის ნიკოლასი ვიყავი.

სტუდენტობის მეგობარი

პადრე: მე და კატერინა თსუ-ში ერთ უცნაურ და ჩუმ ბიჭს დავუახლოვდით. თავიდან ის თითქოს ვერ მიტანდა და ყოველთვის კი, როცა გამოვჩნდებოდი ლექციაზე, ცდილობდა ჩემთვის ეკბინა, დაეცინა და ირონიულად გადმოეხედა. მეც რეზისტანტული რამ გამომიმუშავდა – სადაც კი ვხვდებოდი ამ დაბალ, ბლანჟეიან და ჩუმ ბიჭს, ყველგან ვემზადებოდი წინასწარი რეაქციებით. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ბიჭი გახდებოდა ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი და დამკავლიანებელი. რაც უფრო მშორდებოდა და მტოვებდა კოტუა, მით უფრო იჭრებოდა ჩემში პადრე. პადრე აფხაზეთიდან დევნილი მეგრელი იყო, ომის დროს თბილისში გადმოხვეწილი. თავისი უვნებლობითა და დაჩაგრული ბავშვობით ჩემს ბავშვობას მაგონებდა – ისიც თურმე სახლში იჯდა და წიგნებს კითხულობდა ან ფაზლებს აწყობდა, ნინტენდოს თამაშობდა. მოკლედ, სახლის ჭია იყო და მეტი დრო ჰქონდა ფიქრისთვის, ჩამოყალიბებისთვის. პადრე ჩვენი კურსელი

იყო, პირველი კურსის დაძაბულობა ჩვენ შორის მაშინ მოიხსნა, როცა თბილისის ზღვაზე ერთად ავედით.

მახსოვს, აგვისტო იყო, ნესვი ვიყიდეთ, მე, კატერინა და პადრე ტრუსებიანები ვეთამაშებოდით ტბის სანაპიროს, მოულოდნელად პადრემ ბოყინი დაიწყო და ეს ისეთი სასაცილო და უცნაური მომენტი იყო, ვერ ვხვდებოდი, ეს ბიჭი დებილი იყო თუ ამ დებილობას თამაშობდა.

მოკლედ, მეორე კურსიდან დაიწყო ჩემი და პადრეს მეგობრობა. ის, რაც მეგონა, სულაც არ იყო; ის, რასაც ველოდი, სულაც არ აღმოჩნდა. მას ისეთი სწორი და დალაგებული შეხედულებები ჰქონდა სამყაროზე და ისეთი სამართლიანი იყო, თითქოს ჩემი უაზროდ ამბიციური, მექალთანე სტილის ცხოვრებაც დაამშვიდა და დაბრძენა. სადაც მივდიოდი, პადრე თან მიმყავდა, პადრე ნაცნობი ხდებოდა ჩემს მეგობრებში, ყველგან მიღებული იყო და თავისი ირონიული შეხედულებებით ეკლესიაზე, საპატრიარქოზე, ხელისუფლებასა და თბილისის მერიაზე ყველას მოწონებას იმსახურებდა. რაც მთავარია, პადრე არც მლეროდა, არც უკრავდა, მაგრამ ისეთი სერიოზული და გულიანი დაინტერესება იცოდა ჩემი საქმის მიმართ, რომ მეტი არ შეიძლებოდა. შემეძლო, შეყვარებულისთვის მიძღვნილი ლექსი ჯერ მისთვის წამეკითხა; შემეძლო, ძალიან სევდიანი და ნაზი სონგი მისთვის მომესმენინებინა, ის კი ისმენდა, იგებდა და ცდილობდა, ჩემი დეპრესიული და ნეგატიური ხასიათიდან რბილი, ჩუმი, მოკლე ღადაობით გამოვეყვანე. პადრე, მართლაც რომ, ჩემი სულის კათალიკოსი გახდა. ამ უამრავი მეგობრული და გულწრფელი თვისების გარდა, რა თქმაუნდა, ჰქონდა აუტანელი და ყოვლად უმსგავსი თვისებებიც და მიღვომებიც, ასე მაგალითად: ხალხში კუილი და სუნის დაყენება, ტროტუარზე მდგარი მანქანების გასაღებით გაჩაბანა ან მოულოდნელი გაბუტვა და სახლში თავქუდმოგლეჯით

გაქცევა, მაგრამ პადრე სიმართლეს ლაპარაკობდა და ის ჩემთვის იმ ქართველი მამაობისა და სამლენელო მსახურების ქრისტიანობაზე მეტ ქრისტეს ატარებდა. პადრე არა მარტო სამართლიანობის გამო შემიყვარდა და მისდამი უერთგულესი მეგობრობით გავიმსჭვალე, არამედ იმითაც, რომ ის, ჩემსავით პასუხისმგებლობას გრძნობდა სიტყვებისადმი, ისიც ჩემსავით პატივისცემით ეპყრობოდა შრომისმოყვარეობას და ჩვენ ამ თვისებებმა ძალიან საინტერესო და სათავგადასავლო სტუდენტობა გამოგვატარა. პადრე რაღაცით ჰეგი კოტუას – არა ტანადობით, არამედ ჩემთან დაპირისპირებულობით, მაგრამ საერთო თემებით. ასე, მაგალითად: მე თუ ბარსას გავიძახოდი, პადრე რეალის დიდებას შეტრფოდა; მე თუ ფრანგულენოვანი სამყარო მიზიდავდა, პადრე ესპანურ ცივილიზაციას მიმითოთებდა; მე თუ კარტოფილის ხინკალი მიყვარდა, პადრე, როგორც ყველაზე არამარხული პადრე, ხორცის ხინკალს მიირთმევდა და ა. შ. გოგოების ხსენებაზე ისე დაიბრინჯვებოდა ხოლმე, რომ მეტიც არ შეიძლება, თითქოს მართლაც პადრე ყოფილიყოს და სალვოო ალთქმა დაედოს უფლის წინაშე, რომ არა ქალი არ იქნებოდა მის ცხოვრებაში და თავს ქრისტეს სიყვარულს შესწირავდა.

პადრე მაკვალიანებდა პროფესიულ განვითარებაშიც. მაშინაც, როცა უნი დავამთავრეთ და ვერ მივხვდით, ვის რა უნდა გვეკეთებინა, ამ დროს პადრემ მირჩია, იმ გზას გავყოლოდი, რომელიც სამსახურს მაშოვნინებდა, იმ ორგანიზაციაში გამანერიანა, რომელიც ჩვენს დისციპლინას უკავშირდებოდა და ასე, პადრეს დახმარებით, რამდენჯერმე უცხოეთსაც ვესტუმრე. უნის დასრულების მერე თითქოს ბაზისი გამომეცალა და ჰაერში ჩამოვარდნილი ბატივით ვყიყინებდი, სწორედ მაშინ ამომიდგა გვერდში პადრე და სწორ გზაზე დამაყენა.

პადრესთან ლამე ვრჩებოდი და ჩვენ ჩილიმებს ვაბოლებდით ძველი აზიელი

მეფეებივით. ხან ის რჩებოდა ჩემთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან ბევრს დავლევდით და შაურმების ჭამა მოგვინდებოდა – წარმოიდგინეთ, ლამის სამ-ოთხ საათზე ორი ბიჭი მისეირნობს პეკინის ქუჩაზე, რომ დალეულზე პირი შაურმით ჩაიკოლოზინონ.

მე, პადრე და კატერინა დავმოგზაურობდით, როგორც საუკეთესო მეგობრები. ჩვენ, სამეულს, სადაც გვხედავდნენ, იცოდნენ, რომ იქ პოზიტიური განწყობა და მეგობრული აურა იკვრებოდა. სამეულის ყველაზე დასამახსოვრებელი თავგადასავალი ბათუმში მოგზაურობა იყო, როცა პადრემ მიგვიწვია მე და კატერინა. პადრე იქ რამდენიმეთვიანი კონტრაქტით იყო მივლინებული, მე და კატერინამ კი ვიხელთეთ სიტუაციით და ჩემი მანქანით დავაწეჟით ბათუმს. იქ სამივეს ერთად გვეძინა, ერთად ვიღვიძებდით და ერთად ვიძინებდით, ერთად ვსვამდით ლუდს, ერთად ვესტუმრეთ კათოლიკურ ეკლესიას, ერთად ვიყავით უცნობი ბათუმელი ბიჭების კონცერტზე და ერთად ვიღიმოდით ყველაფერზე, რაც კი აჭარული კილოთი შეგვეჩებებოდა. წვიმიანი და ლამაზი მეგობრობა, სამი განუყრელი მეგობარი, სამივე ფერადი ქოლგებით, სელფებითა და ღიმილებით.

გადიოდა წლები და ყველანი ვიზრდებოდით. ალარც სტუდენტები ალარ ვიყავით. თუ ჩემი და კოტუას სივრცე უფრო და უფრო შორდებოდა, ასევე იყო ნიკოლასის, კატერინასა და პადრეს ცხოვრებაშიც – ჩვენი ცხოვრების გზებიც ნელ-ნელა ერთმანეთს შორდებოდა, ჩვენი იდეები სამყაროს შესახებ, სამსახურის შესახებ, სამშობლოს შესახებ იცვლებოდა, სხვადასხვა სივრცეს იძენდა და ერთმანეთსაც აღარ ემთხვეოდა და ასე მოვალნიერ 27-27 წელს.

დაბადების დღე

2017 წლის იანვარი. ჩემი დაბადების დღე. ტრადიციულად, ჩემი საუკეთესო

მეგობრები – კოტუა, კატერინა და პადრე ჩემთან ერთად არიან. ჩემი სხვა მეგობრებიც დაპატიუებული მყავს, არა ისეთი სტაჟიანი და მრავალწლიანი მეგობრები, მაგრამ მაინც და რაც მთავარია, ჩემი ახალი შეყვარებულიც მოკუსკუსდა თავის საუკეთესო დაქალთან ერთად.

ამ დღეს ყველაფერი შეიცვალა. შავი იუმორი ყველას გაგვიგია, მაგრამ მე ამას შავ იუმორსაც ველარ ვუწოდებდი. თითქოს ვიღაც პირში მეუბნებოდა სიმართლეს, როგორი ვიყავი, როგორი აუტანელი, ჭირვეული და სასაცილო ნიკოლასი, თითქოს იდგნენ და მაშიშვლებლენენ ყველას თვალნინ. ჩემი დაბადების დღე იყო და კოტუას მოელო ენა და ჰყვებოდა ყველაფერს ჩემზე, ვინ გოგო მომნინდა და რატომ, მოელო პირი, რომ მეგობრებს ვიშორებდი პერიოდულად და რომ მომავალ დაბადების დღეზე შეიძლებოდა რომელიმე გამოკლებოდა. კვერს უკავდნენ კატერინა და პადრე. პადრემ ისიც გაიხსენა, თუ როგორ არ გვევასებოდა ერთმანეთი გაცნობის დროს, მისგან მეტი არაფერი გამიგია, ცივად და უკონტაქტოდ იჯდა თავისითვის და თითქოს თვალსაც მარიდებდა. ვცდილობდი მასთან გამოლაპარაკებას, მისგან ისევ მხარდაჭერა მინდოდა, მაგრამ ის სხვას ესაუბრებოდა, სხვას მიმართავდა. მერე კატერინას მივადექი და სიმღერა დავიწყეთ. კატერინა არ ამყვა, სიმღერა გამიპანძეს, დასცინეს. კატერინას ხმა არ გამიგია, ის სხვასთან ჩართულიყო საუბარში და მე საერთოდ არ ვახსოვდი. სასმელი სულ უფრო და უფრო მეკიდებოდა, ვისკი, ტეკილა, ლვინო და არაყი ერთიმეორეს ენაცვლებოდა, კოტუას ამბებივით მწარედ ჩადოოდა ყელში, ყურში, თვალებში. დამანქული სახით ვცდილობდი, მეგობრების ყურადღება მიმექცია და ნინასწარ შემსმარი ღიმილით მიგმართავდი მათ. იმ დღეს თითქოს სამაგიერო გადამიხადეს, თითქოს მითხრეს, შენ 27 წლისა გახდი, ახლა უკვე შენი სიკვდილის დროა, ამოვიდა ყელში შენი ატანა,

შენი ბავშვური და ჭირვეული ხასიათის ატანა, შენი მეგობრობა ჩვენთვის წამება იყო, შენი წარმატებები, ჩვენი შური, შენი სიყვარულები, ჩვენი უბედობა, შენ საფრთხეს უქმნიდი ჩვენს ლალ ცხოვრებას, ნიკოლას, შენც კარგად იცი, რომ შენ ყველაზე საშიში სულის პატრონი ხარ...

ყველანი წავიდნენ და თავი ჯუდი დენ-ჩი მეგონა ფილმში “Note on a scandal”, გახსოვთ? ბარბარა როგორ ცდილობს ქერათმიანი, ახალგაზრდა, ლამაზი და შეცდენილი კეიტ ბლანშეტის მეგობრობის მოპოვებას. იმ მოხუც ქალს დავემსგავსე – უმეგობროს, სოციოპათს, თითქოს მთელი ნიკოლასის ცხოვრება არაფერი იყო თუ არა ჩემი წარმოდგენები და ჩემი მოგონება, რომ ყველაფერი კარგად იყო, სინამდვილეში მე საუკეთესო მეგობარი არ მყავდა – არც ავთანდილი, არც ფრიდონი და არც ასმათი არსებობდა ჩემს პოემაში. მე სულ ეული და განწირული ვჩანდი. წელს იქნებოდა ის წელი, როცა, შესაძლოა, მართლაც როკვარსკვლავებივით არ გავტრუპულიყავი, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ 27-იანელს თვითლიკვიდაცია მელოდა, რომელიც ჩემმა მეგობრებმა მომიწყვეს. მე უმეგობროდ უნდა დამეწყო ცხოვრება ან მცირებნიანი ახალი, მომენტალური, პონტის მეგობრებით გამერთო თავი, რადგან ისინი, ვინც წლები მსდევდნენ და ვუყვარდი, ჩემგან ძალიან შორს, სხვა პლანეტებზე იმყოფებოდნენ, სხვადასხვა პლანეტებზე – ერთი სადღაც მთაზე ცოცავდა, ერთი სადღაც კონფერენციაზე აკუებდა, ერთი კი სადღაც აუზზე ცურავდა. მე არც ერთს არ ვახსენდებოდი, მე არც ერთს არ ვადარდებოდი, არც ერთს არ ვენატრებოდი. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ვცადე, დავრეკე, მივწერე, ყველა უარზე იყო – კოტუაც, კატერინაც და პადრეც თავს არიდებდნენ ჩემს ინიციატივებს, ჩემს მიწვევებს. ჩემი მოკითხვა არც ერთს ხმა არ ვახსენდებოდა, მე კი ისინი მესიზმრებოდა. ჩემს 27 წელს მთელი წელი სიზმრებმა გამანამეს, სა-

დაც ჩემი ბავშვობის მეგობარი კოტუა მხვდებოდა და მეხუტებოდა; სიზმრები, სადაც კატერინა მირეკავდა და პადრეს-თან ერთად მივირთმევდით ლუდს სად-ლაც ევროპულ ქალაქში. ჩემი საიდუმ-ლოები და ჩემი საწუხარი, ჩემი ლხინი და ჩემი ჭირი ჩემთან რჩებოდა, მე ჩემს საუკეთესო მეგობრებს ვეღარ ვუზია-რებდი ჩემს მდგომარეობას, პირველივე შემთხვევით შემხვედრთან კი მოულოდ-ნელი გულწრფელობა იმით სრულდებო-და, რომ ჩემზე სასაცილო შთაბეჭდილება ექმნებოდათ.

მთელი წელი ასე მიიღია, 27 წლისა გავხდი და ჩემი მეგობრებისთვის მოვ-კვდი, საზოგადოდ გარდავიცვალე, ჩემმა აქტივობაში იყლო ყველაგან და ყველაფერ-ში. ზაფხულის ცხელ დღეებში კი, როცა თბილისში წმინდა მთა იწვოდა, გამხმარი ბუჩქები და ხეები აგვისტოს მწველმა მზემ ააგიზგიზა, ვერის სასაფლაოსკენ ვიღაც წარმოსახვითი დააბიჯებდა და ცდილობდა, ცეცხლი ჩაექრო, მე ტელევი-ზორთან მიწოლილი ჩუმი და უმეგობრო მწველი იდეებით ავიგეს. ვუყურებდი, სა-ინფორმაციო მაუწყებლები როგორ გად-მოსცემდნენ ვერის სასაფლაოს ხანძარს, როგორ იწვოდა ტყესავით პატარა მთის ნაგლეჯი და როგორ ემუქრებოდა ცეც-ხლი მთაწმინდის პარკს, ფუნიკულიორს, ეშმაკის ბორბალსა და თბილისის ანძას. ეს ცეცხლი ჩემი შვება იყო, მეც ის უნდა მექნა, რასაც ეს ცეცხლი აკეთებდა. ის არ ეხებოდა მთაწმინდას და საცხოვრე-ბელ სახლებს, მაგრამ მთელი თბილისი მას შესცეკროდა, ყველას მისი ეშინოდა, არც ის იცოდნენ ზუსტად, საიდან და როგორ გაჩნდა და არც ის იცოდნენ, სადამდე აპირებდა წასვლას. ნიკოლასის ტყინში „სამაგიერო“ მზადდებოდა და რა ვენა, თუ ჩემმა მეგობრებმა მომიმტერეს და მთელი წლის განმავლობაში ალარ გავხსენებივარ, რა უნდა გააკეთო, რომ ისინი შეგხვდნენ? აი, იმ მთასავით უნდა დაიწვე, მთაწმინდის ძირას ვერის სასაფ-ლაოზე რომ იწვოდა...

კოტუა

ჩემი მანქანით ბაგების ასასვლელთან ვიდექი და მისი მანქანის გამოჩენას ვე-ლოდებოდი. აი, ისიც, პატარა, ნაცრის-ფერი ჰეჩბეკი, ტოიოტა ვიცი. მარტო იჯდა, პატარა მანქანაში კარგად მო-ჩანდა მისი ჩემთვის კარგად ნაცნობი ტანი. ნელა მიდიოდა. ძრავი ჩავრთე და მალევე დავეწიე. ვერ მიხვდა, რომ მას მიყვებოდი, ფარები ჩამქრალი მქონდა. კიდევ კაი, პატრული არ გამოჩენილა, მისთვის სრულიად შეუმჩნეველი ვიყა-ვი. ხელში რაღაც მეჭირა ან დანა, ან ცეცხლსასროლი, რა მნიშვნელობა აქვს, მეორე დღეს გამომძიებელი გაარკვევდა ზუსტად, რითი მოვკალი ჩემი ბავშვობის მეგობარი. კიბეზე ადიოდა და მეც უფრო ჩუმი ნაბიჯით მივყებოდი. მეოთხე სარ-თულზე ავიდა, გასაღები ამოილო და მეც გამოვჩნდი. კოტუა მოტრიალდა, დამინა-ხა, გაოცებისგან გაშრა, არ მომელოდა, არ იცოდა, რას ვაკეთებდი აქ. მიხვდა, რომ კუდში დავყვებოდი, ჩემს ხელს დასცეკროდა, თვალები სულ უფრო და უფრო უფართოვდებოდა და ოფლი მოს-დიოდა ტუჩების ზემოთ და საფეთქლებ-თან. ნელ-ნელა თითქოს ჩემი დაბადების დღეც ახსენდებოდა, ამიტომ არ იცოდა, რა ექნა. მიხვდა, რომ სამაგიეროსთვის ვიყავი აქ მოსული. არც მე ვიცოდი, რა უნდა მექნა. კოტუას ეშინოდა, ლამის იყო, შიშისგან ჩაიფსამდა, მისგან შორს ვიყავი, მაგრამ ვერსად დამიძვრებოდა, ვერც მე მომეჭრებოდა, რომ წამბრძო-ლებოდა; ვერც ზევით გაიქცეოდა, რომ გამქცეოდა; ზუსტად იმ პარამეტრებში მყავდა მოქცეული, სრულად რომ ვა-კონტროლებდი და უცბად გავერი, უკან დავიხიე და სწრაფი ნაბიჯით კიბეზე გა-ვიქეცი, თითქოს იქ საერთოდ არც ვყო-ფილვარ, თითქოს მასაც მოვეჩვენე და მეც მომეჩვენა. სადარბაზოდან ლანდი ქუჩაში უჩინარდება, მეოთხე სართულზე კი ვიღაცის ხშირი სუნთქვა ისმის.

კატერინა და პატრი

ორივე უფრო სენსიტიურები იყვნენ. ხშირად ახსენებდნენ ფსიქოლოგიას, ამიტომ მეც ამ მისტიკას მივმართე. მათთან თვითმკვლელობის ინსცენირება გავითამაშე – ღამის ორი-სამი საათი იქნებოდა, რომ ორივეს დავურეკე და დაღლილ-ტანჯული ხმით ვუთხარი: საავადმყოფოში ვარ, ვენები გადავიჭრი, გთხოვთ, ახლავე მოდით ჩემთან-მეთქი. ვიცოდი, რომ მათზე თვითმკვლელობა განსაკუთრებით დიდად იმოქმედებდა და მართლაც, ორივე ანერვიულებული მოვარდა რესპუბლიკურთან, მე კი იქვე ტაქსისტებთან მქონდა დაპარკინგებული მანქანა და შორიდან ვადევნებდი თვალყურს, რას იზამდნენ. ერთმანეთს მიუახლოვდნენ და შესასვლელისკენ დაიძრნენ, იქიდან რამდენიმე წუთში გამოვიდნენ ისევ დაბნეულები. მესმოდა, როგორ ამბობდნენ: ეს საავადმყოფო გვითხრა? თუ სადაა? მირეკავდნენ. აღარ ვიღებდი ყურმილს. ჩემს დას დაურეკეს და მისგან გაიგეს, რომ არაფერი მჭირდა და კარგადაც ვიყავი და ამ დროს მათ წინ გამოვჩნდი ოც ნაბიჯში. ღამის ქუჩების განათება დამცეკროდა, მე კი მათ წინაშე ვიდექი ცოცხალ-მკვდარი, 27 წლის, მათი ძველი მეგობარი... შორიდან მიყურეს, პადრემ ოდნავ ძლიერი ხმით დაიყვირა კიდეც – „ნიკოლას!“ ეშინოდათ, რამე არაადეკვატური არ ჩამედინა, ადგილიდან არ იძვროდნენ, ნელ-ნელა ჩემი დაბადების დღეც გაახსენდათ და ყველა ის უარყოფა და იგნორი, რაც ამ წელს მისახსოვრეს. გზაზე უცბათ ტყიდან გამოვარდნილ ირემს რომ დაინახავ, რომელსაც დიდი რქები აქვს და კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებს – დაგეტაკება თუ თავის გზას განაგრძობს,

ასე დაბნეულები იდგნენ და ეშინოდათ. ნატრობდნენ, მათკენ ნაბიჯი არ გადამედგა, ვერც ერთმა ვერ გაბედა ჩემთან მოახლოება და მოულოდნელად სინათლიდან გავქრი, სიბნელემ მშთანთქა... მას მერე ისინი აღარასდროს მინახავს.

ანტუან სენტ ეგზიუპერი „პატარა უფლისნულში“ გვასწავლის ჭკუას, ვისაც მოითვინიერებთ, მასზე პასუხისმგებლობაც გეკისრებათო და განა მეგობრობა მიჩვევა, ერთმანეთის მოთვინიერება და ატანა არაა? ჩემი სამაგიერო, შეიძლება ითქვას, იმ ამერიკული ფილმების გამოძახილი იყო, რასაც ბავშვობიდან ვუყურებდი. ყველა სცენარში გმირი რამე დისკომფორტს იგრძნობდა თუ არა, სხვადასხვა სახით ცდილობდა, რევანში აეღო. ჩემი ანომალიური და ღამის მოჩვენებითი გამოცხადებები ჩემი მეგობრების თვალწინ სწორედ ამერიკული ფილმების სამაგიეროებს წააგავდა. მე მათ სამაგიეროს ვუხდიდი იგნორისთვის, უყურადღებობასა და მეგობრობაზე ხელის აღებისთვის, იმ დამცირებისთვის, იმ საცოდაობის-თვის, იმ მარტოსულობისთვის, რასაც უმეგობრობა ერქვა, რასაც ჩემი ახალი ცხოვრება ერქვა. ამ ბოლო დროს იმასაც კი ვფიქრობ, რა ბედნიერები არიან ის ადამიანები, ვინც ადრეულ ასაკში დაკარგა თავისი მეგობრები ან ომში დაეღუპათ, ან ავარიებში. რადგან იმ დროს ჯერ კიდევ მეგობრობდნენ, ისინი ბედნიერები უნდა იყვნენ, რომ მათი მეგობრობა უბედურმა შემთხვევამ შეწყვიტა და არა თავად ამ მეგობრებმა, რომლებიც გულს გიტეხავენ და სამუდამოდ გტოვებენ.

იცოდით? ეგზიუპერის პატარა უფლისნული 2017 წელს 27 წლის ასაკში უმეგობროდ გარდაიცვალა.



თამარ გელიტაშვილი

შობა

„გაამზადეთ გზა უფლისა,
მოასწორეთ მისი ბილიკნი“.
იოანე ნათლისმცემელი

ღვთაებრივ ვარსკვლავს
მოუდრიკეს მუხლი მოგვებმა
და გაემართნენ აღმოსავლეთით,
იქ, სადაც ბეთლემს, ჩვილი
უმანკო ბაგაზე იწვა.
ანგელოზთ გუნდმა
ქვეყანას ამცნო:
„გაამზადეთ გზა უფლისა,
მაცხოვარი იშვა!“

იქ, სადაც დედამ
დედათა შორის,
დეკემბრის სუსტში
ყოვლად უბრალო
სარეცელზე პირმშო თავისი,
ნეტარი ყრმა იესო გვიშვა,
ქერუბიმები აგზავნიდნენ
ქვეყნად მოციქულთ:
„გაამზადეთ გზა უფლისა,
მაცხოვარი იშვა!“

მას, ვისაც მადლი ღვთაებრივი
მიეზღო ციდან,

ვისთვისაც მამა
უსპეტაკეს ფანტელებს ცრიდა,
მწყემსები გუნდრუკს
მიართმევენ თაყვანის ნიშნად;
ზეცას დასერავს სერაფიმთა
გალობა წმინდა:
„გაამზადეთ გზა უფლისა,
მაცხოვარი იშვა!“

მომნატრებისარ

მომნატრებისარ,
როგორც ცვარი მაისის დილას,
როგორც ნექტარი მთელი დღის
ფრენით ფრთებდალლილ პეპლებს,
ვით გამხელილი საიდუმლო ტაძრის
ქვაში ჩაკირული იდუმალების,
მომნატრებისარ,
როგორც წყალობა დედოფლის
ფერხთით მუხლმოდრეკილ
ნაომარ მხედრებს.
მომნატრებისარ,
როგორც მთიბველს შუადღის ჩრდილი,
როგორც აპრილის ამოსუნთქვა
მთვარიან ღამით,
მომნატრებისარ,
როგორც მწყურვალს მთის ნაკადული,
როგორც თიბათვის გვალვით
გამხმარ თავთუხებს – წყალი.

გვირილებო

გვირილებო, უთხარით, რომ უყვარსარო,
ზღვისფერ თვალებს ნუ აუგსებთ მწუხრით,
ვით ბელურას სითბო, ისე მენატრება,
საით ვძლიო უმისობის წუხილს.

ფურცელ-ფურცელ მიუტანეთ ბარათები,
საიდუმლო შორეული ტრფობის,
ვნების კალთას აცდენილი სიზმრები და
სიხარული ამ მინაზე ყოფნის.

გვირილებო, უთხარით, რომ მარტოობამ
გრძნობის ხვატში ამილანდა სული,
მწიფე ყანის სურნელივით მეპარება,
თანდათან მძლევს ღამენათევს რული.

გვირილებო, მაგ ატლასის კაბის მზესო,
გვირგვინებად ჩამეწანით თმაში,
დედოფლებო, წადით, მასთან დაიმზევეთ,
ბევრი სითბო გაურიეთ ხმაში.

გვირილებო, არ გამთქვათ, რომ მარჩიელად
მე გაგგზავნეთ, მის სურვილს ვერ ვძლიე,
მარტო ერთს გთხოვთ, გადაეცით საოცნებოს:
„უყვარსარო, უყვარსარო ძლიერ!“

თოვდა...

ამ დილას გნახე.
შენი თვალები უხდებოდა
დეკემბრის თოვას,
მოურიდებლად გიკოცნიდნენ
ფიფქები ბაგეს,
ვყოფილიყავი მათ ადგილას,
როგორ მერჩივნა,
გაგინათებდი ალმასისფრად
უმთვარო ღამეს.

ისევ მიყვარხარ, როგორც მაშინ –
ვარსკვლავების ლურჯ ხეივანში,
ფეხარეული დადიოდა
ლანდებთან ვიღაც,
როგორც მცხეთიდან მონაბერი
ჩურჩული ქარის,
ისე მიყვარხარ,
როგორც წინათ,
დიდი ხნის წინათ!

ქარში

ქარმა ჭერმებს
პასიანსი
გაუშალა,
მარტის სუნთქვამ
სალერლელი
აუშალა.
მოამშვიდა
ცოტა მონატირებული,
შიშველ კვირტებს
ხარბად
აუთამაშდა და...

მერე მორცხვად
განერიდა –
დალლილი და
ცოდვამონანიებული.

რომელი...

„მე ვარ, რომელი ვარ“
(გამოცხ. 3,14)
„რომელმან შექმნა სამყარო“
რუსთველი

მე ისევ ის ვარ –
არა თოვლი,
არა წვიმა,
არა ქარბუქი,
მაგრამ ვარ კვალი
შორი ნისლის,
თოვლის,
ქარბუქის.
უამად უუჯამოდ დადენილი
ცხოვართა მწყემსად,
მწვერვალებიდან მონათოვი
მომავლის ლექსად.

მე ისევ ის ვარ –
მეიგავე ბრძნული არაკის,
უცხო-ნაცნობი
მზიანი დღის იგავ-არაკი.
ჩეთა ჩურჩული,
ბალახების ჩუმი შრიალი,
ფრინველთა ფშვინვა
და ხეების შრიალ-შრიალი;
მთაზე ძალისად მიმავალის
ფარული კვნესა,
მიწის ლალადი,
ჩამოშლილი კლდის ამოკვნესა.

მე ისევ ის ვარ –
თვალხილული
ძვირფასი მკვდარი,
ველარ მცნობილობ, აგერია
უსიტყვოს კვალი.
მე ვარ ელვარე მზიანეთის
პირველი სხივი;

უცხო მხარეში მოფენილი
თიბათვის ნისლი.
დამძადებელი სიყვარულის
მე ვარ რომელი,
ვარ მარადისი სიხარული,
შენ რომ მოელი.

მე ისევ ის ვარ –
არა თოვლი,
არა წვიმა,
არა ნამქერი,
მაგრამ ვარ კვალი
შორეული
თოვლით, წვიმით, ქარით
ნაფერი.

შემოღამება

მთვარე ვარსკვლავებთან
მუსაიფობს,
ნისლი ალვის ხეზე
იტოტება,
მზეს აუკრეფავს ქარვის
კულულები,
გორის ფხა მძევლად რომ
იტოვებდა.
ნიავი,
კალთებაკეცილი,
ღამეს ფეხაკრეფით
ეპარება,
ფარას ჩამოუვლის ნაზი
ჩურჩულით და
სიცხეს ფოთლიანში
ემალება.

.....
თეოზე ნაგაზი
ძილდვიძილობს,
არ ესმის ქარის
შემოპარება,
უკვირს ფიქრებთან
მოსაუბრეს
ეს უეცარი
შემოღამება.

უშენოდ...

ღამემ გადაიძრო საბანი ნაბდის –
ცას ფარდა ახადა;
ქარი აიფოთლა უგუნური –
ვაშლს კაბა გახადა.
შენმა ნაცვამბა პერანგის სურნელმა
გონება ამხადა,
შენზე ფიქრებმა –
უძილო გამხადა...
ვიცი, გაცხადება დაფარულის არ ჩემი ფერია,
პოეტები ხომ სიყვარულზე ჩუმად მღერიან,
ქარმა შეაყარა ფოთლები ფანჯრებს –
ასე რამ არია?!
ტყემლები მიამიტი, ფატაწამოსხმული
არივ-დარია.

სიმღერა მინდა და ჯიუტობს გიტარა,
ვერ ვიღებ სასურველ ნოტებს,
უჩემოდ განიცდის სევდის აგონიას,
უჩემოდ მოთქვამს და გოდებს.
ირგვლივ ყველაფერს სევდის ხმა ატყვია:
ამ სახლს და სახლის წინ ამ კორდს,
მეტი რა ჩარაა, ვუსმენ სიჩუმეს და
ქარის უკანასკნელ აკორდს.

კახეთო ოქონები

შემოეხია გომბორს ტანზე თეთრი პერანგი,
მზის ნატერფალზე მიტკლისფერი მინა დნებოდა;
როგორც ყმანვილის სიხალისე თანდაყოლილი,
კახეთო ჩემო, გაზაფხული ისე გშვენოდა.

აისი რიხით ხელს ართმევდა მოცვისფერ ქედებს,
სისხამზე ნალებს იჭედებდა დამფრთხალი ნისლი;
ჩითმერდინივით გეხვეოდა რიურაჟი მხრებზე,
ცაზე ოქროსფრად ლივლივებდა ფერები ისლის.

გაუხედნავი, თოვლისფერი ურა კვიცივით
ატეხილიყვნენ ბალში უკვე სარძლოდ ვაშლები,
ღამენათევნი, ფეხაკრეფით მიმოდიოდნენ
ცაზე ღრუბლები – თავანკარა ბროლის რაშები.

ნოტიო მინა ამზევებდა ნაზამთრალ გულ-მკერდს,
დაედო თითქოს ბუნებასთან ხანგრძლივი ზავი,
ღამისფერ ხნულებს უტოვებდა ვიწრო არტახებს,

ბოლოს იქნევდა ალაზანი ზათქით და ზარით.

კვირტი სკდებოდა გაღვიძებულ ბალახის სუნში,
აპრილი ზამთარს სიხარულით გამშვიდობებდა,
როგორ მიჭირდა, საფიცარო კახეთო ჩემო,
იმ დილით შენთან უეცარი დამშვიდობება.

შუამთა

ძონი და ლალი აწვიმს შუამთას,
გადაუხურავს ფარჩის საბანი,
ენკენისთვეში ლივლივებს ყვითლად
მზე მოფრქვეულა ქარვით ნაბანი.
ამ ჭრელაჭრულა ატლასის ზღვაში
გადმოფენილა იველი ფარდაგი,
აუურულ ფოთლებს გაუდით ლხენა,
ტკბილად შეუსვამთ ოქროს ბადაგი.
ბრონეულისფრად ელვარებს მუხა,
ატმისფერ წიფლებს უდგათ კარავი,
მაკვირვებს ფერთა უცნობი გამა
და შუამთის ტყის უცხო ზღაპარი.



გული
ტანჯვით
დაქანცული
მაინც
მედიდგულება,
მიყვარსარო,
მიყვარსარო,
ქარი
მეჩურჩულება...

სოლომონ ნერგაძე



შერპინება

ყველა დიდ შერკინებაზე ლაპარა-
კობდა.

ავტობუსში, მეტროში, ტრამვაიში,
მიწის ზევით, მიწის ქვევით, წყალზე
თუ ჰაერში. ყველგან... საინფორმაციო
გამოშვებები დიდ შერკინებაზე საუბ-
რით იწყებდნენ გადაცემებს. და არა
მარტო ისინი. ყველა გადაცემა, ამინ-
დის პროგნოზიც კი, მომავალი დიდი
შერკინების წამყვანთა ცნობილი ღიმი-
ლით იწყებოდა. მათი უსაზღვრო აღ-
ფრთოვანება ხალხის უსიგრძეგანო ეი-
ფორისა ერთვოდა.

სხვას ვის უნდა გადაეცა დიდი შერ-
კინების პერიპეტიები, თუ არა მათ,
ყველასათვის ახლობელთ, ყველასათ-
ვის საყვარელთ?!

ერთი შორეული ევროპიდან – არა-
ქართულად, ყველას გასახარ-აღმაფ-
რენს იტყვის: „ლიკუეტ ტბილისი, სტა-
ლიცა გრუზი“-ო და დაიძვრება საქარ-
თველო დინამის, ან უკვე ეროვნული
სტადიონისაკენ... მართლა „ლიკოვალა
სტალიცა გრუზი“...

და მეორე?!

მეორე ის?! დინჯ-ხანდახან-მატყუა-
რა... გატანილი გოლი დაუმალა მაყუ-
რებელს... წაგებული თამაში არ წააგე-
ბინა. მოფიქრება არ გინდოდა?!

აბა, რა მოსატანია, თუ ხანდახან მე-
ტად მწარეც წამოსცდებოდა საოცნე-
ბო, მაგრამ სწორედ დღეს ვერკარგად

მოთამაშე გუნდზე?! „აღმართეს ცოც-
ხალი კედელი, ამ მკვდრებმა“-ო. მწარე
კი იყო, მაგრამ ხომ იყო მართალი?!

თუმცა ახლა ამის დრო არაა. ყველა
და ყველაფერი მოიცვა ცნობამ – მიი-
ღო მსოფლიომ გამოწვევა.

შედგება დიდი შერკინება.

საქართველო – მსოფლიო.

საქართველო დანარჩენი მსოფლიოს
წინააღმდეგ.

უკომპრომისო ბრძოლა გამარჯვე-
ბისთვის...

ემზადება ქვეყანა. ემზადება ყველა.

დიდი სპორტული პაექრობა მოგვე-
ლის. ჩვენც და მსოფლიოსაც.

აქვე პირველი სენსაციაც – მსაჯი
არ იქნება მოედანზე.

შერკინებას არ ეყოლება არბიტრი.

ერთი მხრივ, გადაწყვეტილება კარ-
გია და გასაგები. რამდენი შერკინება
გაუფუჭებია არბიტრს?!. შერკინებაში
ხომ რაინდები მონაწილეობენ?!. ჰოდა,
რაღა საჭიროა არბიტრი?! დაარღვიე
წესი, აღიარე რაინდულად და გადაეცი
ლელო მოწინააღმდეგეს. ისიც ხომ რა-
ინდია?! კბილების დამტვრევას კი არ
დაგიპირებს, ლელოს აიღებს და გაათა-
მაშებს.

თუ გამოერევიან არარაინდები და,
ღმერთო დაგვიფარე, არამზადები, არ-
ბიტრს რა შეუძლია? მიუთითებს, ვინ
დაარღვია წესი. თუ დამრღვევმა არ

აღიარა და არ გადასცა მოწინააღმდეგეს ლელო, რას იზამს არბიტრი?! ვერაფერს. კიდევ ერთხელ, იქნებ, ორჯერაც, იტყვის, ვინაა დამნაშავე. სხვარა შეუძლია?!!. არმია და გადაწყვეტილების აღმსრულებლები რომ ჰყავდეს, კიდევ ჰო.

აგერ, ახლა არ მოხდა ასეთი შემთხვევა ორი ქვეყნის ნაკრებს შორის?! ზედა ქვეყნის ნაკრებმა ისეთი არაკაცური დარღვევებით გაუტანა ლელო შევჩენკოს გუნდს, მთელი მსოფლიო განცვიფრდა. განცვიფრდა და მეტი არაფერი. არბიტრი იუროპა იყო. რა მოიმოქმედა მერე იუროპამ? ნამოიკნავლა ზედა ქვეყნის მისამართით, არ ხარ შენ მართალიო და... გაჩუმდა.

რა შეეძლო, ექნა? დაპეირდა წესების დამრღვევს, ნახე რას გიზამო! ამას გიზამო... იმას გიზამო... დიდ საბჭოზე სანქციებს დაგინესებო, საანგარიშოებს და სათვლელ ჩხირებს გაგიუქმებ და გაგიყინავო, არაფერს არ მოგყიდიო და ასე შემდეგ და ამნაირები... ზედა ქვეყანას სასაცილოდაც არ ეყო.

- უურებზე ხახვი არ დაგვაჭრათ, თითებით და კენჭებითაც კარგად ვითვლით ჩვენ! – ზედა ქვეყნის სტილში, როგორც ყოველთვის, ახლაც ირონიულ-სარკასტული იყო პასუხი. აბა!..

აბსოლუტური უმრავლესობა ჩრდილო ქვეყნის მაცხოვრებელთა გვერდით დაუდგა თავის, წესების ასე ღორულად დამრღვევ კაპიტანს: ჩვენ შენთანა ვართ, ყველა მოღალატეს გამოვაჭლენთ და რუხ-წითელი ჭირის შესაბამისად გავუსწორდებითა.

შესაშური იყო მათი ერთსულოვნება. სიტყვისა და საქმის ერთიანობა კიდევ უფრო. ისე ორგანიზებულად გაავრცელეს რუხ-წითელი ჟამი მთელ ტერიტორიაზე, თვით ყველაზე პროფესიონალ ეპიდემიოლოგსაც კი ძალიანზე მეტად ძალიან რომ გაუკვირდებოდა.

აღმოაჩინეს ჟამთან მებრძოლი რამდენიმე „მოღალატე“. მაშინვე, ცივი

გონებით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შესწირეს ჟამის დიად საქმეს. ერთი, დაბადების დღეს შესწირეს მსხვერპლად კაპიტანს. მეორე ზვარაკი კაპიტნის ფანჯარასთან ადვილდასანახად და საამოდ სამზერად შესწირეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მაღალ დონეზე დააყენეს ჟამის ღვთაებისადმი მსხვერპლშენირვის საქმე.

გაასუფთავეს ტერიტორია ყოველგვარი ანტიბიოტიკისაგან.

მეტი რა უნდა ინფექციას?! იფეტქა, მარა, რა იფეტქა!

მოიცვა ყველა და ყველაფერი უკიდეგანოდ გადაჭიმულ ტერიტორიაზე. სანქციებიო?! ჩაიქირქილა ინფექციის ბუდეში არხეინად მოკალათებულმა... აგერ ახლა ქვეყანაში ჩუმად შეტანილი პროდუქტი გაანადგურა... როგორ გაბედეთ, უჩემოდ როგორ შემოიტანეთ ანტიბიოტიკებით გაძებელი იუროპის ნაწარმიო?.. გაანადგურა აღტყინებაში მოსული ბაცილების თვალწინ. ღმერთის ამათ არ სწამთ, არბიტრის ამათ არა სწამთ...

ძლიერი ხარ? – მართალი ხარ!

ასეთია შავი ჟამის წესი და კანონი.

ამიტომ უფრო თქვეს უარი ორგანიზატორებმა ხორციელ არბიტრზე. თვითონ მოპაექრეებმა უნდა გაარკვიონ, ლელოს გატანა წესების დაცვით მოხდა თუ წესების დარღვევით. ადგილზევე, შერკაინების მსვლელობისას. მსაჯი მერე დაადგენს, გვიან გამოიტანს ვერდიქტს. მსაჯის გამოტანილი ვერდიქტი შეუვალია. ზოგიერთ, ზედმეტად თავგასულ გუნდს სასჯელი დაადო ისეთი, საერთოდ ვეღარა ჩანან შერკაინებებზე. და არა მარტო შერკაინებებზე. დაუნდობელი შეტევა და ლელოს გატანა იცოდნენო სკვითებმა...

იცოდნენო... აბა!..

იციანო კი არა, კაცო?!.. იცოდნენო.

კიდევ ერთი მეტად საინტერესო წესი დაადგინეს შერკაინების თავკაცებმა და მონაწილეებმა. ურთიერთთანხმობით

იქნა იგი შემუშავებული. თუ რომელი-
მე გუნდს ისე გაუჭირდა, რომ წინააღ-
მდეგობას ვეღარ სწევს ან შერკინების
გაგრძელებას ვეღარ ახერხებს, მაშინ
მოწინააღმდეგის გუნდში შემავალ რო-
მელიმე ფრთას ან ქვეყანას, შეუძლია,
დავარდნილის თხოვნის საფუძველზე,
დახმარების ხელი გაუწიოს. მოთამა-
შეები მიჰყიდოს. ჯანზე მოიყვანოს. ან
სხვა სახის დახმარება გაუწიოს. მაგა-
ლითად, მორალურად დახმაროს.

გადავასწროთ მოვლენებს და ვთქ-
ვათ – ეს წესი, რომელიც გამონაკლი-
სის სახით იქნა დადგენილი, საკმაოდ
ხშირად „გამოყენებადი“ გახდა. განსა-
კუთრებით კი მისი ბოლო პუნქტი –
მორალური დახმარება. იმდენი მორა-
ლური დახმარება, რაც მასპინძელმა
ქვეყანამ მიიღო, ალბათ, არც ვის ექ-
ნება მიღებული. ცოლისადმი მიძღვნილ
ლექს – „შენ დაგიტოვებ ჩემს დალ-
ლილ ღიმილს“ და ცოლის რეპლიკას:
ცოტა ფულიც დამიტოვეო, რა, ირაკ-
ლი! – ჟგავდა.

მწვრთნელები?..

მწვრთნელების შერჩევაში სტუმ-
რებმაც და მასპინძლებმაც დიდი ომი
გადაიტანეს. ყველას პირველობა და
მწვრთნელობა უნდოდა.

უნდა შევკადრო საყვედური დიდ
კონსტანტინეს – მარტო ჩუენ არა
ვყოფილვართ მუდამ პირველობისკენ
მსწრაფი. მარტო ჩუენში არ იყო, ყო-
ველ ნაბიჭვარს მეფობა რომ ენადა. იქა
ყოფილა თუ ყოფილა!.. „ბრდლვნაი და
კბენაი პირველობითვინა“... თავპირ-
დასისხლიანებას ვინ დაეძებს?! კლავ-
დნენ. წვავდნენ. ორპირობდნენ. სამპი-
რობდნენ. შვილი მამას კლავდა (გეც-
ნოთ?). ძმა ძმას არ ინდობდა და დედა
– შვილს.

ერთს საკუთარი, გასაპირველებელი
შვილი შემოაკვდა დაბრმავებული გო-
ნების შეცდომით. შვილმა დედა შეირ-
თო ცოლად და ქალმა საკუთარი შვი-
ლები მამას შეაჭამა... აქ ცოტა ფრთხი-

ლად ყოფნაა საჭირო... ფესვები ჰქონ-
და იმ ქალს ისეთი!.. აი, ისეთი, ზოგი
რომ იტყვის მტრისასო, ზოგი კიდევა –
ჩვენსასო...

იმასაც ამბობენ, მიაწერესო. ასე არ
იზამდაო. მოუგონესო. ერთმა მოთამა-
შემ მსოფლიო ნაკრებისა ტყუილი მო-
უგონაო. არც ისე კარგი თვალით უმ-
ზერდა, საერთოდ, ქალებს და შური
იძიაო. ვინ იცის?!..

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სა-
ერთო მწვრთნელზე ვერ შეთანხმდნენ.
მონახეს მარტივი გამოსავალი – მსოფ-
ლიოს ნაკრების თითოეული ქვეყნის
მწვრთნელი საკუთარი ქვეყნის მოთა-
მაშეებს აძლევდა რჩევებს შერკინები-
სას. ზოგი მიუთითებდა. ზოგი მიუხე-
ლებდა. ზოგი მიუსისტიკინებდა, ზოგი
კიდევ მიუმისიმისიმებდა (ქალალდი
ყველაფერს ვერ იტანს).

მასპინძელთა მწვრთნელის შერჩე-
ვაც არანაკლები სისხლიანი და თავ-
პირდამლები იყო. რაში ინდობდნენ ერ-
თმანეთს, ამაში რომ დაენდოთ?!.. თვით
შერკინების დროსაც ხშირად ცვლიდ-
ნენ მწვრთნელებს. ხშირად მწვრთნელი
თვითონ შედიოდა თამაშში. ან, პირი-
ქით, ვინმე თამაშიდან გამოდიოდა და
მწვრთნელობას იწყებდა.

ქართული, ჩვენი, ნაცნობი, გასაგე-
ბად ადვილი და მშობლიური სიტუაცია
– ვისი მთხლე ვის კასრში იყო, ვერ
ვარჩევდით (ერთ ძალიან კაი მოთამა-
შეს დავესესხე). ის ვის დაესესხა, ვერ
გეტყვით).

შერკინების დაწყებამდე მასპინ-
ძლებმა რამდენიმე რთული პრობლემა
გადაწყვიტეს. გუნდი დაადგინეს – რო-
გორ დაადგინეს, გამოვტოვებ. ისედაც
ბევრი ჭუჭყიანი თეთრეული გამოვფინე
ევროპა-აზია-ამერიკებისა და ოკეანია-
ახალი ზელანდიის (დაგვრჩა ვინმე?!.)
თვალწინ.

ქართულად დაადგინეს, როგორც
ყოველთვის.

ერთი რომ ფარცხავდა, მეორე ხნავ-

და. მესამეს არც ნაფარცხი მოსწონდა და არც ნახნავი. ხდებოდა არევ-დარევა და განევ-გამოწევა. ყოველ ამისთანა არეულ-დარეულ მომენტს იმნაირ დაწყობილ თამაშს მოაყოლებდნენ ქართველები, მართლა რომ ღირდა საცეკრად!

სხვა ბევრ საინტერესო თუ უინტერესო საკითხზეც იფიქრეს და იდავეს მასპინძლებმა. სტუმართა დახვედრას – ყველაფერი თქვი ამათი, მაგრამ, რაც იციან, იციან! – თავი მათვის დამახასიათებლი სილალით გაართვეს! სტუმრები ისეთივე აღფრთოვანებულები დაგვირჩნენ, როგორებიც რჩებოდნენ მუდამ. ისე, იმათაც რა ბევრი უნდოდათ?! მასპინძლებს პურ-მარილი არ ეშლებათ, სამზარეულო აქვენ იმნაირი, თვით მილიგრამობით მკვებავ ევროპიელსაც კი – არიქა და, ქოლესტერინიანი არ შემომეჭამოს, არიქა და, ზედმეტი კალორია არ მივიღო, კიდევ მრავალი არიქა და შარიქაო, რო გაიძინან იქ, სახლში, ევროპაში – აქ ჩამოსულს ავინტენდება ყველაფერი, ყველა ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი მამაძალლობა და... რა დიეტა, რის დიეტა?! რა ქოლესტერინი?! გადადიან ჭკუაზე სამზარეულოთი და კერძებით. ღვინო და სასმელი?! ჯერ უკვირთ, ქართველები და ღვინო?.. მერქ, მილანელები რომ დაადგენენ, ღვინის სამშობლო საქართველო ყოფილაო და, საერთოდ, ეგენი რომ არა, სიტყვა ღვინოც არ გვექნებოდა, აღარ უკვირთ. აიღეს ეს მშვენიერი სიტყვა და როგორ არ ამასინჯეს – ვინო, ვაინ, უაინ და რა ვიცი კიდე... – მაინც ვერ დაამახინჯეს ისე, საიდან იყო წამოსული, ვერ გაგერკვია. „მოიპარავ ვირსა და შეღებავ კიდეცა, მარა, საღებავი რო გადაუვა, ხო ყველა მიხვდება რო ვირი მიხოსია?!“

სიმღერა იციან და ცეკვა ამ დალოცვილებმა, ვერც ყურს მოწყვეტ და ვერც თვალს... გააგზავნეს ერთი სიმღერა, ღმერთეკუცების ნამღერი, შორეულ სივრცეებში. სადმე ცივილიზაცია კიდევ

თუ შექმნა არსთა გამრიგემ, ამაზე კაი ენით როგორ გინდა, დაელაპარაკომ?..



სტუმარშიც რომ გამოერევა ხანდახან ყოვლად ხვადაგი?! მოხვედი, გიმასპინძლე. კარგად მიგიღე... „სტუმარი ღვთისაა“-ო, სად მოგისმენია ამნაირი? სხვაგან სად გინახავს, მასპინძელი მეზობელს ესესხებოდეს, უპატივცემულო რომ არ გაგიშვას? საქონელი და ცხოველი მიხვდება ამას?!.. მეტი არაა ჩემი მტერი!.. შემოგიცოცდება და, ჯერ წასვლას არ დააყენებს საშველს... მერე კი ჩამოგათლის რაღაცას, მოიპარავს და წაიღებს. რავა, ჯერ არ უქნიათ თუ?.. ჩამოგვათალეს. ზოგმა გვარიანადაც ჩამოგვათალა... მაგრამ გამოჩნდებოდა – ყოველთვის – ახალი მწვრთნელი, ძლიერი, არც მტრისა და არც მოყვრის დამნდობი. აბრუნებდა თავის ადგილზე ჩამოთლილს.

სიმართლე უნდა ითქვას, სტუმართა უმეტესობა მასპინძელ ქვეყანაზე შეყვარებული ბრუნდება უკან. როგორც თვითონვე აღნიშნავენ – გაუკეთესებული ბრუნდება სახლში. ბევრი, ბევრი კარგი მიგვაქვსო, ამბობენ. კარგია და საამო, ნებისმიერი მასპინძლისათვის გასახარელია, როცა მისი კაიკაცობის ამბავი შინ მიაქვთ სტუმრებს. სტუმარსაც ბევრს და კარგს მატებს ქცევა ასეთი.

გაგვიგრძელდა, ხომ, შესავალი?!.. მოსამზადებელი პერიოდიც გაგრძელდა. სამაგიეროდ, კარგად ჩააბარა ქვეყანამ გამოცდა. დახვედრა ყველას შესაფერისი კი არა, როგორც ყველა სხვა ამბავში იციან ქართველებმა, აქაც შესაფერისზე ბევრად გადამეტებულ-კარგი მოუწყვეს. უკლებლივ ყველას. ზოგმა, სულო ცოდვილო, და იმდენად დაიჯერა განსაკუთრებულობა და სიკარგე, საკუთარ ქვეყანაში ინდაური-ვით გაფხორილი დაბრუნდა... კი, ასეთებიც იყვნენ. თუმცა არა უმეტესობა. კიდევ კარგი! თორემ წარმოიდგინეთ

ევროპა-ამერიკის, აზია-ოკენის, გნებავთ, ავსტრალიის ქალაქები, გადავსებული გაფხორილი ინდაურებით!.. ჰო, ერთხელ წარმოსადგენად სახალისო-ცაა. მხოლოდ ერთხელ წარმოდგენის-თვის.

იწყეს სტუმრებმა ჩამოსვლა. თვითმფრინავები წეროების გუნდებივით მოფრინავდნენ და ჯგუფ-ჯგუფად ეშვებოდნენ დედოქალაქისა თუ ყოფილი დედოქალაქის აეროპორტებში. შერკინებისწინა პერიოდი ბაბილონს დაემსგავსა. მირიად ენაზე ლაპარაკობდნენ. გოდოლის აშენებას აღარ აპირებდა არავინ. გამოიტანეს დასკვნები წარსულის გაკვეთილებიდან. სათამაშოდ და სალალობოდ იყვნენ ჩამოსულები. ითამაშებენ, ლელოს გაიტანენ. თუ ვერ გაიტანენ, არავინ დაძრახავთ. შერკინებისას ერთმანეთსაც მოსდებენ. რა ვუყოთ, მერე?!.. ესეც თანმხლებია დიდი შერკინებისა.

ჩამოდიან თვითმფრინავებით, გემებით, ავტობუსებით, მანქანებით... ჩამოდიან გალიმებულები, სერიოზულები, ოდნავ დაძაბულები, მოშვებულები, ჰალსტუხებითა თუ სპორტულმაიკანები (კი ვიცი, პერანგი უნდა დამეწერა, მარა, საროჩქას რაღა დავუძახო?!. ნიფხვის ამხანაგზე, ხომ, საერთოდ არაფერს ვამბობ?!.).

გერმანელი ჩამოდის ისეთი გალიმებულ-გაპრეწყინებული სახით, ისეთ რაღაცას ეუბნება დამხვედრს, ის, სიცილს ვინ ჩივის, ხარხარს ვერ იკავებს. საღამოს ხალხმა ტელევიზიის ტელეფონები გადაახურა რეკვებითა და ზარებით, ამნაირი რა თქვა, სერიოზულობით გამორჩეული ერის შვილმა. არაფერი ისეთი, თქვენთან ერთი შერკინება იმნაირი წავაგეთ, კაი ხანს წელში ვერ გავიმართებოდით, რომ არა ოკენისგალმელი მეგობრები და მარშალის გეგმაო.

- მაგაზე კვდებოდი სიცილიით? - გაეპარათ თუ გაუშვეს ერთი ზარი სოფელ კაკასხიდიდან. იმ სოფლიდან, იმე-

რეთის მეფე სოლომონი რომ დაერია ოსმალებს. ამ შერკინებაში იმერეთი მარტო გავიდა ოსმალეთთან პირისპირ. კაკალი კაცი არ ჩამოსულა გადალმა საქართველოდან. ხშირად ხდებოდა ამნაირი მასპინძელ ქვეყანაში. „ვარესი“ რამდენი მომხდარა?! არც პირველი იყო და, ვაი რომ, არც უკანასკნელი!.. კაკასხიდის შერკინება, იმერლებმა, ჩვენ მევიგეთაო. ოსმალები იძახიან ჩვენ მოვიგეთო. მიდი და გაიგე, მართალი რომელია?! (ფრჩხილებში შევნიშნავ – მგონი, იმერლები ამბობენ მართალს. ასე რომ არ იყოს, ხანისწყალ-საკრაულა-ნაბლარას წაპირებზე დღეს იმერლები არ იცხოვრებდნენ).

- მაგაზე იყო, რო კვტებოდი სიცილიით? - ზუსტად იმავე ტონალობით გაიმეორა კითხვა კაკასხიდელმა ახალგაზრდამ. კაი ბიჭი რომ იქნებოდა, ამას ლოგიკის კანონი მეუბნება. კაკასხიდელები, ზოგადად, კაი ხალხია.

- არა. ამაზე კი არა, რა მითხრა, იცით? თუმცა, ჯობს თვითონ მოუსმინოთ. - აიცილა პასუხი დამხვედრმა.

- თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, გპირდებით, არაფერს არ წაგართმევთ და არც მოგპარავთ, როგორც ერთმა თქვენმა თანამემამულემ გავიკეთა წინა შერკინებისას. - გერმანელი მობურთალის პასუხმა ორად გაყო მაყურებელი.

უნდა შევნიშნო, ქართველები იმნაირი ხალხია, მხოლოდ ეს პასუხი კი არა, გერმანელის ნებისმიერი პასუხი, მეტად თუ არა, ორად მაინც გაყოფდა აუდიტორიას. დედამინა მრგვალიაო, რომ ეთქვა, რამდენად გაიყოფოდა აუდიტორია, ვერ გეტყვით. გამოჩნდებოდნენ ისეთებიც, ვინც ეტყოდა, დედამინა არაა ბურთივით მრგვალი, ცოტათი შეჭყლეტილიაო. ახლა ამაზე ატყდებოდა ზარების რეკვა. კაკასხიდს თუ მეტ ზარს აღარ დაუთმობდნენ, სხვა იმნაირვე ლამაზი და ტურთა სოფელი დაილია თუ?!.. სულაც, ხიდისთავიდან იკითხავდა ვინმე, ბურთი მრგვალი რომ

გგონიათ, მარტო ფეხბურთის ბურთი გინახავთ თუ თავს იაბდლებთო?!. ლელოს ბურთი ხო ოვალურიაო... და სხვები... და ამნაირები...

რამდენი ხანია, ვეძებ ისეთ უმარტივეს ფრაზას, რომელიც ქართველების აზრს ორად არ გაყოფს. ვერ მოვნახე ჯერჯერობით ასეთი მარტივი მტკიცებულება. შემოწმებაზე ადვილი არაფერია. აგერ არაა ინტერნეტი და ფეისბუკი?! ზოგს ესიამოვნა გერმანელი მობურთალის პასუხი. კაცური ნათქვა-მიაო. გამოხატეს კიდეც. კაცურად გა-მოხატეს.

– ა, კაცი!.. სამაგიეროს კი არ გვიხდის. ერთობლივად დავამარცხეთ წინა შერკინებაში და ქვეყანა კი მხოლოდ ჩვენ „გავუცარცვეთ“. ამან პატიოს-ნად გვითხრა, ვინც წააგებს, პასუხს ის აგებსო. – ჩამოარაკრაკა ერთმა მაყურებელ-მსმენელმა ოქრიბის ქვეყნიდან. კიდევ უნდოდა, გაეგრძელებინა საამოდ სასმენი სიტყვა, მაგრამ ვინ დაამთავრებინა?! დაესია იმერ-ამერ-აფხაზეთ-ჩრდილო-სამხრეთი და, რა ვიცი, კიდევ, ვინ ალარ. ახალი ზელანდიდანაც კი შემოუშვეს ერთი ზარი. რას აკეთებდა ახალ ზელანდიაში, ემიგრანტს არ დაუკონკრეტებია. ევროპიდან შემომავალი ზარების პატრონები ამბობდნენ, მომვლელად ვმუშაობთ ან სწავლის გასაგრძელებლად ვართაო. ბევრი, ცხოვრების გასაგრძელებლად რომ იყო წასული, არ ამბობდა. მოღვაწეობის სფერო არ უთქვამს ახალი ზელანდიდან შემოსული ზარის პატრონს. წვრილ მილში გააძვრინა ოქრიბელი. მაგნები ხმას რაფერ იღებენ, 28 მილიონი ადამიანი გაგვიწყვიტესაო. ჩვენ რომ არა, მთელ ქვეყანას მოსდებდნენო ფაშიზმის ბაცილას...

ვერ იყო ფაშიზმისა და ნაციზმის ერთმანეთისგან გამრჩევი დედარაშორსწასული ქართველი ემიგრანტი. ახალზელანდიელს აზრების სიმწირე და შეცდომების სიმრავლე რამდენიმე სიტყვით აუხსნა

დინჯმა მოსაუბრემ ლაგოდეხიდან. ჩემი მეგობარო, გერმანიაში ნაციზმის ბაცილა გავრცელდა და მთელმა პროგრესულმა მსოფლიომ დაამარცხაო ერთობლივად. აბა, სსრკ-მ რო ყველაზე მეტი მოთამაშე შესწირაო იმ შერკინებას? მაგენმა და კიდო იმგენმა, გერმანელს რო გვერდით უზის, სსრკ დაანგრიეს და არც ის გახსენებიათ, სსრკ-მ რო გაუერთიანათო გერმანია. ნამეტანი გაუტია ახალზელანდიელმა.

– აბა, აბა... კი არიან გასალახავები! – ეს სამაჩაბლოელის ხმა იყო. – 45 წელინადი რო მოუნდნენ შენი სსრკ-ს დაანგრევას, რად უნდოდა ამდენი დრო?! ადრე ვერ დაანგრიეს?!.. – სამაჩაბლოელს ეტყობოდა, მთელი სახნავ-სათესი თუ არა, ნაწილი მაინც ახლად გავლებული საზღვრის იქით მოუქციეს ღორის ნაშიერებმა.

– შენ კიდე, ჩემო კარგო, ასე ძალიან თუ იყავი შეყვარებული სსრკ-ზე, ახალზელანდიაში რა მიგარდენინებდა?! მისულიყავი, აგერ, გრიშა ბიძიასთან. შენისთანები რომ ჰყოლოდა რამდენიმე ათასი გვერდით, მეტი არაა ჩემი მტერი, მაგისთვის წივნივაძეს ვერაფერი გაებედა!.. სად გაიქეცი? რატომ მიატოვე ეს პატიოსანი მუნისტი კაცი დეპოში?

ისევ გადაცემის წამყვანმა იმარჯვა, ცეკიტმა უურნალისტმა გოგონამ. შეცვალა საუბრის კალაპოტი. შემოუშვა სხვა ზარები. ზოგმა მესი თუ ითამაშებსო? ზოგმა პელე ახსენა. მესხი და მეტრეველი და კიდო რამდენი კარგი და ჩვენი ყველას ისედაც პირზე ეკერა. ზოგიერთმა აგატა კრისტი გაიხსენა, მაგრამ კონან დოილის შერლოკ ჰოლმსზე გაზრდილთა გაუვალ ლრუბლებში ჩაიკარგა.

– მე მომეცით სიტყვა! შეიძლება, მეც რომ ვთქვა რამდენიმე სიტყვა? ცუდის თქმას არ ვაპირებ. – ეს, ალბათ, იმიტომ დაამატა, დაპნევის მსგავსი შეატყო გადაცემის წამყვანს. გოგო-

ნას, ეტყობოდა, გაცხარებული კამათი თუ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჰქონდა უხილავ უფროსთან. შექების მეტს არაფერს იმსახურებდა. თან სტუმრებს ელაპარაკებოდა, თან უხილავ უფროსს. ჩრდილოეთიდან ჩამოსულმა მობურთალმა ამიტომაც დაამატა, ალბათ, ბოლო სიტყვები.

– ახლავე, ახლავე. – წამყვანის სიტყვებისთანავე მიაწოდეს მიკროფონი ჩრდილოეთიდან ჩამოსულ სტუმარს.

– მე ვთხოვ დამხმარებს, მხოლოდ მაშინ გადასცენ მიკროფონი სტუმრებს, როცა მე გეტყვით. – აშკარა იყო, სხვანაირი მითითება ჰქონდა მიღებული უხილავი უფროსისგან.

– მრავალი ზარი და შეკითხვა შემოვიდა ჩვენი ამერიკელი მეგობრის მისამართით.

აი, თურმე, სად ყოფილა ძალლის თავი დამარტული!.. უხილავ უფროსს, როგორც ჩანს, კონიუნქტურის დარღვევა არ უნდოდა. ჯერ ამერიკელი სტუმრის ალაპარაკება ჰქონდა უზურში, როგორც ჩანს, მერე ევროპიელების და მერე სხვების. მოგვიანებით, ალბათ, ჩრდილოელ სტუმარსაც მისცემდნენ რამდენიმე სიტყვის თქმის უფლებას. როცა უნდოდათ, მაშინ ვერ შეაწყვეტინებდნენ თუ?! ტელევიზორში კია ადვილი, როცა გინდა, მაშინ ჩასჩრი პირში ბურთს თუ გორგალს ან, გნებავთ, უარესს. „რეალში“ (როგორც ევროპიულობასა და ინგლისურს ნაზიარები ახალი ქართველები იტყვიან), ანუ „ლაივში“ (ასეც წინაფრჩხილებში მოხსენიებულები ამბობენ) სრულიად საწინააღმდეგო ხდება. ჰო, ხდება. ხდება ნაზიარები თუ უზიარებელი ქართველების საუბედუროდ.

მადრიდის „რეალი“ არ მაქვს მხედველობაში. მაგას და რონალდოს თავი-ანთი ანგარიშები აქვთ გასარკვევი მე-სისთან და „ბარსელონასთან“.

ვთქვათ მართალი – ძალიან ეცადნენ მასპინძლები, ამერიკელის დახვედ-

რა პომპეზური ყოფილიყო. ტრაპთან ქართულ ჩოხებსა და ლამაზ ეროვნულ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდები დაახვედრეს. ელოდნენ სტუმარს, რომელიც დიპლომატიურად გამოწყობილი გამოვიდოდა თვითმფრინავიდან, ზემოდან დახედავდა დამხვედრებს, გაიღიმებდა. საცეკვაოდ გამოწყობილ ახალგაზრდებს ხელს მოუთათუნებდა. ქართული ცეკვის მსგავს მოძრაობას გააკეთებდა.

ისე რავა წახდებოდნენ ამერიკელები, ჩამოსვლამდე არ გაეცნოთ საყველ-პურო რამეები ქართველების შესახებ?! უფროსებს ან მწვრთნელებს რომ არ ესწავლებინათ, ამ გაგანია ინტერნეტის ეპოქაში თვითონაც შეეძლო მასპინძლთა შესახებ მრავალი საინტერესო ენასა.

არაფერი მსგავსი. გამოვიდა ამერიკელი. არც კოვბოიკა ეცვა და არც არაფერი (მაცალეთ, რა, ბატონო გურამ!..). საროჩქა ეცვა. უჰალსტუხო. ზღვა ხალხის დანახვაზე შეცეცდა. მერე, მის უკან მომავალ, დადებითზე გაცილებით უფრო დადებით ადამიანს გზა დაუთმო. პირველი ის ჩამოატარა. ეტყობა, იფიქრა, ეს ზღვა ხალხი ამას ელისო.

ჰო, ელისო... მშვენიერი სახელია. და, ხშირიც ამ ქვეყანაში.

არ იცოდა ამერიკელმა ხალხმა, ელისო რომ არ ერქვა, იმ მშვენიერებას კი არა, თვითონ მას, ამერიკელს ელოდა. გაუკვირდა ამდენი ხალხი ერთად. თვალით ლამაზად ნასროლ ლასსოში (გმადლობ, ბატონო გურამ!) მოაქცია თითქოს. ლალად ჩამოირბინა ტრაპი, იოანნას უკან.

არ მითქვამს? იოანნა ერქვა არც ისე ბამბასავით თეთრ ქმნილებას...

შორეულ კანადაში, ერთი აქაური ბიჭი, დროებით რომ წავიდა, ერთი ლამაზი ქალაქის უძველეს, თითქმის 300 წლის უნივერსიტეტში სამეცნიერო პროექტის განსახორციელებლად (და, არა ცხოვრების გასაგრძელებ-

ლად, ახალიზელანდიელივით), ჰქონდა ბედნიერება, საკუთარი თვალით ეხილა შავგრემანი მშვენიერება. სამხრეთ ამერიკელი ეგონა თავიდან.

— ლათინური ამერიკიდან ბრძანდებით? — ჰქითხა.

არაო, ხორცშესხმულმა ანგელოსმა, შავგვრემანმა (ამან ხომ არ წარმოთქვაო ბოლო სიტყვა სამთა ბჭობისას, ყველაზე ბედნიერი და უბედური ადამიანის დაბადების თაობაზე, ჭყვიშთან წყნარად ვერდინებული რიონის ლამით?! — გაიფიქრა ბიჭმა).

— არა, პირიქით.

— პირიქით?!.. — ლათინური ამერიკის პირიქით რა იყო, არ იცოდა ბიჭმა.

— როგორ პირიქით? — „პირიქით, რა, თქვენ უბერავთო?“ არ ჰქითხა. აბა, საიდან ეცოდინებოდა ქართული ანეკდოტი არაელისოს?

— როგორ და... ჩრდილოეთიდან ვარ.

— აა... ესკიმოსი ბრძანდებით? — განათდა რაღაც ოკეანისგალმიდან ჩამოსულის თუ ოკეანისგამოლმიდან ჩასულის გონებაში (ფარდობითია ყველაფერი!).

— ესკიმოსები თქვენში, ციმბირში მოიკითხეთ. მე იენუიტი ვარ. — გაბრაზება არა, დაცინვის ნოტები შეერია დედა-დედა-რა-ლამაზი გოგონას ხმას. ნამდვილად არ ეცოდინებოდა ზემოთ გაკვრით ნახსენები ანეკდოტი, ციმბირი რომ კაცს, გნებათ ქალს, საქართველოში ეგონება...

ივვანნა მქინაო.

მე იოანნას დაგიძახებთო, ამან.

— რატომ, ივვანნა არ მოგწონთ?

— კი, მომწონს, მარა, სად გავამხილო, ჩემს ჯორჯიაში რო დავბრუნდები, ივანეს ვაკოცე და მისთანა ლამაზი იყო, გადაირეოდით-თქვა?!

— ივანე არა, ივვანნა, — იმან. — და კოცნაზე რომ გადახვედი, ჩემი აზრიც გაითვალისწინოთ იქნებოდეს იქნება?!

— რომ გადმოვაქართულოთ, ოდნავ მეგრულს წააგავდა, ოი რანაირად მა-

დისალმძვრელი იენუიტი მშვენიერების კილო.

— მე ჯერ იოანნას დაგიძახებ, — რო იცოდე რა ლამაზად ულერს და მერე კი გკითხავ, თუ შეიძლება გაკოცო? — ბიჭმა ამონურა მთელი მარაგი ინგლისურისა. დათანხმდა ქმნილება, იოანნად წილებული.

კოცნაზე არა, იოანნას თაობაზე და-თანხმდა.

ბევრი წლის მერე, იოანნამ შემთხვევით გაიგო, ჩარტერი თუ რაღაც, ამნაირი რეისი დანიშნეს ახალი იორკიდან ტორონტოს, ოკეანისგალმური ყველაზე ლამაზი ქალაქის გავლით, ჯორჯიამდე და უკან. ბევრი არ უფიქრია, წავიდა, აიღო ბილეთი. უნდოდა იმ ბიჭის ნახვა, ჰამილტონ ქალაქის საღამოებს არაიენუიტურად რომ ულამაზებდა. ჩამოირბინა კიბეები იოანნამ. ამერიკელმაც-მეთქი, გითხარით უკვე. კიდევ მრავალი სტუმარი თუ მოწინააღმდეგეთა ნაკრების მოთამაშე ჩამოჰყვა თვითმფრინავს.

დახვედრა ლამაზი და შთამბეჭდავი გამოვიდა. ყველამ, სტუმარმაც და მონაწილემაც, ხვალინდელი შერკენებისა, ნამდვილი ქართული დახვედრა იხილეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბედნიერი ჩანდა. მიკროფონით ხელში შეციებულ ჩრდილოელი სტუმრის მწვრთნელსა და რამდენიმე მასაჟისტს თუ არ ჩავთვლით — სხვებს უფრო ლამაზად ეპყრობიან, ვიდრე ჩვენო — უსაფუძვლოდ რომ ფიქრობდნენ. აგერ ახლა, ქართლს რომ ტანკის ლულებით ჩამოათალეს ფართობი, იმ მართლა უხსენებლებმა და გლეხები მაინც ღვინო-არყით უმასპინძლდებოდნენ, როგორც სტუმრებს, ვის ახსოვს?! „სხვა სტუმრებს უფრო მეტი ყურადღებით ექცევიანო, ვიდრე ჩვენ“...

არ გაგეცინება კაცს?!

კი, მარა, პირი ჩრდილოეთისკენ მიქნია და, შე დედანამეტანიგლახათ... და კიდოულოუარესად მრავალწერტილი-

ანო, შენა!.. გუშინწინ ჩამოშავდი ბატალიონით, პირზე დუქმომდგარი მეფი-ცებოდი, დაგეხმარები, მოგეხმარებიო. ბრძოლის დაწყების წინ კი გამეპარე და შემატოვე იმ, თქვენზე უფრო დედაგლახათ... და კიდო ვარესად მრავალნერტილიანს, აღა ერქვა თუ მაჰმადას (მე იმისიც!) უთვალავ არმიას, რანაირ დახვედრას ელი?! რაც მიიღეთ, ისიც არამია თქვენნაირ ჩლუნგ მანქურთებზე. საერთოდ ღორებად ჩათვლის ღირსებიც არა ხართ, მარა, ამას რა ვუყო, აგერ, მიკროფონით ხელში რომ დგას და სიტყვის თქმას აპირებს?!

დამშვიდდა დარბაზიც და ტელეფონის ზარებიც ცოტა ხნით შეწყდა. თქვა მიკროფონიანმა სტუმარმა სიტყვა.

– გამარდულბატ დზმებო! – ზუსტად ასე თქვა. ქართულად თქვა ძალიან ლამაზი და ყოვლისმომცველი ორი სიტყვა. დარბაზი ხომ განაბულია არა?! ახალი ახალზელანდიელიც აღარ აწუხებს უხილავ უფროსს ჯიქური ზარებით. – მე, ადვილი შესაძლებელია, ხვალ ტამაშმა არ მომიციოს. კოველ შემტხვევაში, ჩემი მცვრტნელის გამოხედვა ამას მიდასტურებს. მე ჩამოვედი ტქვენტან, ჩემიანებტან. იმისტვის ჩამოვედი, რომ გიტხრატ, დზალიან მიკვარხარტ. დამიდურეტ, იქ, ჩვენში ყველა ისე არ პიქრობს, როგორც გეუბნებიან. მე მინდა ჩემი და ჩემნაირების სახელიც ბოდიში მოგისაღოტ, იმ შეურაცხეოფებისატვის, რაც ჩემმა ქვეკანამ მოგაკენატ. პასუხისმგებლობას არ ვიხსნი. ჩემი ბრალიცაა...
– მაპატიეთ, უნდა შეგაწყვეტინოთ, მხოლოდ რამდენიმე წამით. გთხოვთ შემოუშვათ ზარი, – წამყვანი თავის სტიქიაში იყო. უხილავი უფროსი თუ მოხსნიდა კიდეც, აღარ ანალვლებდა. მარტო ერთი არზი კი არ იყო, ამ, ყველაზე გულმხურვალედ რომ უყვართ, ქვეყანაში?! – გისმენთ, საიდან რეკავთ? – ჰეითხა ეთერში შემოსულს.
– რა მნიშვნელობა აქვს, ქალბატო-

ნო?! თქვენ რა, მართლა ვერ იცანით სტუმარი? ეგ იყო, თბილისში რომ ჩამოვიდა და ტიციანის სახლში ათია ღამეები, აბა თუ კიდევ მოვლენ ვინმეს დასაჭერადო?! – სტუმარს ეტყობა, ესმის და კიდევ უფრო იბუზება. – შეხედეთ და დარწმუნდებით, ქალბატონო! მაგნაირი, ბედაურივით ვაჟკაცი, ბევრი გინახავთ? მაგან რა ჰენა კიდევ იცით...

– ნე წადო. ნე წადო. არ გინდატ... – სტუმარს დარცხვენა შეეტყო.

წამყვანმა სთხოვა სტუმარს, კიდევ გაეგრძელებინა. მან კი, მიკროფონი, თითქოს მოიშორაო, სხვა მოთამაშეს მიაწოდა.

– მე ბედნიერი ვარ! თქვენთან ყოფნით ვარ ბედნიერი და კიდევ იმით, რომ ამნაირების წინააღმდეგ და ამნაირებთან, – ხელით დიდი წრე მოხაზა. – მიწევს თამაში. ბედნიერი ვარ! თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი მხრივ შეგპირდეთ, ესენი – ხელით ჩრდილოელი მწვრთნელის მიმართულება მიხაზ-მოხაზა – მისტრალებს კი არა, იმის იმის იმას მიიღებენ, თქვენ რომ კარგად მოგეხსენებათ! მაიმუნი, ხელში გრანატით, საშიშია ძალიან!.. და, არა მარტო ზოოპარკისთვის, საერთოდ, ქალაქისთვისაა საშიში.

სტუდიაში ქართული ტაში გაისმა.

ტაშის ხმა არ გაუგონია თეთრწვერა მოხუცს. მოხუცს, რომელსაც უკან პატარა ბიჭი მისდევდა. დალლილს, ნელად მორონინე მოხუცს. იგი ხელახლა უკვალავდა გზას პატარა ბიჭს. საკუთარი სამშობლოსკენ უკვალავდა. შინისკენ, საკუთარი ფესვებისკენ სავალ გზას უკვალავდა პატარა ქართველს (ბატონო მუხრან, ბლავის მოხუცის გული, ბლავის! გამგონი? სადაა გამგონი? მართლა, იურობის ოხერი პატრონი!..).

– ჭკუა ადრე უნდა გეხმარათ, თქვე საჭურისებო! – თეთრწვერა მოხუცის გულში ისეთი ალი ტრიალებს, ვერ ეყოფა მის ჩაქრობას, ბიჭის საკუთარ დე-

დასთან დაბრუნების სიხარულის მდინარე, – დახმარებას რომ გთხოვდით, გვიჭირდა... გვიჭირდა... ღმერთო, რომ გორ გვიჭირდა?!

არც ფრანგ მეგობარს გაუგია მას-პინძელთა გუნდის წევრის (და, როგორ მობურთალის!..) სიტყვები. გადავას-წროთ ერთი წამით მოვლენებს. თეთრწვერა მოხუცმა, დიდად ქართველმა, ისეთი ლელო გაიტანა, მოწინააღმდეგებმა ხელში აყვანა და გულში ჩახუტება დაუპირეს.

ბრძნულად უხმო სიცრუეს – მარჯვნივ გადაიხარა, გეგონებოდა, იქცევაო. მისცვივდნენ მოწინააღმდეგენი. მან ლელო მარჯვენა ხელით ააგდო, მოწინააღმდეგეთა თავებზე გადაატარა, მარცხენით დაიჭირა და ძირს დაყრილ-დახვავებულ მოთამაშეთა გულის გასახეთქად, ნელა, რონინით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი. დაამინა ლელო. გაიტანა ლელო. გაიტანა, მაგრამ არ შეჩერებულა. გზა გააგრძელა... იაროს! ასეთებმა იარონ!.. ასეთებმა უნდა იარონ! ღმერთო, იარონ!..

წამოდგა ფეხზე ამერიკელი. თვითონ მივიდა მიკროფონის დროებით მფლობელთან. გამოართვა. სენქიუ-ო, ჯიგარი ხარო. ფაკვინგებით უხვად მორთული ფრაზებიც მრავლად მიაყოლა. ეტყობოდა, მიკროფონი გამორთული ეგონა და ჩუმად, სხვებისთვის ვერგასაგონ, დაბალ ხმაზე ელაპარაკებოდა ნატოს ამხანაგს. არა, ვაჩნაძიანთ დიდებული და უმშვენიერესი ნატოსი კი არა. სხვა ნატოსი, შორიდან მოკეპლუცე, უსქესო, ნოტიო ნატოს ხაზით. მიკროფონი ჩართული სჭერია ხელში. გვიან მიხვდა. ფაკ-ფაკები და შეთ-შეთები, მოუბრუნებლად, უხვად დაიღვარა ქართულ (და, არა მარტო ქართულ) ეთერ-სივრცეში.

– ბედნიერი ვარ თქვენთან ყოფნით – ახლაც, ისევე, როგორც აეროპორტში, ქორის თვალებით შეკრა დარბაზ-მაყურებელ-მსმენელი, – თუ ამან, ცხენია

თუ ულაყი, ხვალ არ ითამაშა, მეც არ ვითამაშებ. ესაა თუა, ლელოს გამტანი!.. ნუ გეშინია, თუ შენს ქვეყანაში არ გათამაშებენ, სხვაგან წაგიყვანა! ჩვენ გათამაშებთ. უივაგოს ლელოს გამტანი არ დაიკარგება. მაგენს ნუ აქცევ ყურადღებას... – ხელი ისევ ჩრდილოელი მწვრთნელისკენ გააქნია. – შენ თუ არ ითამაშებ, არც მე ვითამაშებ. თქვენ? – ფრანგს მიაპყრო მოლურჯო თვალები. არაო, ფრანგმა თავი გააქნია. ამერიკელმა, რომ არ მოგატყუოთ, ენ-ი კი არ გაჭიმა. უნ-ი გაჭიმა სიტყვაში „თქვენ“. ძნელია, კი, ძნელი, ზუსტად გადმოიტანო ამერიკელის განაჭიმი ქართულში. ძალიან კი ცდილობენ მასპინძელი ქვეყნის შვილები. თითქოს, შინაურებს არც გაჭიმვა შეძლებოდეთ და არც გადაჭიმვა. ქართველის გადაჭიმულს რატომ არ ცნობენ ან რატომ არ მოსწონთ საქართველოში, ვერ გეტყვით. ჩემთვის ამოუხსნადი განტოლებაა.

არც მეო, გერმანელმა კითხვასაც არ დაუცადა.

მსოფლიოს გუნდის თითქმის ყველა წევრმა იგივე განაცხადა.

იყო კიდევ ერთი, წამეტანი მამაძალლი და გადამგდები – ფულის გულის-თვის საკუთარ დედას ჩაგიწვენდა ლოგინში; არც შეგეკითხებოდა, გინდოდა თუ არა დედამისი – აი, რით იყო განთქმული! და, არა მარტო თავის, გრძედის მიმართულებით გაგრძელებულ და განედით შევიწროებულ საკუთარ ქვეყანაში. მის ფარგლებს გარეთაც კარგად იყო ცნობილი სსენებული არამზადა. იმისა და რამდენიმე გროშების მათხოვრის გარდა, ყველამ იუკადრისა უიმკაცოდ თამაში.

– არ ითამაშებთ და ჩვენ მარტო ვითამაშებთ! – ღმერთკაცივით მოთამაშე კენტავრის მწვრთნელმა გახსნა კანალიზაციის ჭა. დაარტყა მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისა თუ ორივე სქესის ასო-სარცხვენელთა სახელებით დაყათიანად დახუნძლული „რეჩი“ თუ

„სპიჩ“-ი. – ვითამაშებთ და ორივე ყურ-საც დავაჭროთ მასპინძლებს.

– კაი ჩიტისაც დაიჭერთ! – ეს რო-მელმა წამოიძახა, არ ჩანდა. ვერ და-იჭირეს კადრში ოპერატორებმა, – ეს შერქინებაა პატიოსანი. წუ დაგავიწ-ყდებათ! თავისი წესები და კანონები გააჩნია. ვინც თამაშის წესებს არ დაე-მორჩილება, იმას ურჩევნია ბარგი ჩაა-ლაგოს... – კიდევ უნდოდა გაგრძელება, მაგრამ, დარბაზის ჰაერი უცნაურმა ხმამ შეარხია. ვერავინ გაარჩია. ვერც ცქვიტმა მთარგმნელებმა გაარჩიეს, სა-იდან მოდიოდა ან რას ამბობდა.

– ურდო, მე რომ... რა... დავუტო-ვე... ცხენით... ტრამალები... ოქრო... ოი, ურდო... სადა? ... ქართველ... ... – ჩინური და მონღოლური ენე-ბის სპეციალისტებს სახეები დაეძაბათ. ხუმრობს ვიღაცაო, იფიქრეს. ერთმა-ნეთსაც გადაულაპარაკეს მაყურებლის-თვის არგამიზული ფრაზები.

აბა, ერთდროულად საკუთარი მოდ-გმისა და მისი გენებით ნამეტნავად გამდიდრებულ ჩრდილოურთა ალალი დედების მაგინებელი ჩინგისხანის წარ-მოდგენა შეეძლო ვინმეს?! მეტი არაა თქვენი მტერი!..

იმან რო ლელო გაგვიტანა... მტრი-სას!.. ისე გაგვწყვიტა წელში, მოგებაზე თამაშს ვინდა ჩიოდა, ფრეც სანატრე-ლი იყო და დიდი, დამღუპველი ანგარი-შით არწაგებაც.

– შერჩა მაინც რამე მოგებულს, ჩემი არ იყოს?!.

– ღმერთო მაღალო, წუ გადამრევ!.. ამ დაფეხვილს ალაპარაკებ მართლა? თუ, მე გადაგყავარ ჭკუიდან? – ეგო-ნა ვფიქრობო, სინამდვილეში კი, ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, უფრო ბოდავდა, ფარსულის თარჯიმანი.

– კაი ლელო გაიტანა, ჩემი არ იყოს. კაიხელა ფართობები მიითალა. რად გინდა მერე?! რა შერჩა? მაგის სო-ფელში რომ მიხვიდე და შემხვედრი მოძებნო, კაი თვალი უნდა გქონდეს.

თუ გაგიმართლა, მოძებნი. რამე რომ ჰკითხო, ვერ გიპასუხებს. გეტყვის, არ ვიცი, გადავირბენ აგერ მეზობელთან და ვკითხავო. გაიქცევა. გაიქცევა, კი. დაუზარელი ხალხია. მარა, რამდენი კილომეტრი უნდა ირბინოს იცი? რამ-დენიმე კაცილა ცხოვრობს, თუ მაგათ ცხოვრებას ცხოვრება ჰქვია, უბადრუკ ქვეყანაში. ესენი კი, მაინც რო ჯახი-რობენ?! ჩინგიზამ კი არა, მეც კი ვერ დავაკელი ვერაფერი... ვახმე, იმ ქურ-თების ყოფა რო ვატირე! ოხე... იმ ქურ-თების! თვარა, შეიძლება, მომესნაგვა კიდეც ესენი...

– მეტი არაა ჩემი მტერი, შე დაფეხ-ვილი!.. – ბოლვას განაგრძობდა ფარ-სულის თარჯიმანი.

– მეგობრებო, გადაცემაში რეკლა-მის დროა! – ივაუკაცა წამყვანმა. არა, არა!.. წესით, ვერ უნდა შელეოდა უფ-როსი. სად ნახავდა ამისთანა კარგი და მშვენიერი წამყვანის შემცვლელს?!

გადაცემა დამთავრდა ძალიან სა-სიამოვნოდ. ხუმრობა უფრო მეტი იყო მეორე ნაწილში, ვიდრე მოსალოდნელ შერკინებაზე საუბარი.



გათენდა შერკინების დღე. შეუძლე-ბელია აღწერო ყველაფერი, რაც ქა-ლაქში, ქვეყანაში, ქვეყანაზე ხდებოდა. აღწერა კი შეეძლო რამდენიმე ადამი-ანს, მარა, მოხსელთებ სადმე?!. შერკი-ნების ორივე კედაროს არიან განაწი-ლებულები. სადა სცალიათ ჩემს და-სახმარებლად?! ერთმა, ცხენი რომ ვერ უვარგოდა, მაგრამ ჯაგლაგი თვისი, ერთი ქალის გარდა, ყველაფერს ერჩია ქვეყანაზე. დაგეხმარებიო, შემშირდა. შეასრულა დაპირება. კი, კაი ლელო გაგვიტანა.

სხვა კაი კაციც – რა გამოლევს ამ დალოცვილ ქვეყანაზე, – შემპირდა, მოგეხმარებიო. დაინყო კიდეც, მარა, თვისებურად გააგრძელა. ხომ გითხა-რით ერთხელ, ჯინიანია-მეთქი?! ისე

შეუბრალებლად მოაკვლევინა ესმე-
რალდა ნაციონალების ჯიბის სასამარ-
თლოს, ნერვიც კი არ შესტოკებია...
კვაზიმოდოც შესწირა ალალ და ლამაზ
სიყვარულს, სიცოცხლეში ცალმხრივს,
სიკვდილის მერე კი, ორმხრივსა და მა-
რადიულს. შემპირდა ესეც დახმარებას.
დამეხმარა. გულისშემძვრელ-უარყო-
ფითად დამეხმარა. გაგვიტანა ლელო,
მსოფლიოს ნაკრებს მოუმატა ანგარიშ-
ში. აკლდა, ვითომ?!

გამოგვპარვია დაწყება. ოჰ, ეს ქარ-
თული ზნე!.. დაგვიგვინია. რა გასაკ-
ვირი ესაა, ჩვენში რომ დარჩეს?!

ერთი უსახელო გმირი ვიცი, საკუთარ
ქორწილში დააგვიანა. რამდენიმე საათით
დააგვიანა. მეჯვარეს იაპონურ ჯოკერს
ეთამაშებოდა. ამიტომ დააგვიანა.

დაგვიანებით მეჯვარემაც დააგვია-
ნა. მანაც საკუთარ ქორწილში დააგვია-
ნა (ნამოიკნავლებს-ხოლმე, შიგადაშიგ,
ქვეყანა ხომ არ დავანაგვიანე, ქორ-
წილში რო დავაგვიანეო...). იაპონური
ჯოკერის გამო არ დაუგვიანებია. მეჯ-
ვარეები ვერ მოვიდნენ დროზე თბილის
ქალაქიდან. არა, მას არ ხლებიათ სანა-
დიროდ. მან მაშინ ბრწყინვალე ლელო
გაიტანა. ხოხობიც ჩამოაგდო და ბარე
ორს თვალიც მოსთხარა, იმნაირი ბა-
დახში ჩასვა ბაჯაღლო ბეჭედში. რამ-
დენმა დაგვამხო თავზე ცა, რათა ხოხ-
ბისდროინდელი ბადახში ჩაეგდო ხელში
ბეჭდიანად თუ უბეჭდოდ. დაგვინგრიეს
ლელოებით მოედანი...

მსოფლიოს ნაკრებში ყრუ შევიდა
ერთი... ძლიერი ძალიან. ვერ წარ-
თმევ... შიგ ცენტრში დაგვისვა აღჩუ...
ბადახში და კიდევ მრავალ თვალს,
ძვირფასს, დაეპატრონა, ეს ყოვლად
ყრუ! გადაგვითელა დაცვა.

- კაი ხანი დასჭირდება მასპინძელ-
თა გუნდს, თამაშში გარდატეხა რომ
შეიტანოს - თავისი განუმეორებელი
ბარიტონით, გულგატეხილი გადმოს-
ცემდა, საკუთარ გუნდზე ყველა ნერ-
ვით შეყვარებული მოლაპარაკე იგი.

დინჯსიყვარულიანი.

მეორემ რა ომახი მისცა?! არა, „ლი-
კუეტ თბილისი, სტალიცა გრუზიი“-ო,
ამას მერე იტყვის. მანამ კი...

- დიახ მეგობრებო, გამოჩნდა, რო-
გორც იქნა!.. სარბენ ბილიკზე მოთელ-
ვას გადის დავით... დიახ, დიახ, მეგობ-
რებო, მაღალი, ახოვანი. ჯერ თექვსმე-
ტი წლისაა. მხოლოდ თექვსმეტის...

შემოვიდა...

ბოროტი ყრუალას დანატოვრებს კი
შეაურულლათ, მაგრამ არც იხტი გაიტე-
ხეს და არც ბარი.

ორივე თავზე გადაამტვრია ამან, მა-
ლალმა, ძალიანმა, ჭკვიანურ-დაუნდო-
ბელმა. თავზე გადაამტვრია და ნარჩე-
ნები, ლელოს ადგილი სადღა იყო, სა-
თითაოდ გაუყარა ერთ ადგილას იარა-
ღიანებს, წინააღმდეგობის გამწევებს.

იმ ლელომ, გატანილმა კი არა, ურ-
ჯუთათვის გათხრილმა, მრავალი მო-
იყვანა აღტაცებაში. მრავალს დიდი
ხნით გაუნელა მოუსვენარი სურვილ-
წყურვილი ჩვენს ეზოში ირიბად გად-
მოხედვისა.

საკუთარიც შემოელანუნა ხელში
რამდენიმე. არ ინდობდა უსამართლოს.
ერთი სარზე ჩამოაცვა. ისე ჩამოაცვა,
რომ პირიდანაც გვარიანზე ჰქონდა გა-
მოჩირილი.

საკუთარს დაპტართა საქმე ესე. უც-
ხოსა და მოძალადეს დაინდობდა?!

და, დაიწყო... და მიჰყვა...

- დიახ მეგობრებო, ჩვენმა ოქროს
ბიჭებმა მდგომარეობაც გამოასწორეს
და ლელოებიც მრავლად გაუტანეს
მოწინააღმდეგეს. ისეთები, თვით მათ
აღტაცებასაც რომ იწვევს! - დინჯ-აღ-
ფრთოვანებულად თხრობდა ბარიტონი.

- დადგა დრო, მეგობრებო, ამ გარდა-
ტეხით უნდა ვისარგებლოთ. და, არის!..
არის!.. არის!.. გმადლობ ლმერთო! რო-
მელმან შექმნა სამყარო!.. ვმადლიდეთ
მეგობრებო! რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა!..

- რად გინდა მერე?!. - განაგრძობ-

და, ჩართულ მიკროფონში. დაჰვიწყებია ისევ გამორთვა. – ვინ გაგახარებს ღმერთკაცო?!. ვინ გაპატიებს!... ან მაგ ლელოს ვინ გაპატიებს ან კიდევ გაუმხელელს, დიიდს, ყველაზე მაღალს დედამინაზედ?!.. გადაგუარგავენ... ხატიც საძებარი გაგვიხდება შენი. იერუსალიმი რომ არა, არც გვეცოდინებოდა...

– დიახ, მეგობრებო, დავწინაურდით. კიდევ გოლი, კიდევ გოლი!.. კიდევ ლელო!.. ისევ ლელო!.. თამარი და ვარია... აი, ისეთი გაულანუნეს, შენი მოწინებული!.. მაგრამ მაინც, მეგობრებო, სიფრთხილეა საჭირო. ელჩი, მაინც ელჩია! რაც არ უნდა უხიაგი თქვას, მაინც ელჩია!

და, როგორც ყოველთვის, მიეცნენ მასპინძლები ლხინსა და ქეიფს. გამოჩნდა ცხენზე ამხედრებული სასჯელი ქართველთა თავქარიანობისა და ფეხებზემკიდიაობისა. პირველი, დასაზვერი შემოტევა მოიგერიეს ქართველებმა. დიდ ზეიმად აქციეს. ისევ თრობასა და ძილს მისცეს თავი... მსხვილ სასმისებს უმატეს ამ სამკუდრო-სასიცოცხლო შერკინებაში.

ჰო!.. გუნებავ ფშუტევ ქართველთა!..

ზვავივით მოვარდა ცხენზე გაზრდი-

ლი ხროვა და გადაუარ-გადმოუარა კოლხთა დაცვას. ლელო გაჰქონდათ, გამოჰქონდათ და ისევ გაჰქონდათ... მერე ჩრდილოეთისკენ ჰქნეს პირი. არ მოეწონათ იქაურ მაცხოვრებელთა იერი და ცხვირ-პირის ფორმა. უნდა გავულამაზოთო. ჰოდა, გაულამაზეს, თავიანთი შეხედულებისამებრ. გადაუიმათებურეს... კიდევ კარგი, ბოლომ-დე ვერ გავიდნენო, ამბობენ მომსწრე კაცები. ყველაფერს გადააჯიშებდნენო, რომ დასცლოდათ...

ერთხელ მორლვეულ ღობეს თუ არ აღადგენ, ძალლი და ღორი შემოგიცვივდება ეზოში... რამდენი გოლი გავუშვით, რამდენი ლელო გაგვიტანეს?!

– დასანანია, მეგობრებო, დასანანია. დაცვა, თითქმის მთლიანად, მოირღვა... – მეორე, ყოველთვის იმედიანი და აღტაცებული მთხრობელი შერკინების პერიპეტიებისა, ეტყობოდა, თვითონ იყო ცუდ დღეში. მაინც ცდილობდა მაყურებელში იმედი დაესახა. კი, ცდილობდა. ძალიან ცდილობდა. არც მოწინააღმდეგის აღტაცების მომგვრელი გარღვევები რჩებოდა უყურადღებოდ. – დიახ, ძვირფასო მეგობრებო, მსოფლიო გუნდშიც გამოჩნდა კაშკაშა ვარსკვლავი, მეორეც მოჰყვა. დასანა-



ნია, ჩვენს გუნდში რომ არ არიან. ორი-ვემ ბრწყინვალე ლელო გაიტანა. დიახ, ერთ დროს მსოფლიოს მაზანზარებელი რომის შთამომავალთა შორის, გამოჩნდა, ტოსკანურად გაზრდილი ბიჭი, ენა აჩუქა თავის ქვეყანას. ლელო გაიტანა ისეთი, ჩვენადაც რომ გინდა ჩათვალო. მოუწონეს, ადრე დიდი ლელოს გამტანებმაც კი მოუწონეს მეგობრებო. თვით დიდმა ბრმამ, ყველაზე თვალხილულმა, დიდი ოდისეის ლელოს მფლობელმა, ალფროთოვანება და აღტაცება ვერ დამალა. დიახ, თვით ილიადას მოგზაურმა, მშვენიერი ელენე რომ ხან ერთთან აგორავა სარეცელზე და ხან სხვასთან... და ისე ლამაზად, თვით ჰერას შეშურდებოდა. თვით ყველაზე კალთამადლიან ეჭვიან მზაკვარს... დაუნდობელს და ყოვლად გათახსირებულს, დიაცს – საკუთარ ძმასთან რომ გაიყო შავი სარეცელი....

დიახ შეშვენით დიდებს, მაღლებს, ღმერთკაცებს ერთმანეთის შექება და ერთმანეთით აღტაცება... და, მეორე, ამნაირი კლასის, რომელმან შექმნა სამყაროსა და იმ ტოსკანურის გამაღმერთებლის დარი, ნისლიანი ალბიონიდან ჩაერთო შეტევაში და ბრწყინვალე ლელო გაიტანა. „ო, შეიცადეთ, ვიდრემდის წახვალთ, მეც მათქმევინეთ ორი-ოდ სიტყვა“-ო. ისეთი ლელო გაიტანა, ჩვენსას, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენსას!..

– ამასობაში ქართულმა დაცვამ, ოდნავ წელი წამოიდგა, ძვირფასო თანამემამულენო, – აგრძელებს დინჯა-ალფროთოვანებული და ხანდახან სასარგებლოდ მატყუარა.– გამოჩნდნენ ახალი მოპურთალები. ამას ვერ გაუგია, საით წაიღოს ლელობურთი?!. – ისევ დაავინყდა მიკროფონის გამორთვა. – რა უთავბოლოდ მიდი-მოდის?! ჯერ ლექსს წაეპოტინა. „რომელმან შექმნა სამყაროს“ ეჯიბრება... გადაირევა კაცი პირდაპირ!.. – აზრადაც არ მოსდის, მიკროფონი შეამოწმოს. არცა სცალია.

გული უკვდება ამ საცოდაობის შემხედვარეს.

– კი, მესმის, დედა გინამა იმ ცოფიანმა, მარა, თუ შერკინების მეფობაზე სდებ თავს, მოიქეცი მეფურად!.. თუ არა და, დაანებე, ბიძიკო, თავი მაგ საქმეს და წერე შენთვის... სად გარბოდი, რომ გარბოდი? შევარცხვინე უმადურობაი ქართველთა და შენი კიდევა განსაკუთრებით. სამჯერ დაგაბრუნა კაცმა. სამჯერ დაგსვა წინამძღვრად. შენ კი, რა ჰერნი? საკუთარ კარში გაიტანე ლელო და გაახარე მტერი. ვის უგდებდი მაინც ყურს, ჰა? – არა, არა. ამას მიკროფონიც და მაყურებელიც დაავინყდა. იქაა გადავარდნილი... ბაზალეთთან...

– ჰაი დედასა!.. შეცდა, შეცდა მეგობრებო, მძიმე ლელოს გამტანი კაცი. საკუთარი შვილი დატოვა მძევლად გველის სოროში. იცოდა, მის მოკვეთილ თავს გამოუგზავნიდა ქართველი ქალის ნაშობის ნაშობი... არჯავის ნაშობი... უკულმა ნაშობი!.. გაიტანა ლელო. მძიმე, უსაშველოდ მძიმე ფასიანი ლელო... ეს გაანინამძღლოლა ისევ. ჰაი დედასა!.. რატომ თვითონ არ აიღო შეტევის სადაცები ხელთ?!.. არ მაპატიებსო ქართველობა. როგორ, წინამძღლოლთა წინაპარი, პირველი, ის, ვინც პირველ ქართულ შეტევას ჩაუდგა სათავეში, ეგეთი ან დაახლოებით ეგეთი არ იყო?!.. მიიღეს კი არა, აღმერთებენ ამდენი ხნის განმავლობაში... დრო კი იყო მწვრთნელის გამოცვლისა. რა წააგეს ფრანციელებმა, ყოველ ხუთ წუთში რომ ცვლილენ მწვრთნელებს?.. ან, ანგლიელებმა? ან სხვებმა?.. რატომ მაინც დამაინც ჩვენ მივაცივდით ერთს?.. არ ეყო გამბედაობა. ბოლომდე არ ეყო. დასანანია. ამასაც უცხოობაში ამოხდება სული... თავის გუნდზე შეყვარებული, საკუთარი სისხლისა და ხორცის, შვილის შემწირავი სული...

– მსოფლიოს მორკინალთა გუნდს გაუჭირდა, მეგობრებო, – ისევ ამან,

მეორემ, იალოა პირველის გამორთულ-ჰერონებული ჩართული მიკროფონი. აი-ლო თხრობის სადავები ხელთ. აილო, თორემ, კიდევ უფრო მწარეებს მოვის-მენდით იმისგან. ისეთ მწარეებს და მართლებს, რომ „აღმართეს ცოცხალი კედელიო, ამ მკვდრებმა“, მონაგონი იქნებოდა.

- ყველა რგოლი აერიათ ერთ დროს დაწყობილ მანქანაში. ლომგულები არ აკლიათ, მაგრამ მწყობრად ველარ იბ-რძვიან მასაინძელთა წინააღმდეგ. აი, ახლა უნდა შეტევა და კარგი იერიში!.. მწიფდება ლელოც, მაგრამ რომ არავინ ჩანს წამომწყები. გამოჩნდა. გამოჩნდა!.. „რა დროს ლექსიაო“ გამოჩნდა. მცირე ამალით ბრნყინვალე, დიდხანს დასამახსოვრებელი ლელო გაიტანა!.. – ძელებური რიხი დაუბრუნდა მთხო-ბელს.

- მაგრამ, „ხანგრძლივ ეს სოფე-ლი...“ მერე ხომ იცით, მეგობრებო, როგორ გრძელდება?.. გამოჩნდა მო-წინააღმდეგის რიგებში ის, ჩიყვიანი ცვედანი... მაინც, ვინ ჩაუთესლა გონე-ბაში, ჩვენი აპანოები ჰკურნავსო სიც-ვედანეს?! არა, არა, ეგ მხოლოდ მაგი-ტომ არ იქნება მოსული... არ გვაპატია, მზეს რომ ჩრდილოეთიდან დავუპირეთ ამოყვნა... ლელოს გატანას ვინ ჩივის, გაგვინადგურა დაცვა, მეგობრებო... თბილისიდან კასპიამდე წითელი დიოდა დედომდინარე... – ამასაც დაავიწყდა მიკროფონის გამორთვა. – ისინი კიდევ, სად გაიპარნენ? ისინი, ღორის ნაშობი, ისინი?... ... – იძულებული ვარ მრავალ-წერტილით შემოვიფარგლო. სარეკლა-მო დორც აღარაა, გაუჭირდა გადაცე-მის რეჟისორს. რას იზამს?! ვერაფერს. არ არიან ჩვეულნი ამისგან ასეთ მკვახე და მწარედ გამონათქვამებს. ვერც ხმა მიაწვდინეს ექსტაზში შესულს, მიკრო-ფონი მაინც გამორთეო. – ერთი ღორის ნაშობი არ იყო გასული ჩვენი დაცვი-დან, მეორე ღორის ნაშობმა სულ გაგ-ვიუქმა დაცვის ხაზიც, შუაცა და თავ-

დასხმაც. ყველა ჩვენ შეგვდგა, მეგობ-რებო! წიხლებით შეგვდგა!.. ევროპა კიდევა, ეს მარადიული ცვედანი... და მშიშარა... ფეხევეშ გაეგო, ქვედას ქვე-მოთ და ზედასაც ქვემოთ... ვის სცა-ლია ჩვენთვის, ვის დავკარგვივართ, ვის ვეძებთ?!. მცირე-მცირე ლელოე-ბილა გაგვაქვს. ისეთი, „თლათ კვტა-რია“, რომ არ იფიქრონ. მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად ეცოდები და ერთნაირადვე სძულხარ... ერთნაირად ეცოდები და ერთნაირად ეზიზლები!.. დაგვენგრა, მეგობრებო, გუნდი. მისი აჩრდილილაა. გამოჩნდა ერთი, ახლად ალერებულ ულვაშებიანი. ერთი ტყორ-ცნა მოასწრო. გავყიდეთ. მივყიდეთ ჩრდილოელებს. ბერძნებმა გვირჩიეს, ნუ გასხვისებთ, გასხვისებას ჯობია, თქვენვე ამოაძროთო სული. სიბორო-ტეს გიზამთო მრავალს. არ დავუჯე-რეთ. აგვიხდა წყევლა თუ წინასწარ-მეტყველება ელადელთა. დაგვაქცია ჩვენმა, ჩვენს გულში გაზრდილმა წი-წილამ გველისა. თავისნაირი გველის-წიწილები წაიყვანა თავისთან. ლელოს გატანას ვინ ჩივის, რაც იმ ცვედანს გა-დაურჩა, ერთიანად მოგვინადგურა. კი, სხვებსაც ბევრი და საზარელი თავისი უზიაგობით, ლელოები გაუტანა, მაგ-რამ ჩვენ რა შელავათი?! თავისნაირი გველის წიწილები დაუტოვა ულვაშამ მონღლოლთ შთამომავალთ ბნელი საქმე-ების გასაგრძელებლად. გამოუწინდნენ განმგრძელებლები... მიჰყავთ თავიან-თი გუნდი წინ, ბნელეთისაკენ. ბნელე-თის სამეფოსკენ. მსოფლიოს ნაკრებმა გააძევა თავიანთი რიგებიდან კაცური შერკინების ვერ გამგებნი... ჩვენ რა შელავათი?! თავიანთსას არ ინდობენ... – მიწას ჩასტიროდა თუ ცას შეჰდალა-დებდა ყოველთვის იმედიანი და ომა-ხიანი აღმწერელი შერკინებისა, ძნელი გასაგები იყო. აქ, მეორემ, დინჯმოუ-ბარმა – მოყვრისას... იმას ხმა და ტემ-ბრი ჰქონდა!.. – იმარჯვა. გადაირთო მიკროფონი. ლელოს ვაჟკაცურად გამ-

ტანთ, მწარედ, მაგრამ ვაუკაცურადვე მიმღებთ, საკუთარ უხეირობაში სხვის არ დამადანაშაულებელთ, ყველას მიე-ფერ-მოეფერა... და, დინჯადვე გვახარა

– კიდევ ერთი ლელო გავიტანეთ, მეგობრებო!.. დიდი ხნის ნანატრი ლელო... ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს ლელო!.. პაი დედასა, სადა ხართ თქვენ, დიდო კაცებო?.. ასწლეულის მიწურულს, დიდი და საჭირო ლელო!.. ასწლეულის დასაწყისს საზარი საქმე ვქენით, ფურთხის ლირსი საქმე – როგორი ლელოს გამტანი მოვჰკალით ქართველებმა?!.. გამიზნულად მოვჰკალით. საამებლად მანქურთთა და მზაკვართა. ჩვენ, გონებადაბნელებულმა ნაბიჭვრისშვილებმა მოვკალით. დიდი იდეის მატარებელი გული იგი გავნგმირეთ!.. ისიც მთელი თავისი დასით აქაა ძმებო და დებო!.. ყველა აქაა, ვინც საფუძველი ჩაუყარა დღევანდელ ლეგენდარულ ლელოს!.. „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“-ს ლელოს! ათასწლეული მთავრდება... მეორე ათასწლეული! იგი დიდთა საქმეთა კეთებით დავიწყეთ! დიდი საქმით ვამთავრებთ!.. წინ მესამე ათასწლეულია!.. უფრო სწორედ, მეოთხე ათასწლეული ჩვენი, საკუთრი-

ვი კალენდრით. კიდევ მეტი! კიდევ დიდი!.. კიდევ!.. კიდევ!..

– ლიკუეტ ტბილის!.. ლიკუეტ სტალიცა გრუზიი!.. – ჩამოართვა სიტყვა მარად მხენემ და დიდი საქმის დიდებულად მახარობელმა. ეგება იმის შიშითაც, იმას, მეორეს, დინჯსა და ყოვლად ქართველს, თავისებური პირდაპირობით და მოურიდებლობით ქართულითვე, ისეთივე ძლიერ მწარენარევი არ ეთქვა, რაც ხშირად მოგვისმენია. ცოტა ხნით ნაართვა მიკროფონი, მაგრამ მალევე გადაურთო. იცოდა რასაც იტყოდა დინჯსიყვარულიანი. ერთ გუთანში იყვნენ შებმულნი. იცოდა. იცნობდა.

– კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შესჭამონ მტრისანი!.. – გრგვინავდა... ბრდლვინავდა... ქუხდა... – კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამასწყდებიან, ჯავრი შაშჭამონ მტრისანი!...

უნდა დაიზარდონ, დიდი შერკინება გრძელდება...

კიდევაც დაიზრდებიან!
დაიზრდებიან!..

დებიუტი

პაპუნა ფირცხალაიშვილი



ნახევრად ეგოისტური

ოთახს აყუჩებს მუქი ფარდები,
ღამით წვიმს, ხოლო აშკარა დღისით
ხდება, რომ მაინც იმას ბარდები,
ვინც ვერასოდეს იქნება ღირსი
შენი მკრთალი და სუსტი ხელების,
მკერდის, რომელიც სიცოცხლის ავზებს
ძალიან ჰავავს და არ მემღერება
და ყრუ მუსიკა ჩემს სხეულს ავსებს...
და ემსგავსება სხეულს ზამთარი
და ზამთარს ცივა ღამით და ძილში
და უშენობით ავდრის ამტანი
და უშენობის ნამდვილი ღირსი –
ვიწყებ ქარივით სადღაც ხეტიალს,
ქარივით სულის გათბობა მინდა
და გამეტებით თავს სწირავს მინდორს,
ვისაც ამ ქარზე მძიმე ბედი აქვს.
ამინდებს ბავშვის თვალით ვიცოდებ
და ვუსმენ ჩემთვის უმს და უცნაურს
და რომ წვიმების ენა ვიცოდე,
ლექსად ვთარგმნიდი სრულყოფილ ხმაურს...
და მე და ქარი, ერთი სრულებით,
ვიბნევით ტყეში და იცის ქარმა,
რომ გეძებ, სადაც არ მეგულები,
რომ შენი ნახვის იმედი არ მაქვს.
და მაინც გეძებ...
და გთხოვ, შემოდი
ოთახში, როცა შენს ცოდვებს ამხელ
და გაქვს უფლება ერთხელ „ჩემოთი“
მომმართო, ერთხელ, შეეხო ამ ხელს,

მხოლოდ და მხოლოდ ფრთხილად, კანკალით.
ბოლო ლექსს, ანუ სულ პირველ ამბორს
გიგზავნი. გარეთ წვიმა და ქარი,
წვიმა და ქარი ყველაფერს ამბობს.

ანონიმური ცერილი ანა ვარშანიძეს, იგივე ცვიმოვილს

შენზე იციან სხვა გოგონებმა,
რომ არ არსებობ,
ხარ მომავლიდან, ხარ მოგონება
და ჩემ გარშემო

ტრიალებ, როგორც ზღვის ჰაერი და
მავსებ სიჩუმით,
წვიმა, რომელიც ცას გაერიდა,
თანაც ბიჭური...

და შემოდგომის მზით მიმოფენილს
გხვდება ზამთართან
თოვლი... არ გიყვარს... და წვიმოფილი
ხვდები, დამთავრდა

შენი სეზონი. ცასთან ფიფქები
დგებიან მგზავრის
მსგავსად... ვინ არის? – (შენ დაფიქრდები)
ლექსს რომ აგზავნის.

და ზღვის სიმლაშის ამ მარაგითაც
ვერსად მიხვალ ხვალ,
მე სხვა ბიჭი ვარ, სხვა ქალაქიდან
და შენ მიყვარხარ!..



მოვდივარ შენკენ, შენთან – ვერაფრით,
ჩვეული კადრი: მკრთალი ქუჩები,
ნოემბრის სუსხი მაქცევს ენაბლუდ.
გასულ ზაფხულში რასაც ვუჩენდი

სხეულის ნაწილს, იმის მეათედს
ვერ ვუჩენ ქალაქს, თუმცა ათივე
მაქვს, ქარი ყვითელ ფოთლებს მიათრევს
სადარბაზოში და იქ ატირებს.

მოვდივარ ასე შენკენ, შავებში,
მთვარე გამოჩნდა – ცა მშობიარობს,

ვერის დაღმართზე უკვე დავეშვი
და ვფიქრობ, ისევ ამოვიარო.

ვერ მოვიყვანე მზე იძულებით,
აქ გვირილები მსურდა მეფოთლა
და სიძულვილი რომ შემძლებოდა,
პირველი შენ ერთს შეგიძულებდი

და ამის შემდეგ უნარს ღვთაებრივს
კვლავ დავკარგავდი, რადგან მჩვევია
სხვა ერთგულება. გირჩევ, ჩაეფლო
ამ სიყვარულში და რაც ჩემია

გაჩვენებ... ყველა გრეხილს ვარსკვლავთა,
ცრემლები ცხელი ხელში მიყარე,
რომ არ მარჩენ და... ბოლოს არც მკლავ და...
სხვა ვეღარავინ ვერ შევიყვარე,

ვერც მოყვასი და მერე ვერც მტერი,
მჭირს სიყვარულის ყველა ფობია
და სიკვდილამდე მაინც ვეცდები,
შევაკვდე ასე – ძველს და ობიანს...

და სულელადაც მთვლიან ყველანი,
ამაზე წუწუნს აღარ მოვყები,
ქარი მიყინავს კანში მელანინს.
თოვს (ვერის აღმართს უკან მოვყები),

გზა იფიფქება... მაჯებს აციებს
და ვიწროვდება ქუჩის სიგანე.
ისევ ვკრავ პირჯვრის კომბინაციას
და სამ თითს შორის ვაქცევ სიგარეტს.



შენი ფერადი ქალაქი და
შენი ცხოვრება ფერადი.
თურმე რამდენი ძალა გინდა,
რამდენი ღვინო ხელადით,
რომ ამ სიყვარულს გაუძლო და
ცას მზე ახალი ახარო,
გული, რომელიც დაუძლურდა,
ერთ გაზაფხულის საღამოს
იქცეს ოთახის ყვავილად და
იქცეს ფანჯარად ოთახის,
ცხოვრება რომ არ დამილაგდა
ამ დარაბიდან ცოტა ხნით,

ჩანდეს სამოთხის ილუზიად,
არ გადაწიო ფარდები,
სიყვარული ხომ ვირუსია
და მალე დაგემართები.
ვეპოტინები, ეს წლებია,
ტალღებგადმოშლილ ქალაქთან
შენს თმებს და ამ ლექსს ესწრებიან
ფოთლები და თუ დალაგდა
კართან იქიდან ან აქედან,
გეტყვი, რომ მიყვარს (შევნატრი)
შენი ფერადი ქალაქი და
შენი ცხოვრება ფერადი.

დაბრუნება

უნდა დამთავრდეს, უნდა მორჩეს, უნდა წავიდე,
სადაც არავინ მელოდება, სადაც სახლია,
თხელი კედლებით, საკუთარ თავს სადაც დავიტევ,
სადაც ვიქნები ბედნიერი, სადაც წალვლიან
ფიქრებს არ მივცემ გასაქანს და სადაც ფიქრები
ტალღის ხმაურში იძირება. აღარ შემოაქვს
შიში ქარს, წვიმას – სიცელე და კარგად ვიქნები,
კარგად ვიქნები. არ იქნება, რაც გარშემოა...
უნდა წავიდე, უნდა მორჩეს, უნდა დამთავრდეს:
აწმყო, წარსული, ყველაფერი, რასაც მივტირი,
უნდა წავიდე, სანამ წასვლის ნებას დამრთავენ,
უნდა წავიდე, სანამ გული გასკდა კვირტივით.
უნდა წავიდე, სადაც მისვლა არის მოტივი,
უნდა წავიდე, სანამ წვიმს და სანამ ქარია,
უნდა წავიდე ლაჩარივით, ჩუმბად, ლოთივით,
უნდა წავიდე, სადაც სხვები აღარ არიან...
უნდა წავიდე, გავეცალო მტვრიან მიმიკებს,
უნდა წავიდე, სადაც ღამეს თეთრი ფერი აქვს,
სადაც არავინ დამხვდება და სადაც მიმიღებს
ჩემივე თავი, სადაც ცივი არის კერია.
უნდა წავიდე...

ჩემს სულს ორი სეული აქვს

ზოგს მონობა შეუძლია –
მათ თავს მე ვერ ვადრი,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს
საქართველოს ჩათვლით.

მაგ თმებივით ხვეულია
გზები – მოვალ როდის?!

ჩემს სულს ორი სხეული აქვს,
შევაერთოთ, მოდი.
გული?! – გული შვეულია,
ნუ გასკდებით გულზე,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს:
ოჯახი და ფუძე.
ყველას გზები ეულია,
მორჩა, ნუღარ ვდავობთ,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს:
ჰერეთი და ტაო.

მომავალი წყეულია,
მე წარსულში ვრჩები,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს,
თან თრივე ჩემი.
ლექსებს გვერდსაც შეუვლიან
დღეს მამულზე რისხვით,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს:
პოეზია – სისხლი.
ფსკერზე მიაქვს წყეულ ნიავს
ტაშია თუ ვაშა,
ჩემს სულს ორი სხეული აქვს:
ტერენტი და ვაჟა.
სხვას მონობა შეუძლია
ერთია და... ჩადრის?!

ჩემს სულს ორი სხეული აქვს
საქართველოს ჩათვლით.



თამაზ ხარაიშვილი

ოცდამეექვსე ელემენტი

(ციკლიდან „ჩვენი თავგადასავალი“)

გადაჭარბებული სიჩქარით მივქროდი. ვიღაცას მივდევდი ან ვიღაც მომდევდა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დერეფინის ბოლოსკენ სიჩქარეს მოვუკელი, რადგან წინ მკვეთრი მოსახვევი მელოდა, შემდეგ კი, ორიოდ ნაბიჯზე, სკოლის შემოსასვლელი, ამ შემთხვევაში – გასასვლელი, უფრო იქით კი დიდი ვრცელი არე, სკოლის ეზო, სადაც სიჩქარე აღარ კონტროლდებოდა, მაგრამ განსაცდელი, თურმე, სწორედ მოსახვევში იყო ჩასაფრებული. სრბოლა შევანელე თუ არა, ვიღაცის მძლავრმა ხელმა დამითრია სასკოლო კიტელის საყელოთი, ოდნავ წამომწია, ისე რომ ფეხსაცმლის ჭვინტებსლა ვუწვდენდი იატაკს და სადღაც წამაჩანჩალა. ეს „სადღაც“ უცებვე ვიცანი – ზედ გასასვლელთან მდებარე ქიმიის კაბინეტი იყო, ხელიც შევიცანი, თუმცა ლოგიკური ჯაჭვის ძალით ადრევე უნდა მეგუმანა – იგი სამსონს, ჩვენს ქიმიის მასწავლებელს ეკუთვნოდა, ძლიერი და დაუნდობელი, ათას ხელში გამორჩეული... კისერმოლრეცით მაინც ავიხედე თავდამსხმელისაკენ და დასჯის მოლოდინში გავინებე, სრულიადაც მოვეშვი, გონივრული ეჭვით, ცემა გარდაუვლად მემუქრებოდა – სიჩქარის გადაჭარბება მკაცრად ისჯებოდა. იმის გაფიქრებაც მოვასწარი, რომ, როგორც ჩანდა, სამსონი განსაკუთრებული ღონისძიებების გატარებას აპირებდა და

საჯაროდ დასჯას ქიმიის კაბინეტი არჩია, მყუდრო და მოფარებული. ერთხელ კიდევ ავხედე შიშნეულად, რათა დამედგინა მისი მრისხანების ხარისხი და, პოი, საოცრება!! მკაცრზე მკაცრი პედაგოგი იღიმოდა, უფრო სწორად, შემომციცინებდა, სწრაფად გამიარა ზაფრამ, ხოლო გაოც-გაკვირვების ბურუსიდან სამსონის უჩვეულოდ ტკბილმოუბარმა და დათაფლულმა ხმამ გამომიყვანა. დაახლოებით ასეთი რამ ესმა ჩემს შიშისაგან დაცემეტილ მდგომარეობაში დარჩენილ ყურებს:

– სათხოვარი მაქს – ბიძაშენთან, ბატონ ოსიკოსთან უნდა მიმოციქულო, ლექსი დამიწეროს დიმიტრი ივანეს ეს მენდელევზე, 100 წელი ხდება პერიოდული ტაბულის აღმოჩენიდან და მოსწავლეთა ძალებით სამეცნიერო კონფერენციას ვუძღვნით მხატვრული განყოფილებით, ოსიკოს ლექსი კი ნამდვილად დაამშვენებს ამ ამბავს...

ამ ინფორმაციით მემცნო, რომ გადარჩენილი ვიყავი, მომენტალურად სხვა ვერაფერი გავაცნობიერე.

– ეს წერილიც გადაეცი მეტი დამაჯერებლობისათვის, – დაამატა სამსონმა და მივხვდი, რომ ბოლომდე არ ენდობოდა ჩემს გულისხმიერებას.

გადმომცა კონვერტი და მსუბუქად წამკრა ხელი:

– წადი ახლა, რამდენიც გინდა ირბინე და იჯირითე, მაგრამ წერილი არ

დაკარგო ან კედელს არ შეასკდე.

გამოვედი ქიმიის კაბინეტიდან, მივ-დიოდი და არ მჯეროდა, რომ ნაცემი არ ვიყავი. ეს უიშვიათესი შემთხვევა გახლდათ, როცა სამსონმა ზესწრაფად მორბენალი მოწაფე არ დასაჯა. მისი სიმკაცრის და ძლიერი ხელის, ამას-თან სუსტი ნერვიული სისტემის ამბავი საქვეყნოდ იყო ცნობილი. მძიმე ცხოვ-რება ჰქონდა გამოვლილი – სკოლიდან ოში, ხოლო ბოლოს კი – ტყვეობაში მოხვდა. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარ-ზე მყოფი ფაშისტებმა ბომბის აფეთ-ქების შემდეგ მიწაში დამარხული იპოვეს თურმე, საკონცენტრაციო პანაკში გაამწესეს და იქ ჯოჯოხეთის ყველა შრე გაატარეს, ცოცხალი კი გამოვიდა, მაგრამ ჯანმრთელობაშელაბული. ნაომარ და მაიდანეკნაწვენევ მას-ნავლებელს, მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრებიდან გვარიანი დრო იყო გასული, გამოვლილი განსაცდე-ლის კვალი ბოლომდე გამოჰყოლოდა. ეს ყველამ იცოდა, ამდენად, ყველა პა-ტივითა და რიდით ეპყრობოდა. ბევრს საკუთარი თვალით ენახა, უფრო მეტს კი გადმოცემით სმენოდა, რომ სამსონ მასწავლებელს ზურგის არეში გერმანე-ლების ჩერების ძირის არა ერთი და ორი ნაკვალევი ემწინია. ადვილი ასახსნელია, მისი სიბრაზე თუ რა იოლად გადადი-ოდა მძვინვარებაში. ეს მძვინვარება კი საცოდავ, მაგრამ უწესო მოსწავლე-ებს ატყდებოდა თავს. დამნაშავეებს ან დანაშაულში ეჭვმიტანილებს ისეთი გამეტებით სცემდა, კაცი იფიქრებდა, გერმანელების ჯავრს მათზე იყრისო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ცემა-ტყების ობიექტი მთლად პიტლერთან თუ არა, ვერმახტის წვრილფეხობას-თან მაინც იგივედებოდა მის თვალში. ერთი ორჯერ მეც ვყავდი გასტუმრე-ბული მსუბუქ ნოკდაუნში და ამჯერად ვხარობდი, ბედნიერი და გადარჩენილი სახლისაკენ მივაბიჯებდი ჯიბეში ჩერები მხსნელი უსტარით.

ბიძაჩემი ოსიკო, ტრადიციისამებრ, თავის საზაფხულო რეზიდენციაში, წყავის ჩეროში მოწყობილ უკარფან-ჯრო და უკედლებო საველე „კაბი-ნეტში“ იჯდა. იგი, წესისამებრ, სადაგ დღეებში აქ მასპინძლობდა მუზის და სხვა მიმსვლელ-მომსვლელს. როგორც უმეტეს შემთხვევაში, ამჯერადაც პო-ლიციის გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ ახალ ნომერს კითხულობდა. შსს ვე-ტერანი იყო, ყოფილი გამომძიებელი. მისი გამოძიებული საქმეები ნაკლებად იყო ცნობილი, მაგრამ დუნიაზე სახე-ლი ლექსთა წერით დაეგდო. მისი შე-მოქმედებითი წვის ნიმუშები უხვად იბეჭდებოდა ჩვენი და ახლომდებარე რაიონების გაზეთებში, თან პირველ გვერდზე, ე. წ. მოწინავე სტატიების ადგილზე, რადგან ჰეროიკულ-პოლი-ტიკური პათოსით გამოირჩეოდნენ და თემატურად 1 და 9 მაისს, 7 ნოემბერს, 5 დეკემბერს, 22 აპრილს, 8 მარტს, ანუ იდეოლოგიურად დატვირთულ თარი-ღებს უკავშირდებოდნენ. ამ საზეიმო დღეებში ოსიკოს ნიჭიერება მომეტებუ-ლად ყვაოდა და იფურჩქნებოდა... და კიდევ აურაცხელი მიძლვნები, ცნობი-ლი თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანე-ბისადმი აღვლენილი, დაბადების დღის მისასალმებლები და მიცვალებულთა გასაცილებელი ლექსები. არცთუ იშვი-ათად ლექსის გმირები (ცოცხლები) და გარდაცვლილ პროტაგონისტთა შინაუ-რები მოსაკითხესაც კი აახლებდნენ. ეს გახლდათ ერთგვარი ნატურით გაწეუ-ლი შრომისათვეს. მეტწილად, შინაური ფრინველები: ახალწამოჩიტული ინდა-ური, ქათამი, ბატი, კვატი, ძალზე იშვი-ათად, მაგრამ მაინც – ძუძუს გოჭი ან უკვე მოწიფული ბურვაკი და ა. შ. იყო ასეთი შემთხვევაც: მეზობლის ქალმა სიცოცხლეშივე სთხოვა ეპიტაფიის და-წერა. ამტკიცებდა, ლექსი და სიმღერა ცოცხალს მინდა, აბა, რომ მოვკვდები, მერე რა მელექსებაო. არგუმენტაცია მისაღებად მიიჩნია ოსიკომ, შეუსრულა

თხოვნა და დიდი კმაყოფილებაც მოჰგვარა თადარიგიან მეზობელს. საწყალ ქალს, ეტყობა, გულმა უგრძნო მოახლოებული აღსასრული, მალევე გარდაიცვალა და ახლა ის ლექსი მისი საფლავის ქვაზე სამ სვეტადაა ამოტ-ვიფრული. პენსიაზე გასული ოსიკო მთლიანად დანთქმული იყო პოეზიაში, ან წერდა, ან კითხულობდა, ერთი მომცრო ფორმატის კრებულიც კი ჰქონდა გამოცემული საკუთარი ხარჯით. პოეზიით მის გატაცებას დროგამოშვებით მხოლოდ მეუღლე ეწინააღმდეგებდა: – „კაცო, პასპორტში ჩაიხედე, რა დროს შენი ვარდები და ენძლებია, არ გრცხვენია, მაინც“. ნირნამხდარი ოსიკო რაღაცის თქმას დააპირებდა, მაგრამ ცოლი დაუცაცხანებდა: – „გოეთე არ მიხსენო, გოეთე არ მიხსენო“... და უკმაყოფილო ოსიკო დახურავდა დიდ საკანცელარით ჟურნალს, რომელიც მის სამუშაო რვეულს წარმოადგენდა. მოკლედ, რაღა შორს წავიდე და, თავის საზაფხულო რეზიდენციაში ვეახლე და სამსონის სათხოვარი, შეთანხმები-სამებრ, ჯერ სიტყვიერად მოვახსენე, ხოლო შემდეგ წერილი გადავეცი... სახეზე შეეტყო, რომ ჩემი ნათქვამიდან დიდი ვერაფერი აზრი გამოიტანა და წერილი ჩაიკითხა გულდასმით, სათვა-ლე მოიხსნა და ხელისგულით თავისი ფართო შუბლის სრესა დაინწყო. ერთი სიტყვით, საგონებელში ჩავარდა... თუმცა დიდხანსაც არ დაყოვნებულა, შეფიქრიანებული სახით შემომხედა და მითხრა:

– სამსონის განბილება არ ეგების, ნაომარი კაცია, ნაწვალები. ლომონო-სოვი მაინც ყოფილიყო, ასე თუ ისე, ვიცნობ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ მენდელევზე ცოტა რამ მსმენია... ამდენად, ქიმიის სახელმძღვანე-ლო დამჭირდება.

გავხსენი საწიგნე და გავაძრე ქიმიის წიგნი. გამომართვა, სათვალე მოი-მარჯვა და კარგა ხანს ფურცლა წიგნი,

სახეზე შეეტყო, რომ საჭირო ინფორმა-ცია დააგროვა, წიგნი დახურა და მოკ-ლედ მოჭრა:

– დილით სკოლაში წასვლის წინ შე-მომიარე და მზად მექნება.

მეორე დილით სკოლისაკენ მივაბი-ჯებდი და ჯიბით ლამაზად გადაწერილი ლექსი მიმქონდა სამსონისავე კონვერ-ტით. მასნავლებელი ქიმიის კაბინეტში ვიპოვე, მაგიდასთან იჯდა, სინჯარებ-სა და კოლბებში რაღაც ფერად სით-ხეებს აზავებდა. გავუნოდე კონვერტი, რომელიც სასწრაფოდ გახსნა, გაშალა თაბახის ფურცელი და პირველი ორი სტრიქონი ხმამაღლა წაიკითხა: „მეცნი-ერების მწვერვალზე ახველ და ასახე-ლე რუსეთი დიდი...“ შემდეგ ბუტბუტ-ზე გადავიდა, კითხულობდა და სახეზე თანდათან მზარდი ლიმილი ეფინებოდა, ლექსის დასრულებისას უკვე გაბადრუ-ლი იყო.

– ასეც ვიცოდი... ოსიკო ნიჭიერი კაცია, შესანიშნავია, შესანიშნავია... – ჩაილაპარაკა და მცირე ფიქრის შემ-დეგ ფურცელი უკანვე გამომიწოდა და ისეთი რამ მითხრა, მიწა გამსკდომოდა, მერჩივნა:

– შენ წაიკითხავ საიუბილეო ღონის-ძიებაზე, მიზანშეწონილი იქნება. ეცა-დე, გაითავისო.

ადრინდელი, მწარე ისტორიული გა-მოცდილებიდან გამომდინარე, ეს წინა-დადება ჩემთვის მიმზიდველ-მომხიბ-ვლელი ვერ იქნებოდა, რადგან ლექსის საჯაროდ წაკითხვის მცდელობა ერთა-დერთხელ მქონდა და ისიც ერთობ წა-რუმატებელი, შეიძლება გადაუჭარბებ-ლად ითქვას, მარცხიანიც კი. მოწინავე პიონერი ვიყავი და პიონერხელმძღვა-ნელმა ისე, რომ ჩემს დეკლამატორულ უნარ-ჩვევებში ძირისძირამდე გარკვე-ული არც კი იყო, ლიტერატურულ კომ-პოზიციაში მონაწილედ გამამწესა, მაგ-რამ თავი კი დაიზღვია და მხოლოდ ერ-თი სტროფი ლექსი მომცა წასაკითხად, თან ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე.

ლონისძიება სოფლის კლუბში გაიმართა. მონაწილენი სცენაზე გაგვამწკრივეს, გაიხსნა ხავერდის დიდი, მწიფე შინდისფერი ფარდა და კომპოზიციაც გაუდგა თავის გზას. მიღეთის ხალხის დანახვამ ისე დამზაფრა, დავყრუვდი და დავმუნჯდი, მუხლები მომეკვეთა. მოვიდა ჩემი კუთვნილი სტროფის ჯერი, მაგრამ პირში ენა ვერ მოვატრიალე, მგონი, საერთოდ გადამეყლაპა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. კიდევ კარგი, ჩემმა მომდევნო გამომსვლელმა ივარგა, ალლო აულო სიტუაციას და დასჭექა თავისი ლექსი. მოკლედ, მე კინალამ გული შემიწუდა, თორემ კომპოზიცია გაგრძელდა რიხინ-რიხინით... და კიდევ მოხდა ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც პირდაპირ დაუკავშირდა ჩემს ბედს. ფარდა რომ დაიხურა, კომპოზიციის ერთმა ონავარმა ბიჭმა უკვე დახურულ ფარდებს შუა თავი გაყო და შეკრებილ პუბლიკას, რომელთა შორისაც იყო სოფლისა და სკოლის ხელმძღვნელობა, თავის პიონერულ ყელსახვევზე უფრო გრძელი და წითელი ენა გამოუყო. ამ გაუგონარმა ქმედებამ მიხსნა, დიდმა გადაფარა მცირე დანაშაული და ლიტერატურული კომპოზიციის საქმიდან მშრალად გამოვედი. რაც შეეხება ენაზეკიას, მეორე დღეს სისხამ დილით მოაწყვეს პიონერული ხაზი და ნორჩ ლენინელთა რიგებიდან დროებით დაუნანებლად მოკვეთეს გამოსასწორებელი ვადით. თუმცა მე ჩემი კი დამემართა, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის გაგონებაზეც კი ურჟოლა მივლიდა კარგა ხანს.

სწორედ ამ მძიმე მოგონებამ შემახსენა თავი, როს სამსონის კეთილმოსურნე შეთავაზება მესმა. რაღაც თავზარის მაგვარი დამცა ავისმომასწავებელმა წინათგრძნობამ, ის კი გავაცნობიერე, უარის თქმა, ადვილი შესაძლებელია, უფრო საზიანო ალმოჩენილიყო და ბედს მივენდე – დასტური მივეცი. ასე რომ,

ჩემმა დეკლამატორულმა უუნარობამ კიდევ ერთხელ დამაყენა განსაცდელის წინაშე. არც მიმტყუნა გუმანმა, გენერალურ რეპეტიციაზევე ჩავფლავდი. ამოვიდე ჯიბიდან ფურცელი, კითხვა დავიწყე, ის, რასაც ვაკეთებდი, კითხვა მხოლოდ ჩემი ჭკუით იყო, თორემ სინამდვილეში გახლდათ ლუდლულისა და ბლუკუნის ნაზავი, მალე კი ესეც ვერ შევძელი და გავშტერდი ქანდაკებასავით, მაგრამ ვინ გაცალა მოსვენებული და მშვიდი ცხოვრება – სამსონი განრისხებული მომვარდა, ფურცელი გამოგლიჯა, მეორე ხელი ყურზე მტაცა, შუაზე გაკეცა, „ვიკლიუჩატელივით“ გადაატრიალა და ისეთი ძალით დაქაჩა, იფიქრებდი, ადგილმდებარეობა არ მოსწონს, გადარგვას უპირებს და ფესვებიანად სურს ამოთხრაო. ტირილი ისედაც მომდგარი მქონდა თვალებთან და შედეგად სამსონის ქმედებისა ბლავილი აღმომხდა. ამ უცნაურ ხმაზე სამსონმა ხელი შემიშვა, ჩემი საწყალი ყურის ბიბილოც თავისუფლად გაიშალა, ოლონდ ფერითა და ზომით ერთგვარად განირჩეოდა თავისი მეწყვილისაგან. ეს განსხვავება ერთხმად დაადასტურეს გენრეპეტიციის დასრულების შემდეგ სამეცნიერო-ლიტერატურული კომპოზიციის მონაწილეებმა. რაც შეეხება ლექსს, იგი იქვე გადაეცა ჩემს თანაკლასელ ფრიადოსან გოგონას, რომელმაც მთრთოლარე ხმით, ხელ-ფეხის მოშველიებითა და თეძოების რხევით ახლებური, სულ სხვა ელფერი შესძინაოს შედევრს.

მენდელეევის დღეები კიდევ უფრო ტრაგიკულად განვითარდა. დიდი, რუკისმაგვარი ფორმატის მენდელეევისული ელემენტების პერიოდული სისტემა, რომელსაც გაკვეთილზე ვიყენებდით, დრო-ჟამისაგან ისე იყო გაცრეცილი და დაკენკილი, ლავუაზიეს ან თავად მენდელეევის თუ არა, კურჩატოვის დროინდელი მაინც გეგონებოდა. სამსონი შეყვარებული

იყო ბუნების ამ საოცრებაზე, გაკვე-
თილის მსვლელობისას რამდენჯერ-
მე აუვლ-ჩაუვლიდა პერიოდულ სის-
ტემას, ნეტარი სახით მიმოატარებდა
მასზე მზერას. როგორც ჩანს, საიუბი-
ლეოდ მისი განახლება მოიწადინა და
ერთ ჩემს თანაკლასელ ბიჭს, ხატვაში
ერთობ განაფულს, შესთხოვა ამ საქმის
აღსრულება. ეს მხატვარი სწავლასთან
უძძრახად იყო და მასწავლებლებიც არ
აწუხებდნენ, იცოდნენ, მაინც კრინ-
ტსაც კი ვერ დააძრევინებდნენ. სამ-
სონის დავალება კი პირნათლად შეას-
რულა. ორიოდ დღეში ახალი ტაბულით
გამოგვეცხადა, თან ზედ არმაღანად
ახალი საჩვენებელი ჯოხიც მოაყოლა.
აკაციისა, დიდი, კომბალისებური, მო-
ვარაყებული ტარით. სამსონი მეშვი-
დე ცაზე დაფრინავდა. სიხარულს ვერ
მაღავდა, მისთვის ჩვეული ხელების
ფშვნეტით მიესიყვარულებოდა ხოლ-
მე უკვე განახლებულ ტაბულას, ხარბი
მზერით შეათვალიერებდა, შემდეგ კი
მხატვარს დაუსვამდა იმდღევანდელი
გაკვეთილიდან გამომდინარე უმარტი-
ვეს შეკითხვას, მაგრამ ეს უკანასკნე-
ლი თევზივით დუმდა. სამსონი იმწამს
ნახულობდა გამოსავალს, ამ არცთუ
ბრძნულ დუმილს ოქროდ უთვლიდა და
მის მორიდებულობას გადაპრალებდა,
უურნალში გვარის გასწვრივ კი ფრია-
დებს სვამდა. ასე გაგრძელდა რამდენი-
მე დღეს. ერთ-ერთ მომდევნო გაკვე-
თილზე კი სამსონი პირგამეხებული შე-
მოვიდა საკლასო ოთახში უურნალით,
აკაციის ჯოხით და იღლიაში ამორჩილი
დაგრაგნილი პერიოდული სისტემით.
უურნალი მაგიდაზე დააგდო, სწრაფი
მოძრაობით გამალა და დაკიდა კედელ-
ზე ტაბულა, თვალი ავად გადაავლო და
ჯოხშემართული გაქანდა მხატვრისა-
კენ, თავზე ქონდაქარივით დაადგა და
განწირული ხმით დაუკივლა: – ფერუმი
სად არის, შე უსვინდისო, ფერუმი რა
უყავი!.. გამორჩენოდა ხატვისას ფე-
რუმი იმ საცოდავს და შედეგად დიდი

რისხვა და თავისივე ნახელავი აკაციის
ჯოხი დაატყდა თავს. დასცხო სამსონ-
მა გამეტებით. ერთი ორჯერ უმარჯვა
მიზნიანად, მაგრამ მხატვარიც არ დარ-
ჩა ვალში – თავით ფინტების გაკეთე-
ბა დაიწყო, თან ისე ოსტატურად, რომ,
დიდი მონდომების მიუხედავად, ამაოდ
ირჯებოდა სამსონი. მხატვრის ფილიგ-
რინულმა ტექნიკამ საერთოდ გამოიყ-
ვანა მწყობრიდან თავდამსხმელი, გა-
ცოფებულმა მოისროლა ჯოხი და ხელ-
დახელ შეება მოწინააღმდეგეს, ჩასცხო
და ჩასცხო, ურტყა აქედან და იქიდან,
თუმცა მალევე მოეგო გონს, გააცნო-
ბიერა, რომ სასჯელი დანაშაულთან
მიმართებაში არაპროპორციული, არა-
ადეკვატური და, რაც მთავარია, არე-
ლევანტურიც იყო და ხელი აიღო მო-
წაფის გვემაზე ისე, რომ საკონტრო-
ლო გასროლა არ განუხორციელებია,
კონფლიქტი ამონურულად ჩათვალა,
დაბრუნდა ფერუმგამოკლებულ ტაბუ-
ლასთან და შეუდგა გაკვეთილის გამო-
კითხვას.

იმ მძიმე დღეს სკოლიდან რომ
ვბრუნდებოდი, იმაზე ვფიქრობდი, ვინ
ოხრობაა ასეთი ეს მენდელევი, კი-
ნაღამ რომ გვიმსხვერპლა მე და ჩე-
მი მეგობარი მხატვარი, ან ის ფერუმი
რა იყო ასეთი, სამსონმა კაცს აკაცი-
ის ჯოხი კინაღამ გაადამტვრია თავზე-
მეთქი. როცა დასაძინებლად დავწექი,
არაორგანული ქიმიის უზარმაზარი,
სქელყდიანი წიგნი შევიყოლე საწოლ-
ში და რაღაც-რაღაცების გარკვევას
შევეცადე. თუმცა ცოტალა შევძელი
– ნამეტანი ძილისაღმძვრელი აღმოჩ-
ნდა ქიმიის მეცნიერება, მომთენთა ისე,
რომ წიგნის დაჭრაც კი გამიძნელდა;
იგი გაშლილ მდგომარეობაში დამემხო
თავზე და ასე გამაცილა ძილ-ბურან-
ში. არ ვიცი, რამდენ ხანს დავყავი ამ
მდგომარეობაში, მაგრამ, ნეტავი, სულ
არ დამძინებოდა, ისეთი სიზმარი ვნახე,
ერთი სიკვდილი გავათავე: ჩემი რკინის
საწოლის რკინის ძგიდებზე რკინისავე

ბორკილებით ვიყავი ხელ-ფეხმივჯაჭვული, თავთით სამი კაცი, უფრო სწორად, სამი მოჩვენება მადგა: შუაში ნაცისტური არმიის შტურმბანფიურერის ფორმიანი, მაღალი, ხმელი, წვერიანი, კუშტი გამომეტყველების კაცი, მისგან ხელმარცხნივ – საკონცენტრაციო პანაკის ტყვეების თეთრშავზოლებიანი სამოსელით და იმავე შეფერილობის ბერეტით – სამსონ მასწავლებელი, ხელმარჯვნივ – ბიძაჩემი ოსიკო, მილიციის კაპიტნის კიტელით, ორდენებით მკერდმოჭედილი, კოკარდიანი ქუდით.

– რომელი ელემენტი მოიპარა? – სმადაბლა, მაგრამ ზემკაცრი ტონით იკითხა შტურმბანფიურერმა.

– ფერუმი, ოცდამეექსე ელემენტი, დიმიტრი ბატონო, ფერუმი, რკინა, – ფიცხლად უპატაკა სამსონმა.

– მოწმე არის, თვითმხილველი? – ისევ იკითხა გესტაპოელმა.

– დიახ, პატივცემულო, ბატონი ოსიკო გახლავთ – თან მოწმეა, თან ვექილი, ორი ვალენტობის მატარებელია, ძირითადი თვისობრივი მახასიათებლებით კი მგოსანია, სახალხო მთქმელი. სხვათა შორის, თქვენზეც აქვს ერთი თითქმის გენიალური ლექსი დაწერილი, – შეჰვიმილა სამსონმა ესესელს.

სამსონის მინიშნებაზე ოსიკომ, როგორც ჩინით ქვემდგომს შეეფერებოდა, მარჯვენა ფეხი წინ წადგა და სხაპას-ხუპით მიაყარა:

– მოდგმითა და ბუნებით ეჭვმიტანილი არ არის ბაცაცა და ხელნამკრავი, ადრე არც ყოფილა ასეთ უკადრის ქმედებაში შენიშნული, მაგრამ, როგორც ჩანს, ყმანვილკაცურმა ცნობისწადილმა შეჰვიმილა და გააყოლა ხელს. აბა, რა ჯანდაბად უნდოდა რკინა, უანგიანი რკინების მეტი რა გვიყრია ეზოში, ქურდი რომ იყოს, ოქროს ან პლატინას მიიპარავდა. ბოლოს და ბოლოს ურა-

ნიც იქ არ იყო?! – ჩემმა ვექილმა და ბრალმდებელმა რკინის არგუმენტები მოიტანა, მაგრამ შტურმბანფიურერმა მენდელეევმა, ეს მონოლოგი ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა, რადგან კბილებში ბრაზიანად გამოსცრა:

– ფერუმი, აბა!?

– დიახ, პატივცემულო! – კვერი დაუკრა სამსონმა.

– ვახ! – ისე ამოიგმინა გესტაპოელმა, იფიქრებდი, სიბრძნის სამფესვიანი სალი კბილი ამოგლიჯესო და სწრაფი მოძრაობით წაჰვარა სამსონს მისი განუყრელი აკაციის ჯოხი, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შეაპრუნა, წვეროთი ჩამჯილა და ვარაყიანი მსხვილი თავით დამცხო და დამცხო გარდიგარდმო, ძირითადად, თავში დამიზნებით. სნაიპერული სიზუსტე ალმოაჩნდა, ერთიც არ დაუცილებია, მე კიდევ უღონო ვიყავი, თავდაცვისუნარმოკლებული, სანოლზე მიბორკილი. ნაგვემმა თავმა მომენტალურად დაინყო შესივება. გავმწარდი, მაგრამ რა გავმწარდი, შექმნილ ვითარებაში უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, თავისათვის რომ მესაშველა და ჰაერში მოშხუილე ჯოხს იმ წამს, თავზე რომ უნდა დამშვებოდა, ღია პირი შევაგებედა კბილებში მოვიგდე მისი ვარაყიანი ტარი. მოქაჩა და მოქაჩა შტურმბანფიურერმა მენდელეევმა, სამსონმაც წაუკრა ხელი, მაგრამ მაგრად დავდექი, ვერაფრით გამომგლიჯეს ჯოხი პირიდან. ამ ჯაჯგურ-ჯაჯგურში გამომელვიდა კიდეც, „ტროიკა“ გამქრალიყო. ოფლში ვცურავდი, კბილებში სანახევროდ გაღრღნილი ქიმიის სახელმძღვანელოს სქელი მუყაოს ყდა მქონდა გაჩრილი...

...იმ დღეს ჩემი და როგორც არაორგანული, ისე ორგანული ქიმიის გზები საპოლოოდ გაიყარა, თუმცა არც მანამდე გვქონია სიამტკბილობა...



ლაშა გვასალია

მზერა უსაზღვრო სივრცისაპენ (ელგუჯა მარლიას პოეზიაზე ფიქრისას)

პოეზია მშვენიერებაა, მას ძალუძს უსასრულობასა და მარადიულობაში გადავანოს ფიქრი და განცდა. თუ იგავნის მიხედვით: „უფლის სანთელი ადამიანის სულია!..“ მაშინ სამყაროს მარადისი, უკვდავი სული პოეზიაა, რომელსაც უანგაროდ ემსახურებიან ღვთისგან ხელდასმული ადამიანები – პოეტები. სიტყვა რომ არ გამიქცეს, პირდაპირ ვიტყვი: ერთ-ერთი ასეთი შემოქმედი გახლავთ პოეტი ელგუჯა მარლია. მისი პოეზია იმითაცაა ღირებული, რომ გონებისა და სინდისის ხმაზეა დამყარებული და წარსულის, აწმყოსა და მომავლის განუყოფელ მთლიანობას ქმნის. ეს კი იმის შედეგი გახლავთ, რომ პოეტი ზედროულ სინამდვილეში ცხოვრობს, თუმც არას-დროს კარგავს რეალობის შეგრძნებისა და აღქმის უნარს.

ანა ახმატოვა წერს: „ლექსი პროზაზე ბევრად უკეთესია, თუნდაც საუკეთესო-ზე“. მეც ასე მგონია – ლექსი შელოცვაა, უსიყვარულობით გათვალული სამყაროს გამოსაკეთილებლად აღვლენილი!..

ასეთი ბუნების კალმოსანია ელგუჯა მარლია, რომელმაც, როგორც ტრადიციული ლექსის ოსტატმა, კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი ქართულ პოეზიაში, მაგრამ თუ ლიტერატურათმცოდნე

იოსებ ჭუმბურიძეს მივუგდებთ ყურს: „ბოლო წლების ქართულ პოეზიაში არაფერი შექმნილა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ელგუჯა მარლიას რობაიებია...“ პოეტმა ოთხტაეპედში იმდენი რამის ლამაზად და მრავლისმთქმელად ჩატევა მოახერხსა, კიდევ ერთხელ გაგვახსენა რუსთაველის უკვდავი აფორიზმი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი!“

ღირსება როდი იხვრიტება...

მკვლელსა და ჯალათს

მწერალი თავის უკვდავებას

აფარებს ფარად...

სიმართლისათვის შენირულებს გა-

ნა ჰქოლავს ტყვია, –

ეპოქის სირცხვილს ისტორია

ინახავს მარად...

ეს გახლავთ „მიხეილ ჯავახიშვილის შესანდობარი“ საერთო სათაურით „შენირულთა რობაი“.

მოდით, გავეცნოთ „გუგულთა რობაის“, რომელსაც წამძღვარებული აქვს მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „საცაა გუგულს, ვიცი და ვიცი – ბუდე დარჩება მერცხლის...“

სანამდე რწმენის დედობარი
დაიგუგუნებს
და რკინის კვერთხი მიმოლენავს
სულის უკუნეთს...
მუხრან ბატონი! გაგვიმრავლდა
კვერცხი გუგულის, –
მერცხლების ბუდეც დარჩენიათ
უკვე გუგულებს...

ელგუჯა მარლია, როგორც თავად
ამბობს: ბედნიერი მაშინაა, როცა ლექ-
სი იბადება, ანუ ზეციური სამშვენისი
მისი აღმატებულება მუზის ძალისხმე-
ვით ჩაელვრება სულში, რათა შემდეგ
სიტყვად იქცეს.

აი, რას ნატრობს პოეტი:

ტყის პირას ჰყურია გასრესილი,
სისხლივით შინდი,
ის დრო გაფრინდა, უდარდელად
ფრთებსაც რომ შლიდი...
თუმცა სიზმრებში გიფრენია
ლალად და მშვიდად
და გაღვიძებულს გინატრია
ცხოვრება მშვიდი.
(„ნატვრის რობაი“)

აბა „მოხუცის რობაისაც“ მივადევ-
ნოთ მზერა:

დასაპამიდან მარტოობა არის
რეფრენი
მარადიული, – წუხს მწერალი,
წუხდნენ მეფენიც...
ხელჯოხიანი მიაბიჯებს გზაზე
მოხუცი,
და არსებობის ნამებს უთვლის
უამი-რეფერი...

საყურადღებოა ელგუჯა მარლიას
პოეტური რეალიზაციის საზომები და
რიტმული მოდულაციები.

უნამუნო წერს: „იყაროსივით სიკ-
ვდილი გიჯობს იმისთანა სიცოცხლეს,
ერთხელაც რომ არ სცადო აფრენა,
თუნდაც ცვილის ფრთებით“. როცა

ელგუჯა მარლიას ლექსებს კითხულობ,
გგონია, რომ უცილობლად უნდა აფ-
რინდე მის ავტორთან ერთად, თანაც
არა ცვილის, არამედ არწივის ფრთე-
ბით, რომელსაც მისი სიტყვის ჯავარი
შთაბერავს სულს.

ფართო თვალსაწიერი, ლოგიკუ-
რი აზროვნების სიღრმე, ემოციური
წვდომის უნარი ინდივიდუალური სტი-
ლითა და ხედვით აწერინებს ელგუჯა
მარლიას: „გარდასახვის რობაის“, „დო-
ქისა და ჩიტის რობაის“, „გაბერნების
რობაის“, „სიკეთის რობაის“, „ხეხილის
რობაის“, „კამელიების რობაის“, „შაშ-
ვის რობაის“, „ცრემლის რობაის“ და
ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ომარ ხაიამ შეიწყალე ჩემი რობაი,
მეც შენი ერთი შეგირდი ვარ და
მეგობარი,
მთავარი არი ლექსითა და სიტყვით
იცოცხლო
და ცრემლიანი დაილიოს
შესანდობარი...
(„ცრემლის რობაი“).

ელგუჯა მარლიამ სამ წიგნად შეს-
თავაზა მკითხველს რობაიები: „110
რობაი“, „ომარ ხაიამ, შეიწყალე ჩე-
მი რობაი!“ და „საგანძურის რობაი და
სხვა...“ ასეთი ხვავრიელი შემოდგომა
იშვიათად დადგომიათ პოეტებს. სა-
სურველია ავტორმა ერთ წიგნად მო-
ახერხოს ამ ლექსების ჩამოქნა, რათა
მკითხველს მიეცეს საშუალება, ადვი-
ლად შეიგრძნოს ხიბლი და ძალა ქარ-
თული რობაისა, რომელიც ავტორმა
სონეტზე, ტრიოლეტსა და სხვა ფორ-
მოთ აუღერებულ ლექსებზე უწინარე-
სად დააყენა.

ერთხელ როსტომ ჩხეიძემ სამეგრე-
ლოში ელგუჯა მარლიას პოეზიაზე სა-
უბრისას ბრძანა: ელგუჯამ შეძლო იმ-
დენად გაექართულებინა რობაი, რომ
ქართულ სათქმელს მის საზღვრებში
თავი უცხოდ არ ეგრძნოო.

რაც უფრო მოაზროვნეა კალმისანი, მით უფრო მეტი თავისებურებებსა და მრავალფეროვნებას პოულობ მის შემოქმედებაში. ყოველ ადამიანში არ-სებობს ჩანასახოვანი ჭეშმარიტება – ლოგოსი, ელგუჯას ლოგოსი, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტიზმია – ზოგადქართული ცნობიერების ამაღლება და საფიცარი სამშობლოს ბედნიერებაა. პატრიოტული მოტივი თან სდევს მის პოეტურ მეს, მაგრამ მყვირალა და მჯილის მკერდზე მცემი პათეტიკური მოჩვენებითობით კი არა, სიდინჯითა და გამოკვეთილი პატიოსნებით.

ლიტერატურულ „შურნალ „მწვანეყ-ვავილაში“ წავიკითხე ელგუჯას გულში ჩამწვდომი ლექსი „ახავაი“ (ზურა ჯაფარიძის დატირება). ჩვენმა ძველებმა

ზუსტი რითმები და ელვარე ტროპიკა, სათქმელის სილრმე, შინაგანი კულტურა და ჰარმონია წარმოაჩენს ელგუჯა მარლიას, როგორც მაღალგემოვნებიან ავტორსა და შემოქმედს.

როცა ელგუჯაზე წერ და ფიქრობ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ ის ძალისხმევა რაც მან „მე პატარა ქართველი ვარ...“ ლექსის ავტორის, დუტუ მეგრელის, პოპულარიზაციას მოახმარა, უდავოდ, დასაფასებელია, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ელგუჯა მარლიას პატრიოტულ სიწრფელესა და მამულიშვილობას.

ვეცნობი ელგუჯა მარლიას შემოქ-



იცოდნენ მიცვალებულის ეშათვალუა, ანუ გამოტირება. სწორედ ასეთი მეგრული გამოტირებისა და სვანური ზარის ტკივილითა აღვსილი ეს ლექსი:

ახავაი ჯაფარიძე,
ახავაი, ზურა...
მოვა დრო და ჩაგეხვევი
ისევ ძველებურად,
მაგრამ ჯერე დასაცლელი
დამრჩა ბედის სურა...
ახავაი, ჩემიმი ჯიმა,
ახავაი, ზურა...

მედებას და ცნობიერებაში შემოდინდებიან გასაოცარი სურათები: თიბათვის ღუდლუდა მზის ქვეშ, სიცხის ხორხოში რომ ასდის გამდნარ ასფალტს, ცელს კვერაცს სახეჩამზევებული პოეტი, პირს ქასურით უწყობს ფიცხ ფოლადს და სათიბისკენ მიემართება.

კიდევ: ცაჩამოდაბლებულ-ჩამოპნელებული თებერვალი, მშობლიურ სოფელ პალურს ყინვა რომ ძვლებში წაუჭერს, სიცივისგან რომ ბაბანებს ირგვლივ ყველაფერი, გათართალებულ

ღუმელთან გლეხურად დამშვენებულ ტაბაკს უზის ელგუჯა მარლია ოჯახის წევრებთან ერთად და ნება-ნება წრუპავენ ოჯალებს. თამადობს ოჯახის თავი და ჩვეული ბუბუნით და რაღაცნაირი მშვიდი აღტყინებით კითხულობს ლექ-სებს. მერე სიმღერასაც შემოსძახებენ გულის გასახარს, ეშმაკების დასაფრთხობს... გარეთ თოვს... გომურიდან ისმის ზამთრის გრძელი, ცივი ღამეებით გაძეზრებული საქონლის ქშენა და ფრუტუნი... მასპინძელოო, დაიძახებს ლვთის გამოგზავნილი სტუმარი ჭიშკართან და კიდევ უფრო მეტ ხალისს შემატებს მარლიების მაღალ ჭერს!..

ბესიკ ხარანაულის სტრიქონები

ამომიტივტივა ყოველივე ამან: „გლეხის მუქში თრთოდა წყარო, როგორც ძუძუ თებრონესი...“ საოცრებაა პოეზია...

რობაი უზადოდ შემოაწნა მისეულ სათქმელს ჩვენმა პოეტმა. რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მის ბრმად გამეორებას, არამედ ეს ამ უძველესი და დიდებული ფორმის დახვეწა-გაქართულება და მისთვის ახალი სუნთქვის მინიჭებაა.

ჰოდა, გავეცნოთ უფრო ახლოს და უფრო ღრმად მის შემოქმედებას, რათა აღმოცენდეს სულში ყვავილი მშვენიერებისა, ბედნიერებისა და სიყვარულისა, რომელსაც ვუწოდებთ პოეზიას!



გუჩია კვარაცხელია

პოეტური ირონიის სემიოტიკა

თვითირონია წარმოადგენს საკუთარი თავის დაცინვას და ტიპოლოგიურად იგი მიემართება ირონიას, ერთი მხრივ, როგორც ვინძეს ან რამეს დამცინავ კრიტიკასა და რეფლექსურ რეაქციას საკუთარ მოქმედებებსა თუ გრძნობებზე; მეორე მხრივ, თვითირონიის ეს ერთმხრივობა მონაბეჭდის პირადულ განცდაზე დაკვირვებას. ამიტომაც ასეთი ეგზისტენციური პოზიცია პრინციპულად არ ახასიათებთ მოქმედების ადამიანებს, რომლებსაც საკუთარ სიმართლეში დაეჭვება სისუსტისა და მერყეობის ნიშნად მიაჩნიათ. პოეტებისათვის კი, ჩვეულებრივ, ნიშანდობლივია შიდა სამყაროს გულმოდგინე ჩხრეკა, ამიტომაც არ არის გასაკვირი, თუ პოეტურ დისკურსში თვითირონია თავისთავად პოულობს გამოხატულებას.

პოეტური ირონია ყოფითი ურთიერთობის საფუძველზე ჩნდება, ოღონდ, მისგან განსხვავებით, იგი შეიცავს სამყაროსადმი ელეგიური დამოკიდებულების ელემენტს, ავსებს რა ამგვარ ელეგიურობას საკუთარი თავისადმი მიმართული დაცინვით:

ქალი – ბედია,
შავი გედია...
და ტრაგედია,
და კომედია,
უამმა დარეკა,

ძერა წიოდა,
ქალმა წაგლეკა,
აგანიოკა.
ვეფხვის ტორები,
გულის ნაჭრები...
(რას იფხორები
რას იჭაჭები!)

ან კიდევ:
თეთრი, თეთრი აკაცია,
ლურჯი, ლურჯი მერანი.
ასე ისე ვაჟეკაცია,
ასე ისე მნერალი.

ირონიულ გამონათქვამს პროტო-ტიპულს უწოდებენ, თუ იგი შექების ფორმით გამოხატული დაცინვაა – „გმადლობ, შენ ნამდვილი მეგობარი ხარ!“ თვითირონიაც შეიძლება პროტო-ტიპული იყოს – „ბარაქალა მე, ამდენი შემძლებია!“

თუ ამოვალთ იმ წარმოდგენიდან, რომ ცხოვრება და შემოქმედება ქმნიან სიმბიოზურ მთლიანობას, ისეთი პოეტებისთვის, რომელთაც აქვთ პოზა, მაგალითად, ბლოკისთვის, მაიაკოვსკისთვის, სევერიანინისთვის – ეს მთლიანობა ერთიან შეხედულებას ახორციელებს სამყაროზე, რომელიც ერთობლივი სტრატეგიებით იმართება და რომელიც ამ ერთიანი შეხედულებების ხორცის შესხმას ცდილობს მთელს სამყაროში;

სამყარო, მათი აზრით, ქაოსურია და წესრიგს საჭიროებს. ბანალური ფორმულა – „ცხოვრება და პოეზია ერთია“ – იმგვარად მოქმედებს, რომ შეიძლება მათ „ურთიერთსაზრდოობაზე“ ლაპარაკი: არა მარტო პოეზია იკვებება ცხოვრებით, არამედ ცხოვრებაც ორგანიზდება, როგორც პოეზია (ტრისტან ცარა: „პოეზია არის არა მარტო წერა, არა მარტო სახეთა და ბეგერათა თანამიმდევრობა, არამედ სახე ცხოვრებისა“).

ამ სიღრმისეული ერთიანობის გაერთიანებები წარმოადგენენ აუცილებელ წანამძღვრებს პოეტის კონკრეტული ცხოვრებისეული და მხატვრული ნაწარმოებებისთვის, მისი უესტური სისტემისათვის, იქნება ეს ფიზიკური თუ მეტაფიზიკური.

გიორგი ჩარკვიანის, რომლის ლექსების ციტირებას ვახდენთ წინამდებარე ტექსტში, შემოქმედება მდიდარია ყველა ტიპის უესტით. იგი საჯუთარ ლექსებს „თვითრჯულს“ უწოდებდა, ჭაბუკობიდან ცდილობდა, რომ სწორედ ასეთი ლექსები ეწერა:

კაცი გახდი მათხოვარი,
ბერიავი და დედალი,
თავზე სიგარეტის ნავლი,
სიტყვა – ვითომ უდრევი?
ჭუას არვის არ ვასწავლი
მეც თქვენსავით მუდრევი.
თუ გაქვს ჯიბე ცარიელი,
ცრემლით მაინც ძირობდეს,

ავთანდილი, ტარიელი
ფუჭად კი არ ტიროდნენ.
ჭირი სახლში გვეტენება
და ჩვენ ვკვნესით – ვაიმე!
როგორა ვთქვა გვეშველება,
გვეშველება რაიმე.

უნაყოფო, საზიზლარი
და ამაო წუხილი,
ზევით მეხი საშიშარი,
გრგვინვა, ჭექა-ქუხილი.

ცხადია, პოეტის საქმიანობის ამგვარი აღმატებული შეფასება სა-თანადო კვალს აჩენს მათ მხატვრულ

დისკურსებში და ხშირადაც მკითხველის კეთილ ღიმილს იწვევს. უწყინარი თვითორონია არცთუ იშვათად გადადის ავტომითოლოგიზაციაში. პოეტებს სჩვევიათ საკუთარი თავის შესახებ მითების შექმნა:

არაყდალეული
მუდამ სწორია
(თურმე არეულად
ქმნიან ისტორიას!)

მეძავის ამბორი
ტუჩებზე შერჩა.
ფრთებს შლის ამბოხი,
სალამი შენდა!
მალე გათავდება –
მთლად მჭლე ნაგაზია,
სანამ გათენდება,
გავტეხოთ მალაზია.
გროვა ნაგავის,
კვდება ნაგაზი.
დაარტყი ნაფასი
ათი ათასი.

აქ, მკითხველის არანაკლებ გამამხიარულებელ ტექსტში, პოეტის ოსტატობა არ იზლუდება მხოლოდ სემანტიკით, იგი რევოლუციურად ოპერირებს პრაგმატიკითაც, რომელიც სემანტიკის დარად შეიძლება მარტო ხმა-მაღალი არ იყოს, არ იყოს მარტოდენ გაშიშვლებული პროზაული უესტი, სიცოცხლის მიმართ ღიად აგრესიული (შდრ. უკავ პრევერის „სიტყვა-უესტი“, „სიტყვა-სახე“, „სიტყვა-ბეგერა“).

უესტების კულტმა დაჩრდილა დღევანდელი სასიცოცხლო შემოქმედებითი სივრცე, უსამართლოდ დაჩრდილა ბევრი თანამედროვე პოეტის სახელი, რომლებიც წარსულშიც და ახლაც „ხმაურიანთა“ გვერდით მოღვაწეობენ.

თქვენს ყურადღებას ცოტა ხნით შევაჩერებთ ჩვენი ავტორის პიროვნებაზე, რომელიც, როგორც პოეტი და როგორც ადამიანი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველმხრივ საინტერესოდ გვეჩვენება.

თვითორონიას თან ახლავს თვით-

დამცრობა – გოგი ჩარკვიანის ირონიული პოეზიის მუდმივი თანამდევი. საკუთარი თავის ზედმეტად კრიტიკული შეფასება და მწვავე კრიტიკა ერთგვარი ბავშვურობითა და მომხიბლავი ნაივურობით გამოიჩინდა. ეს არტისტული პოზა და ნიღაბი მას დიდხანს გაჰყვა. ამითაც საცნობი იყო მისი ლექსები. ავანგარდისტული „ყოვლისშემძლეობა“, ბაქიბუქობა და ყოყლოჩინობა არავის აღიზიანებდა – იცოდნენ, რომ ნოვატორი ავტორი თამაშობდა:

მე ველაპარაკები ქუჩას
„შენობით“,
მე ახლო ვიცნობ ყოველ შენობას,
მე მოკრივე ვარ, ასფალტზე
მდგარი
და ქალაქი არის ვეება რინგი,
და დღე-ღამე არის ერთი რაუნდი,
და შავ გორილასთან ვჩხუბობ
დაუნდობლად –

პოეტი ასე „დეკადენტობდა სტრიქონებში ნაზსევდიანი“, თან ოცნებობდა იმაზე, რომ გააღვიძეს „ქართულ ლექსასა – მთვლემარე არწივს“. ამგვარ მანიპულაციურ ნარცისულ სტრატეგიაზე იტყვანი ხოლმე – ძალა აღმართს ხნავსო. ვფიქრობთ, გოგი ჩარკვიანის სამყაროს განმსაზღვრელი „ვაჟური, მამაკაცური“ სტრატეგია უნდა იყოს, რომელიც ვერ ეგუება სიჯაბანეს. ასეთი წინასწარი განწყობა თავისებური, ძლიერი მამაკაცისათვის დამახასიათებელ, ვაჟური პოზას ძერწავს, რომელიც წლების მანძილზე დაუვიზუარია, რომელსაც ავტორის სახელი ჰქვია და კიდევაც ამშვენებს მას. აქვე უნდა აღინიშნოს და ეს მნიშვნელოვანია, პოეტი თავისი ეგოუტურისტული ცხოვრების შექმნასაც ვაჟურად აგებდა იმის გათვლით, რომ უფრო მეტ მკითხველს ჰყვარებოდა და არ მოპეზრებოდა, უფრო მეტი თაყვანისამცემელი

ჰყოლოდა. რაკილა ეს უწყინარი თამაში იყო თავისი პეიორატიული ელემეტების მეშვეობით, ცხადია, სიცილს იწვევდა. არც ობსცენურ ლექსიკას ერიდებოდა ზრდილი, დახვენილი, თავაზიანი და სინამდვილეში მეტისმეტად მორიდებული ინტელიგენტი ავტორი:

არ მსურს, ყურმოჭრილი
სხვებს ფეხქვეშ გავეგო.
ეს ხანი ნავიდა.
მე ვარ აღრენილი,
რადგან ბევრს თავი აქვს
ნებვით გატენილი.
რის ქება-დიდება,
გუნდრუკის კმევანი,
მშივრებს რად სჭირდებათ
შარდის შადრევანი?!

აღნიშნულ შავპნელ სიტუაციაშიც პოეტი ხელმოცარული რჩება – სხვას-თან მიღის მისი საყვარელი ქალი, რომელიც ადრე მისტიკური ჩანდა, ახლა შეუხედავი, უშნო ეჩვენება და ადრე სანუკვარი არსებისთვის „შემამკობელ“, ზოგჯერ ძალიან ღვარძლიან სიტყვებ-საც არ იშურებს:

ქალი-ნიაღვარი
ნურბელივით გებრდლვნა.
სიყვარულო ნუნკო,
კოცნის აღმაფრენით,
ლამის ამოგნუნნოს
მწარე კუჭის ნვენი.

მაგრამ ქალების მხოლოდ უდიერად მოხსენიება პოეტის ავი ჩვევა არ არის. მას საკმაოდ ვრცელი აქვს ნაზი მიმართვების არსენალიც:

ქალი ერთობ ქუში
და ხელები თეთრი,
თითქოს ყვავის ნუში,
ასეთი გაქვს ბედი –

¹ლექსი „შადრევანი“ გამოქვეყნებულია ავტორის კრებულში. იგი დაწერილია 2005 წლის 25-26 ოქტომბერს.

ანვდი წითელ ატმებს.
ქალი, როგორც გედი
არ გაფრინდეს სადმე.

ანდა:

მზეო, ბალი გააშუქე,
გაიხლართე ბალახში.
ამ ქალს რატომ არ ვაჩუქე
ზურმუხტი და ბადახში,
ბივრიტი და საფირონი
(ვაი, რა დრო წასულა),
მიმეყვანა მაყრიონი
სანიმუშო ასულთან.

გიორგი ჩარკვიანის რომანტიკული თვითირონია ხელს არ უშლის ტრანსცენდენტურ ინტუიციებს. რაციონალურობა მშვენივრად ერწყმის მწერლის წარმოსახვას – აქ მუშაობს დამატებითობის პრინციპი. პოეტს სჯერა სამყაროს საკრალურობისა, მაგრამ პათეტიკის ნებისმიერი ცდა მასთან უმაღლესი ნეიტრალდება ხუმრობით ან გროტესკით. ეს მარტო იმიტომ კი არ ხდება, რომ ახალი მხატვრული ენა გაუძრალოებულია მის ლექსებში, არამედ იმიტომაც, რომ „ირონია აღადგენს იმას, რაც პათოსმა გაანადგურა“ (ეუი ლეცი). კირკეგორი ერთგან ამბობს, რომ იუმორი ადამიანისთვის ფარია, რომლითაც იგი ყველაზე საკრალურს იცავს. თამაში და ირონია ორგანულად შედის პოეტის წარმოსახვაში.

რეალურსა და წარმოსახვითს შორის არსებობს კორელაცია. სემიოტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი მესამე სამეფოს – სიმბოლური სამეფოს – აღმოჩენა და აღიარებაა. სწორედ სიმბოლურის აღრევა რეალურთან არის სემიოტიკის უმნიშვნელოვანესი განზომილება. აქ ყველაფერი ლინგვისტიკით დაიწყო, სადაც სიტყვა დაკავშირებულია პოლისემანტიკურ სახეობრივ სიტყვებსა და ცნებებთან. სემიოტიკისი იქ იპოვის სრულიად განსხვავებულ ელემენტს – სტრუქტურულ ობიექტს.

ზემოთ წათქვამის შესაჯამებლად დავეყრდნობით მ. ბახტინს: ახალი

დროების მთელი სიტყვიერება ირონიაა, მისი ენა არ არის აზრის პირდაპირი გამოხატულება. აზრი თავისი სიღრმით ჩაძირულია დუმილში. ამ დუმილის ნიშნად ისმის ახალი, ირონიული, ნართაულ-გადაკრული, ქარაგმული სიტყვა. ახლა ირონია უბრალოდ კი აღარ ახლავს სიტყვას – ეს მთელი ახალი ლიტერატურული პროცესია. მეტყველება ამ ვითარებაში მნიშვნელობით არის ირიბი, ნართაული, გადაკრული, რომელიც თავიდანვე არაპირდაპირობაზე აწყობილი. ახალი დროის მწერალ-სუბიექტს ამჯერადაც ისევ არ გამოსდის, საკუთარი ძალებით რაიმე შექმნას, შექმნას ფუნდამენტური ახალი ამბავი. ნამდვილ ამბად დარჩა ავტორის დუმილი. მთელი არაპირდაპირი მეტყველება დუმილის შეძლების-დაგვარი განმარტებაა.

მართალია, ახალი დროის მეტყველებაში სრული თავისუფლებაა, მაგრამ ესეც რაღაცნაირად მეორადი თავისუფლებაა, მიღებული მას შემდეგ, რაც სიტყვას მოეხსნა პასუხისმგებლობა ამბავზე, რომელიც ხანგრძლივი და რთული ემანსიპაციის პროცესში „ავტორიტეტს“ გაემიჯნა, განდევნა იგი თავისგან.

XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოსთვის ენის დასავლურ ფილოსოფიაში დაისვა საკითხი ერთიანი მნიშვნელობის თეორიის შექმნის მიზნით ერთმანეთთან შეეთავსებინათ გ. ფრეგესი და გვიანდელი ლ. ვიტგენშტაინის მიდგომები. ასეთი შეთავსება მომავლის საქმეა. დღემდე აქტუალურია მნიშვნელობის ძველთაძველი პრობლემა, რომელიც ანტიკურ ხანაშივე იწვევდა ფილოსოფიური თეორიებისა და კონცეფციების დაპირისპირებას. არაერთხელ გამართულა დებატები აზრის, ნიშნის, გამოხატულებისა და მნიშვნელობის, როგორც ობიექტის იდეის, გაიგივების შესახებ. მართალია, ლოგიკასა და ლინგვისტიკაში არის აზრი ინტენსიონალისა და ექსტენსიონალის,

დენოტაციისა და კონოტაციის, საგნობრივისა და აზრობრივი მნიშვნელობის დაპირისპირებულ ოპოზიციათა არსებობის შესახებ და ეს ბინარული ოპოზიციები ფორმალურად ბევრ რამეს გვიხსნიან, მაგრამ საყოველთაოდ მიღებული „მნიშვნელობის“ თეორიულ-შემეცნებითი მოძღვრება ჯერჯერობით არ გავაჩინია. ეს სემიოტიკას დაუმთავრებელ პროექტად აქცევს.

არადა, ყველაფერი ლინგვისტიკით დაიწყო. სწორედ ენათმეცნიერება მიაჩნიათ სემიოტიკის წყაროდ არა მარტო სოსიურის, არამედ პრალის ლინგვისტიკურ სკოლებსაც. ირონიის დეფინიციისას თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს მის არაერთგვაროვნებასა და მრავალმხრივობას: ესთეტიკის პოზიციიდან თვითირონია არის ირონიის ერთ-ერთი სახეობა – რედუცირებული სიცილი (მ. ბახტინი), სტილისტიკის პოზიციიდან – ორაზროვანი მეტყველების ფიგურა, რომელიც გამიზნულია ობიექტის დისკრედიტაციისათვის. ობიექტი შეიძლება სუბიექტიც იყოს, როგორც ეს პეიორატიულ შემთხვევებშია. ასეთი შემთხვევები უმეტესად „არაგულწრფელია“ ან საქმე გვაქვს რიტუალურ დეკორაციასთან; კულტუროლოგიაში ირონია აღმულია, როგორც სამყაროს აქსიოლოგიური სურათის განახლების ობიექტი; პრაგმალინგვისტიკის თვალსაზრისით, იგი დისკურსის მონაწილეთა შორის ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია, რომელიც ობიექტის კონკრეტული შეფასების გზით, ინტელექტუალური თამაშებით ართობს, ამხიარულებს ადრესატებს; სიღრმული სემანტიკის პოზიციიდან ირონია არის აზრობრივი სტრუქტურა, რომელსაც ამოტრიალებული აქვს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების თავი და პოლოდა რომელიც აგრეთვე მოიცავს ახსნას, მიზნებს, პირობებს, დათმობებს, შესაბამისობებსა და დაპირისპირებებს.

იმისათვის, რომ ირონიის ინტერ-

პრეტაცია ადეკვატური იყოს, აუცილებელია გამონათქვამის კონტექსტურ-სიტუაციური წაკითხვა, ურთიერთობის სიტუაციური ტონალობის გათვალისწინების გარეშე ირონიული აზრი აღარ აღიქმება. ზეპირი კომუნიკაციისას ირონიული აზრის გაგებასა და დაზუსტებაში გვიშველის მოლაპარაკის ინტონაცია, უესტი, მიმიკა ან მესამე მონაწილის რეაქცია ნათქვამზე:

„იდგა მის წინაშე არსაკიძე მდუმარე, წასვლა ეჩქარებოდა, მაგრამ ვერ გაეტედა ნაბიჯის გადადგმა; ახლა ღილკილოზე წაეპოტინა განმგეთუხუცესი: „შენ ქრისტიანი ხარ ხომ?“ ქრისტიანი ვარო, ეგეც დაუდასტურა ლაზმა. ფამილარული უესტით განმგეთუხუცესმა კიდეც შეაყოვნა არსაკიძე და კიდევაც მოუნდომა გაშინაურება, რათა მისი შეგონების უფლება მოეპოვებინა: რაკი ქრისტიანი ხარ, ეგეც მართებულია, რომ იცოდე, ჭაბუკო, ხალხს სამი რამე უნდა ასწავლო ერის წინამდგომმა: შიმშილი, ლოცვა და შრომა“. საუბრის თავდაჭრილად წარმართვამ, დარბაისლურმა კილომ წარმოაჩინა მოსაუბრეთა მხრიდან ურთიერთობის, საზოგადოებაში მიღებული წესების ფლობა, ფლობა დიალოგის, აგრეთვე, მრავალი წლის მანძილზე ნაგროვები სიბრძნე, ამსახველი ტონალობის მელოდიურობისა და აუდილვებლობისა. ავტორის მხრიდან ფარული ირონიაც საკმაოდ საგრძნობაა.

ოსკარ უაილდს ერთგან უწერია: „მე მჯერა, რომ სერიოზულის შესახებ სერიოზული ლაპარაკის მეთოდი ჩვენს დროში მაინც კლასიკური მეთოდია, მისი ალტერნატივა მხოლოდ დუმილია. მუდამ ვიყავი ალტიაცებული ებრაული იუმორის ტრადიციით, უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხის. ებრაელები ყოველთვის პოულობდნენ სასაცილოს ტრაგიკულ ამბებშიც კი. მათთვის იუმორის საგანი ხშირად ყოფილა ადამიანური ყოფის მტანჯველი წინააღმდეგობები, როგორებიცაა, მაგალითად, ღვთისა და

ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთმიმართება. იუმორისტული გამონათქვამების საბაზი ებრაელთათვის არის ასეთი ამბავი: მდიდრები ღარიბები ქირაობდნენ იმისათვის, რომ სიკვდილს მათ მაგივრად ისინი წაეყვანა. ღარიბები ცუდად აღარ იცხოვრებენ. მეორე ამბავი – მამას ოთხი ქალიშვილი ჰყავს. იგი ეხვენება უფალს, მომეცი ვაჟი და ოთხივე ქალიშვილს დაგიკლავო. ამგვარი ამბები ქართველებს ვერ გააცინებს – შემზარავად მიიჩნევენ, თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად რეალური შეიძლება იყოს მონათხრობი, უფრო მეტიც – რამდენად აღდგა სამართალი. ამის გასაანალიზებლად მთელი ტექსტის მოხმობაა საჭირო.

რეალობისა და სამართლიანობის დაპირისპირებაში მდგომარეობს მხატვრული ტექსტის დეონტიური სპეციფიკა. მსგავსად ჯერარსობის ყოველდღიური გააზრებისა, ეს ჯერარსი პოეტურ ტექსტში ნაჩვენებია, როგორც წესი. ნაჩვენებია გაშუალებულად, ერწყმის რა ირონიას. ასევე პირადული ხასიათი აქვს ზოგიერთი ადამიანის მიდრეკილებას თამაშების მიმართ. პოეტური თვითირონია სწორედ სათამაშო სიმბოლიკის სახესხვაობათა ხერხებს მიეკუთვნება: საკუთარი „მეს“ კარნავალური ამოტრიალება ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელობის აქცენტირებისა და ყოფიერების ღირებულების გახაზვისათვის ხდება – კოსმოსური აბსურდის გაზრდის საწინააღმდეგოდ.

ნებისმიერი თამაში, პაროდია ერთგვარი პოზაა. საყოველთაოდ ცნობილია მაიაკოვსკის, ხლებნიკოვის, კრუჩინიხის, იეიტსის, ოდერის, ოსკარ უაილდის, სიურრეალისტ-ავანგარდის-

ტის, ცნობილი ჩხუბისთავის ტრისტან ცარას და სხვათა მაგალითები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ქართველთაგან შეიძლება დავასახურდია, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, „ცის-ფერყანწელები“, ახალგაზრდებში შედარებით გამოირჩევიან ამ მხრივ და სხვა მხრივაც ზაზა ბურჭულაძე, ირაკლი ჩარქვიანი. პოზა შემოქმედისათვის ისეთივე დასაყრდენია, როგორც უესტ-მიმიკა, ხმა. საინტერესო უესტითა და ლამაზი ხმით (გავიხსენოთ ირაკლის ობერტონთა მანამდე არასდროს გაგონილი ელფერებით მდიდარი ბარიტონი) იცნობიან პოეტები და თავსაც აყვარებენ თაყვანისმცემლებს.

თუ სტრუქტურალიზმი ფართოდ გავრცელდა სხვა სკოლებში, უკვე ველარ იქნება საუბარი ვერც მის დანერგვასა და ვერც მის ანალოგიაზე. ეს ხდება არა მეთოდების დანერგვისათვის, რომლებიც ადრე არსებულის ეკვივალენტური იქნება და რომლებსაც წარსულში წარმატებით იყენებდნენ ენის ანალიზისას, სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ენოპრივი სტრუქტურები, იქნება ეს ენა ეზოთერული ან თუნდაც არავერბალური (დელიოზი, 2014) თუ სხვ. ისინი ბევრად უფრო ძველი და ფუნდამენტურია. აქვე აღვნიშნავთ, რომ სიმბოლურის სტრუქტურის ელემენტად აღიარება მსოფლმხედველობრივად ცვლის კვლევის კონცეფციებს მეცნიერების ყველა თუ არა, ბევრ სფეროში და ბადებს ახალ მიდგომებს ცოდნის მოპოვებასა და განახლებაში. ჩვენს ოპტიმიზმსაც ეს აჩენს.



ნინო ქუთათელაძე

ირონიული ლირიკოსი იგორ სევერიანინი

XIX საუკუნის დასასრული და XX-ის პირველი მეოთხედი რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოდერნიზმის აყვავების ხანა იყო. მოდერნიზმი რუსებისათვის რეალიზმის შემდგომი ეპოქის ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგადი სახელია. ასე რომ, ეს ტერმინი მოიცავს სიმბოლიზმსაც და, ამავდროულად, ისეთ ავანგარდისტულ მიმდინარეობებსაც, როგორებიცაა: აკმეიზმი, იმანუენიზმი, ფუტურიზმი... იგივე პროცესები მიმდინარეობდა ჩვენს ხელოვნებაშიც. თუ რუსულ სიმბოლიზმს ალექსანდრ ბლოკის პოეზია ამშვენებდა, ქართული სიმბოლისტური პოეზიის მწვერვალს, გალაკტიონ ტაბიძეს, ნამდვილად ჰქონდა იმის უფლება, რომ პოეზიის მეფის გვირგვინი რუსი პოეტისთვისაც გაენანილებინა. ხომ გახსოვთ ფრაზა, სადაც აშკარაა გალაკტიონისეული შეფასება რუსი პოეტისა: „იმ მრისხანე წელს მეფე-პოეტი გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი“.

ქართულ და რუსულ ავანგარდიზმსაც ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ქართველ ფუტურისტთა უურნალებში („H2S04“, „ლიტერატურა და სხვა“, „მემარცხენეობა“) იბეჭდებოდა ისეთი ავანგარდისტი მხატვრების რეპროდუქციები, როგორებიც იყვნენ კირილე ზდანევიჩი და ირაკლი გამრეკელი. დღეს მათი ნახატები ავანგარდული ხელოვნების ოქროს ფონდის კუთვნილებაა. იყო კიდევ ერთი ძალზე საინტერესო მხატვარი, რომელიც ამ უურნალების მეშვეობით შემორჩა ისტორიას – ბენო გორდეზიანი. სამწუხაროდ, მას სახლი დაეწვა და ნახატებიც გაუნადგურდა. შემდგომში ბენო გორდეზიანმა საპქოთა იდეოლოგიის მიერ შერისხული ავანგარდული ნამუშევრების შექმნაზე ხელი აიღო და მთელი ცხოვრება ქართული პოლიგრაფიული შრიფტების შექმნას შეალია.

ბენო გორდეზიანის მსგავსად, „ფერი იცვალეს“ ფუტურისტმა პოეტებმაც – ნიკოლოზ ჩაჩავამ, სიმონ ჩიქოვანმა და სხვებმა. იმის ნიმუშად, თუ როგორი იყო ქართული ავანგარდისტული (ფუტურისტული) პოეზია, მოგვყავს ნიკოლოზ (ნიაგოლ) ჩაჩავას ლექსი:

მანდალს შორდება ძილი,
ძილდინა გაგულისდა,
დღისური ქანდაძილი

მთვარეზე გაგულისდა.
გოგონა. მოგონა ხანძარი
სოფელი მოფონა. მოშარა.
თანსურდა სურდული-ხვანჯარი,
თან შურდა შანდი და შრომანა.

აქ ლექსის მუსიკალური მხარე – რიტმი და ალიტერაციაა მთავარი და ყურადღება არ ექცევა აზრს. ამ ყაიდის პოეტია იგორ სევერიანინიც, რომელისთვისაც მუსიკაა მთავარი. სწორედ ამის საილუსტრაციოდ მოვიხმეთ ქართველი ფუტურისტის, ნიკოლოზ ჩახავას ლექსი.

სულ მგონია, რომ მალე რუსულ პო-
ეზიაზე ისეთივე წიგნის დაწერა მოგვი-
წევს, როგორც თავის დროსზე ზვიად
გამსახურდიამ შექმნა ამერიკული პოე-
ზიის შესახებ, რადგან ახალმა თაობამ
არაფერი იცის გენიალურ რუს პოეტებ-
ზე, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს
მსოფლიო ლიტერატურაში. საზოგა-
დოება ისევ პროპაგანდის ტყვეობაშია,
ვერ გაურკვევია, სად მთავრდება რუ-
სული იმპერიული პოლიტიკა და სად
იწყება ჭეშმარიტად მაღალმხატვრული
და მრავალფეროვანი რუსული ლიტე-
რატურა.

დიდი ქართველი პოეტის სიტყვებით
რომ ვთქვათ, მართალია, ჩვენ ჩვენი
გვაქვს საპატრონო, მაგრამ ხანდახან
მაინც უნდა გადავავლოთ ხოლმე თვა-
ლი მსოფლიო ლიტერატურის შედევ-
რებს.

სხვათა შორის დიდი ხანია, ერთ გა-
მორჩეულ რუს პოეტზე, იგორ სევერია-
ნინზე მინდოდა მესაუბრა, მაგრამ ჩვე-
ნი ლიტერატურული ცხოვრება იმდენი
„მნიშვნელოვანი“ ამბით იყო აღსავსე,
რომ ვერა და ვერ მოვახერხე უცხოელი
პოეტის გახსენება.

წელს, 2017-ში, იგორ სევერიანინს
130 წელი შეუსრულდა. არ ვიცი, რო-
გორ აპირებენ რუსეთში ამ თარიღის
აღნიშვნას და საერთოდ – ეჭვი მეპა-
რება, რომ მას იქ ვინმე გაიხსენებს,
მაგრამ, რაკი ჩვენ პოეტების ქვეყანა
ვართ, ხანდახან მაინც შევავლოთ თვა-
ლი ისეთ ლიტერატორებს, რომელთაც
თავის ქვეყანაშიც ნაკლებად იცნობენ,

მიუხედავად მათი ნაღვანის მნიშვნე-
ლობისა.

როცა 1940 წელს საბჭოთა ჯარი ეს-
ტონეთში შევიდა, იგორ სევერიანინი
უკვე მძიმე ავადმყოფი გახლდათ, არა-
და, სულ 52 წლისა თუ იქნებოდა. მე-
ოცნებები პოეტმა, პრაქტიკულად, ვერც
აღიქვა, რა მოხდა რუსეთში?! მას ჯერ
კიდევ ჰქონდა „კარგი კაცის“ ანდრეი
უდანოვის (ასე უწოდებდა ის ამ ცნო-
ბილ პოლიტიკოსს) იმედი. პოეტი უგ-
ზავნიდა დეპეშებს მიხეილ კალინინსა
და ესტონეთის უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმს, მაგრამ ისინი მხოლოდ დუმი-
ლით პასუხობდნენ. ასე იყო თუ ისე, ის
სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

განუსაზღვრელი იყო პოეტის სიყვა-
რული მშობლიური ჩრდილოეთისადმი,
სწორედ ამიტომ აირჩია იგორ ლოტე-
რევმა სევერიანინის, ანუ ჩრდილოე-
ლის ფსევდონიმი. ის ლრმად ტრაგი-
კული პიროვნება გახლდათ, ბავშვო-
ბიდან უამრავი უბედურების გადატანა
მოუხდა და რა თქმა უნდა, განვლილმა
ცხოვრებამ მოუშუშებელი კვალი დააჩ-
ნია მის პოეზიასაც.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობ-
და, ხელოვნება პოზააო. დიახ, სწორედ
რაღაც გარკვეული პოზა დაიჭირა იგორ
სევერიანინმა რუსულ პოეზიაში. და ეს
პოზა იყო ირონია! როგორც რუსი ლი-
ტერატურათმცოდნები ამბობენ, მან
აიფარა ნიღაბი. მაშინ, როცა ჯერ კი-
დევ რუსეთში ცხოვრობდა, მის შემოქ-
მედებას მყარად შეერწყა ორი სიტყვა –
„ირონიული ლირიკა“. ამის დასტურად

ვალერი ბრიუსოვის 1916 წელს დაწერილი წერილის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: „ხშირად იოლი არ გახლავთ გაარჩიო, იგორ სევერიანინთან სად არის ლირიკა და სად ირონია. ყოველთვის არ არის გარკვეული, ირონიულად აღწერს თუ არა პოეტი ადამიანურ უხამსობას! ან, უკაცრავად პასუხია, თვითონ ეფლობა თუ არა მონამეობრივ უხამსობაში და გვეეჭვება, რომ თვით იგორ სევერიანინიც კი შეძლებდა ზუსტი სადემარკაციო ხაზის გავლებას მათ შორის“. და ამას წერდა ვალერი ბრიუსოვი, რომელიც მაღალფარდოვნად აღნიშნავდა: „**Кругом талантливые
трусы, // И обнаглевшая бездарь, //**
**И только я Валерий Брюсов // Как
некий важный государь**“: და რომელსაც ირონიული პასუხი გასცა იგორ სევერიანინმა ამ ლექსით: „**Я гений
Игорь Северяни, // Своей победой
упоен. // Я повсеградно оекранен! // Я
повсесердно утвержден!**“

ირონია, რა თქმა უნდა, მისი პოეტური სტიქის ერთი მხარეა, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მხარე ლირიზმია, აღნიშნავს იგივე ბრიუსოვი. მაგრამ მის შემოქმედებას მესამე მხარეც აქვს – მისი ლირიკა მეოცნებებ პოეტის ლირიკა და ისიც ალსანიშნავია, რომ ალექსანდრ ბლოკი მას „გულლია პოეტს“ უწოდებდა. ვერ გეტყვით, თვითონ სევერიანინი, რას ფიქრობდა, როცა „იასამნის ნაყინსა“ ან „შამპანურში ჩაწყობილ ანანასებზე“ წერდა; რატომ ატრიალებდა სხვადასხვა ლექსში ფრაზას „კვადრატთა კვადრატი“?! მე ამას, რა თქმა უნდა, ჩემებურად ვხსნი, მაგრამ ახლა უნდა მის ყველაზე სკანდალურ ლექსს „ეპილოგს“ მივუბრუნდე. ამ ლექსში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკუთარი გამარჯვებით აღფრთოვანება ზედაპირულია. აღსანიშნავია თვითონ პოეტის თვითგანსჯა: „**და აღმო-
დება ავდრიან დლეში // მზესავით ჩემი
მარადი სული**“. მაგრამ ვერც მკითხვე-

ლი და ვერც ლიტერატურის კრიტიკოსები ვერ მიხვდნენ, რომ სევერიანინის პათოსი საკუთარი თავის ქება კი არა, პირიქით, საკუთარი არსებობის შემწყნარებლობაა. „**არც ვინმეს ვასწავლი,
არც ვინმე მასწავლის... //** უგვანთა ძმა
და ძმობილი დიადთა, // მივდივარ იქით,
სად სიტყვა ახალი // ქოხების ენით ამო-
კიაფდა“ (თარგმანი აქაც და სხვაგანაც ჩემია. ნ. ქ.), – წერს ის.

დიახ... და თუ წინასწარგანზრახვით არ წავიკითხავთ აღნიშნულ სტრიქონებს, სრულიად სხვაგვარად შევხედავთ მას და ლექსი, რომელიც ეპატაზად გვეჩვენებოდა, აღიმება, როგორც თვითუარყოფა. ის საკუთარ თავს სამყაროს ნანილად მიიჩნევს და ეს არც არის გასაკვირი. ესეც ავანგარდიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ერთხელ ქალაქ ტარტუში სევერიანინს ახალგაზრდა თაყვანისმცემელმა „ეპილოგის“ წაკითხვა სთხოვა, მან კი უპასუხა: „ამ ლექსის კითხვა აქ უადგილოა. ეს ლექსები სულელებისთვისაა განკუთვნილი“. დიახ, ასე „**Это стихи для дураков!**“ ეს მისეული შეფასება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სევერიანინის ლექსთა ირონიულობას. და სამართლიანად აღნიშნავს რუსული ლიტერატურული კრიტიკა, რომ ის პიროვნებათა წინააღმდეგ კი არა, მოვლენათა წინააღმდეგ არის მიმართული.

შეიძლება ითქვას, რომ იგორ სევერიანინმა თავისი სამყარო და საკუთარი თავიც კი გამოიგონა. და ეს თვითონვე აღნიშნა ერთ-ერთ ლექსში, რომლის სტრიქონებსაც პწკარედის სახით შემოგთავაზებთ: „**რეალურად რომ არ მოგატყუოთ, მე ფანტაზიით გატყუებთ.**“, ანუ ვფანტაზიორობო. და მის ლექსთა, ერთი შეხედვით, მშვიდ და უზრუნველ სამყაროში, რომელშიც ის თითქოს ცხოვრობს, უეცრად გაჩნდება ისეთი ტრაგიზმი და ტკივილი, რომ ხშირად ამოსუნთქვაც კი ჭირს. ეს უთუოდ პოეტის წინათგრძნობას ჰეგავს, იმ დროის წინასწარ შეგრძნებას,

რომელმაც მთელი სამყარო თავდაყირა დააყენა. და ისევ პწკარედული თარგმანი აღნიშნულის დასტურად: „შენი სულის თვალი მხოლოდ სასულიერო პირთა და-სის საშინელ ჩვენებებს ხედავდნენ... // დამსაჯე! მტანჯე და მანამე! დამახრჩე! – მაგრამ უნდა მიმიხვდე სულის ტყვეო-ბას, იგრძნო ლირის ხარხარი; შენი სულის თვალებით უნდა იხილო ყოველი!“

პოეტის ამ ტკივილთან არავითა-რი საერთო არა აქვს ეგოფუტურიზმს. ფუტურისტობა მისი ცხოვრების მხო-ლოდ ხანმოკლე ეპიზოდი იყო. 1924 წელს იგორ სევერიანინი თავის „მოგო-ნებებში“ წერდა: „ჩემი ეგოფუტურიზ-მის ძირითადი ლოზუნები იყო: 1. სუ-ლი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტე-ბა; 2. პიროვნების თვითდამკვიდრება; 3. სახელის ძება ძველის უარყოფის გარეშე; 4. გააზრებული ნეოლოგიზმე-ბი; 5. თამამი სახეები და მეტაფორები (ასონანსები და დისონანსები); 6. ბრძო-ლა „სტერეოტიპებთან“ და „მხატვრულ თავსართებთან“; 7. „მეტრთა მრავალ-ფეროვნება“.

როგორც დავინა-ხეთ, იგორ სევერი-ანინს პირველ ად-გილზე მაინც სული-ერი სიღრმეები და მათი ემოციური შეგ-რძნება ჰქონდა და-ყენებული. ეგოფუ-ტურისტებისთვის კი ლექსის გარეგნული მხარე, მისი ფორმა იყო მთავარი. თუმ-ცა ისიც ნუ დაგვა-ვინყდება, რომ ლექ-სის მუსიკას, ანუ კე-თილმოვანებას მის-თვის უდიდესი მნიშ-ვნელობა ჰქონდა. იგორ სევერიანინი ლექსებს არცთუ იშ-ვიათად უძლვნის მუ-

სიკოსებს, საერთოდ – მუსიკას... ასე-თებია, მაგალითად, მიძლვნა შოპენი-სადმი, ლექსები „გრიგი“, „ნოქტიურნი“, „ვერცხლის სონატა“ და მრავალი სხვა. ამ ლექსებში პოეტი ცდილობს დაუახ-ლოვოს ასო-ბგერა მუსიკალურ ბგერას, თავისებურად გაიაზროს მუსიკის სუ-ლი, რომელსაც ენობრივი ბარიერი არა აქვს და ლექსი უთარგმნელადაც ბგე-რების მეშვეობით გახადოს გასაგები. ჩემი მოსაზრების დასტურად მოვიყვან ერთ ლექსს, რომელსაც „რითმოდი-სო“ ეწოდება: „**Вдали, в долине играют Грига.** // **В игранье Грига такая нега.** // **Byалит негой фиордов сага.**“. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. არ ვიცი, თქვენ ამ რამდენიმე სტრიქონიდან შეიგრძე-ნით თუ არა იგორ სევერიანინის მიდ-რეკილება – გამოხატოს სიტყვის მუ-სიკა და თან არ აცდეს იმ მუსიკოსის შინაგან რიტმს, რომელსაც ლექსი ეძ-ლვნება, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ კონ-კრეტულ შემთხვევაშიც და სხვაგანაც მისი ალლო უტყუარია.

საინტერესოა მის მიერ თანამოკალ-



მეთა შემოქმედების შეფასებები, ანუ მიძღვნები ლექსად. ასეთებია ლექსები: „გოგოლი“, „ფეტი“, „ფოფანოვი“, „სოლოგუბი“, „გუმილიოვი“, „შექსპირი“ და თქვენ წარმოიდგინეთ, „იგორ-სევერიანინიც“. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მისი ავტოპორტრეტია. ალნიშნული ლექსის ანალიზით თავს არ შეგანყენთ, მაგრამ მის ორ პირველ სტრიქონს აუცილებლად უნდა შევეხო, რადგან აქ ის აცხადებს: „იგორ სევერიანინი იმითაა მომხიბლავი, რომ ის სულაც არ ჰგავს იმას, რასაც მასზე უგულო ბრბო ფიქრობს. სხვათამორის, უნდა ითქვას, რომ მისი სული მეტად უბრალო და სადაა, ზუსტად ისეთია, როგორც გაზაფხული, მაგრამ ვინ იცის ეს?“ პოეტი თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს, რადგან, ჩვენი აზრით, გარედან უყურებს და ხედავს საკუთარ თავს.

ის თავის ლექსთა სათაურებს ხშირად – ერთგვარად უცნაურ თავსართს – „პოეზის“ ურთავდა, არა „ლექსი მთავრობას“, ან „ლექსი ცნობილ ქალბატონს“, ანდა „თანაგრძნობის ლექსი“, არამედ „პოეზია მთავრობას“, „პოეზია ცნობილ ქალბატონს“, „თანაგრძნობის პოეზია“ და ასე შემდეგ. ამ ლექსს აუცილებლად უნდა შევეხო და თუ თავს არ შეგანყენთ, ჩემეულ თარგმანს შემოგთავაზებთ: „მთელი გულით, მთელი არსით // შეიცოდეთ სენთან მბრძოლნი, // არ დაარქვათ უცხო არვის, // უცხოს უცხოდ ნუ თვლით ხოლმე. // ხეიბარი თუ ხელს გინვდის, // როგორც დედას ჩვილი შვილი – // დე იხილოს კაცში კაცი, // შეაშველე გული ფრთხილად... // და იმედით ამოავსე // უიმედო გულის ოხვრა – // მომაკვდავი კვლავ რომ ალსდგეს // და სინათლე გარდამოხსნას. // ვფიცავ, თქვენვე გაიხარებთ, // თქვენვე იგრძნობთ ძალას ლვთისას, // თქვენთან ერთად გაბრწყინდება // სევდიანი დედა-მიწა“. ასეთი იყო იგორ სევერიანინი და

ეს სულაც არ არის პოზა, არც მხოლოდ ლექსის მუსიკალობისკენ სწრაფვაა... თუმცა, სამწუხაროდ, მან ვერავისგან მიიღო თანაგრძნობა... ეს უკვე ბედის-წერაა, როცა ადამიანს იმის საწინააღმდეგოდ ექცევა სამყარო, რასაც მთელი სიცოცხლე ქადაგებს.


აქვე მინდა დავამატო, რომ იგორ სევერიანინი პოეზია-კონცერტების დიდოსტატი გახლდათ. გასული საუკუნის დასაწყისის რუსეთში ე. წ. პოეზია-კონცერტები მეტად პოპულარული იყო, მასში მონანილეობდნენ: ალექსანდრ ბლოკი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ვალერი ბრიუსოვი, ნიკოლაი გუმილიოვი და მრავალი სხვა. მათ შორის მარგალიტივით ბრწყინავდა იგორ სევერიანინი მომხიბლავი ხმითა და არტისტული მანერით.

ასეთი პოეტური საღამოების ტრადიცია ჩვენშიც იყო, აი, სულ ახლახანს, რაღაც 20 წლის წინათ. სამწუხაროდ, ეს ტრადიციაც, როგორც მრავალი სხვა რამ, მოიშალა (ეს ისე... ცოტა გადავუხვიე სათქმელს).

იგორ სევერიანინი 1941 წელს, 22 დეკემბერს გარდაიცვალა. ჩრდილოელ ხალხში არც ისე ხშირია ნოსტალგია, ის კი ბოლო წლებში ნოსტალგიით იტანჯებოდა, ენატრებოდა რუსეთი, ენატრებოდა მშობლიური პეტერბურგი, იტანჯებოდა იმიტომ, რომ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა რუსეთის საზღვრებს გარეთ, ესტონეთში დასასვენებლად ჩასულ სამშობლოში დაბრუნება არ ეღირსა, საზღვრები ჩაკეტეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა მე ესტონეთში მოვხვდი, სპეციალურად ჩავედი ტოილა-ორუში, რომელსაც პოეტი ესტ-ტოილას ეძახდა, შესაძლოა, მას ადრე ასეც ერქვა, არ ვიცი. სამწუხაროდ, იქ არავინ იცოდა, სად ცხოვრობდა სევერიანინი და საერთოდ, ვინ იყო ის.

ივან გოლი



ერთი დღე გენიოსის ცხოვრებიდან

ივან გოლი (1891–1950) – ებრაული წარმოშობის გერმანელი ბილინგვა (წერდა გერმანულ და ფრანგულ ენებზე) ექსპრესიონისტი და სიურრეალისტი მწერალი – დაიბადა 1891 წლის 27 მარტს ფრანგულენოვან ებრაულ ოჯახში, სენტ-დიეში (ვოგეზები). ბავშვობა და სიყრმე გაატარა ქ. მეცპი. 1871 წლიდან ქალაქი მეცი გერმანული რაიხის მიერ იყო ოკუპირებული. ამდენად ივან გოლი თანაბრად ეზიარა ფრანგულ და გერმანულ კულტურულ სამყაროს. დაამთავრა სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 1914 წელს დასახლდა შვეიცარიაში; პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1919 წლიდან 1939 წლამდე, პარიზში ცხოვრობდა, ამას მოჰყვა ემიგრაციის წლები აშშ-სა და კუბაზე. 1945 წელს იგი კვლავ პარიზში ბრუნდება, სადაც 1950 წლის 27 თებერვალს გარდაიცვალა.

ივან გოლი არის ავტორი უალრესად თავისებური და თავისთავადი (როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით) დრამების, ლექსების, რომანებისა და ესეებისა.

1919 წელს კურტ პინთუსის მიერ გამოცემულ ანთოლოგიაში „კაცობრიობის დალუპვა“ („Menschheitsdämmerung“) გამოქვეყნდა ივან გოლის ამავე სახელწოდების ლექსების ციკლიც.¹ ანთოლოგიის დანართი შეიცავს ექსპრესიონისტ პოეტთა ბიოგრაფიებს. ივან გოლის ბიოგრაფიის ავტორი თავად მწერალია. გთავაზობთ ამ საკმაოდ არაორდინარულ ტექსტს, რომელიც პოეტის კრედოს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ბიოგრაფიას: „ივან გოლის არა აქვს სამშობლო: ბედით ებრაელი, შემთხვევის ძალით საფრანგეთში დაბადებული, ბეჭდიანი ქალალდით კი გერმანელად აღრიცხული. ივან გოლის არა აქვს ასაკი: მისი ბავშვობა სისხლისგან დაცლილმა უხუცესებმა შეიწოვეს. ყმანვილს მზაკვრულად კლავდა ომის ღმერთი. რამდენთა სიცოცხლეა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი გახდე. მარტისული და კეთილი, დადუმებული ხეებისა და უტყვი ქვების მსგავსად: აქ იქნებოდა ადამიანი უფრო შორს ყოველივე მიწიერისაგან და ყველაზე ახლოს ხელოვნებასთან“.

1949 წელს, სიცოცხლის დამლევს, უკვე მძიმედ დაავადებული ივან გოლი წერს: „ჟან-სან ტერი კვდება ფრანგული გულით, გერმანული სულით, ებრაული სისხლითა და ამერიკული პასპორტით“. „Jean-sans-Terre“ – ივან გოლის უკანასკნელი ლექსების კრებულის გმირიც არის და მისი სათაურიც; რაც თარგმანში ნიშნავს „უმინანყლო ჟანი“ (ჟანი – იგივე ივანი).

XX საუკუნის 20-იან – 30-იან წლებში ივან გოლი ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ პირველი გერმანული თარგმანის რედაქტორი იყო და დიდი ირლანდიელის მდივანიცა და მეგობარიც. 1932 წელს გერმანულ ჟურნალში „Der Querschnitt“ (№12) ივან გოლმა გამოაქვეყნა მეტად თავისებური ესეი ჯეიმზ ჯოისზე სათაურით „ერთი დღე გენისის ცხოვრებიდან“.

სავარაუდოდ, წყარო საკმაოდ ავთენტურია და ესეიში ჯოისის პარიზული ცხოვრების რიტმი და რეჟიმი ადეკვატურად არის გადმოცემული.

ჯ. ჯ., ისევე როგორც ყველა ბურუუა, რვის-ნახევარზე დგება. ფოსტაზე ფიქრობს, მაგრამ ეს მას მხოლოდ ტვირთად აწვება. ჩუსტებს იცვამს. შემდეგ შემოაქვთ ცხელი შოკოლადი ერთადერთი ფუნთუშით. ლანგარზე Daily Mail-ი და Le Journal-ი უნდა იდოს, ამას ხომ სულ ეუბნება მოახლე გოგონას, მაგრამ გაზეთები კვლავაც ბავშვებს აუწაპნიათ. ჯორჯოს, დამწყებ ტენორს, აინტერესებს, როგორ ჩატარდა გამოცდები კონსერვატორიაში, ლურია კი, რომელიც მოცეკვავეა, საღამოს კინოში აპირებს წასვლას. ჯ. ჯ. დარბის თავის ბინაში და გაჰყიურის, სად არის Daily Mail-იო. სამზარეულოში დგას მადამ ჯ. და ათანხმებს მენიუს სადილისათვის: „ჩემი მეუღლე ამ დღეებში ისევ ცოტას ჭამს. მარი, ჩვენებური უგრეხელი უნდა მოვხარშოთ – მისი საყვარელი კერძი. როცა ინგლისში ვართ, მას ისედაც ვერ ვუმზადებთ, რადგანაც უგრეხელი, რომელიც კაიროდან შემოაქვთ, იქ ცუდი ხარისხისაა. ის კი მწვანე უნდა იყოს. მაშ, უგრეხელის წვნიანი, მარი...“

ჯორჯო აღმავალ და დაღმავალ გამებს მღერის.

ლურია Grand Ecart-ს ვარჯიშობს, მარი თევზებსა და ჭიქებს ანკრიალებს, მადამ ჯ. დერეფანში გაზის მოხელეს ეჩხუბება, ხოლო ჯ. ჯ. წერს, წერს თავის ახალ წიგნს, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურაში რევოლუციას მოახდენს.

ის ნახევრად ბრმაა. ორი სქელი სათვალე უკეთია ერთმანეთზე დაკოსებული და, თუ ლათინური ტექსტის წაკითხვა სურს, მონოკლსაც იბჯენს მარცხენა თვალთან. ათასი წიგნი უნდა შეისწავლოს, სანამ თავის ახალ ნაწარმოებს დაასრულებს, რომელიც ათი წლის წინ დაიწყო. საწერ მაგიდაზე წვრილი ასოებით გავსებული ფურცლები აწყვია, წითლად, მწვანედ, ლურჯად ხაზგასმულები. ხელნაწერი ფურცლები სტატიკურ ცხრილებს ანდა ბავშვის ნახაზებს წააგავს.

1-ელ საათზე უგრეხელის წვნიანი – ჭეშმარიტად ბურუუას სადილი.

2 საათზე სამუშაო გრძელდება. ბავშვები გაკვეთილებზე მიდიან. ცოლი – მაღაზიაში. მადამ ჯ. განსაკუთრებით ქუდების ფასებზე წუნუნებს.

3 საათისათვის მოდის ვიღაც უურ-

1 ერთი ლექსი ამ ციკლიდან, „ლტოლვის ქარავანი“ დაბეჭდილია 1924 წლის ჟურნალ „კავკასიონში“, №1-2. აქვე, რუბრიკით „ექსპრესიონისტები“, დაბეჭდილია სხვა ექსპრესიონისტ პოეტთა – ვალტერ კაზენკლევერისა და ერნსატ დრემის გრიგოლ ცეცხლაძისეული თარგმანები. ივან გოლის ლექსების მთარგმნელია ვალერიან გაფრინდაშვილი (ხელმოწერილია ფსევდონიმით ტრისტან მაჩაბელი). ექსპრესიონისტ პოეტთა ლექსების თარგმანებს წამდლვარებული აქვს გრიგოლ რობაქიძის ძალზე საინტერესო თეორიული ხასიათის წერილი „ექსპრესიონიზმი“. ის ფაქტი, რომ 1924 წელს. ქართული უურნალი ეხმაურება ორიოდე წლის წინ გამოცემულ გერმანულ ანთოლოგიას და თარგმნის ავანგარდისტ პოეტებს, აშკარად მეტყველებს, თუ რა აქტიური ლიტერატურული საქმიანობით ცხოვრობდნენ ქართველი მწერლები XX საუკუნის პირველ მეოთხედში, მანამ, სანამ ბოლშევიკები პროლეტკულტელთა მეშვეობით განახორციელებდნენ ტერორსა და დიქტატს კულტურის ყველა სფეროზე (რედ.).

ნალისტი, რომელსაც არ მიიღებენ.

5 საათისათვის კი ბიოგრაფი და კრიტიკისი, რომელიც ლონდონის ერთ-ერთი რევიუსათვის წერილს წერს ჯ. ჯ.-ზე. ნაშუადღევის ფოსტას მთელი დასტა მოჰყვა ამონაჭრებისა იმ პროცესის შესახებ, რომელიც ამერიკაში ოსტატის უკანასკნელი რომანის გამო გაიმართა. ჯ. ჯ. მნარედ იცინის ადამიანთა უმეცრებაზე. ეს მისი საყვარელი გართობაა.

მეორე გართობა-მეგობრობაა. ჯ. ჯ.-ს მეგობარი ცოტა ჰყავს, მაგრამ რა მეგობრები! ყველანი მისი მშობლიური ქალაქიდან არიან და მისი ბავშვობიდან. ოთხი მათგანი ცნობილია: საოპერო მომღერალი სალივანი, ირლანდიელი მხატვარი თიუპი და ორი ირლანდიელი პოეტი – პედრაიკ კოლამი და ჯეიმზ სტივენსი. ჯ. ჯ., გაძევებული თავისი ქალაქიდან, ევროპის მარადი მოხეტიალე, დევნილი, მთელი თავისი არსებით ებლაუჭება ოჯახს, სამშობლოს, ტრადიციას. ჯ. ჯ., რომელსაც ოდესაც, ვიდრე წერას დაიწყებდა, საოპერო ტენორი უნდოდა გამხდარიყო, გულისამაჩუყებელი მგზნებარებით ეხიდება თავის თანამემამულე სალივანს, რომელიც ცოტა ხნის წინ პარიზის ოპერაში მიინვიეს. იქ ის ტელს და მხოლოდ ტელს მღერის, მაგრამ ჯ. ჯ.-ს ჯერჯერობით ოცი ჩატარებული წარმოდგენიდან ერთიც არ გაუცდენია. ყველა თავის ნაცნობს ჯ. ჯ. უკვეთავს სტატიებს სალივანზე, მაშინ, როდესაც თვითონ ცივად და მტრულად იგერიებს ყოველ მცდელობას საკუთარი წარმოების ხელიდან გაშვებისა. როცა თიუპი მათთან არის, ოჯახის ერთ-ერთ წევრს ხატავს. ჯ. ჯ.-მ სხვა მხატვარს თავისი პორტრეტი არ დაახატინა. მამამისისა და დედამისის თიუპისეული პორტრეტები მისთვის ერთადერთი ხატებაა. როცა პედრაიკ კოლამი პარიზშია, ორივენი ხანგრძლივა და თბილ სალამოებს ატარებენ ერთად.

ჯ. ჯ. ცრუმორწმუნეა. მას სწამს თა-

რილთა კანონის, სიტყვათა ბედისწერის.

ჯ. ჯ. სტივენსზე ამბობს, ჩვენ ერთსა და იმავე ქალაქში ერთსა და იმავე დღის ერთსა და იმავე საათს დავიბადეთ და ერთი სახელი დაგვარქვესო – ჯეიმზი.

სოლიდარობისა და სიყვარულის გამო ამ ცოტა ხნის წინ ჯ. ჯ.-მა ლირიკოსის ექვსსტრიქონიანი ლექსი თარგმნა ექვს ენაზე: ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად, ნორვეგიულად და ლათინურად.

ამ ლექსის გერმანული ჯოისისეული თარგმანი:

Der Wind stand auf, ließ los einen Schrei,
Pfiff mit den Fingern schrill dabei.

Wirbelte dürres Laub durch den Wald,
Und hämmerte Äste mit Riesengewalt.
Zu Tod! heult er. Zu Tod und Mord!

Und meint es ernst: „Ein Wind ein Wort!“

ქარი წამოდგა, მორთო ყვირილი,
თითით ატეხა მჯექარე სტვენა.

ტყეში არია ხმელი ფოთლები,
გოლიათივით ტოტებსა სცემდა.
თან გაჰყვიროდა: „ჩავქოლოთ!
მოვკლათ!“

ქარი მართლაც რომ ასე ფიქრობდა,
ფიქრობდა, რადგან „ქარი არ
სიტყვა!“

თუკი ჯ. ჯ. სალამოს ოპერაში არ მიდის, გრამოფონს რთავს, ოლონდ რუსული ენის შესასწავლად, თუმცა, შესაძლოა, ჯორჯო ისევ ხმამალლა ვარჯიშობდეს ანდა ლუჩია თავის მეგობარ გოგონებთან ერთად რუმბას ცეკვავდეს ან მადამ ჯ.-მ მთქნარებით თქვას: „უკვე ათი საათია. უნდა დავიძინოთ!“

და ყველაზე აგრესიულ, ირონიულ, მნარე მწერლად, პორნოგრაფად დალდასმული, რევოლუციონერად გამოცხადებული, მრავალი ქვეყნის ცენზურის მიერ აკრძალული ჯეიმზ ჯოისი დასაძინებლად მიეშურება.

გერმანულიდან თარგმნა
მანანა პაიჭაძე



სვამი ვივეკანანდა

იცხოვრე შინაგანი სამყაროთი

სვამი ვივეკანანდა (ნარენდანატჰ დატჰ – XIX საუკუნის ინდოელი ფილოსოფოსი და სულიერი მოძღვარი, ინდოეთის თვალსაჩინო ფიგურა და ცნობილი მოღვაწე, ახალი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეა. მას იცნობენ, როგორც „ერთს მამას“. ვივეკანანდას ნააზრევმა უდიდესი გავლენა იქონია ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ინდური ფილოსოფიის განვითარებაზე. 1893 წელს ჩიკაგოში, „რელიგიათა პარლამენტის“ წინაშე, ვივეკანანდამ წარმოთქვა სიტყვა, რამაც მსოფლიო აღიარება მოუტანა. მან ლექციებით შემოიარა ამერიკა და მთელი შემოსული თანხა გაჭირვებულ თანამემამულეებს გაუგზავნა. ამერიკელები მას უწოდებდნენ „ორატორს ღმერთის უფლებებით“.

გთავაზობთ სვამი ვივეკანანდას სიტყვას, რომელიც 1900 წელს კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესში წარმოთქვა.

„ოკეანის თავზე აღმართულ ტალღას სიცარიელე შთანთქავს. შემდეგ წარმოიქმნება ახალი, შესაძლოა, პირველზე უფრო დიდი ტალღა, რომელიც ასევე უფსერულში იკარგება. ისევ აღიმართება და წინ მიექანება... მოვლენები ერთმანეთს ცვლიან და ჩვენ თვალს ვადევნებთ აღმასვლებსა და დამხობებს. აღმაფრენებს, ჩვეულებრივ, მაშინ შევნიშნავთ, როგორც კი დაცემა გვავინყდება, მაგრამ ერთიც და მეორეც აუცილებელია, ორივეშია დიდებულება. ესაა სამყაროს საფუძველი. ჩვენი სულიერებისა და სოციალური ცხოვრების სფეროში მოძრაობის იგივე უწყვეტობაა, აღმაფრენებისა და დაცემების უწყვეტობა. წინსვლის პე-

რიოდში ლიბერალური იდეალები, როგორც მოვლენათა შორის უდიადესები, დაცემის, გათავისების, მომხდარის განსჯის, შეგუების, დაგროვების, ძალების მოკრების პერიოდს განიცდიან, რასაც შემდგომი აღმასვლა და აღმაფრენა უნდა მოჰყეს.

ხალხთა ცხოვრება ყოველთვის ასეთი იყო. დიადი სული, მოციქული, რომელსაც დღეს მივმართავთ, თავისი ხალხის ისტორიაში იმ დროს გამოჩნდა, რომელსაც, როგორც დიდ დაცემას, ისე განვსაზღვრავთ. ჩვენ ცოტა რამ ვიცით მისი ნათქვამისა და გაკეთებულის შესახებ, რომელსაც შემთხვევითი ჩანაწერები შეიცავს; ვინაიდან ჭეშმარიტადაა თქმული: თუკი მისი ყოველი

სიტყვა და ყოველი ქმედება იქნებოდა ჩანერილი, მაშინ იგი მთელ დედამიწას შეავსებდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა მთელი ეპოქაა, მოქცეული სამ წელი-წადში, რომლის გააზრებასაც ცხრამეტი ასწლეული დასჭირდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი დასჭირდება. პატარა ადამიანები, ისეთები, როგორებიც მე და თქვენ ვართ, უბრალოდ, უმნიშვნელო ენერგიის მიმღებები ვართ. რამდენიმე წუთი, რამდენიმე საათი, უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე წელიწადი საკმარისია, რომ მთლიანად გახარჯო იგი, მიიღო მთელი ძალა, რომელსაც ფლობს ეს ენერგია და შემდგომში სულ წახვიდე, მაგრამ ის ტიტანი იყო: განვლო საუკუნეებმა და მის მიერ დედამიწისათვის დატოვებული ენერგია ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, არ არის ამონურული ბოლომდე. მისი ძალა წლებთან ერთად მხოლოდ იზრდება.

ახლა კი შევეხებით ქრისტეს ცხოვრებას – ღმერთის განსახიერებას ეპრაელებში. ქრისტეს დაბადებისას ეპრაელები იმყოფებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც მე ორ ტალღას შორის ჩავარდნას ვუწოდებ, კონსერვატიზმის სტადიაში, როდესაც ადამიანურმა გონებამ ამონურა თავისი თავი წინსვლის გაგებით და მხოლოდ მიღწეულით კმაყოფილდებოდა; იმ სტადიაში, როცა მეტი დრო ეთმობოდა დეტალებს, წვრილმანებს და არა ზოგად, გლობალურ პრობლემებს, სტაგნაციის სტადიაში და არა განვითარებისა; როდესაც ჭარბობდა არა პროგრესი, არამედ მხოლოდ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. მინდა აღვნიშნო, მე არ ვადანაშაულებ ამ დროს. ჩვენ არ გვაქვს უფლება მისი გაკრიტიკებისა. თუ არ იქნებოდა ეს დაცემა, არ იქნებოდა არც აღმასვლა, რომელიც განხორციელდა იესო ნაზარეველში.

ყურადღების მეტად გამახვილება ფორმებზე, დოგმებზე, კულტის ყოველდღიურ დეტალებზე, რიტუ-

ალებზე, შეიძლება სასაცილოდაც მოგვეჩენოს, მაგრამ სწორედ მათშია ძალა. როგორც წესი, ფანატიკოსი ლიბერალზე ძლიერია. ფანატიკოსს დიდი ღირსება აქვს, ის დიდ ენერგიას აგროვებს, მაგრამ ენერგია გროვდება, როგორც ცალკეულ პიროვნებაში, ისე მთელ ერში. ყველა მხრიდან მტრით გარშემორტყმული, დათრგუნვილი რომის მიერ, ელინიზმის ინტელექტუალური გავლენისა და ინდოეთის, ალექსანდრიისა თუ სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფი, ფიზიკურად, მენტალურად და ზნეობრივად შეზღუდული. გადარჩა ერი, რომელიც ფლობდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უდიდეს ძალას, რომელიც მისმა შთამომავლობამ დღემდე არ დაკარგა. ყველა ძალ-ღონე მომართული იყო იერუსალიმისა და იუდაიზმის გარშემო ენერგიის კონცენტრაციისკენ, მაგრამ ერთხელ, ერთ ადგილას დაგროვილი ძალაც შეიძლება დარჩეს უცვლელი. მან ენერგია თავისთვის უნდა გახარჯოს და დაგროვოს. არ არსებობს დედამიწაზე ენერგია, რომელიც გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. ის არ შეიძლება დიდ ხანს იყოს შეზღუდული, ბოლოს მაინც გათავისუფლება.

ეპრაელ ხალხში კონცენტრირებულმა ამ ენერგიამ თავისი გამოხატულება ქრისტიანობის პერიოდში პპოვა. დაგროვილი დინებები სხეულში შეხვდნენ. ნელ-ნელა ისინი ერთ დინებას შეუერთდნენ და ტალღად აღიმართნენ, რომლის მწვერვალზეც ამაღლდა იესო ნაზარეველის პიროვნება. ამგვარად, თითოეული წინასწარმეტყველი თავისი დროის, თავისი ხალხის ისტორიის ქმნილება, მაგრამ ის თავისთავად გახლავთ მომავლის შექმნელი. დღევანდელი არსებობა – ეს წარსული ძალისხმევის შედეგი და მომავლის დაბადების მიზეზია. ასე უნდა განვიხილოთ მოციქული. მასში განხორციელებულია ყველაფერი, რაც დიდებულია

და მშვენიერი, ის, რაც მის ხალხს ახა-
სიათებს – ცოდნა, სიცოცხლე, რომ-
ლისთვისაც საუკუნების მანძილზე
იბრძოდა, თვითონ კი მომავლის იმ-
პულსია, არა მხოლოდ ერთი, არამედ
მრავალი ერისა, მაგრამ ჩვენ მხედვ-
ელობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: ჩემი
შეხედულება ნაზარეველ დიდებულ წი-
ნასწარმეტყველზე – ეს აღმოსავლეთის
მცხოვრების თვალთახედვაა. თქვენ
დიდი ხანია დავინწყებული გაქვთ, რომ
ნაზარეველი თავად იყო აღმოსავლეთის
წარმომადგენელი. იმის მიუხედავად,
რომ გამოვსახეთ ცისფერთვალება და
ქერათმიანი, ის მაინც აღმოსავლეთის
ადამიანია. ყველა შედარება, ბიბლიის
სახეები, დეკორაციები, ადგილმდე-
ბარეობა, ურთიერთობა, კატეგორიები,
პოეტიკა და სიმბოლიკა – თქვენ აღ-
მოსავლეთზე გესაუბრებიან. გაბრწყ-
ინებულ ცაზე, სიცხეზე, მზესა და უდ-
აბნოზე, მწყურვალ ადამიანებსა და
ცხოველებზე, ცხვრის ფარებზე, მიწათ-
მოქმედებზე, ირგვლივ გაშლილ ველე-
ბზე; წყლის წისქვილებზე – ყველაფერ
იმაზე, რასაც ახლაც ვხედავთ აზიაში.

აზის ხმა – რელიგიის ხმაა, ევ-
როპის ხმა პოლიტიკისა. ორივე თა-
ვისთავად დიდებულია. ევროპის ხმა –
ეს უძველესი საპერძეოთის ხმაა.
ბერძნებისთვის სიყვარულის საგანი
უშუალოდ მათი საზოგადოება იყო.
ყველაფერი, რასაც ბერძნები თვითონ
აკეთებდნენ, სწორად ითვლებოდა,
ხოლო ყველაფერი, რაც სამყაროში
მათ მიღმა არსებობდა, ითვლებოდა სი-
ცრუედ, უზნეობად და არ ჰქონდა არსე-
ბობის უფლება. ისინი ძალიან ძლიერე-
ბი იყვნენ ადამიანური თვისებების
გამოვლინებები, ძალიან ბუნებრივები,
ძალიან არტისტულები. ბერძნები სრუ-
ლყოფილად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე.
ისინი არ ოცნებობდნენ. მათი პოეზი-
აც კი პრაქტიკულია. მათი ღმერთები
უბრალოდ ადამიანები კი არ არიან,
არამედ ადამიანები ყველა იმ ვნებითა

და გრძნობით, რომლებიც თითოეულ
ჩვენგანშია. მათ უყვარდათ მშვენიერი,
მაგრამ გარმუნებთ, მხოლოდ გარე-
განი გამოვლინებებით: მთების, თოვ-
ლის, ყვავილების, ფორმებისა და ფიგ-
ურების, ყველაზე მეტად კი ადამიანის
სხეულის სილამაზით. აი, რა მოსწონ-
დათ ბერძნებს. ბერძნები მთელი ევ-
როპის მასწავლებლები გახდნენ, ევრო-
პა საპერძეოთის ენით ალაპარაკდა.

აზიაში ყველაფერი სხვაგვარადაა.
წარმოიდგინეთ უდიდესი კონტინენტი
– მთის მწვერვალებით, რომლებიც
ღრუბლებს სწვდება და ცისფერ ცას
ეხება, მრავალ მილზე გაშლილი უდ-
აბნო, სადაც ვერც ერთ წვეთ წყ-
ალს ვერ მოიპოვებ. ბალაზე აღარაა
ლაპარაკი, გაუვალი ტყეები და უდიდე-
სი მდინარეები, რომლებიც ზღვისკენ
მიედინებიან. ამ გარემოში აღმოსავ-
ლეთის სიყვარული ამაღლებულისა და
მშვენიერისკენ სხვა მიმართულებით
ვითარდებოდა. ის ვითარდება შინაგა-
ნად და არა გარეგნულად. აქ ასევე
ბუნებისკენ სწრაფვაა, ძალაუფლების
იგივე წყურვილი, რაც ბერძნებსა და
ბარბაროსებს ჰქონდათ, მაგრამ ის
აზროვნების უფრო ფართო სფეროს
იპყრობს. ახლაც კი აზიაში კანის ფერი
და ენა არ განსაზღვრავს ხალხს. ის,
რასაც ხალხი აყალიბებს, რელიგიაა.
ჩვენ ყველა ქრისტიანები ვართ, ჩვენ ყველა
ბუდისტები და ინდუისტები ვართ. არა
აქვს მნიშვნელობა, ბუდისტი ჩინელია
თუ სპარსი, ისინი ერთმანეთის ძმებად
ითვლებიან, მაგრამ მნიშვნელობა აქვს
იმას, რომ ერთსა და იმავე რელიგიას
ქადაგებენ.

რელიგია კაცობრიობის გამაერ-
თიანებელი ძაფია. თუ თემას დავუ-
პრუნდებით, აღმოსავლეთის ადამიანი
დაბადებულია მეოცნებედ, ფანტაზიო-
რად. ჩანჩქერების ხმაური, ჩიტების
ჟღურტული, მზისა და მთვარის, ვარ-
სკვლავების დიდებულება მშვენიერია,

მაგრამ არა საკმარისი აღმოსავლელის ცნობიერებისათვის. მას სურს, არარე-ალურზე იოცნებოს, მას სურს, აწმყოს საზღვრებიდან გავიდეს. აწმყო იმ სახით, როგორითაც არსებობს, არაფერია მისთვის. აღმოსავლეთი კაცობრიობის აკვანია და მისი ბედი ყოველგვარი მოულოდნელობებითაა საგსე. მეფობა მეფობით იცვლებოდა, იმპერია – იმპერიებით. ადამიანური ძალაუფლება, დიდება და კეთილდღეობა – ყველაფერმა აქ გაიარა ძალაუფლების და სწავლების გოლგოთა. ასეთია აღმოსავლეთი – ძალაუფლების, მეფობის, სწავლების გოლგოთა. არა გასაკვირი, რომ აღმოსავლეთის გონება სიძულვილით უყურებს ამ მატერიალურ სამყაროს და სურს სილარიბესა და სიკვდილს შორის რაღაც უცვლელი, რაღაც მადლიანი და მარადიული დაინახოს. რაც შეეხება წინასწარმეტყველებს, აღმოსავლეთის წინასწარმეტყველი არასდროს იღლება, დაიცვას ეს იდეები. ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ ყველა მოციქული აღმოსავლეთის წარმომადგენელი იყო.

ასე რომ, პირველ რიგში, იქსო ნაზარეველია აღმოსავლეთის ნამდვილი, ერთგული შვილი. მას არ ჰქონდა იმის რწმენა, რაც ამ წარმავალ სამყაროს ეკუთვნის. იგი არ იყო სხვა რამით დაკავებული, არ ჰქონდა სხვა გაგება, გარდა იმისა, რომ იგი სულია. ეს იყო სხეულისაგან განცალკევებული, გახსნილი, გათავისუფლებული სული, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია; იგი, თავისი საოცარი განჯვრეტის უნარით დარწმუნებული იყო იმაში, რომ ნები-სმიერი ადამიანი – ქალი თუ მამაკაცი, ეპრალი თუ სხვა, დარიბი თუ მდიდარი, წმინდა თუ ცოდვილი, წარმოადგენს იმ უხრწელი სულის განხორციელებას, რომელიც თვითონაა. ამიტომ, როგორც მთელი მისი ცხოვრებიდან ჩანს, მთელი მისი ძალ-ღონე მიმართული იყო ყოველი არსების სულიერების გაღვიძებისაკენ. მოიშორეთ თავიდან ყოველ-

გვარი ფიქრი თქვენს უსუსურობაზე, – ამბობდა იგი. – იმაზე კი არ იფიქროთ, რომ თქვენ გამცირებენ და გკლავენ, როგორც მონებს, არამედ იმაზე იფიქრეთ, რომ თქვენში არსებობს ისეთი რამ, რაც არ შეიძლება დაამცირო, გათელო და მოკლა. თქვენ ყველა ღმერთის, უკვდავი სულის შვილები ხართ. იცოდეთ, – ამბობდა ის. – ღმერთის სასუფეველი თქვენშია, „მე და მამაჩემი ერთინი ვართ!“ უნდა მოიკრიბო გაბედულება და თქვა არა მარტო ის, რომ: „მე ღვთის შვილი ვარ“, არამედ ისიც, რაც სულის სიღრმეში გვიძევს: „მე და მამაჩემი ერთინი ვართ!“ – აი, რას ამბობდა იესო ნაზარეველი. ის არას-დროს ლაპარაკობდა ამ სამყაროსა და ამ ცხოვრებაზე. მას არ სურდა რაიმეს მოხდენა, მაგრამ სურდა, არსებული სამყაროსთვის ღვთაებრივი სინათლის მიღწევის გზა ეჩვენებინა, ნებისმიერი არსების სულიერი რეალიზაციის გზა, ყოველგვარი ტანჯვისა და სიკვდილის დასამარცხებლად.

ჩვენ წავიკითხეთ ყველაფერი, რაც კი მასზე დაწერილა, ჩვენ ვიცნობთ სქოლასტიკოსებს, მათ შრომებს, მათ უდიდეს კრიტიკას და ვიცით ყველაფერი, რაც შეიძლება მოგვცეს მეცნიერებამ. ჩვენ აქ იმისათვის არ მოვსულვართ, რომ განვიხილოთ, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ახალი აღთქმა და არც იმის განსახილველად ვართ, რამდენად შეესაბამება იქ აღნერილი ამბები ისტორიას. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ახალი აღთქმა იწერებოდა იესოს დაბადებიდან ხუთი საუკუნის შემდეგ და არც იმას, რამდენად რეალურია მისი ცხოვრება, მაგრამ რაღაც ხომ დგას ამის უკან, რის იმიტაციასაც ჩვენ ვცდილობთ. იმისათვის, რომ მოვიტყუოთ, სიმართლის იმიტირებაა საჭირო – სწორედ ეს სიმართლეა ჭეშმარიტება. თქვენ ვერ შეძლებთ იმის იმიტირებას, რაც არასდროს არ ყოფილა და არც არას-

დროს გიგრძვნიათ. უნდა არსებობდეს კონცენტრირებული, კოლოსალური ენერგია, სულიერი ძალის საოცარი გამოვლინება – აი, რაზე ვსაუბრობთ ჩვენ. აი, რა დგას ყველაფერ ამის უკან. ამიტომ ჩვენთვის არაა საშიში სქოლასტიკოსების კრიტიკა. თუკი მე, როგორც აღმოსავლეთის წარმომადგენელს, მინდა მჯეროდეს იქსო ნაზარეველისა, არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა – მჯეროდეს მისი, როგორც ღმერთისა და არა სხვაგვარად. თქვენ გინდათ მკითხოთ, გვაქვს კი უფლება გვჯეროდეს მისი როგორლაც სხვაგვარად? მაგრამ, თუკი ჩვენ მას ჩვენს დონემდე დავიყვანთ და პატივს მივაგებთ, როგორც უბრალოდ გამოჩენილ ადამიანს, მაშინ საერთოდ რატომ უნდა გვჯეროდეს? ჩვენი წმინდა წიგნები გვამწნობენ: „ეს დიდებული შვილები არიან ქვეყნიერებისა, რომელთა მეშვეობითაც შუქი გვეფინება, ვინც თავად შუქია. როდესაც მათ იწამებენ, მაშინ მათთვის ერთადერთი გავხდებით და ისინიც ჩვენთვის ერთადერთი გახდებიან“.

ადამიანი ღმერთს სამი ეტაპის მეშვეობით აღწევს. პირველ ეტაპზე გაუნათლებელი ადამიანი განუვითარებელი ინტელექტით ღმერთს წარმოსახავს, როგორც მსაჯულს, რომელიც მაღლა, ღრუბლებში, სამეფო ტახტზე ზის. ის მას უყურებს, როგორც ცეცხლს, როგორც შიშის ჩამნერგავს და ეს კარგია, ვინაიდან ამაში არაფერია ცუდი. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ კაცობრიობა წინ მიიწევს ჭეშმარიტებისკენ არა გაურკვევლობიდან, არამედ ჭეშმარიტებისკენ ჭეშმარიტებიდან ან, თუ გნებავთ, უმცირესისკენ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საკუთარი ადგილიდან მზისკენ მიემართობით. აქედან მზე ძალიან პატარა ჩანს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უკვე გაიარეთ მილიონი მილი, მზე გაცილებით დიდი გახდა; თითოეულ ეტაპზე მზე სულ უფრო და უფრო დიდი ხდება.

წარმოიდგინეთ, რომ გადაიღოთ მზის ოცი ათასი ფოტო სხვადასხვა წერტილიდან; ყველა ეს ოცი ათასი ფოტო ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება, მაგრამ განა შეძლებთ უარყოთ, რომ თითოეულ მათგანზე მზეა გამოსახული? ზუსტად ასევეა რელიგიის ყველა ფორმა, როგორც უმაღლესი, ისე უმდაბლესი – სხვადასხვა ეტაპების არსია, რომელიც სინათლემდე მიდის, ეს სინათლე კი ღმერთია. ვიღაცას პრიმიტიული გაგება აქვს, ვიღაცას შედარებით მაღალი, ამაშია განსხვავება. ამგვარად, მთელ მსოფლიოში უვიცი მასების რელიგია უნდა არსებობდეს და ყოველთვის არსებობდა კიდეც სამყაროს მიღმა არსებული ღმერთის რწმენა, რომელიც ცაში ცხოვრობს, იქიდან მართავს, კიცხავს ბოროტებას, აჯილდოებს სიკეთეს და, სულიერ განვითარებასთან ერთად, ადამიანი შეიგრძნობს, რომ ღმერთი ყველგანაა, რომ ის შიგნითაა, ის ირგვლივაა, რომ ის სადღაც შორს კი არ არის, არამედ ნებისმიერის სულშია. როგორც ჩემი სული მართავს ჩემს სხეულს, ასევე ღმერთი მართავს ჩემს სულს. სული – სულში. ზოგიერთი პიროვნება, რომელიც საკმაოდ განვითარებული და საკმარისად სუფთაა, უფრო შორს მიდის და ბოლოს და ბოლოს უახლოვდება ღმერთს. როგორც ახალ აღთქმაშია ნათქვამი: „ნეტარ არიან წმიდანი გულით, რამეთუ ისინი ღმერთს იხილავენ“, საბოლოოდ კი ხვდებიან, რომ ისინი და ღმერთი ერთი არიან.

ამ სამ ეტაპს თქვენ დიდი მასწავლებლის სწავლებაში, ახალი აღთქმაში ხვდებით. გაიხსენეთ საყოველთაო ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმიდა იყოს სახელი შენი...“ და ა.შ. – პრიმიტიული ლოცვაა, პავშვური. შენიშნავდით, ეს „საყოველთაო ლოცვაა“, იმიტომ რომ გაუნათლებელი მასებისთვისაა განკუთვნილი. მათთვის, ვინც მეტად განვითარებულია,

ვინც უფრო მაღალ დონეზე ავიდა, მისი სწავლება რთულდება: „მე ვარ მამალმერთში და თქვენ ჩემში ხართ, და მე თქვენში“. გახსოვთ ეს? მოგვიანებით კი, როდესაც იუდეველებმა მას ჰყითხეს – ვინ იყო, მან განუცხადა, რომ ის და მამალმერთი ერთნი არიან. რას გულისხმობდა ამაში? თქვენი ძველი წინასწარმეტყველების მიერ უკვე იყო ნათქვამი: „თქვენ ღმერთები და შვილები ხართ უზენაესისა, ყველა თქვენ“. მაინც მონიშნეთ ყველა ეს სამი ეტაპი. თქვენ აღმოაჩენთ, რომ უფრო მარტივია, დაინტენტო პირველით და დაასრულოთ უკანასკნელით.

მოციქული მოგვევლინა, რათა გზა გვიჩვენოს: არ შეიძლება განვსაზღვროთ სული, არ შეიძლება შევიცნოთ ის ფილოსოფიის ბუნდოვანი ამოცანების გადაჭრისას. უმჯობესია, ვიყოთ წერა-კითხვის უცოდინრები და არც ერთი წიგნი არ გვქონდეს წაკითხული ცხოვრებაში. გადარჩენისთვის საერთოდ არაა აუცილებელი, გვქონდეს სიმდიდრე ან თანამდებობა, ძალაუფლება და ცოდნაც კი, მაგრამ აუცილებელია, გვქონდეს სისუფთავე: „ნეტარ არიან წმინდანი გულითა“, ვინაიდან სული თავისი არსებითაა წმინდა. აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს? ყველაფერი ღმერთისგანაა, ყველაფერი ღმერთისგან მოვიდა – გამოხატული ბიბლიის ენით: „ეს ღმერთის სუნთქვაა“, გამოხატული ყურანის ენით: „ეს ღმერთის სულია“. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ღვთაებრივი სული შეიძლება იყოს უწმინდური. ის, სამწუხაროდ, დაფარულია საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ჭუჭყითა და მტვრით, რომელიც ჩვენი სასარგებლო თუ მავნე მოქმედებების შედეგად დაგროვდა. აუცილებელია მხოლოდ მოვაშოროთ ეს მტვერი და ჭუჭყი და მაშინ სული ისევ გაბრწყინდება. „ნეტარ არიან წმინდანი გულით, რადგან ისინი ღმერთს იხილავენ“. „ღვთის სასუფ-

ეველი ჩვენშია“, რა საჭიროა სადღაც წასვლა, რომ ცათა სასუფეველი ვპოვოთ, – კითხულობდა იესო ნაზარეველი. – როდესაც ის აქაა, ჩვენშია? განიწმინდეთ სული და ნახავთ, ის აქაა, ის თქვენია. როგორ შეგიძლიათ მოიპოვოთ ის, რაც თქვენი არ არის? ის თქვენია კანონიერად, თქვენ მარადიულობის შთამომავლები ხართ, უკვდავი მამის შვილები.

ეს უდიდესი გაკვეთილია, რომელიც მოციქულმა მოგვცა; მეორე, რომელიც ყველა რელიგიის საფუძველია – განდგომაა. როგორ შეიძლება სულიერად უფრო წმინდა გავხდეთ? – მხოლოდ განდგომის გზით. მდიდარმა ყმაწვილმა ჰყითხა იესოს: „კეთილო მასწავლებელო! რა სიკეთე გავაკეთო ისეთი, რომ მარადიული ცხოვრება მომენიჭოს?“ და იესომ უპასუხა მას: „თუკი გინდა, სრულყოფილი იყო, წადი, გაყიდე შენი მამული და დაურიგე ღარიბებს და გექნება სასუფეველში ძვირფასულობა და მოდი და მომყევი მე“. ამ სიტყვების გამგონე ყმაწვილი სევდიანად გაბრუნდა, იმიტომ რომ მას დიდი მამული ჰქონდა. ჩვენ, ყველანი, მეტ-ნაკლებად ვგავართ მას. ხმა ჩვენ დღედაღამ ჩაგვესმის. გართობასა და ყოველდღიურ მინიერ აურზაურში ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი დაგვავინყდა, მაგრამ უეცრად ყველაფერი ჩუმდება და ყურში ხმა ჩაგვესმის: „უარყავი შენი თავი და მომყევი მე!“ მთავარი ის არის, რასაც ქადაგებდნენ ისეო ნაზარეველი და მსოფლიოს უდიდესი წინასწარმეტყველები – განდგომა. რა იგულისხმება განდგომაში? **ძირითადი ზნეობრივი იდეალი – უანგარობა.** იყავით უანგარონი. იდეალი – ეს ანგარების სრული არარსებობაა. თუ ადამიანს მარჯვენა ლოყაში გაარტყამენ, ის მარცხენას მიუშვერს, თუ მას პერანგს წაართმევენ, ის ზედა ჩასაცმელსაც მისცემს.

ჩვენ იმ უმაღლეს საფეხურს უნდა

მივალწიოთ, რომელსაც შევწვდებით და არ დავამდაბლოთ იდეალი. იდეალი კი აი, რაში მდგომარეობს. როდესაც ადამიანში არ არის მისი „მე“, მაშინ იგი არაფერს ფლობს, რასაც შეიძლება „თავისი“ უწოდოს. როდესაც იგი მთლიანად უარს ამბობს საკუთარ თავზე, ანადგურებს მას. ასეთ ადამიანში თავად ღმერთია, ვინაიდან მასში დათრგუნვილი და განადგურებულია საკუთარი ნება. ეს სრულყოფილი ადამიანია. ჩვენ კიდევ არ შეგვიძლია მივალწიოთ ამ დონეს; მოდით, ჯერ ვირწმუნოთ იდეალისა და ვისწრაფოთ იმისაკენ, რომ მივალწიოთ იდეალს. იქნებ, ხვალ ან ათასი წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენ მივალთ იდეალთან, თუმც ეს არაა მხოლოდ მიზანი, ეს საშუალებაცაა. იყო სრულიად უანგარო – სწორედ ესაა გადარჩენა, ვინაიდან ადამიანი კვდება და რჩება მხოლოდ ერთი ღმერთი.

და კიდევ... კაცობრიობის ყველა მასწავლებელი უანგარო იყო. წარმოიდგინეთ მქადაგებელი იესო ნაზარეველი და ადამიანი, რომელიც მასთან მივიდა და ეუბნება: „ის, რასაც შენ ასწავლი, მშვენიერია. მე მჯერა, რომ ამ გზას სრულყოფილებისკენ მიჰყავს და მე მზად ვარ, მივსდიო მას, მაგრამ არ მინდა მჯეროდეს შენი, როგორც ერთადერთი ღვთის შვილისა“. როგორი იქნებოდა იესო ნაზარეველის პასუხი? – „ძალიან კარგი, ძმაო ჩემო, მიჰყევი იდეალს და იარე შენი გზით. მე არ ვარ დახლიდარი და არ ვვაჭრობ რელიგიით, მე მხოლოდ ჭეშმარიტებას ვასწავლი, ჭეშმარიტება კი არ არის ვინმეს საკუთრება. არავის შეუძლია, ფლობდეს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება თავად ღმერთია. იარე წინ“, მაგრამ აი, რას ამბობენ მისი მიმდევრები დღეს: „არა აქვს მნიშვნელობა, ჩემს სწავლებას მიყვებით თუ არა, მაგრამ გჯერათ მისი? თუკი თქვენ გჯერათ მასწავლებლისა, მაშინ გადარჩებით, თუ არ გჯერათ, მაშინ ვერ გადარჩებით“ და

ამით ირყვნება მთელი სწავლება და ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ მასწავლებლის პიროვნების გამო. მათ არ ესმით, რომ ეს თავსმოხვეული გაყოფა ჩირქს სცხებს თავად იმ ადამიანს, რომელიც სურთ, რომ გააკეთილშობილონ, რომელიც სირცხვილისაგან შეცბებოდა, ასეთი იდეისთვის რომ მოესმინა. ღელავდა იგი იმაზე, ემახსოვრებოდა თუ არა ერთ ადამიანს მაინც ის? მას თავისი მისია უნდა შეესრულებინა და შეასრულა კიდეც და ოცი ათასი სიცოცხლეც რომ ჰქონოდა, ყველაზე ღარიბ ადამიანს მისცემდა. მილიონ-ჯერ ეწამებოდა მილიონი სამარიტელის გამო და თუ მის სიცოცხლეზე იქნებოდა დამოკიდებული თითოეული მათგანის შველა, თავს გაწირავდა, მაგრამ სულაც არ ცდილობდა, რომ ამით სახელი გაეთქვა. მას უნდა ემოქმედა უწუმრად, ისე, რომ არავის სცოდნოდა, ღუმილით, ზუსტად ისევე, როგორც ამას უფალი აკეთებს. ახლა კი რას იტყვის მისი მიმდევარი? ის გეტყვით, რომ თქვენ შეგიძლიათ, იყოთ სრულყოფილი და უანგარო ადამიანი, მაგრამ, სანამ არ იწამებთ თქვენს მასწავლებელს, თქვენს წმინდანს, ეს ყველაფერი უსარგებლოა. რატომ? სად არის ამ ცრუნწმენის, ამ უვიცობის სათავე? მიმდევარი ფიქრობს, რომ უფალს მხოლოდ ერთხელ შეუძლია გამოავლინოს თავი. ამაშია მთელი შეცდომა. ღმერთი თქვენ ადამიანში გევლინებათ, ბუნებაში კი ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ, რაც ერთხელ მოხდება, ის ადრეც მომხდარა და მომავალშიც მოხდება. ბუნებაში არაფერი არსებობს ისეთი, რაც კანონზომიერებას არ ექვემდებარება და რასაც ერთხელ ადგილი ჰქონდა, მომავალშიც განმეორდება.

ინდოეთში არსებობს ღვთაებრივი გარდასახვის იგივე იდეა. ასეთი ღვთიური განხორციელების ერთ-ერთი დიდებული მაგალითია კრიშნა, რომლის უდიდესი სწავლებაც, მოცემული ბჟაგავატ-გიტაში,

რომელიც ზოგიერთ თქვენგანს წაუკითხავს, ამბობს: „თუმცა მე ჯერ არშობილი ვარ და ჩემი ტრანსცენდენტური სხეული უხრწნადია, თუმცა მე ყველა ცოცხალი არსების მეუფე ვარ. მე მაინც ყოველ ათასწლეულში ვვლინდები ჩემი პირველ-საწყისი ტრანსცენდენტური ფორმით. როდესაც მიწაზე რელიგია დაცემის პირასაა და უღმერთოება ისადგურებს, მე ვევლინები, რომ გავათავისუფლო მართლმორწმუნები, გავანადგურო ბოროტები, ასევე აღვადგინო რელიგიური პრინციპები. მე თვითონ ჩამოვდივარ მიწაზე ყოველ ეპოქაში“. როდესაც სამყარო დეგრადაციას განიცდის, უფალი საშველად მოდის, დროდადრო იგი ამას სხვადასხვა ადგილას აკეთებს. ის ამ გამოვლინებაზე სხვა წანყვეტში ამბობს: „თუ ოდესმე გაიგებ უდიდეს ადამიანზე, რომ უსაზღვრო ენერგიითა და სინმინდით ადამიანის ალორძინებისთვის იღვნის, იცოდე, რომ ის ჩემი დიდებიდანაა შობილი, რომ მე ვიღვნი მისი მეშვეობით“.

ამიტომ, მოდით, ნუ ვეძებთ ღმერთს მხოლოდ იქსო წაზარეველში, არამედ სხვებშიც ვეძიოთ, რომლებიც მისი წინამორბედები იყვნენ, რომლებიც მის შემდგომ მოვიდნენ და ვინც კიდევ მოვა. ჩვენი რწმენა თავისუფალია და არაფრითაა შებოჭილი. ის ყველა უსასრულო ღმერთის გამოვლინების არსია. ისინი, ყველანი, წმინდა და უანგარონი არიან, ისინი იპროდნენ და ჩვენთვის წირავდნენ ცხოვრებას – მდაბიო არსებებისთვის. ყველი მათგანი ითმენდა ტანჯვას ჩვენი ცოდვების გამოსყიდვისთვის.

სულში თქვენ, ყველა, წინასწარმეტყველები ხართ; თითოეული თქვენგანი წინასწარმეტყველია, რომელსაც მსოფლიო ტვირთი დააქვს თავისი მხრებით. გინახავთ ოდესმე ქალი ან კაცი, რომელსაც ჩუმად და მოთმინებით არ

დააქვს თავისი ცხოვრების ტვირთი? დიდებული წინასწარმეტყველები ტიტანები არაან, მათ უშველებელი სამყარო თავიანთ მხრებზე მოიკიდეს. მათთან შედარებით ჩვენ პიგმები ვართ, მაგრამ, დარწმუნებული იყავით, ჩვენც იმავეს ვაკეთებთ; ჩვენს პატარა სამყაროებში, ჩვენს პატარა სახლებში ჩვენ ჩვენს პატარა ჯვრებს ვატარებთ. არ არსებობს თუნდაც ყველაზე უზნეო, არარაობა ადამიანი, რომელიც თავის ჯვარს არ ატარებდეს, მაგრამ ყველა ჩვენი უარყოფითი თვისებით, ყველა ჩვენი ბრიყვული აზრითა თუ ქმედებით, სადღაც არსებობს ნათელი, არსებობს ოქროს ძაფი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ მუდმივად ვეხებით ღვთაებრივს. თუ ეს შეხება დაიკარგება, მე დანამდვილებით ვიცი, რომ მაშინ ყველაფერი განადგურდება, მაგრამ, ვინაიდან არაფერი ქრება, ესე იგი, როგორი მდაბლები და გარყვნილებიც უნდა ვიყოთ, გულის სიღრმეში იქნება მცირედი ნათელი წერტილი მაინც, რომელიც მუდმივ კავშირშია ღვთაებრივთან.

ჩვენ მივესალმებით წარსულის ყველა წინასწარმეტყველს, ვისი სწავლებაცა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც მემკვიდრეობად მივიღეთ, მიუხედავად მათი რასისა, შეხედულებისა თუ საცხოვრებელი ადგილისა! ჩვენ მივესალმებით ღმერთის მსგავ ქალებსა და მამაკაცებს, რომლებიც კაცობრიობის გადარჩენისათვის მუშაობენ, ვინც უნდა იყვნენ წარმომავლობით, კანის ფერით, ეროვნებით! ჩვენ მივესალმებით მათ, ვინც მოვა მომავალში ცოცხალ ღმერთად, რათა უანგაროდ ვიშრომოთ ჩვენი შთამომავლობისთვის!“

**თარგმნეს თამარ უთმელიძემ და
გურამ კიკაძემ**



ნიკოლო ამანიტი

შივას ქალიშვილი

ნიკოლო ამანიტი დაიბადა ქალაქ რომში 1966 წლის 25 სექტემბერს. 1994 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რომანით „ლაყუჩები“. ამ რომანმა ადგილი დაუმკვიდრა გროტესკისადმი მიღრეკილებით გაერთიანებული ახალგაზრდა იტალიელი მწერლების ე. ნ. „კანიბალების“ გვერდით. 1995 წელს მამასთან ერთად, რომელიც ცნობილი ფსიქოანალიტიკოსი იყო, დაწერა ესეი – „შვილის სახელით“. მასში მამა და შვილი გარდატეხის პერიოდზე საუბრობენ.

ეს ჩემი პირველი მოთხოვბაა. მისი დაწერა ინდოეთში მოგზაურობისას გადავ-წყვიტე. მაშინ დაახლოებით ოცდახუთი წლისა ვიყავი და უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მოთხოვბის წერის იდეა საშინელი მონამვლის შემდეგ გამიჩნდა, როცა ერთი ჭიქა „ლასი“ დავლიერ და სიკვდილს ძლიერ გადავურჩი. სასმელი აიურვედას ტრადიციას მიეკუთვნება და მზადდება იოგურტითა და წყლით. საპირფარეშოში სამი დღის გატარების შემდეგ, რამდენიმე კილოც დავიკელი და ეს ამბავი სამუდამოდ ჩამრჩა გონიერადი.

- ვის უნდა წაკითხო? – მკითხა ერთმა ჩემმა მეგობარმა. მხრები ავიჩეჩე...
- შენ. და თუ წაკითხვას არ ისურვებ, ადრე თუ გვიან, ვინმეს მაინც მოვძებნი.
- ვუპასუხე.

ინდოეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ბინძურ ქუჩებში ნიკონის ფოტოაპარატითა და ჩანთით ხელში ჩასუქებული ამერიკელი ტურისტი ქალი დაეხეტებოდა. ქერა თმები ერთ ნაწილად ჰქონდა შეკრული, თეთრი პირისახე იქაური ველური მზისგან გარუჯვოდა, კუსავით მოხატული მსხვილჩარჩოიანი სათვალეები მიოპიურ თვალებს უფარავდა; უბ-

რალოდ ეცვა – ერთი ცისფერი მაისური და მოკლე კრემისფერი კოლონიური შარვალი, ფეხზე კი – კორპისძირებიანი სანდლები. ჯგუფი, რომელთან ერთადაც გამოემგზავრა სიეტლიდან, მიეტოვებინა, რათა მშვიდად დაეთვალიერებინა ქალაქი და ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. სიცხისა და აურზაურისგან დაღლილი თანამგზავრები კი სასტუმროში

დაბრუნებულიყვნენ, აუზში ბანაობდნენ და ფეხებს იმასაუებდნენ თბილი წყლით. ქალს არ ესმოდა თავისი ამაყი ამხანაგებისა, რომლებიც ყველაფერზე ცხვირს იბზუებდნენ და თავს ინდოელებზე მაღლა იჭერდნენ, გამუდმებით წუწუნებდნენ იქაურ სილარიბესა და ქვეყნის არაჰიგიენურ პირობებზე. მისი აზრით, რასაც ასევე ბევრი სწავლული ამტკიცებდა, ინდოეთი მთელ დედამიწაზე საუკუნეების მანძილზე გამოირჩეოდა თავისი კულტურითა და მონესრიგებული სისტემით. უხერხულობაში ვარდებოდა, როცა მისი მეგობრები უარს ამბობდნენ და არ ეკარებოდნენ ნაციონალურ კერძებს. დაავადების გადადების შიშით ბავშვებიც კი არაფერზე არ კიდებდნენ ხელს. მეგობრების ნამდვილი სახის დანახვამ დიდი გულისტკივილი გამოიწვია ქალში: – რასისტები! – ასე ახასიათებდა მათ. ტანში ურუანტელი უვლიდა და თავს საშინლად გრძნობდა, როცა ხედავდა მათ ქცევებს, აბზუებულ ცხვირებს, ყველაფერი ზიზლს რომ ჰერციდათ.

– ოჳ, ღმერთო, რა საშინელება! ოჳ, ღმერთო, რა საზიზლრობაა! – ამბობდა გულში.

თავად კი მათგან ძალიან განსხვავდებოდა. ინდოეთში სულ სხვა სულით გაემგზავრა. უნდოდა, განეცადა და შეეტოპა იმ სიახლეში, რომელიც საშუალებას მისცემდა, თვალები აეხილა შორეული ქვეყნის სამყაროზე. ეს მოგზაურობა იყო ახალი გამოცდილებისთვის, თვითშემეცნებისა და მომწიფებისთვის, ანუ ერთადერთი გზა ყველაფერი ამის განცდისა. მთავარი იყო, არ შეშინებოდა და გაბედული ნაბიჯები გადაედგა. თუ არადა, რა უნდა დამართონოდა ისეთი?! მაქსიმუმ, შეიძლებოდა, რამე ისეთი ეჭამა და საპირფარეშოში ერბინა, მეტი რა?! ისე, ბოლო პერიოდში, მიუხედავად ინდური კერძების ჭამისა, შეკრულობაც კი დაემართა.

ტურისტმა ქალმა ბევრი იარა ერთ ქუჩაზე, დიდი ცნობისმოყვარობით ათვა-

ლიერა ყველაფერი და ბოლოს, ჩამწკრივებულ მაღაზიებს მიადგა. ვიტრინებში გამოფენილმა ბიუტერიამ მიიპყრო მისი ყურადღება. რამდენიმე ძალიან მოეწონა და ხელსაყრელ ფასად იყიდა ვერცხლისა და მარჯნის საყურებები. ჯოჯოხეთური სიცხე იდგა, ციდან მზე ისრებივით სტყორცნიდა დედამიწას მწველ სხივებს. ქალმა, მაღაზიების თვალიერებაში ერთ პატარა ქუჩაზე ამოჟყო თავი, სადაც ძველი და მორყეული სახლები ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწკრივებული და გარკვეული ჩაკეტილი სივრცე იქმნებოდა. გზის მტვრიან კიდეებზე ცხელი შუადლით შეწუხებულ ქალებს ეძინათ. ტურისტმა გვერდით ქუჩაზე გაუხვია. უკვე დაღამებული იყო და ირგვლივ გარემო ნაკლებ საინტერესო ჩანდა. ქუჩა პატარა მოედნით მთავრდებოდა. იქვე, ბარის წინ, ინდოელები შენიშნა, მაგიდებთან ისხდნენ და ჭამდნენ. ქალმაც მათკენ გასწია. ეჩვენებოდა, თითქოს ეს ადგილი ყველასთვის არ უნდა ყოფილოყო; ხვდებოდა, სატურისტო მარშრუტის გარეთ რომ მოხვედრილიყო. გადაახტა ორ ნაწიმარ გუბეს და როგორც იქნა, იმ მოედანზე მივიდა; ერთი თავისუფალი მაგიდა ნახა და მიუჯდა. ხალხმა ჭამასმა შეწყვიტა და მას დაუწყო ყურება. ქალს მოწევნა, თითქოს ყველა დადუმდა. ასეთ უხერხულ სიტუაციაში პირველად ჩავარდა, რაც ინდოეთში იმყოფებოდა. მანამდე, თუ რამე ქალაქი დაუთვალიერებია, მსგავსი ბუნებრიობა ადამიანებისა არსად შეუნიშნავს. ალბათ, პირველი ტურისტი იყო აქ დასავლეთიდან ჩამოსული და მიტომ. სწყუროდა და გადაწყვიტა, რამე დასალევი შეეკვეთა. მამაკაცი, რომელიც მის მოსამსახურებლად მოვიდა, იყო დაბალი, გამხდარი – ულვაშებითა და მოციმციმე ცოცხალი თვალებით. გატეხილი ინგლისურით აუსსნა ქალს, რომ ეს ბარი სხვა ბარებისგან განსხვავდებოდა – აქ ისმებოდა სპეციალური ლიქიორი „შივას ცრემლები“ და წუხდა, რომ სხვა არაფერი ჰქონდა შესათავაზებელი.

აუხსნა, რომ მომლოცველები, ამ სასმელის ერთხელ მაინც გასასინჯად, მთელი ინდოეთიდან მოდიოდნენ და რომ ყველა მორწმუნისათვის მნიშვნელოვანი იყო იგი. ტურისტი ქალი დაინტერესდა ლიქიორის ინგრედიენტებით. ინდოელ მიმტანს ამის გამხელა არ შეეძლო, რადგანაც მისი შემცველობა საიდუმლოდ ინახებოდა საუკუნეების მანძილზე. სამაგიეროდ, დააუინდა, გაესინჯა. ამხელა თავაზიანობისა და ყურადღების შემდეგ ქალი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და უარის თქმა ვეღარ მოახერხა.

ახლა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ ეგზოტიკური კოქტეილის ინგრედიენტი უამრავია და მისი მომზადების წესი თაობიდან თოპას ზეპირი გზით გადაეცემა. მხოლოდ ტიპეტელ ბერებს გააჩნიათ მსგავსი რამ, რომლის რეცეპტი დიდი ხნის წინ, სანსკრინტული ენით დაწერილა. მისი შემცველობა ასეთია: წმინდა ძროხის ექსკრემენტი, სადუს შარდი (წმინდა ინდოელი კაცი), რამდენიმე ხნით დაყენებული განგის წყალი, ეთილის სპირტი, შაქარი, უოლო, ამჟავებული რძე, კოლოს გატარებული მატლები, კეთროვანის დორბლი, მზეზე გამხმარი ცხვრის შიგნეული და ხორცი.

ქალს დიდხანს მოუწია ცდა, სანამ კოქტეილს მიუტანდნენ. სულ ფიქრობდა, რომ ამ ამბავს მერე ქმარსა და ქალიშვილს მოუყვებოდა. ფოტოების გადაღებაც უნდოდა, მაგრამ ბარში მსხდომთ შეიძლებოდა სწყენოდათ, მაგრამ მაინც მორცხვად აიღო ფოტოპაპარატი და იქვე მყოფ ძვალ-ტყავამდე გამხდარ მოხუცს სთხოვა გადაეღლ სამახსოვროდ მისთვის. მიუხედავად ასაკისა, მოხუცი საკმაოდ მკვირცხლი აღმოჩნდა – ცოტაოდენი ახნა-განმარტების შემდეგ, აპარატის ფუნქციონირების შესახებ, ქალს მიუთითა პოზის შერჩევისაკენ. ყველა იქ მყოფმა ინდოელმა ფეხბურთის გუნდივით მის ირგვლივ მოიყარა თავი. ტურისტი ქალი აღფრთოვანებული იყო მათით, პირვე-

ლად ხედავდა ინდოელების ასეთ თავაზიანობასა და ჰუმანურობას. გამხდარმა მოხუცმა სთხოვა, გაეღიმა. ქალს ასე ლამაზად და ბედნიერად ჯერ არ გაუღიმია, რაც ინდოეთში იმყოფებოდა და აპარატმაც დააფიქსირა ეს. ფოტოს გადაღების შემდეგ, მასსა და ინდოელებს შორის უფრო ახლობლური ურთიერთობა შეიქმნა. ყველა ეკითხებოდა ამერიკაზე, კლინტონზე, პირად ცხოვრებაზე... ჰკითხეს, თუ მოსწონდა ინდოეთი. მანაც უპასუხა, რომ ყველაზე ლამაზი ქვეყანა იყო მსოფლიოში.

ქალი განსაკუთრებით კარგად გრძნობდა თავს ამ უბრალო და მოსიყვარულე ადამიანებს შორის. რამდენიმე ხანში მოშარდვა მოუნდა, თავი რომ ვეღლარ შეიკავა, ადგა და საპირფარეშოსკენ გაემართა. ერთ ტავერნაში შევიდა. შიგ ისე ბნელოდა, გეგონებოდათ, სინათლე კართან მოკვდაო. ოთახის შუაში, მაგიდასთან ერთი გოგო იჯდა, ნივრის დიდ ნაწინავს აკეთებდა. ტურისტმა საპირფარეშო სად არისო, ჰკითხა. გოგომ ხმის ამოუღებლად, ცხვირის აწევით მიუთითა სიბნელეში ჩამალული კარისაკენ. მოულოდნელად, მისი ყურადღება კედელზე დაკიდებულმა ფოტოსურათმა მიიპყრო, რომელიც გვერდებიდან სუსტი მოციმციმე სინათლით გაენათებინათ. ტურისტს ცნობისმოყვარეობამ სძლია და მიუახლოვდა. ვერცხლისფერ ჩარჩოში მოთავსებულ ფოტოზე ახალგაზრდა თეთრკანიანი ქალი იყო გამოსახული, გერმანელს ჩამოჰგავდა. ფოტო ზუსტად ისე იყო გადაღებული, როგორც რამდენიმე წუთის წინ გადაეღლ მანაც ბართან, ინდოელებით გარშემორტყმულმა. დაუკვირდა კარგად და ზოგი მამაკაცი შეიცნო კიდეც, მასთან ერთად რომ იყო სურათში. ალბათ, ასეთი მნიშვნელოვანია ეს ბარი და ადგილი, რომ ტურისტებთან იღებენ სურათებსო, – გაიფიქრა ქალმა. ჩარჩოს ქვემოთ, სანთლების ჩასადებთან, ვარდის ფურცლები და ბრინ-

ჯიანი პატარა ჯამები ეწყო. იდო ასევე ოთხად გაჭრილი ვაშლიც. საკურთხეველი ადგილი გეგონებოდათ. ტურისტმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. ბოლოს, იქ მჯდომ გოგოს ჰქითხა, ფოტოზე გამოსახული ქალი მისი მეგობარი ხომ არ იყო. გოგომ კი ცხვირის აწევით გააგებინა, არაო. ეტყობოდა, ინგლისური არ იცოდა. ტურისტი მეტად აღარ შეჩერებულა და საპირფარეშოსკენ გაემართა. როცა მოედანზე დაბრუნდა, ხალხმა ისევ განაგრძო მასთან თავაზიანი საუბარი. მიმტანი ჯერ კიდევ არ ჩანდა, თითქოს გამქრალიყო. ქალმა ჩანთიდან ტურისტული გზამკვლევი ამოილო და კითხვა დაიწყო. მალე, როგორც იქნა, მიმტანიც გამოჩნდა; ლანგარზე დადებული მაღალი ჭიქა მოჰქონდა მისტერიულად ნარევი ლიქიორით, რომელსაც რაღაც საკრალური ასპექტი ჰქონდა. ვერცხლისფერი ლანგრით მორთმეულ ლიქიორს მაგიური სახე ეძლეოდა. ხალხი გაიწია, რომ გამოეტარებინა. ლაპარაკი ნელ-ნელა შეწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. მუქ და წვიმით დაბერილ ლრუბლებს თავიანთი არასიმეტრიული ფორმების უკან მზე დაემალათ. გეგონებოდათ

ასევე, სასურავებზე დამჯდარ მაყვავებმაც შეწყვიტეს ჩხავილიო. ყველა ქალი ისკენ შემობრუნებულიყო, თითქოს ვინმე პისტოლერო შეჭრილიყო ბარში. ტურისტმა, ისე

როგორც არასდროს, თავი მარტოსულად იგრძნო. გონებაში ან საიდანლაც, შორეული ხმა ჩასძახოდა, არ დაელია ეს სასმელი. მიმტანმა ჭიქა მიაწოდა, მანაც გამოართვა. ძალიან კი გაუკვირდა ლიქიორის ასეთი სისქე და წითელი ფერი. უარის თქმა უნდოდა, მაგრამ აღარ გამოსდიოდა. იქ მყოფთ უზომოდ ეწყინებოდათ, თანაც მათი სარწმუნოების შეურაცხყოფაც იქნებოდა. ყველა ქალს უყურებდა და ელოდა, როდის დალევდა. ისე, ძალიან კი გარისკა, ასეთ ადგილას რომ მივიდა, სადაც არცერთ თეთრკანიანს არ გაუბედავს ჯერ მისვლა. მისი აზრით, ეს ყველაფერი, თითქოს საწყისი იყო რაღაცისა. ალბათ, ასეთი რიტუალებით ჩამოყალიბდა ინდუისტური რელიგიაც. საკუთარი თავი წარმოიდგინა, თითქოს მლოცველი ქალი იყო და საბოლოო სამსხვერპლო რიტუალს ასრულებდა შივასთვის; თითქოს მის ირგვლივმყოფნი ჩვეულებრივი ბარში შემსვლელები კი არა, ღმერთების მადიდებლები იყვნენ. ქალმა ჭიქა ასწია და გახედა – წითელი სქელი სითხე სინათლეზე ბრწყინავდა. მიიტანა სასმელი პირთან და უცებ,



ერთიანად გადაჰკრა; ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს კოქტეილი მოეწონა, მაგრამ ძალიან ტყბილი მოეჩვენა, ისეთი შაქრიანი, რომ პირი გამოეწება; მერე მუცლიდან მუავე გემო ამოუვიდა, ისეთი მკვეთრი, რომ საყლაპავი მილი და კუჭი გაუხურდა; იგრძნო, როგორ დაენთო ცეცხლი ნაწლავებში, სიმსურვალე როგორ შეეჭრა ქსოვილების უჯრედებში; იგრძნო, როგორ გადაუვიდა მკვლელი სასმელი მოსანელებელ სისტემაში; ათასობით მწველი ნემსი როგორ დაესო კუჭის ლორწოვან გარსს. ქარხნის საკვამურივით ყელამდე ამოუვიდა ცეცხლოვანი სიმსურვალე; მუავე და მარილიანი გემო პირის ღრუს უვსებდა; სისხლი მოაწვა და რომ გადმოაფურთხა, დაინახა, როგორ გადმოუვიდა ორგანული ნივთიერებებიც; იყვირა, იყვირა დიდხანს, მაგრამ პირიდან არადამიანური, ყრუ ხმა ამოუვიდა მხოლოდ. ჰერში სიკვდილის ისეთი სუნი დატრიალდა, როგორიც ხორცის მაღაზიებში რჩება საქონლის დაკვლის შემდეგ. თვალები უზომოდ გაუფართოვდა და დაინწყო გასიება, გამაგრება, გაშეშება, როგორც ტეტანუსით გამოწვეულ შოქს სჩვევია; ჯერ მუხლებზე დაეცა და ერთი წამით შეხედა, ვინც მონამლა, მერე თვალები გადაატრიალა, რომლებიც თეთრი ბურთებივით გადმოუცვივდა; საზარლად მოიკეცა, უკანასკნელად ეცადა ამდგარიყო, მაგრამ ამაოდ; კრუნჩხვებისგან ძირს დაგდებული ტბაში ჩატოვებული გვამივით გაიძერა; შარვალი ვეღარ იტევდა, ისე გასივდა. უცებ ღილი მოსწყდა და შორს გადავარდა. მომაკვდავი ხმას გაფუჭებული წნევის ქვაბივით გამოსცემდა. ისფერი, მწვანე, ყვითელი და ბოლოს, ცხელი ფოლადივით წითელი შეიქნა, გასკდა და დამაყრუებელი ხმა გაისმა ჰერში. მისი ორგანული ნივთიერებები მთელი ძალით აქეთ-იქით გადაცვივდა.

ჯერ კიდევ მთლიანად შემორჩენილი თავი მეტეორივით აძაგძაგდა და ისიც შორს გადავარდა, ისე შორს, რომ ვერც კი წარმოიდგენთ!

ყველა, ვინც იქ იდგა, ამ სანახაობას უყურებდა. სისხლითა და ხორცით დაისვარნენ, მაგრამ ძალიან უხაროდათ და ტაშს უკრავდნენ, – კარგია, კარგი! ყოჩალ! – იძახდნენ. მერე დაიჩოქეს და ლოცვა დაიწყეს. როცა დაამთავრეს, ადგნენ მშვიდად, ჩამოაშორეს კედლებზე მისხმული შედედებული სისხლი და მოაგროვეს მოედანზე აქეთ-იქით მიმობნეული ხორცი. ერთი ფეხი კედლის ხვრელში იყო შევარდნილი, აგურებს შორის; ერთი ხელი მაგიდის ქვეშ ნახეს... თავიანთი სამსახური წარმატებულად შეასრულეს, მიზანს მიაღწიეს. უცებ შეაგროვეს ამერიკელი ქალის მსუქანი სხეულის ყველა ნაწილი და ჩაანწყვეს წვნიანისთვის განკუთვნილ თასში. მერე მიცვალებულისთვის საგალობლები წარმოოქვეს და ბოლოს პანაშვიდის ყველა მონაწილე მიმტანს შეჰყვაბარში, რომელსაც ხელში ეს თასი ეჭირა. ქალებმა, წელში მოხვრით, ცეკვითა და საპანაშვიდო ლოცვების თქმით, მამაკაცებს გზა დაუთმეს კვამლით გაშავებულ ოთახისკენ. ცენტრში ქვაბი თუხთუხებდა, საიდანაც შავი, მომწამვლელი ორთქლი ამოდიოდა. სამი ქალი დიდი მსხვილი ჯოხით ქვაბში ჩასხმულ სითხეს ურევდა. ყველამ დაიჩოქა და მიმტანმა მღვდელივით ქალის წანილები ადუღებულ ქვაბში ჩაყარა. როგორც იქნა, ყველა ინგრედიენტი ერთად მოათავსეს. მთელი ღამე ლოცულობდნენ მოღუღებული წვნიანის წინაშე. მერე ქალის ფოტო დასაბეჭდად წაიღეს და იმ გერმანელის მაგივრად ჩასვეს ჩარჩოში. ახლა ამერიკელი ტურისტის ღიმილი გამეფდა, რაც სამახსოვროდ დაიტოვეს საპირფარეშოს წინ.

**იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაბელიძე**

უალე ისმაილი



უალე ისმაილი – აზერბაიჯანელი მწერალი, ბაქოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. აზერბაიჯანის ლიტერატურის ინსტიტუტის დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ მოიპოვა დოქტორის ხარისხი. მიღებული აქვს ეროვნული ლიტერატურული ჯილდო „ნასიმი“ და „რადიო თავისუფლების“ ლიტერატურული პრემია, ლაურეატია კონკურსისა „Craiova Drama 2015“ (რუმინეთი). გამოცემული აქვს პროზაული კრებული „მოთხოვძა მოთხოვძებში“ (2010) და პოეტური კრებული „სულის ერთი ამოთქმით“ (2015).

ნაღალატევნი და მიზურთხებული

თავისმა კომპიუტერმა გასცა. უფრო სწორად, კომპიუტერისა ბევრი რომ არაფერი გაეგებოდა, მაგან. თურმე ნუ იტყვი და, პირადი ინფორმაცია სრულად არ წაუშლია. მისი წასვლის შემდეგ კი უკლებლივ ყველამ შეიტყო, რომ (ადმინმა მოაღო პირი) თურმე ალი პორნოზე ყოფილა გადამკვდარი. ყველამ ზურგსუკან მიაფურთხა აღის.

და ალიმ გასცა სევდა. უფრო სწორად, სევდას ალი კარგად რომ არ სცნობია, მაგან. სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ალიმ ბარე ხუთი კაცის პირით შეუთვალა სევდას – ჩემი 10 მანათი მართებს და დამიბრუნოს, ძალიან მჭირდებაო. ყველაზე მეტად სევდამ მიაფურთხა ზურგსუკან აღის.

და სევდამ გასცა შაბნამი. უფრო სწორად, სევდას ტელეფონმა. შაბნამს ვინმე თურქი სტუდენტი ბიჭისთვის, რომელსაც, სახლში რომ არ გაეგოთ, ჩუმად ხვდებოდა, სევდას ტელეფონის ნომერი მიეცა, რათა სამსახურში თავისუფლად ელაპარაკათ. ტელეფონი კი ოთახში დარჩენოდა სევდას. აქეთ კიდევ თურქი სტუდენტის მოწერილი რამპიტარო-რიმპიტარო შეტყობინებები გოგონებს წაეკითხათ და შაბნამისთვის მიეფურთხებინათ. შაბნამსაც მთელი თავისი რისხვა სევდასთვის დაეტეხა თავს. სევდას კი რატომლაც ისევ ალისთვის ეგინებინა ზურგსუკან, მერე კი კვლავ მიეფურთხებინა.

ახალ სამსახურში წამოჭიმული ალი, თავის მხრივ, სულელ კომპიუტერს ლანდლავდა. ოლონდაც გულში. რადგან ახალ სამსახურში სხეულის მსხალივით

ფორმების მქონე მენეჯერი ქალბატონი სათავისოდ შეეთვალიერებინა და არ უნდოდა მასთან რამე ისეთის წამოცდენით საკუთარი იმიჯისთვის ჩრდილი მიეყენებინა. კომპიუტერის მისამართით სალანძღვი სიტყვა-თქმების სიუხვის მიუხედავად, ვერ იფურთხებოდა, რადგან, გულში კი შეიკურთხები, მაგრამ შეუფურთხებით წამდვილად ვერ შეიფურთხები.

ხოლო ლამაზი მენეჯერი ქალბატონი მისმა ფეხსაცმელმა გასცა. უფრო სწორად ფეხსაცმლის მაღალმა ქუსლებმა. ერთხელაც, დაიჭირა რა ალის დაჟინებული მზერა, თავისი პრანჭიობა დერეფნის 2×10 ზომებში ვეღარ დაატია, ფეხი აებლანდა და დაეცა. ალიც დიდი სიხარულითა და ბედისადმი მაღლიერებით (სავარაუდოდ) სხარტად მიქანდა ქალბატონთან, წამოსაყენებლად მკლავზე ხელი მსუბუქად წაავლო და ამ დროს პირმოუკრავი ჩანთიდან გადმოვარდნილ “Slims”-ს ჰკიდა თვალი. იმის აქეთია, ალი ქალბატონი მენეჯერის სილამაზის დაუნახავი შეიქნა.

და ეს “Slims”-ი მენეჯერი ქალბატონისთვის შაბნამს მიეყიდა. თვითონ შაბნამი არ ეწეოდა, სიგარეტი სევდასი იყო. სევდა კი სიგარეტს ყოველთვის შაბნამის ჩანთაში ინახავდა, რათა სამსახურში სიგარეტის მთხოვნელისთვის სინდისის ქენჯნის გარეშე „უი, არ მაქეს“-ო, თქმა შეძლებოდა. შაბნამსაც იმ ამბის შემდეგ ეს “Slims”-ი ერთ-ერთ ფართიზე ახლად გაცნობილი მენეჯერი ქალბატონისთვის სევდაზე შურისძიების მოტივით მიეყიდა, ეჩუქებინა თუ... მოკლედ, როგორც იყო.

და საცოდავმა ადმინმაც თვითონ გასცა თავი თვისი. უფრო სწორად, თვისმა დაბნეულობამ გაამჟღავნა. სერვერი დარჩენოდა ლია და მეორე დილით მის დამხმარეს აღმოეჩინა, რომ ადმინი თურმე ინტერნეტს ყველასგან იპარავდა. მასაც, ადმინის ოხტში რომ ამოსულიყო (ვინაიდან ადმინი მას გო-

გონებთან ქილიკით „მონღოლს“ ეძახდა), ყველგან მოედო ეს ამბავი და ყველას იმ დღესვე მიეფურთხებინა ადმინისთვის. თუმცა იმავე დღეს ადმინის დამხმარისთვისაც მიეფურთხებინათ, რამეთუ, რაც უნდა სასარგებლო ამბავი გაემხილა მათთვის, უფროსისთვის ელალატა მაინც და უმაგისობა არ იქნებოდა.

ჰოდა, ეს წრეც ამით შეკრულიყო.

ზონუაა

ჰოო, ეს მოთხოვთ დაწერით კი დაინერა, მაგრამ არასოდეს დარედაქტირებულა. უფრო სწორად, დაინერება, თუმცა არ დარედაქტირდება. მეტად ფინთი მოთხოვთ გამოვა. ჯერ არ ვიცი, რა შინაარსისა იქნება, მაგრამ შინაარსი ნამდვილად ექნება კი. ეგებ, საბავშვო მოთხოვთ გამოვიდეს, ეგებ – უფროსების საკითხავი ან სულაც საარვისო – იქნება და იარსებებს თავისთვის. ვნახოთ, ჯერ.

ესე იგი ასე. მისი მაგიდის ზედაპირი ყოველთვის არეულ-დარეული იყო. თვითონაც აჩაჩულ-დაჩაჩული დაიარებოდა. დღე, როცა სუფთად და წესიერად გამოეწყობოდა, იმ დღესვე შეძენილი ტანსაცმლის გამოისობით დგებოდა. საითკენაც უნდა გაწეულიყო, როგორც უნდა ემოძრავა, სულ ისვრიდა ყველაფერს. დირექტორი კი არ აგდებდა. ის კი არადა, ერთხელ დირექტორი სულ პირში ლანძღა და თათხა, მაგრამ იმან მაინც არ გააგდო. იმიტომ არ აგდებდა, რომ, სხვა საქმეებში ფინთი, დიზაინერობაში გამობრძმედილიყო ნამეტანი, თან ძალიან მაგრადაც. მისი სიმარჯვე საქმის დროულად და ბრწყინვალედ შესრულებაში ვლინდებოდა. მაგრამ რად გინდა, სულ მოსვრილ-მოთხვრილი გამოცხადდებოდა ხოლმე. თვითონ ამაზე არაფრისდიდებით არ წუხდა და ეს ყოველივე კაცისთვის ზედგამოჭრილად მიაჩნდა. განა

ქალი ვარ, ყოველ დილით ვივარცხნო, ამბობდა. სადილის შემდეგ დასვრილ ხელებს ზედვე იწმენდდა. ზამთრობით თვეში ერთხელ, ზაფხულში კი კვირაში ერთხელ იბანდა. მოკლედ ძალიან გაზინტული ვინმე იყო.

კლიენტებსაც ვერ იტანდა დასანა-ხავად. ამიტომაც შეხვედრებზე არც დაჰყავდათ. ტვინისნამღებ დამკვეთს იქვე გულიანად გამოლანდავდა და წამოვიდოდა. ასე რომ, საქმე აქეთ მოპქონდათ, აუსინიდნენ და თავს მიანებდნენ. ის კი ზუსტად დათქმულ დროს აბარებდა.

თუმცა ყველას უყვარდა. თვით მის-გან არაერთხელ გამოლანდულ დირექ-ტორსაც კი. გოგონებისთვის ყველაზე მსუბუქად ნათქვამი სიტყვა „სახედარი“ იყო. ბიჭები ვერაფერს ეუბნებოდნენ, რადგან გვარიანად მოხეული ტიპი იყო და ყველას ადვილად დასკემდა ბეჭებზე. გულჩვილი იყო თუმცა. ერთხელ სამსა-ხურში ინდური ფილმისთვის ეყურებინა და გულამოქდარს ეტირა კიდეც. არც არავისი მორიდებოდა. ცხვირსახოცს ვერ ითანიებდა და ამიტომ თვალებსა და ცხვირს პირდაპირ სახელოზე იხო-ცავდა. გოგონებიც ისე აჩუყებულიყვნენ, რომ ვერც დაეცინათ, პირიქით, მათაც ვერ გაეძლოთ და თავიანთი ცრემლი აე-რიათ მისაში. რათხანის მწარე ხვედრს მათში წვეთი ცრემლი არ დაეტოვებინა. დირექტორს დროზე რომ არ შემოქანი, ამ ცრემლთაღვრას ნატირალებსაც და-აყოლებდნენ, ალბათ. კიდევ კარგი, დი-რექტორი დროულად წამოადგათ თავს. დირექტორს თან ერთი გაქაჩული დამ-კვეთიც ახლდა. ყველამ თავი ხელში აიყ-ვანა. ფინთუკა კი (ეს მისი მეტსახელია) ვითომც აქ არაფერიო? ისევ ისრუტნი-და ცხვირს. დამკვეთს ყურადღებით კი უსმინა, მაგრამ თონეში პურის ჩამკრავ ბებიას მაინც სარი ჩააცვა. დირექტორ-მა სიმწრისგან ორი დღე გადალურჯე-ბულმა იარა. მაგრამ გაგდებით მაინც არ გააგდო.

ერთ მშვენიერ დღესაც მას სიყ-ვარულმა უწია. გაცხადდა, რომ მი-სი შეყვარებულიც შიგადაშიგ მასავით მოთხვრილ-მოსვრილი დადის. ამ სიყ-ვარულში არ იყო სინაზე, სამაგიეროდ, უხვად იფრქვეოდა თამამი სიტყვა-თქმები. ეს იყო უყურადღებო, უყვავი-ლებო რამ ტრფიალი. გოგონას ყვავი-ლების თაგულების სურათების მაგიერ ახლად გამოსული პრინტერების, ლეპ-ტოპების სურათებს უგზავნიდა.

როგორ მივხვდით, შეყვარებული რომ იყო? თავზარდამცემი რამ მომ-ხდარიყო. ყველა „არ გაინძრეს“ პოზა-ში გაყისპირულად მწვიმარ დღეს სამსახურში ახალთა-ხალ კოსტიუმში გამოწყობილი და ახა-ლი ფეხსაცმლით მოსულიყო. თმა შუ-აზე გაეყო. მის შემყურე დირექტორს სუნთქვა შეკვროდა. ბიჭები მიეგზავ-ნა, ჰკითხეთ, აბა, ავად ხომ არ არი-სო. გოგონები, როგორც ყოველთვის, უფრო მკვირცხლები გამომდგარიყვნენ და ეთქვათ, არამც და არამც, ნუ სწუხ-ხართ, შეყვარებულია ჩვენი ფინთუკაო. შემდეგ კი ფილოსოფიაში გადავარდნი-ლიყვნენ და ამოესიპრძნათ, რომ ადა-მიანი შეყვარებულობისას სრულიად იცვლება, გნებავთ შინაგანად, გნებავთ გარეგნულადო... დირექტორს რომ არ ეყვირა და მათთვის პირი არ მოემუწა, იმ დღეს ბიჭები ფილოსოფიაში ორიანს აირტყამდნენ. კიდევ კარგი, სწრაფად დატრიალდა დირექტორი.

ცოტა ხანში ვითარება ჩვენდა სასი-კეთოდ შემოპრუნდა. ალმოჩნდა, რომ გოგონას ერთი კარგი სვლა გაეკეთები-ნა და ჩვენი ფინთუკასთვის ეთქვა, აბა, ეს რა არის, მე როგორიც იყავი, ისეთი მიყვარდი, ახლა კი უთოს პირიდან გა-მოვარდნილს ჰგავხარო. უზომოდ გა-ხარებულ ფინთუკასაც წამსვე 200-დო-ლარიანი პიჯაკი გაუხდია, ბულვარის გაზონზე დაუფენია, გოგონასთან ერ-თად ზედ მოკალათებულა და ზღვის ყურება-ცქერაში ფუნთუშები უჭამიათ.

ყველაფერი ჯერისამებრ მიღიოდა. ის ისეთივე დარჩა, ჩვენ კი მშვიდად ვიყავით. მერე რაღაც მოხდა და ჩვენმა ფინთუკამ ფინთობას უგანა. აწი აღარც გოგონებთან უხეშობდა, არც დირექტორს ლანძღავდა, აღარც ბიჭებთან ჩხუბობდა. კომპიუტერთანაც არ ჭამდა საჭმელს. ჩვეულებრივი ადამიანი გახდა. მისი ეს ტრანსფორმაცია დღეებში გაწელილი რომ არ ყოფილიყო, მოულოდნელობისაგან ისევ დავიშოკებოდით. ახლა კიდევ ამაზე მოვყევით დარდს: ნეტა, რა სჭირს ჩვენ ფინთუკას. გოგონებმა თქვეს, ალბათ, ქორნილის ამბები ედარდებათ. ხომ იცით, ქორნილს რამდენი დავიდარაბა და ხარჯი უნდაო. ამჯერად ბიჭები აფილოსოფოსდნენ. მოიცა ერთი, თქვენ რა გესმითო. რა ქორნილი? რისი ხარჯები? გოგონამ მიატოვა ჩვენი ფინთუკაო. მიტოვებული ადამიანი კი სრულებით იცვლება – შინაგანადაც და გარეგნულადაცო. ხალისი ერთმევა, თავისი ორბიტიდან ვარდებათ. სიყვარულს რაც არ შეუძლია, მაგას განმორება იქმსო. დირექტორს ამჯერად ბიჭების მიჩუმება მოუნია. თან ხელი გულზე მიედო, სავარელში ჩახეთქებულიყო და ვალერიანის წვეთები დაელია.

დირექტორის მეგობრები ჰყვებოდნენ, რომ ახალგაზრდობაში იგი ძალიანაც მოცინარი, ტკბილმოუბარი და გულლია ბიჭი ყოფილა. აი, მერე რა მოხდა და ასე რად შეცვლილა, დაზუსტებით არავინ იცოდა...

დირექტორის მდგომარეობა აინუნშიც არავის ჩაუგდია. განხილვები

გრძელდებოდა. ახლა გოგონები და ბიჭები ხმაშენყობილად ფილოსოფოსობდნენ. ყველა იმ აზრამდე მისულიყო, რომ ჩვენი ცხოვრება „ვაფშე“¹ ფინთობაა და მეტი არაფერი. რომ, თუ სიყვარული არსებობს, განშორებაც მანდვეა; სიცოცხლე თუ არსებობს, მასში სიკვდილიც იგულისხმება და საერთოდ, დაწყობილად და თავის რიგზე არაფერი მიდის, არაფერს არა აქვს კანონზომიერება, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი აბურდულ-დაბურდულიაო. გოგონათაგან ერთმა, წავალ ამ ხარაბეთი² ქვეყნიდანო, თქვა. ბიჭებიდან ერთმა კი მიუგო, აი, წასვლით ქვეყნიდან კი წახვალო, მაგრამ პლანეტას ხომ ვერ გააღნევო. ფილოსოფიაში აშკარად ბიჭები ჩაგრავდნენ გოგონებს. თუმცა გოგონებსაც არ სურდათ დათმობა და თვით სიკვდილიც ვერას გვიშველისო დაესკვნათ. რითაც სჯა-ბაას-კამათსაც პოლო მოღებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ყველა დირექტორისკენ მიბრუნებულიყო. ვერ ვიტყვით, ამ საუბრის გამოიყო, თავისი მხიარული ახალგაზრდობა გახსენებოდა თუ რა იყო, დირექტორს თვალები ცრემლით ავსებოდა.

დასწყევლოს ეშმაკმა, მე ხომ სულ სხვა რამეზე უნდა მენერა, მაგრამ რას იზამ – ამ გავერანებულ დუნიაზე რითიც გინდა დაიწყო, ბოლოს მაინც სიყვარულზე ჩერდები.

სიყვარული ჯანდაბას და ჩვენ აქამდე არ ვიცით თუ გოგონამ ფინთუკა რატომ მიატოვა.

თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა

¹ავტორისეულია (მთარგ.)

²ხარაბეთი (ქართლ.) – დაქცეული, გავერანებული.

გურამ ოდიშარია



პრეზიდენტის პატა (ნაწყვეტი რომანიდან)

იოსებ სტალინი ნიკიტა ხრუშჩოვმა შეცვალა.

სულ ცოტა ხანში ახალმა წინამძღვრმა მსოფლიოს კომუნისტური ნაწილის ავანსცენიდან ხელთათმანი სტყორცნა მსოფლიო იმპერიალიზმს და სსრკ-ში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა გამოაცხადა. გაშლილ მშენებლობას კი, მით უმეტეს კომუნიზმისას, მოგეხსენებათ, ასი თვალი და ასი ყური სჭირდებოდა – ადამიანი ხომ ყველგან ადამიანი იყო, საბჭოთა კავშირშიაც კი.

ხრუშჩოვი, როგორც იმ ეპოქის ჭეშმარიტი შვილი, მარტო საკუთარ თავს ხომ არ წარმოადგენდა?! ის ნაწილობრივ სტალინიც გახლდათ და ყოველთვის დროულად ითვალისწინებდა თავისი დროის მკაფი მოთხოვნებს. უპირველესად მან ჩამოაყალიბა სრულიად ქვეყნისა და იმავე დროს იმავე ქვეყნის მოქალაქეების შემოწმებელი ორგანო სახელწოდებით – „სსრკ-ის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი“, სადაც გაერთიანდნენ „კაგებეს“ მიერ მრავალგზის შემოწმებული, „სუფთა“

ბიოგრაფიის, კლდისაგან გამოქანდაკებული ამხანაგები.

ეს-ესაა ნახსენები ამხანაგების ერთი ჯგუფი ერთ მშვენიერ დღეს ყველასათვის მოულოდნელად მოსკოვიდან სოხუმში გადმოფრინდა და ბაბუშერას აეროპორტიდან პირდაპირ კომპარტიის საოლქო კომიტეტს მიადგა.

როდესაც ოცდაათი კაცი მიხეილ თემუროვიჩის კაბინეტში შეიღალა, მან, სალამ-ქალამის შემდეგ დაუპატიუებელი სტუმრები უმაღვე სადილად მიიპატიუა. პასუხად ყინულივით მსუსხავი უარი მიიღო: უკვე გეახელით თვითმფრინავში, არა გვცალია, ავტონომიური რესპუბლიკა კომპლექსურად უნდა შევამოწმოთ, დროც განსაზღვრული გვაქვს – მხოლოდ ერთი თვეო.

ასეთი ინფორმაციის შემდეგ მიხეილ თემუროვიჩმა ძალზე გულთბილად მოიკითხა მათი შეფი – გენადი მაქსიმოვიჩი თავს ხომ კარგად გრძნობსო.

სხაპასხუპით უპასუხეს: ამხანაგი ფიგურინი თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ ჩვენ საუბრის დრო არა

გვაქვს, ავტონომიური რესპუბლიკა კომპლექსურად უნდა შევამოწმოთ და ეს მხოლოდ ერთ თვეში უნდა მოვასწროთ.

მიხეილ თემუროვიჩი ჩაფიქრდა, დაუბატიუბლებდა ის გადაწყვეტილების უსწრაფესად მიღების წინაშე დააყენეს.

— კი მაგრამ... კი მაგრამ... ეს რა გამოდის... — მისი სათნო მასპინძლის მოწინებული, თითქმის გულმხურვალედ მლოცველის საეკლესიო იერს მიახლოებული გამომტყველება უკიდეგანო გაოცებამ შეცვალა. — მე და ნიკიტა სერგეევიჩმა ხომ მოვილაპარაკეთ... ამხანაგმა ხრუშჩოვმა და მე ხომ მოვილაპარაკეთ, რომ წელს ჩვენ არ შეგვამოწმებდნენ, პირადად მელაპარაკა... ალბათ, დაავიწყდა, ამხანაგი

რებით დაბალ მაგიდაზე ტელეფონის თორმეტი აპარატი ეწყო. მათ შორის ერთი წითელი ფერისა იყო, საახალ-წლო ნაძვის ხის სათამაშოსავით ლაპ-ლაპებდა, ნომრების ამკრეფი დისკის შუაგულში კი ვერცხლისფერ ლითონზე ამოტვიფრული კრემლის გამოსახულება ციმციმებდა. ტელეფონის წითელ აპარატს მისი პატრონი განსაკუთრებულად ესათუთებოდა.

წითელი აპარატი სხვებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ არსად იყო ჩართული, მისი მავთულის ბოლო იქვე, მაგიდის სილრმეში იკარგებოდა, მაგრამ ამას ვერავინ ხედავდა.

მიხეილ თემუროვიჩი სწორედ იმ აპარატის ყურმილს დასწვდა და... დარეკა.



ფიგურინისათვის შეეტყობინებინა ამის შესახებ. ეს, ნიკიტა სერგეევიჩი, ნიკიტა სერგეევიჩი... ამდენი საქმე აქვს, რომც დავიწყნოდა, რა გასაკვირია. დღეს გერმანია ვის ახსოვს, ამ ამერიკამ ხომ სული ამოგვხადა... თუმცა, რატომ ვმარჩიელობთ, მოდით, ახლავე დავურეკოთ ნიკიტა სერგეევიჩს.

მის სახეს კვლავ დაუბრუნდა საეკლესიო სათნოება.

მიხეილ თემუროვიჩს სავარდლის გვერდით, მის საწერ მაგიდასთან შედა-

ორი წუთის განმავლობაში ელოდებოდა, როდის აიღებდა ყურმილს სატელეფონო ზარის ადრესატი. იმ ორი წუთის განმავლობაში თვალებგაფართოებული სტუმრები თითქმის არ სუნთქვავდნენ. დახურული ფანჯრის მიღმა, ნაძვისა და მუშმალის ხეებიდან, ჩიტების გალობა ისე ისმოდა, თითქოს ჩიტები ოთახში მღერიან, ზედ ტელეფონის აპარატებზე სხედან და ისე გალობენო.

ბოლოს, როგორც იქნა, „აიღო“ კიდეც ხრუშჩოვმა, ალბათ, სწორედ ისე-

თივე წითელი ტელეფონის ყურმილი
პირადად აიღო, საკუთარი ხელით.

მიხეილ თემუროვიჩს სახე უკვე ტე-
ლეფონის აპარატივით გაუბრნებინდა:

– მოგესალმებით, ნიკიტ სერგეე-
ვიჩ...

– ...

– თქვენ, თქვენ თავად... ხომ კარ-
გად?..

– ...

– არა მიშავს, არა მიშავს... ნინა
პეტროვნა როგორ არის?

– ...

– აა, მოგენატრეთ?.. კი, კი, მალე
ჩამოვალ. მალე.

– ...

– მეც, მეც.

– ...

– ო...

– ...

– ... მალ...

– ...

– მალ...

– ...

– როდის, როდის გვინახულებთ?..

– ...

– ისეთი შავი ღვინო მაქვს თქვენ-
თვის... მოკლედ, უმაღლესი პილოტა-
ჟია...

– ...

– უმაღლესი პილოტაჟია... ღვინოს
კი არა, უმაღ...

– ...

– გუდაუთისაა, რა თქმა უნდა, შავი
ხომ იქ...

– ...

– გამახარეთ, ნიკიტ სერგეევიჩ, მე-
უხერ...

– ...

– კი...

– ...

– დიახ, ნიკიტ სერ...

– ...

– არაფერი, არაფერი...

– ...

– დიახ, დიახ, აქ არიან...

– ...

– ძალიან სიმპათიური ამხანაგები...

პარტიულ-სამეურნეო კონტროლიდან.
რა ყურადღებიანი ხართ, ნიკიტ სერგე-
ევიჩ... ამხანაგ ფიგურინზე რომ ვსაუბ-
რობდით... დიახ, დიახ, გენადი მაქსი-
მოვიჩიზე... მე რომ გთხოვეთ... ჰო...

– ...

– როგორ, როგორ?...

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

მიხეილ თემუროვიჩის კაბინეტში სი-
ჩქუმე ჩამოვარდა. ხრუშჩოვი დაახლოე-
ბით სამი წუთის განმავლობაში „ლაპა-
რაკობდა“.

– ასევე გადავცემ, ნიკიტ სერგეე-
ვიჩ...

– ...

– დიახ...

– ...

– ესე იგი, აჭარ...

– ...

– ესე იგი, აჭარა შეამოწმონ?.. აჭა-
რა?..

– ...

– დიახ, დიახ...

– ...

– ასეც გადავცემ...

– ...

– ესე იგი, დღესვე წავიდნენ...

აჭარ...
– ...

– დღესვე წავიდნენ აჭარაში?..

– ...

– ნიკიტ სერგეევიჩ... ერთი დღით
მაინც უნდა დამიტოვოთ... სტუმრე-
ბი არიან. თანაც ისეთი ღვინო მაქვს...
უხერხულია, ერთი დღით მაინც, ნიკიტ
სერგეევიჩ...

– ...

ოთახში კვლავ ჩამოვარდა ხან-
გრძლივი და მოკრძალებული სიჩქუმე.
ნიკიტა სერგეევიჩი ახლა დაახლოებით

ორი წუთის განმავლობაში საუბრობდა. მხოლოდ ჩიტების გალობა ისმოდა, თანაც ისევ ისე, თითქოს ჩიტები გარეთ კი არა გალობენ, არამედ აქვე – ზედ ტელეფონის აპარატებზე სხედანო.

- ჩემო ძვირფასო...
- ...
- ჩემო ოქროკაცო...
- ...
- კეთილი და პატიოსანი...
- ...
- ოჯახი მომიკითხეთ, ნიკიტ სერგე-ევიჩ, ნინა პეტროვნა, სერიოზა...
- ...
- გმადლობთ, გმადლობთ...
- ...
- გმადლობთ...
- ...
- მეც გეხვევით...

წითელი აპარატის ყურმილი წითელ აპარატსავე დაუბრუნდა.

მიხეილ თემუროვიჩი ნელა მოტ-რიალდა სტუმრებისაკენ და ჩაფიქ-რებულ-მწუხარე დონ-კიხოტის სახით ხმადაბლა თქვა:

- ხომ გესმოდათ, პატივცემულებო, – თან საჩვენებელი თითო ჭერი-საკენ გაიშვირა. – მოკლედ, აჭარა უნდა შეამონმოთ... ძალზე სასიამოვ-ნოა თქვენთან შეხვედრა... გულდა-საწყვეტია, რომ... მაგრამ სხვა დროს ხომ აუცილებლად ჩამოხვალთ, პირობა უნდა მომცეთ, რომ ჩამოხვალთ... ახ-ლა კი ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ, კარგი ღვინის მარაგი გვაქვს ძვირფასი

სტუმრებისთვის, შავი ღვინისა. კალ-დახვარის შავი ღვინო ცნობილია, მძიმე კი არ არის ზოგიერთი შავივით, სვამ, სვამ... მოკლედ, შოკოლადივითაა... თა-ნაც ჩვენ ხომ ბოლოს და ბოლოს კოლე-გებიც ვართ.

მიხეილ თემუროვიჩი, როგორც სა-ოლქო კომიტეტის პირველი მდივა-ნი, აფხაზეთის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარედ ითვლე-ბოდა.

კოლეგები მდუმარედ წამოდგნენ. ერთ-ერთმა, ალბათ, ხელმძღვანელმა, ჩაილუღლულა:

- ჩვენ უკვე გეახელით თვითმფრი-ნავში, ჩვენ არ გვცალია, აჭარის ავ-ტონომიური რესპუბლიკა კომპლექსუ-რად უნდა შევამონმოთ, დროც მცირე გვაქვს – ერთი თვე.

როდესაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლიორები წავიდნენ, მიხეილ თემუროვიჩი იქვე მყოფ საოლქო კო-მიტეტის მდივანს – პეტრე კრასინსკის მიუბრუნდა:

- ეს, პიოტრ პეტროვიჩ, პიოტრ პეტროვიჩი, ხედავ, რა საინტერესოა ეს ცხოვრება?

მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს აჭარაში დიდი თოვლი მოვიდა, იქაუ-რებს ის წელი დიდი თოვლის წლად კი არა, „სსრკ პარტიულ-სამეურნეო კონ-ტროლის ჯგუფის ვიზიტის წლად“ და-ამახსოვრდათ, იმ ჯგუფისა, რომელმაც აჭარის თავზე ჯერ თურმე გადაიქარ-ბუქა, შემდეგ კი გადმოიქარბუქა.



Гэырам Одишария

**Апрезидент ицгэй
Ароман (Ацыпцэаха)**

Никита Хрущев Иосиф Сталин итыпсан днеит.

Иаарласны Адуней ахынзакоу акоммунисттэ хэта ахада өывц аимпериализм ҳэатыхла дағагылент, егърылаихэйт, СССР инеитыху акоммунизм аргылара нап шайркыз. Инеитыху аргылара, еихаракгы акоммунизм аргылара, хылапшра ду атахуп, избанзар, ауафы дахьугалакгы дуафуп, Асовет ҳэйнтикаррағы.

Хрущев, иаамта дызлапаз ала, Сталин итэгы мацымкэан илан, атагылазаша цьбара ишақэнаго ала дныкэон. Зегь рапхъаза иргыланы, уи иаипцент «СССР апартия-ҳэйнтикарратэ хлапшразы Акомиссия», изуалны икэз атэйлени уи икэйнхо ауаапсыреи ргэатара. Уи еиднакылент «эбиография цкоу», КГБ абырткал икылхны игэатаз, ахаҳе иалцэушэа игэрагаз ауаа.

Убас өнек абарт хыхь зызбахэ ҳэоу афызцэа иаалыркъяны Москвантэй Акэа иааит, Бабышьара ахайрабагэаза ақынтэ ишиашаз Обком ачы иинеит.

Фажэйжэафык икабинет ианыфнашыла, Михаил Темурович ацшэа нареихэн, чыбжыхафара инеипхьеит. Мап, ҳара

ахайрплан ачы акрахфеит, Автономтэ республика ганрацэала агэатаразы хааштууп, аамта хамаэм, мызкала ҳахьзароуп, наиафаркит ихшэааза асасцэа.

Ари заҳаз Михаил Темурович гэыкала днаразцаанд, реиҳабы Геннади Михаил-ипа дышцақоу ҳэа.

Ирццакны атак наиртейт: афыза Фигурин бзия дыжоуп, аха ҳара ацэажэаха хамаэм, Автономтэ республика гэахтароуп, мызки ауп иҳамоу.

Михаил Темурович дынкахэйцит: ирлас ак үбатэйн.

— Ааи, аха... Жэбома икалаз, — асасцэа иреигэйргээз ацшэама ихиёы ацьашьара нанылент. — Никита Сергеи-ицэи сареи хмеицэажэахъязи... Афыза Хрущеви сареи сибаҳамхэахъязи, сынтэала ҳара ҳашгэарымто, ихата исаиҳэйт... Икалап, афыза Фигурин иаҳэара ихаштзар. Ех, Никит Сергеи-ипа, Никит Сергеи-ипа!.. Адуней азна деилахоуп, ихаштзаргы ицьашьатэзам. Иахъа Германия згэалашэода! Еитах Америка ауп зегы ҳшьара ҳақэзыркъо... Аамта захгои, гэаныла ааста икалатцэказ еилаҳкаап, хайзасып иара Никита Сергеи-ипа.

Ихиҷыры раҳатза иаақалеит.

Михаил Темурович икәардә азааигәе, истол ааста илақәнәү жәафә раڭара атөләү изықтегылан. Руакы қапшыны, иуаркалеиуан, Ашықәс өңүп аан аңсатла иахындырхало ахәмаргейш, агәтаны илашон аразны Кремль асахъя. Абри атөл қапшы апшәма мыңхәй пату ақәитон.

Егырт излареицшымыз уи акәын, иаңрахәаз атөл акғы иадхәалазамызт, азәгүй имбо ус цъара астол аңаңа изуан. Михаил Темурович абри атөл ааштихын, «дасит»...

0-минутк раڭара пштәис иоуит, дзасыз атөл шытырхаанза. Арт аминутқәа рыбжъара асасциә еишыхныңсыланы итәан, рыблақәа рхагәтәхь ифеини. Адәныңтәи иаафуаз амышмала икәтәаны ишәаҳәоз атар рыбжы абри атөл қапшы икәтәаны ишәаҳәозшәа акәын ишуаҳауаз.

Аңыхәтәаны Хрущев «иштихит» атөл – иқалап, ари еипш иқапшызытты уигы.

Иара ихата иштихит, инапала.

Михаил Темурович ихиңы, атөл ааста ухәаратәй, иаалашеит.

– Абзиара шәымаз, Никита Сергеинпа...

– ...

– Шәара шәхатакә?.. Зегы бзиоуп хәа сгәйгүеит...

– ...

– Хар ҳамам, хар ҳамам... Нина Пиотр-ипча дышпәкоу?

– ...

– Ҳагәхъаалгейт шәхәама?.. Ааи, ааи, иаарласны сәйзнеиуит, иаарласны...

– ...

– Саргы, саргы...

– ...

– О-о...

– ...

– Шак...

– ...

– Ааи, шак...

– ...

– Нас, шәанбаҳзаауеи?

– ...

– Шәара шәзыңәан убри ағыза ғы қапшык сымоуп... Еиғұзықалом...

– ...

– Еиғұзықалом, ағы маңара акәзәм...

– ...

– Ҳәарада, Гәйдоулатәи, уатәи аңқаатәа...

– ...

– Шака сәшергәрьгәзей, Никит Сергеин-ипча, исхәара сыйдырам...

– ...

– Ҳәарада, Никит Серг...

– ...

– Егъаурым, егъаурым...

– ...

– Ааи, ааи, ара иқоуп...

– ...

– Уаҳа назтахым роуп... Апартия-нхаратә хылапшра ақынты. Итабуп агәцаракра иаҳзыжәу азыңәан, Никит Сергеин-ипча... Ағыза Фигурин избахә акәын иҳамаз шәареи сареи... Ааи, ааи, Геннади Мақсим-ипча... Үсқан ахәара қастеит... Ааи...

– ...

– Ишпа-ишпа?

– ...

– Ааи, ааи...

– ...

– Ааи, ааи...

Михаил Темурович икабинет ақны амт қырыр иуаҳауан, убасқак итынчран: Хрущев ҳ-минутк иреиҳан шыта «дәәжәоижъеті».

– Убастәка расхәоит, Никит Сергеин-ипча...

– ...

– Ааи...

– ...

– Ачара...

– ...

– Ачара гәартарц?.. Ачара?..

– ...

– Ааи, ааи...

– Убастәка расхөоит...
–
– Иахъацәка Ачарақа ишарц. Ачара...
–
– Никит Сергеи-ипа... Өннакәз заргы исзыншэйжүрт... Егъаумхәан, исасецоуп... Насгы, убасеипш ғык сымоуп... Иауазар, өннак, Никит Сергеи-ипа...
–
Акибинет ағы өапхъа итынчрахеит
– Никита Сергеи-ипа даға ө-минутк «дцәажәон». Аттар рыбжы акәын игоз
– адәнықа акәымкәан, абра ателқәа ирықәтәаны ишәахәозшәа.
– Зхацкы сцаша...
–
– Хахъөежь...
–
– Гәахәара дула исыдыскылоит...
–
– Салам сыйрышт зегы, Никит Сергеи-ипа: Ниния Пиотр-ипча, Сериожа...
–
– Итабууп, итабууп...
–
– Саргы шәгәйдискылоит...
Ател қапшы атып инықәитцеит.
Михаил Темурович пашаала асасцәа рахъ даахъаҳеит. Уи ихигы, Дон-Кихот иеипш, гәырфак, гәтахәышрак анубаалон. Ибжы мырдуцәакәан өааитит:

– Ҳатыр зқәу, ишәахаит зегы, – инацәа хыхъ ирхеит. – Ажәакала, Ачара ауп игәаштәаша... Ҳаипылара агәахәара снатеит... Сгәы иалуп... Аха ҳара ҳахъгы шәымфахытцышт өазны... Аха уажэы ус баша шәысзыштуам, асас дахъкәа рзыхәан исымоуп уаҳа назтахым ағы қапшь. Калдахәаратәи ағы қапшь ахъз ҳара ицахъеит, уи егырт реицш ицьбарам, егъаужәыргы уашъзом... Ажәакала, ашоколад иағызоуп... Насгы, шәарен сареи ҳайғызциами...

Михаил Темурович, Обком актәи амазанықәгаф, иара убасгы Аңсны апартия-нхаратә хылапщразы Акомитет дахагылан.

Иколлегацәа гылан икахәыцуа. Нас руазәы, реиҳаб иакәхарын, дакудаштуу даацәажәеит:

– Ҳара ахайрплан ағы акрахфеит, аха хама зам, Ачара Автономтә республика ганрацәала игәаҳтароуп, аамта хама зам, мызк затцәык ала ҳахъзароуп...

Ианца, Михаил Темурович даахъаҳеит ара иқаз Обком амазанықәгаф Пиотр Красински иаҳы:

– Убома, Пиотр Пиотр-ипа, ишықалало аңтазаарағы...

Уи ашықәса, Ачара асы ғәгәаны ишаузгы, ауаа ргәалашәарағы инхеит «СССР апартия-нхаратә хылапшра» агәыңаныртааз ашықәс ҳәа, иаалыркъаны Ачара иааз, нас инықәха ицаз.



ალინა ქადაგიშვილი

ზურაბ ყიფშიძის მესამე სიცოცხლე

თუმანიშვილის თეატრში 2016 წელს დადგმულმა „მეფე ლირმა“ მთვლემარე ქართული საზოგადოებაც კი გამოაცოცხლა. სადღეისოდ სპექტაკლზე ბილეთების შოვნა თითქმის შეუძლებელია, სარეკორდო დროში იყიდება და თეატრის ადმინისტრაციას გამუდმებით უწევს უბილეთოდ დარჩენილთა ნუგეშისცემა: „მომდევნო წარმოდგენაზე მობრძანდით“. აქ თავს შევიკავებ ზეპათეტიკური და გაცვეთილი შეფასებებისგან, როგორებიცაა: „ქართული თეატრის კიდევ ერთი გამარჯვება“ და „ზურაბ ყიფშიძის ტრიუმფი თუმანიშვილის სცენაზე“, თუმცა კი თავისი შინაარსით ისინი ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას. თეატრის მოყვარულთაგან ყველაზე ხშირად ასეთ სიტყვებს გაიგონებ – ამ სპექტაკლის დადგმა თუნდაც მხოლოდ იმიტომ ღირდა, რომ ზურაბ ყიფშიძე სცენას დაბრუნებოდა. გასულ წელს „მეფე ლირის“ ერთ-ერთ ჩვენებაზე

გახლდით ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქრის“ ფარგლებში (მაშინ თუმანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ქეთი დოლიძე იყო...) და შინ სულით ხორცამდე შეძრული დავბრუნდი! ამის შესახებ დაწერასაც ვაპირებდი, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ჩავთვალე, რომ ასეთი სერიოზული ანალიზი უფრო თეატრმცოდნების კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდა, ვიდრე ჟურნალისტებისა... ამის შემდეგ ჟურნალ „ცისკარი 1852“-ის 2016 წლის მე-12 ნომერში დაბეჭდილი მანანა პაიჭაძის წერილი ვნახე და სრულიად დავმშვიდდი: მასში არა მარტო ზურაბ გენაძის დადგმის დაწვრილებითი ანალიზია მოცემული, არამედ შექსპირის ამ პიესის წყაროები და თეატრალური დადგმების ისტორიაც. ჩემი სიმშვიდე დაირღვა წლევანდელი „საჩუქრის“ საზეიმო გახსნაზე, აპრეშუმის ფაბრიკის სტუდიაში (საინტერესოა, რომ

საბჭოური ხანის საწარმოო ნაგებობებმა თანდათანობით კულტურული დატვირთვა შეიძინა და დღეს თბილისში რამდენიმე ფაბრიკაა – თუ ზუსტი მისამართი არ იცი, ერთიმერორის მიყოლებით სამ ადგილას მოგინევს მისვლა). ვათვალიერებდი ფოტოგამოფენას, ლაშა კუპრაშვილის მიერ დიდი ოსტატობით აღმოჩნდილ შარშანდელი ფესტივალის სამახსოვრო მომენტებს, განსაკუთრებით დიდხანს ვჩერდებოდი „მეფე ლირთან“... ფოტოგრაფმა ზურაბ ყიფშიძის ლირის მაგნიტიზმი ისე ზედმინევნით გადმოსცა, რომ სურათისა და სპექტაკლისგან მიღებული შთაბეჭდილებები ერთნაირი სიძლიერებისაა, პირველი მეორეს არ ჩამოუვარდება. უცრად გავაცნობიერე, რომ ის შავებში ჩაცმული, ჭალარა, მუქსათვალიანი ბატონი, რომელიც ყველაზე ბოლოს მოვიდა, მაშინ, როცა „ა ლა ფურშტის“ მაგიდები დაცარიელდა და მაყურებელმა დარბაზში გადაინაცვლა, ერთი სიტყვით, სწორედ ის გახლდათ ზურაბ ყიფშიძე, მე კი, გულუბრყვილოდ გაოცებული, როგორც ჩანს, მეფის გამოჩენას ველოდი!..

ცოცხალი კომუნიკაცია

წელიწად-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველ მაყურებელს არაერთი შეკითხვა დაუგროვდა საყვარელ მსახიობთან და აი, ახალი ქართული „მეფე ლირის“ პოპულარობის ზენიტში, 12 დეკემბერს, მაგთიკლუბში შედგა ღონისძიება სახელწოდებით „ცოცხალი კომუნიკაცია – შეხვედრა ზურაბ ყიფშიძესთან“, რომლის დაწყებამდე წილად მხვდა მსახიობის გვერდით ჯდომისა და მასთან გასაუბრების ბედნიერება. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა იყო მისთვის მთავარი შექსპირის პერსონაჟზე მუშაობისას, ბატონმა ზურაბმა მომიგო: „ამ პიესაში ვხედავთ დიქტატორს, ძლიერ მმართველს, რომელიც მიჩვეულია უსიტყვო მორჩილებას;

ვხედავთ თუ როგორ დააბრმავა ის საკუთარმა პატივმოყვარეობამ და პირადი, ოჯახური ტრაგედიის გავლით, როგორ მიღის სიგიურე, შედეგად პოულობს ღმერთისკენ მისასვლელ გზას, სიყვარულს. მამებისა და შვილების დაპირისპირებას რაც შეეხება, ზოგიერთი ნაცნობი ამასაც მეუბნება: გეტყობა, რომ გამოგიცდია შვილებთან დაკავშირებული იმედგაცრუება, ამიტომაც თამაშობ მეფე ლირს ასე კარგადო“. ამ სიტყვებზე ჩემს თანამოსაუბრეს ხმაში სიმრავე ერვა. მართლაც, გაზრდილი შვილების უმადურობა სამყაროსავით ძველი თემაა, წარმოუდგენელია, იყო მშობელი და ამას ასცდე.

შეხვედრა იმით დაიწყო, რომ ზურაბ გენაძემ ჩაიკითხა სენიორისა და უფროსი „თანამებრძოლის“ მოკლე ბიოგრაფია, რაც ზურაბ ყიფშიძისთვის გახდა საბაბი, ჩვენთვის მოეთხოვთ საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების არაოფიციალური, ასე ვთქვათ, შინაურული ვერსია. უბრალოდ ვიტყვა: ღონისძიებამ ან როგორც ახლა მოდაშია, ივენთმა ორ საათზე მეტხანს გასტანა და ამ დროის განმავლობაში მსახიობი ფეხზე იდგა, მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ ჩამოჯდა, ისიც მაშინ, როდესაც სიტყვით მისი მეგობრები გამოდიოდნენ. დარბაზის შუაგულში ზურაბ გენაძის გვერდით მდგარი მისი სავარძელი გამუდმებით ცარიელი იყო. ახლა წარმოიდგინეთ შეხვედრა, სადაც მოწვეული საპატიო სტუმარი მშვიდად მოკალათებულა და ფლეგმატური გამომეტყველებით პასუხობს დარბაზის შეკითხვებს. მეორე ვარიანტი – იგი სრულიადაც არ არის გულგრილი მსმენელის მიმართ, ოლონდ დაინტერესებას იმით გამოხატავს, რომ გაუთავებლად აღაზევებს საკუთარ პერსონას ანდა საუბრობს რაიმე მისთვის მნიშვნელოვან თემაზე, რაც საბოლოოდ ლექციას, მონოლოგს ემსგავსება. როგორც ერთი, ასევე მეორე უცხოა ზურაბ ყიფშიძისთვის.

ის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. როცა მის მიერ განსახიერებულ მეფე ლირს ხედავ, სერიოზულად გიჩნდება შიში, რომ ეს ადამიანი თავს საფრთხეში იგდებს და მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ასეთი თავდადება აღარ გაგიკვირდება, თუ გაითვალისწინებ, როგორი ყურადღებით წარმართავს იგი თავის დიალოგს მაყურებელთან და თუნდაც რიგით შეხვედრას ნამდვილ ცოცხალ კომუნიკაციად აქცევს. განა როგორ შეძლებს მსახიობი, მოგვითხროს საკუთარი ცხოვრების შესახებ და არ აჰყვეს ცდუნებას, განასახიეროს ის ადამიანები, რომლებზეც საუბრობს? გაითამაშოს სიტუაციები, „გვაჩვენოს“, როგორც ამბობენ? ზურაბ ყიფშიძე თავიდან მშვიდად იწყებდა ამბის მოყოლას, შემდეგ „როლებში იჭრებოდა“ და იქვე, ჩვენ თვალწინ სახელდახელოდ დგამდა მინისპექტაკლებს.

ისე დავიდალე, თითქოს ზედიზედ ორ სპექტაკლში მეთამაშოსო, – გაუმხილა მსახიობმა შეხვედრის შემდეგ დარბაზში დარჩენილ მეგობრებსა და კოლეგებს.

მასწავლებლები, რეზისორები, მსახიობები

...როგორც კი ზურაბ გენაძე მისი ბიოგრაფია ბოლომდე ჩაიკითხა, მისალმების შემდეგ ზურაბ ყიფშიძემ წარმოთქვა: „არ მესმის იმ ხალხის, რომელიც ამბობს, რომ საკუთარ ცხოვრებაში არაფერს შეცვლიდა. შევცვლიდი და მერე როგორ! ზოგიერთ მომენტს ჩემი ბიოგრაფიიდან სიამოვნებით ამოვიღებდი. მაგალითად, უფრო მეტს წავიკითხავდი, ვისწავლიდი, კერძოდ კი ვისწავლიდი უცხო ენებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას ამდიდრებს, სულ უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა.“

მართლაც, მსახიობის ბიოგრაფია გაჯერებულია ხმაურიანი, სკანდალური ამბებით: ჯერ იყო და თეატრალური

ინსტიტუტის პირველი კურსიდან გარიცხეს ცუდი ყოფაქცევისთვის, ჩააბარა, ისევ გარიცხეს, ამჯერად უკვე მიზეზი „როცა აყვავდა ნუშის“ გადაღებები და გაცდებები იყო... მოკლედ, არ სწალობდნენ აქ და რადგან კინოს გამო გააგდეს, მოსკოვში, „გიქში“ ჩააბარა, ცნობილი რეჟისორის, გერასიმოვის ჯგუფში. იქაც არ ასვენებდნენ თურმე, აქედან იწერებოდნენ, მანდ რატომ არის, ჯარში უნდა იყოსო...

დედისგან, მსახიობ ელენე ყიფშიძისგან გამოჰყა სილამაზე, ნიჭი, ემოციურობა და რთული, ფეთქებადი ხასიათი, ერთგვარი ექსტრავაგანტურობაც. „იყო ქუჩის ბიჭი და უცებ გახდა ჰიპი – მოშვებული თმა, ჯინჯილები, ბეჭდები, გაქუცული ჯინსები, მერე ზურა ელეგანტურ მანეკენად მოევლინა თბილის. მთელ საბჭოეთში თუ არა, საქართველოში იგი ნამდვილად პირველი მოდელი მამაკაცი იყო. მერე ჩხუბში მოჰყა, უფრო სწორად, მისი ფეხი მოჰყა ფანჯარაში – აქილევსის მყესი გადაეჭრა და წელიწად-ნახევარი სახლში იწვა...“ (რეზო შატაკიშვილი).

წარმატება ნამდვილად არ აკლდა, ოლონდ ესაა, რომ თავისი იმპულსურობის გამო არაერთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მისი მასწავლებლები იყვნენ: გერასიმოვი და თუმანიშვილი (თავად ტოვსტონოგოვის მონაფე). ერთხელ მასთან შეხვედრისას სესილია თაყაშვილს უთქვამს: ყველაფერი ხმამაღლა წაიკითხეო. ჰოდა, ისიც დადიოდა ქუჩაში და წარმოთქვამდა: „გასტრანომ“, „ხლებ“ და ა.შ.

პირველად, სრულიად შემთხვევით, კინოში გიორგი შენგელაამ გადაიღო „მაცი ხვიტიაში“. ზურაბი მაშინ ცამეტი წლის იყო, ცხენოსნობაზე დადიოდა და თავიდან დუბლიორად აიყვანეს, შემდეგ კი როლის შესრულებაც მიანდეს. ბოლო დროს არაერთ ქართულსა და რუსულ სერიალში გამოჩნდა, რომლებზეც მსახიობი მაღალი აზრისა არ გახლავთ,

მაგრამ ჰონორარის გამო თანხმდება. საერთოდაც, როგორც აღმოჩნდა, კინოში სამოცდათამდე როლი აქვს შესრულებული და ყველა მათგანით როდია კმაყოფილი, ზოგიერთი როლის რცხვენია კიდეც. თურმე ზურაბ ყიფშიძეს სულაც არ მოსწონს ის ლამაზი, ტუჩებდაბურთული ბიჭი ლანა ლოლობერიძის ფილმიდან „როცა აყვავდა ნუში“, რომელიც ქართველი ქალიშვილებისთვის მამაკაცური მიმზიდველობის ეტალონად იქცა და მსახიობი საყველთაოდ ცნობილი გახადა... ასეც ხდება ხოლმე. მართალია, თეატრალური როლების რაოდენობა რამდენადმე ნაკლებია კინოროლებზე, მაგრამ, სამაგიეროდ, თეატრში კომპრომისზე არასოდეს წასულა.

უნდა სჯეროდეს რეჟისორისა და შესაბამისად, საქმის წარმატებისა. „არ მესმის საერთოდ, როცა დასაწყისშივე ხედავ, რომ რაღაც ცუდად გამოდის, რატომლა უნდა გააგრძელო? მე ბევრ ასეთ შემოთავაზებაზე მითქვამს უარი. ერთხელ ერთ ახალგაზრდა რეჟისორთან ვმუშაობდი. რაღაც ვერ გავიგე როლთან დაკავშირებით და ვიკითხე და იცით რა მითხრა? ამის აზრზე არა ვარ და მაყურებელი რაც ნაკლებს მიხვდება, რაც მეტი ბუნდოვანება იქნება, მით უკეთესი არ არისო? ცხადია, წამოვედი იქიდან.“

საბედნიეროდ, მსახიობს ბევრ ლირსეულ რეჟისორთან უმუშავია, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილს მაინც გამორჩეული ადგილი აქვს მის ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ



მსახიობმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა იმ რეჟისორებზე, რომლებთანაც უმუშავია, საკმაოდ კრიტიკულად და თვითკრიტიკულადაც. რაც მთავარია, მისთვის დამახასიათებელი, სათქმელის გულწრფელად და შეულამაზებლად თქმის მანერით. ხოლო იმის მიზეზი, რომ ზურაბ ყიფშიძე სცენაზე ხშირად არ ჩნდება, არის მსახიობის ხასიათი, უკმაყოფილება როლებით, კონკრეტული რეჟისორის მუშაობის სტილით. მას აუცილებლად

თუმანიშვილის თეატრს ახალგაზრდობის მოგონებები უკავშირდება, ეს აგრეთვე იყო დაძაბული მუშაობის პერიოდი, შემოქმედებითად ძალზე მდიდარი ხანა. მოგვიანებით, უკვე ახალ დროში, სიამოვნებით იმუშავა თუმანიშვილის მოწაფესთან, თავადაც გამოჩენილ რეჟისორთან, თემურ ჩხეიძესთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თეატრში და განსაკუთრებით, კინოში დაიწყო მრავალწლიანი კრიზისი,

რომელიც შეეხო მასში შემავალ ყველა რესპუბლიკას, გამონაკლისი არც ჩვენ ვიყავთ. ამან შეიწირა არაერთი მსახიობი და რეჟისორი, მეტიც, თეატრები და კინოსტუდიები. კინომსახიობებს მანიც განსაკუთრებით უჭირდათ, უსაქმოდ ვერ ჩერდებოდნენ, მორალურად და ფიზიკურად იღუპებოდნენ. ეს იყო ნამდვილი ტრაგედია. ალბათ, ამასაც გულისხმობს ზურაბ ყიფშიძე, როცა ამბობს, რომ მამის როლმა, რომელიც მან თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ ამავე სახელწოდების (ავგუსტ სტრინდერგი „მამა“) სპექტაკლში შეასრულა, ის გააცოცხლა, სცენას დაუბრუნა. რამდენიმე წლის შემდეგ მისი კვლავ გამოჩენა სცენაზე და, შესაბამისად, მეორე გაცოცხლება ისევ თემურ ჩხეიძეს უკავშირდება. ამჯერად ეს იყო იასმინა რეზას „ხელოვნება არტ“, რომელსაც ჩვენთან დიდი წარმატება და აღიარება მოჰყვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ზურა ყიფშიძეს სკანდალები არასოდეს აკლდა და არც თავად ერიდება რაიმე სკანდალურის თქმას, როდესაც საამისო განწყობა აქვს. მას შეუძლია თამამად და სკანდალურად მიახალოს ყველას სათქმელი“. ასე მოიქცა იმ საღამოსაც: გაიხსენა თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული თავგადასავლები და ისინი, ვინც მათში მონაწილეობდნენ, ასევე საკუთარი ე.წ. არაპოლიტკორექტულობა. პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია, ცხადია. მას მსახიობი ყოველთვის ერიდებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ არ ჰქონდა უფლება საკუთარი შეხედულებები საზოგადოებისთვის მოქვია თავს, ერთგვარი აგიტაცია გაეწია, თუმცა, როგორც ამბობს, შესაძლოა, ცდებოდა კიდეც.

ძნელია, მის იმდლევანდელ ურთიერთობას მაყურებელთან საკუთრივ ერთი რაიმე სახელი დაარქვა: ეს ერთდროულად იყო ავტობიოგრაფიული

თხრობა, გამოცდილების გაზიარება, თეატრალური წარმოდგენა და ალსარებაც, რადგან დარბაზის წინაშე ბოლომდე გულახდილი იყო და როგორც სხვებს, ასევე საკუთარ თავსაც არ ზოგავდა შეფასებისას. აუდიტორიასთან თავადვე შექმნა არაფორმალური და ნდობით განმსჭვალული ატმოსფერო. შემდეგ კი, რაკიდა „ვჭორაობდით“, ზოგჯერ ნორმატიული ლექსიკიდან გადაუხვევდა ხოლმე, რათა თავისი მონათხოვის რომელიმე პერსონაჟის, (უმთავრესად მსახიობების) პირდაპირი ნათქვამი გაემორებინა. მაგალითად, დაწვრილებით გაიხსენა ის დრო, როცა თავის უფროს მეგობართან, მეზობელთან და კოლეგასთან, რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად იმყოფებოდა ფილმის, „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“ (1990) გადაღებებზე და იქაც მეზობლები იყვნენ – ერთ ოთახს იყოფდნენ. ბატონი რამაზის სიბრძნე, ცხარე იუმორი და ირონია, მისი ყველასგან გამორჩეული (ოდნავ წამლერებით) საუბრის მანერა და ხმის ტემბრი – ზურაბ ყიფშიძემ, ტკივილნარევი სიყვარულით გააცოცხლა ჩვენ წინაშე...

060კენტი მიხაილოვიჩ სმოკტუნოვსკი

ზურაბ ყიფშიძე მოსკოვში, გერასიმოვის სტუდიაში სწავლის პერიოდს სიამოვნებით იხსენებს, როგორც საუკეთესო ხანას თავის ცხოვრებაში: რეგულარულად დადიოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე და სპექტაკლებზე ვლადიმირ ვისოცკის მონაწილეობით – თეატრში ტაგანკაზე, (სადაც, როგორც ვიცი, ბილეთების რიგში ხალხი ღამისთვევით იდგა – ა.ქ.). პირველად როცა დაესწრო მაია პლისეცკაიას წარმოდგენას, ღამით აღარ ეძინა... სტუდენტური ყალთაბანდობის მიუხედავად, ამ დროს უამრავი რამ ისწავლა და შეითვისა: არაჩვეულებრივი,

მაღალი კულტურისა და განათლების მქონე პედაგოგები ჰყავდა, მათი უმეტესობა გადასახლებიდან იყო ჩამოსული. გერასიმოვი კვირაში ერთხელ სახლში იბარებდა თურმე მთელ ჯგუფს, თავად აკეთებდა პელმენებს. უვლიდა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უყურადღებოდ არავინ დაუტოვებია, ცხადია, სხვა რესპუბლიკურიდან ჩამოსულების გარდა. ყველაფერი საბჭოთა ეზიზღებოდა, ოლონდ ამას მაღავდა, ხმამაღლა არ აცხადებდა, რომ ამით საქმისთვის, შემოქმედებისთვის არ ევნოო, – დასძნეს მსახიობი.

ზურაბ ყიფშიძე ამ დროს ბევრ გამოჩენილ პიროვნებას ხვდებოდა, მარტო ის რად ღირს, რომ ინოკენტი სმოკტუნოვსკი მისი უფროსი მეგობარი იყო! გადაღებებში ერთადაც მონაწილეობდნენ. დადის, თურმე, წინ და უკან თეატრისა და კინოს ეს დიდოსტატი და თითქოს სხვათა შორის ამბობს: „ხვალ პრემიერა მაქვს“. კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს. ზურაბ ყიფშიძე, ამ დროს მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი, მივიდა მასთან და უთხრა, რომ ძალიან უნდოდა ამ წარმოდგენის ნახვა. თქვენ მართლა გსურთ მოსვლა? – გულწრფელად გაუხარდა მას და თეატრში დაპატიჟა.

მცირე დრამატული თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლს ერქვა „მეფე ფეოდორ იოანეს ძე“ და ინოკენტი სმოტუნოვსკი მეფის როლს ასრულებდა. ზურაბ ყიფშიძე ახლაც დიდი განცვილებითა და აღფრთოვანებით იხსენებს დარბაზში, მაყურებლის როლში მიღებულ შთაბეჭდილებას: „ასეთი რამ პირველად ვნახე – ადამიანი სცენაზე დგას, ყველას მაგივრად თამაშობს. წარმოიდგინეთ, რომ მას თავად ეთამაშა რომელიდაც ბოიარი და მერე თვითონ, როგორც მეფე თეოდორეს, პასუხი გაეცა. ერთი სიმართლე იყო ამდენ ხალხში. ეს ხალხი იდგა, რაღაცას ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა,

ხოლო ნამდვილი სიცოცხლე და ის, რაც ხდება თეატრში, რაც გვიყვარს, ერთი ადამიანისგან მოღიოდა მხოლოდ, თანაც თავიდან ბოლომდე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ კი არა! იფიქრებდით, რომ ამ სპექტაკლში მხოლოდ ერთი ადამიანი თამაშობდა, დანარჩენები მხოლოდ პირს აღებდნენ. გაოგნებული ვიყავი... წარმოიდგინეთ, სპექტაკლის ბოლოს მეკითხება: მოგეწონათ, ზურაბ ვასილიევიჩ? – ასე მეძახდა, რის გამოც პროტესტს გამოვთქვამდი.

– „რას ამბობთ, ინოკენტი მიხაილოვიჩ, მე სტუდენტი ვარ!“ არა, მაინც, „ზურაბ ვასილიევიჩ!“ როცა მოკლედ ავუსტენი, რასაც ვფიქრობდი, მიპასუხა: „მართლა? თქვენ ეს დაინახეთ და იგრძენით?“ და ცრემლები წამოუვიდა, ბედნიერი იყო. მერე კიდევ რაღაცებს ვჭორაობდით ერთად... ასეთი მსახიობები მართლა არ არსებობენ, თითქმის. მას შეეძლო ეთამაშა... ჰერი, უსულო სხეული, რაიმე გრძნობა ან ცნება... ყველაფერი. ასეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა...“

ცნობილია, რომ, როცა მსახიობი სცენაზე დგას და თამაშობს, ის იმგვარ ემოციურ დაძაბულობას აღწევს, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ინფარქტის წინარე მდგომარეობა. მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია მისი გადარჩენა – ესაა მაყურებლის ტაში, – ამბობს ზურაბ ყიფშიძე.

სცენის მტვერი, ალბათ, რაღაც ჯადოსნური მაღამოსავით მოქმედებს: მას, ვისაც საკუთარი საქმე სიცოცხლეზე მეტად უყვარს, ყოველ ჯერზე ფენიქსივით ფერფლიდან აღდგება. მსახიობის სიყრმის მეგობარი, პროფესიით ექიმი (რომელსაც ზურა „გადამრჩენელს“ უწოდებს), იმ საღამოს საკუთარ განცვილებას გვიზიარებდა: ჩემზე კარგად არავინ იცის, რამდენი რამ სტკივა და აწუხებს ამ კაცს, აქეთ მკლავი, იქით ფეხი (სხვათა შორის, ჯანმრთელობის პრობლემებს არც მსახიობი მაღავს და ხუმრობს

კიდეც ამის თაობაზე) და ერთხელაც რომ შემომჩივლა, უუთხარი, ბიჭო, შენ არ იყავი, გუშინ საღამოს სამი საათის განმავლობაში მეფე ლირს რომ თამაშობდი, რა გეტყობოდა შენ ცუდად ყოფნის-მეთქი.

ზურაბ გემაძის „მეფე ლირი“

დავიწყებ იმით, თუ რამხელა სიმამაცესა და გამბედაობას მოითხოვს თვით ჩანაფიქრი „მეფე ლირის“ დადგმისა. შექსპირის ეს პიესა, რომელიც ქრონოლოგიურად „ოტელოსა“ და „მაკბეტს“ შორის თავსდება, საუკუნეების მანძილზე შესწავლისა და სჯა-ბაასის საგანია. ვინ მოთვლის მის საფუძველზე შექმნილ სპექტაკლებს, ფილმებსა თუ სხვა მხატვრულ ნაწარმოებებს, თანაც თითოეული ავტორი ცდილობდა, ოდნავ მაინც ორიგინალური ყოფილიყო... თუნდაც მხოლოდ ქართულ სპექტაკლებს გადავხედოთ.

ზურაბ ყიფშიძემ იმ საღამოს გაიხსენა: ერთ დღესაც რამაზი შემხვდა, ცუდ ხასიათზე იყო, მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა, დღეს ლირი უნდა ვითამაშოო. გახსოვთ, პირველად როგორ ჩნდება სცენაზე? მასხარასავით ზანზალაკები ჰქიდია და ა. შ. გასაგებია, რომ ასეთი დასაწყისის შემდეგ 180 გრადუსით შემობრუნება, ჭკუათმყოფელი მეფის თამაში და საკუთარი სცენური გმირის ხასიათის გახსნა რამაზ ჩხივაძეს არათანმიმდევრულად ეჩვენებოდა და ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობასაც უტოვებდა.

რეზო შატაკიშვილი თავის ბლოგზე განთავსებულ ერთ წერილში საუბრობს დიდი ქართველი მსახიობების „ჩავარდნილ“ როლებზე და მათ შორის ახსენებს მეფე ლირის ორ შემსრულებელს – სერგო ზაქარიაძესა და ოთარ მეღვინეთუხუცესს. უურნალისტის სიტყვებით, ბატონი ოთარი სწორედ იმ არტისტთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, ვისაც

შეეძლო საკუთარი წარუმატებლობის აღიარება. იგი თურმე უკმაყოფილო იყო „დიდოსტატის მარჯვენაში“ განსახიერებული მეფე გიორგითაც. რუსთავის თეატრში ნათამაშები ჰამლეტითაც, მარჯანიშვილის თეატრში ნათამაშები მეფე ლირითაც... არადა, უნდოდა ჰამლეტისა და მეფე ლირის თამაში. ითამაშა კიდეც, მაგრამ ამ სპექტაკლებმა არ გაამართლა.

1966 წელს უურნალ „თეატრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა, როცა თეატრში ასეთი დიდი მსახიობი გვყავს, როგორიც სერგო ზაქარიაძეა, რომელსაც ასე სწყურია ლირის თამაში, ცოდვაა რომ ეს ტრაგედია არ დავდგათო.

დადგა კიდეც, მაგრამ მთელ საბჭოეთში უკვე ლეგენდად ქცეული ჯარისკაცის მამა... დამარცხდა, დამარცხდა რეჟისორიც. თუმანიშვილის „მეფე ლირი“ შექსპირის გათანამედროვეობის პირველი ცდა იყო. სპექტაკლის შემდეგ კრიტიკოსთა აზრი მკვეთრად გაიყო – ნაწილი ხელალებით ლანდლავდა და უარყოფდა, ნაწილი – გააფირებით იცავდა. თუმანიშვილმა და ზაქარიაძემ ლირი გაადამიანურეს, ცხოვრებასთან დაახლოვეს. ლირის სამეფო ტახტი ხავსმოკიდებულ ქვას წარმოადგენდა, რომელზეც ცხოველის ტყავი იყო გადაფარებული. ასეთ გარემოში შეუძლებელიც იყო პომპეზური ლირი-ღმერთის თამაში. სერგო ზაქარიაძეს ათლეტურ სხეულზე თხის ტყავი ჰქონდა მოსხმული, ბეწვის ქვეშ ლურჯი ხამის ტილოს ხალათი ეცვა, შარვალი ბეწვის პაჭიჭებში ჰქონდა ჩატანებული, როგორც ნოდარ გურაბანიძე იტყვის, ჩაცმულობით სვანსა და ხევსურს უფრო ჰგავდა – ვიდრე კელტი. მეტიც, სუფრასთან ქართულ სიმღერასაც წამოიწყებდა... ზაქარიაძესა და თუმანიშვილს უნდოდათ, მაყურებელს ახლობლად ეგრძნო ლირი, მოხდა კი პირიქით... ნოდარ გურაბანიძის შენიშვნით, ზაქარიაძის ლირი სტალინის

ასოციაციასაც იწვევდა – სტალინსაც ხომ უყვარდა შარვლის ჩემებში ჩატანება თუ ქართული სიმღერის წამოწყება სუფრაზე...

თუმანიშვილმა მოგვიანებით აღიარა, რომ ვერ დაიჭირა გმირის ნამდვილობის ნათელი შეგრძნება ზაქარიაძის ლირში... თავად სერგო ზაქარიაძე პრემიერის დღეებში კმაყოფილი იყო საკუთარი თამაშით, მერე ნელ-ნელა უკმარობის გრძნობა შეეპარა, ბოლოს სულ გაუტყდა

კინომსახიობთა თეატრის სცენაზე დღის სინათლე იხილაო, მართალია, ვერ ვიტყვით, ვთქვათ, დაიბადა „მეცე ლირის“ ახალი ვერსია, შედგა პრემიერა. „რეჟისორმა ზურაბ გენაძემ შესანიშნავი ინტონაციური გასაღები მონახა ამ მაღალი ტრაგედიის მაღალ დონეზევე შესანარჩუნებლად“ (მანანა პაიჭაძე).

„დიდი რეჟისორი გვყოლია ზურა გენაძის სახით, რადგან ვერც ყიფშიძის გენიალური შესრულება და ვერც



გული, რაშიც მაყურებლის ნაკლებმა ინტერესმაც იმოქმედა...“ (რეზო შატაკვიშვილი).

შექსპირის გარდაცვალებიდან ზუსტად ოთხასი წლის შემდეგ, 2016 წლის 30 მაისს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის

კარგი დასი და კარგად თარგმნილი ტექსტი ვერაფერს იზამდა, რომ არ ყოფილიყო თავიდან ბოლომდე უმცირეს დეტალებში და დახვეწილ მიზანსცენებში რეჟისორულად გააზრებული სპექტაკლი საკუთარი ხელწერით. ყველაზე ძნელია

იყო ტრადიციული და ამასთანავე ძალიან ახალი, რაც ზურა გენაძემ „შეძლო“, – წერს პროფესორი მანანა გელაშვილი.

„მაგთიკლუბში“ გამართული საღამოს დასასრულს უკვე რეჟისორი ზურაბ გენაძე პასუხობდა დამსწრეთა შეკითხვებს. მისი მონათხრობიდან შევიტყვეთ, რომ, როდესაც მათ „მეფე ლირის“ დადგმა გადაწყვიტეს, თავიდან გაუგებარი იყო, საერთოდ რა სახეს მიიღებდა იგი. მით უმეტეს, ძნელი იყო ზურაბ ყიფშიძის დარწმუნება იმაში, რომ ეს როლი ნამდვილად შეეფერებოდა და სწორედ მას უნდა ეთამაშა. ის უარს ამბობდა, ეკამათებოდათ, ეს იყო ნამდვილი ჯოვოხეთი! ახლა ამბობენ, თითქოს ეს მისი საოცნებო როლი იყო, პირიქით, ძლიერ დარწმუნეს, ეთამაშა მეფე ლირი. ცნობილია, რომ მას ნახევარი ძალით თამაში არ შეუძლია. სპექტაკლის მზადებისას ნახევრად რეპეტიციებს როცა გადიოდნენ, რასაც ჰქვია „კითხვა“ (თეატრალურ ჟარგონში გამოიყენება რუსული სიტყვა „ჩიტკა“, ამ დროს ყველა უბრალოდ კითხულობს საკუთარ სიტყვებს, იმასაც კი არა აქვს მნიშვნელობა, დგახარ, ზიხარ თუ აქეთ-იქით დადიხარ – ა. ქ.). ზურაბიც სხვებივით ტექსტის წაკითხვას შეუდგებოდა ხოლმე,

შემდეგ კი ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იწყებდა თამაშს და ეს იმდენად გადამდები იყო, რომ სხვა მსახიობებსაც აღარ შეეძლოთ პასიურ მდგომარეობაში დარჩენა. ამას ვხედავთ წარმოდგენის დროსაც: ის ძლიერი მუსტი, რომელიც ზურაბ ყიფშიძიდან მომდინარეობს, ყველაზე ზემოქმედებს, ის თითქოს სხვა მსახიობებს საკუთარი კითხვა-პასუხით ეხმარება, მიმართულებას აძლევს, მათ რეაქციას ელოდება, რომ თამაში განაგრძოს. სცენაზე პარტნიორებთან დიალოგს მართავს. თავად ზურაბ ყიფშიძე თეატრის მსახიობობას ფეხბურთს ადარებს – ერთშიც და მეორეშიც ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთისთვის „პასის მიწოდება“, გუნდური თამაში.

ამაზე გამახსენდა, რაც ზურაბ ყიფშიძემ სმოკუტუნოვსკიზე გვიამბო: ყოველთვის, როდესაც სცენაზე მსგავსი მასშტაბის მსახიობი ადის, ჩნდება საშიშროება, რომ მისმა თამაშმა სხვა მოქმედი გმირები არ დაჩრდილოს. თუმანიშვილის თეატრის მსახიობებს, უმეტესწილად ახალგაზრდებს, ეს კარგად ესმოდათ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მეფე ლირისთვის ლირსეული პარტნიორობა გაეწიათ. შეგნებულად არ ვასახელებ რომელიმეს გვარ-სახელს – ვერც ერთს ვერ შენიშნავდით მოდუნებას ან სისუსტეს, დასი თითქოს ერთ მთლიან, ჯანმრთელ ორგანიზმად იქცა, რომლის ყველა ნაწილი შეთანხმებულად, გამართულად მუშაობს. ყველა მათგანს მიეცა საშუალება, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოევლინა, მით უფრო, რომ საამისოდ თვალწინ საუკეთესო მაგალითი ედგათ, რომელიც საკუთარ გამოცდილებას უშურველად, თამაშ-თამაშ უზიარებდათ.

მანანა პაიჭაძე საკუთარ მიმოხილვას ასე ამთავრებს: „დიახ, ყველა სცენაში – ექსპოზიციაში, ქარიშხლის სცენაში, სიგიჟის სცენაში, ფინალში – ზურაბ ყიფშიძემ ყველგან დაგვარწმუნა, რომ ის ლირია.



იმაში კი, რომ ჩვენ, მართლაც, შექსპირის „მეფე ლიოს“ ვუყურებთ სცენაზე, დაგვარწმუნა, როგორც რეჟისორ ზურაბ გენაძის კონცეფციამ და მსახიობების მთელმა ანსამბლმა, ასევე მანანა ანთაძის არაჩვეულებრივმა ახალმა თარგმანმა, რომელიც ძალზე ბუნებრივად და თანამედროვედ უღერს და რომელსაც დღევანდელ ქართველ მაყურებელთან უფრო ახლოს მიაქვს გენიალური შექსპირის გენიალური ტექსტის საზრისიც და მელოსიც“.

მთავარი როლის შემსრულებელმა ჩემთან საუბარში გამოთქვა საკუთარი აზრი წარმოდგენის შესახებ: „მე მომწონს, როგორ არის გადაწყვეტილი დადგმა – ბუნებრივად, მკაფიოდ და სადად, ზედმეტი მაღალფარდოვნების, პათეტიკურობისა და ბუნდოვანების, ათასნაირი ქვეტექსტის გარეშე. ამაში თარგმანის ახალი ტექსტიც გვეხმარება, რადგან მე-19 საუკუნის მაჩაბლისა და ჭავჭავაძის თარგმანები დღეს უკვე მოძველებულია და ცოტა არაბუნებრივად უღერს სცენიდან“.

„ზურაბ ყიფშიძის მეტყველება, მისი უნიკალური ხმის ტემპი და დიქცია თითქოს ბუნებრივად შეერწყა შექსპირის ლირის ურთულესსა და უნატიფეს ტექსტს, რომლის წაკითხვის ტემპრალური შეფერილობა მსახიობმა საოცრად სწორად და გააზრებულად შეუხამა თითოეული პასაუისა და სიტყვის სემანტიკას“ (მანანა პაიჭაძე).

მსახიობი თითქმის ყველაფრითაა კმაყოფილი: ტექსტით, დრამატურგით, მუსიკით, დეკორაციებით, მხოლოდ კოსტიუმები არ მოსწონს... მე ვფიქრობ, ეს პრობლემა, ზოგადად, „მეფე ლიოს“ დადგმების აქილევსის ქუსლი უნდა

იყოს, რადგან „შექსპირის ლირი არის წინარმაული პერიოდის ბრიტანეთის (მეცხრე-მერვე საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ლეგენდარული მეფე.“ ისტორიული სიზუსტის დაცვა კოსტიუმების შექმნისას შეუძლებლად და თანაც, აზრს მოკლებულად მიმართია, გარდაუვალი არქაულობის გამო, ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ დროს ინტუიცია და ფანტაზია უფრო გამოდგება, ცხადია, გარკვეული საზღვრების ფარგლებში.

ზურაბ ყიფშიძის მიერ გამოთქმული უმთავრესი შეფასება კი ისაა, როცა ამბობს, „მეფე ლიორმა“ მესამედ გამაცოცხლაო...“

...თამაშობდნენ „მეფე ლიოს“, მე ვიდექი თუმანიშვილის თეატრის დარბაზში, სადაც პუბლიკა უფროსი თაობის თეატრის მოყვარულთაგან და თეატრისა და კინოს მოღვაწეთაგან შედგებოდა, მათგან, ვისაც ახსოვდა, როგორ თამაშობდა მეფე ლირს რამაზ ჩხილებე და უფრო ადრე სერგო ზაქარიაძე. ახსოვდათ და შედარების საშუალება ჰქონდათ. ზოგი ამ შედარებებსა და კომენტარებს ანტრაქტისას ხმამაღლა გამოთქვამდნენ. იქ, იმ დარბაზში, მათი სახელების გაგონებაც კი ერთ რამედ ღირდა. მე, სამწუხაროდ, რობერტ სტურუას სპექტაკლის სატელევიზიო ვარიანტი მინახავს მხოლოდ... მიხაროდა, როცა მათ ვუსმინდი, მოუხედავად იმისა, რომ მათი შეფასებები ზოგჯერ ჩემსას არ ემთხვეოდა. რას იზამ? ადამიანები შეჩვეულსა და ძველს უფრო ხშირად ირჩევენ, ვიდრე ახალსა და გაუგებარს. მიხაროდა, სწორედ ამ შედარების შესაძლებლობის, ქართული თეატრის გამო...“